გიორგი რუსია

თავისუფლება
და
პიროვნება

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1979

1 mu
1 მი
რ 944

ადამიანის თავისუფლების საკითხი ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევდა, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში სოციალურ წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვავების გამო იგი გლობალურ, ყოვლისმომცველ პრობლემად იქცა. მის ორ ერთმანეთის საპირისპირო გადაწყვეტაში ვლინდება მსოფლიოს ორი სოციალური სისტემის არსი და დაპირისპირებულობა. წინამდებარე წიგნში ნაჩვენებია თავისუფლების რაობა და მისი განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების: ადამიანის ბუნების გარდაქმნისაკენ მიმართული თეორიულ-პრაქტიკული მოღვაწეობისა და ამ მოღვაწეობის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობათა როლი მათ დიალექტიკურ ერთიანობაში.

ამასთან ერთად თავისუფლება მიჩნეულია ადამიანის ცხოვრების საზრისად და მითითებულია მისი გაცნობიერების დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

ნაშრომში დახასიათებულია ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული უდიდესი ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნები, რომლებმაც ასახვა პოვა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებში.

10504 — 147
Р———————— 43—43—79
М 601(08)—79

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979

შესავალი

თავისუფლება ღრმა აზრის შემცველი, უაღრესად მიმზიდველი ცნებაა. მიუხედავად იმისა, რომ მისი შინაარსი ერთნაირად არა აქვთ მოაზრებული, იგი ძვირფასია იმათთვისაც, ვისაც თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობები აქვს და, იმათთვისაც, ვისაც იგი არ გააჩნია. ვისაც იგი აქვს, მან იცის თავისუფლების ფასი და ცდილობს მის შენარჩუნებას, რადგანაც, თავისუფალი მოქმედებების აღკვეთა მისთვის ადამიანური არსებობის ხელყოფას ნიშნავს. ვისაც თავისუფლება არ გააჩნია, იგი მას მტკივნეულად განიცდის და მუდამ ცდილობს მის მოპოვებას. თავისუფლების ან მისი მოპოვების იმედის გარეშე ადამიანის ცხოვრებას აზრი არა აქვს.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე თავისუფლებისთვის ბრძოლა საზოგადოების მძლავრ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეები თავისუფლებას უმაღლეს სიკეთედ და სათნოებად მიიჩნევდნენ და ადამიანად მხოლოდ მას თვლიდნენ, ვისაც თავისუფლება ჰქონდა. ადამიანისა და მისი თავისუფლების საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის აღმოცენება-დამკვიდრების ხანაში. კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებამ აუცილებლობით მოითხოვა ბუნების ძალებზე ადამიანის ბატონობის გაფართოება, რასაც ხელს უშლიდა ფეოდალური ურთიერთობები. დიდმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ძვრებმა, ადამიანის აქტიური მოქმედების მნიშვნელობის ზრდამ განაპირობა ახალი იდეოლოგიის წარმოშობა, რომლის ცენტრალური ფიგურა ადამიანი გახდა.

ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში თავისუფლება გამოცხადდა ბუნებრივ უფლებად, რომელიც ადამიანებს შე-

საძლებლობას მისცემდა თანაბრად ესარგებლათ ცივილიზაციის მონაპოვრებით და თავიანთი შრომის ნაყოფისა და ბედის გამგებელნი ყოფილიყვნენ. ახალი დროის მოაზროვნეები ძველი, რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში მეცნიერებისა და ფილოსოფიის მიღწევებს იყენებდნენ. ისინი თავიანთი დროის სულისკვეთებით წყვეტდნენ ადამიანისა და მისი თავისუფლების პრობლემას, რითაც ხელს უწყობდნენ ახლად წარმოქმნილი ბაზისის განმტკიცება-განვითარებას. მართალია, მათ მიერ წამოყენებული თანასწორობისა და თავისუფლების იდეალები განუხორციელებელი აღმოჩნდა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, მაგრამ შეზღუდული, ბურჟუაზიული ფორმით მათ სინამდვილედ გადაქცევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის შემდგომი წინსვლისათვის.

თავისუფლების მრავალი სახე არსებობს, მაგრამ ყველა ისინი ერთიანდებიან საერთო გვარში და გამოხატავენ ადამიანის ბატონობას ბუნების ძალებსა და საკუთარ თავზე. თავისუფლების ცნებაში აბსტრაჰირებულია ბუნებაში ადამიანის თვითდაფუძნების, თვითგანხორციელებისა და სრულყოფა-განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც სინამდვილედ იქცევიან მისი პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. თავისუფლება, როგორც მარქსი აღნიშნავდა, არის მთელი სულიერი ყოფიერების გვარეობითი არსი.

სრულყოფილი ადამიანური ცხოვრება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ხორციელდება ბუნებასთან კავშირზე დაფუძნებული ადამიანის თავისუფალი მოქმედება. ამასთან, თავისუფლება არ არის მოცემული ერთხელ და სამუდამოდ უცვლელი სახით. მასში აკუმულირებულია მთელი კაცობრიობის, მისი მრავალი თაობისა და საუკეთესო წარმომადგენლების შემოქმედებითი ენერგია. ადამიანის ქმნადობა თავისუფლების ქმნადობაცაა.

თავისუფლების შინაარსი და სახეები იმდენად ღრმად და მრავალმხრივ არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრებასთან, რომ მისი განსაზღვრა ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ძნელია მოიძებნოს სხვა ასეთი გარეგადამწვდომი ზოგადი ცნება, რომელიც ასე ძლიერად აღელვებდა და აღელ-

ვებს ადამიანთა გონებას. თავისუფლების ცნების განსაზღვრას ცდილობდნენ ფილოსოფოსები და სოციოლოგები. მასში აისახებოდა სხვადასხვა კლასისა და სოციალური ჯგუფის ცხოვრებით განსაზღვრული მოთხოვნილებები და ინტერესები. ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. ჰეგელი აღნიშნავდა, რომ არც ერთი იდეა არ ყოფილა ასე განუსაზღვრელი, მრავალმნიშვნელოვანი და უდიდეს გაუგებრობათა შემცველი, როგორიც თავისუფლების იდეა იყო.

მიუხედავად ამისა, ისტორიულად ჩამოყალიბდა თავისუფლების ორი, ერთმანეთის საპირისპირო — მატერიალისტური და იდეალისტური გაგება. „თავისუფლება, — წერდა მარქსი, — აქამდე ფილოსოფოსების მიერ განისაზღვრებოდა ორგვარად: პირველი, როგორც მეუფება, როგორც ბატონობა გარეგნულებებსა და ურთიერთობებზე, რომლებშიც ცხოვრობს ინდივიდი. — იგი ასე განისაზღვრებოდა მატერიალისტების მიერ; მეორე მხრივ, როგორც თვითგანსაზღვრება, თავის დაღწევა ნაბდვილი სამყაროსაგან, როგორც სულის მოჩვენებითი თავისუფლება,—იგი ასეა განსაზღვრებული ყველა იდეალისტთან, განსაკუთრებით გერმანელებთან"[1].

მარქსამდელ მატერიალიზმს თავისუფლების ახსნის დროს მთელი ყურადღება ბუნების აუცილებლობის შემეცნებაზე გადაჰქონდა, ხოლო საზოგადოებრივი მოქმედება და ამ მოქმედების პროცესში წარმოქმნილი ძალთა განვითარების კანონზომიერება მისთვის უცნობი იყო. მარქსამდელი მატერიალისტების მიხედვით ადამიანთა თავისუფალ მოქმედებებს განსაზღვრავს ბუნების აუცილებლობა. თავისუფლება მხოლოდ ბუნების ობიექტებთან შემეცნებით დამოკიდებულებაში განიხილება. ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, ინერტული აუცილებლობისადმი დაქვემდებარებული ბუნების საგანთა და მოვლენებისაგან თვისებრივი განსხვავება და მისი აქტიური გრძნობადგარდამქმნელი მოღვაწეობის როლი მათთვის სავსებით გაუგებარია. მათ ვერ დაინახეს, რომ ბუნების გარდაქმნის პროცესში წარმოქმნილ სოციალურ ძალებზე გა-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. IV, стр. 281.

ბატონება თვით გარეგან ბუნებაზე და თავის თავზე ბატონობის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. თავიანთი მსოფლმხედველობის მექანისტური, მეტაფიზიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებაში იდეალისტური შეზღუდულობის გამო საზოგადოების განვითარებისა და თავისუფლების განმსაზღვრელი ფაქტორები მათ ვერ აღმოაჩინეს, რის გამოც ადამიანთა ნამდვილი განთავისუფლების გზები ვერ დასახეს.

იდეალისტური ფილოსოფია, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს და მათ შორის თავისუფლებას ცნობიერების საფუძველზე ხსნის. ადამიანის ყოველი მოქმედება, მისი მიხედვით, გონების აქტიურობას ემყარება. როგორც მარქსამდელი, ასევე თანამედროვე იდეალიზმი უგულებელყოფს ბუნებასა და საზოგადოებაში არსებული ობიექტური ფაქტორების როლს თავისუფლების ქმნადობა-განვითარებაში.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ იდეალიზმისა და მეტაფიზიკის დაძლევის გზით თავისუფლების პრობლემა მართებულად გადაწყვიტა. მან გვიჩვენა, რომ „ნ ა მ დ ვ ი ლ ი გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ, თ უ ა რ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ს ა მ ყ ა რ ო შ ი დ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ა შ უ ა ლ ებ ებ ი თ“[1]. (ხაზი ჩემია, გ. რ.).

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, 1975, გვ. 19.

თავი პირველი

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია თავისუფლებისა და მისი წანამძღვრების შესახებ

„თავისუფლება მდგომარეობს ბუნებრივ აუცილებლობათა (Naturnotwendigkeiten) შემეცნებაზე დაყრდნობილ ბატონობაში თვით ჩვენ თავზე და გარეგან ბუნებაზე“.

ფრიდრიხ ენგელსი.

1. თავისუფლების ცნება და მისი შინაარსი

მარქსამდელი მატერიალიზმისა და იდეალიზმის მიერ მოცემული თავისუფლების გაგება ცალმხრივი და მიუღებელია. მას ახასიათებს სუბიექტური და ობიექტური მხარეების ერთმანეთისგან გათიშვა. იდეალიზმი უგულებელყოფს ობიექტურ მხარეს და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობებს მხოლოდ სუბიექტში ხედავს. თავისუფლება მიჩნეულია გარესამყაროსა და მისი აუცილებლობისაგან სუბიექტის სრულ დამოუკიდებლობად. იგი სუბიექტის თვითგანსაზღვრებაში მდგომარეობს. მარქსამდელი მატერიალიზმი, პირიქით, ობიექტური მხარის გააბსოლუტებას ახდენს და უარყოფს სუბიექტის აქტიურ როლს. სუბიექტი გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების განხორციელების დროს მთლიანად დამოკიდებულია ობიექტური მხარისაგან. მას სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ უდრტვინველად დაემორჩილოს ობიექტურ აუცილებლობას, იყოს გარეგანი ბუნების მონა.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ გვიჩვენა აღნიშნულ თვალსაზრისთა ცალმხრივობანი. მან პრაქტიკისა და თეორიის დიალექტიკური ერთიანობის პრინციპის შემოტანით დაასაბუთა სუბიექტურ-ობიექტურ მხარეთა გათიშვის შეუძლებლობა როგორც ჭეშმარიტების შემეცნების, ასევე თავისუფლების განხორციელების პროცესში. ამასთან ერთად პირველადად აღიარა ბუნება და მისი აუცილებლობა, რომელსაც გარდუვალად უნდა შეეგუოს მისგან წარმოებული სუბიექტური მხარე. თავისუფლება გაგებულ იქნა როგორც სუბიექტურ-ობიექტური მხარეების ერთიანობით განსაზღვრული, შეგნებულ აუცილებლობაზე დამყარებული მოქმედებებისა და ქცევების არჩევის უნარი და განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც სათანადო პირობებში ნების გამოჩენის დროს სინამდვილედ გადაიქცევა. თავისუფლების მარქსისტული მოძღვრება აღიარებს ერთიანობაში მყოფ მხარეთა როგორც აუცილებელ არსებობას, ასევე მათ შორის სპეციფიკურ, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ მიმართებას. დედამიწაზე ადამიანია ერთადერთი არსება, რომელიც თავის ნამდვილობას ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მხარის — ცნობიერებისა და ყოფიერების ერთიანობით აღწევს. ეს ერთიანობა დიალექტიკური წინააღმდეგობის საფუძველზე არის შესაძლებელი; სუბიექტური მხარე ობიექტურის საფუძველზე არსებობს და მას აუცილებლობით მოითხოვს. მიუხედავად ამისა, სუბიექტი ერთიანობის აქტიური, მოქმედი მხარეა, რომელიც მუდამ ამ ერთიანობის შენარჩუნება-განვითარებას ესწრაფვის. მას მხოლოდ ობიექტზე დაყრდნობითა და მისი საშუალებით შეუძლია არსებობა. თვით ობიექტური მხარე სუბიექტურთან შედარებით ერთიანობის პასიური მხარეა. იგი არსად არ მიისწრაფვის სუბიექტის მსგავსად. ბუნება და მისი აუცილებლობა სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ამიტომ იგი სუბიექტის არსებობა-არარსებობის მიმართ სრულიად „გულგრილია“, ბუნებასა და მის აუცილებლობას რაიმე „სურვილები“ და „ინტერესები“ არ გააჩნია. ბუნება თავისი შინაგანი აუცილებლობის კანონების მიხედვით მოქმედებს, რითაც განსაზღვრავს სუბიექტის მოქმედების შესაძლებლობებს და მიმართულებას. მიუხედავად ამისა, იგი სუბიექტის ინტერესების სფეროშია

მოქცეული. სუბიექტი ცდილობს დაიქვემდებაროს ბუნება, გაბატონდეს მასზე და აიძულოს იგი იმოქმედოს თავის სასარგებლოდ. ყოველივე ამას სუბიექტი აღწევს თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით, რომელიც თავისუფალი მოქმედების შედეგიცაა და საფუძველიც.

თავისუფლების ცნების შინაარსი გამოხატავს სინამდვილის ორი, თვისებრივად განსხვავებული, სუბიექტური და ობიექტური მხარის ერთიანობით განსაზღვრული არჩევისა და არჩეულ მოქმედება-ქცევათა განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც თავის ნამდვილობას პრაქტიკულ მოღვაწეობაში პოულობს. ერთი მხრივ, არჩევისა და არჩეული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა პრაქტიკული მოღვაწეობის წიაღში ისახება, ხოლო მეორე მხრივ, შრომა, როგორც სუბიექტ-ობიექტის განხორციელებული ერთიანობა, თავისუფლების სამოქმედო გამოვლენას წარმოადგენს[1].

შრომის პროცესი, როგორც სუბიექტურ-ობიექტურ მხარეთა ქმედითი ერთიანობა ადამიანის ნამდვილობის, მისი არსებობის საფუძველი და საშუალებაა. შრომა არის ადამიანის არსებობის მოთხოვნილებებით განსაზღვრული სუბიექტის გაცნობიერებული პრაქტიკული ზემოქმედება ბუნების საგნებსა და მოვლენებზე, რომლის შედეგად შრომის საგანი შრომის პროდუქტად გარდაიქმნება. ის, რაც შრომის პროცესის დასაწყისში და ბოლოში გვაქვს, იგივეობრივიცაა და განსხვავებულიც. ბუნებაში არსებულ საგნებს ჯერ კიდევ არ ატყვია სუბიექტის „ხელი". სუბიექტის ობიექტად იგი შრომის პროცესში და მის შედეგად გვევლინება. შრომის საგანი შრომის პროცესში „გაადამიანურებული" ხდება. მას სუბიექტურის დაღი ასვამს. „გაადამიანურებული" საგანი შედეგია სუბიექტური და ობიექტური მხარეების ქმედითი ერთიანობისა. ამავე დროს იგი ამ ერთიანობის შემდგომი განვითარების საფუძველი და აუცილებელი პირობაა. „თავისუფლების კატეგორია ასახავს როგორც პირობებს, ასევე ადამიანის მოღვაწეობის შედეგებს. არ არსებობს მოღვაწეობის ისეთი მხარე, რომელთანაც მას არ

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, т. 46, часть II, 1969, стр. 109—110.

ჰქონდეს მიმართება. და ამავე დროს იგი არ შეიძლება გავთქვიფოთ ადამიანის მოღვაწეობის მრავალნაირი სახეების სხვა კატეგორიებში"[1].

რადგანაც შრომის პროცესის შედეგები სუბიექტ-ობიექტის მოქმედი ერთიანობის საფუძველზე გვეძლევა, ამდენად ეს შედეგები დამოკიდებულია ერთიანობის ორივე მხარეზე: შრომის საგნებზე, შრომის იარაღების ხასიათზე, წინასწარდასახული მიზნებისა და მათი რეალიზაციის ხერხებზე. მართალია, შრომის პროცესის შედეგის მიღებისათვის აუცილებელია ობიექტური მხარე, მაგრამ შედეგის რაობა, როგორობა განსაზღვრულია მოქმედი სუბიექტის ინტერესებითა და მისწრაფებებით. „შრომის პროცესის დასასრულს, — გვასწავლის მარქსი, — ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით მოცემულია, მუშას მარტო ფორმის ცვლილება როდი შეაქვს: იგი ამასთანავე ამ ბუნებით მოცემულში ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და რომელსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს"[2].

ადამიანი თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის მოთხოვნიდან გამომდინარე ინტერესებით. ეს წარმოქმნის სუბიექტის მიერ ობიექტის დაქვემდებარებისადმი მიმართულ სწრაფვას, რომელიც თავის გამოხატულებას თავისუფლების ცნების შინაარსში პოულობს. შრომის პროცესში ადამიანი სუბიექტური სწრაფვის საგნობრივ განხორციელებას ახდენს. იგი ბუნებისა და საზოგადოების ძალებს თავისი არსებობის მიზნებს უქვემდებარებს, რითაც თავისუფლებას ახორციელებს და სრულყოფს. მიზანი ყოველთვის წინ უსწრებს მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგს. პრაქტიკული მოქმედების პროცესში რეალიზებული მიზნები ადამიანის ზემოაღნიშნული ფუნდამენტური მისწრაფების ხორცშეს-

---

[1] К. А. Новиков, В. П. Федунов. Свобода и освоение действительности, стр. 25—26.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, 1954, გვ. 228.

ხმას წარმოადგენს. ეს მიზნები თავიანთ კონკრეტულ გამოვლინებასა და განხორციელებაში განსაზღვრულია ობიექტურად არსებული გარემოებებით. ისინი აუცილებლობით გულისხმობენ ობიექტურად არსებულ სამყაროს, მასში არსებულ ურთიერთობებს, ამოდიან მისგან და მათივე საშუალებით ისევ სუბიექტისკენ მიიმართებიან.

თავისუფლების შესახებ მსჯელობის დროს მხედველობაშია საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მყოფი ადამიანის თავისუფლება. თავისუფლება კონკრეტულია თავის გამოვლენაში. იგი გვეძლევა ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციაში. ბუნების ძალებზე ბატონობა ცალკეულ ადამიანთა მონაწილეობით სრულდება, რომელთა გაერთიანებულ მოქმედებათა თავისუფლება საზოგადოების, ერის, კლასის და გარკვეული სოციალური ჯგუფის თავისუფლებას გვაძლევს. საზოგადოების, როგორც მთელის, თავისუფლება განუხორციელებელია მისი ყოველი წევრის თავისუფლების გარეშე, თუმცა თვით საზოგადოების თავისუფლება განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ცალკეულ ადამიანთა თავისუფლებაზე. ადამიანისა და საზოგადოების თავისუფლებას შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა არსებობს.

ადამიანი, როგორც იარაღის მკეთებელი ცხოველი, საზოგადოებაში არსებული საშუალებებით ანიჭებს თავის თავს ობიექტურობას და ახორციელებს თავის თავისუფლებას. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, არის ორი ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული მხარის ერთიანობა, რაც გამოხატულია ადამიანის ცნების შინაარსში. ერთიანობის სუბიექტური მხარე, უშინარეს ყოვლისა, გულისხმობს საზოგადოებრივ სუბიექტს, რომელსაც უნარი აქვს თავისი ინტერესების შესაბამისად შეცვალოს გარემომცველი სინამდვილე და განახორციელოს თავისი თავი. „ცნება (-ადამიანი), — წერდა ლენინი, — როგორც სუბიექტური, ისევ გულისხმობს თავისთავად არსებულ სხვადაყოფიერებას (-ადამიანისგან დამოუკიდებელ ბუნებას). ეს ცნება (-ადამიანი) არის მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა იმისადმი, რომ რეალიზაცია უყოს თავის თავს, მისცეს თავის თავს თვით თავის თა-

ვის მეშვეობით ობიექტურობა ობიექტურ სამყაროში და განახორციელოს (შეასრულოს) თავისი-თავი"[1].

თვითგანხორციელება სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლების ცნებაში მოცემული სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის[2] სინამდვილედ გადაქცევა, სუბიექტური მისწრაფების გაობიექტურობა, სუბიექტის გასაგნობრივება. რასაკვირველია, სუბიექტის მიზანთა ხორცშესხმა, თავისუფლების სამოქმედო გამოვლენა დამოკიდებულია გარემო პირობებზე, ადამიანის ადგილზე საზოგადოებრივ წარმოებაში, მაგრამ სუბიექტის აქტიურობის გარეშე იგი არა გვაქვს. თავისუფალი მოქმედება დეტერმინირებულია იმდენად, რამდენადაც იგი ობიექტურ აუცილებლობას ეფუძნება, მაგრამ ამასთან ერთად ადამიანს შეუძლია აირჩიოს მასში მოცემული შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი და სინამდვილედ აქციოს იგი მისთვის მოსახერხებელი და მისაღები გზით.

ადამიანის მისწრაფება — განახორციელოს თავისთავი, წარმოებულია ობიექტურისგან, მაგრამ უკვე სინამდვილედ ქცეული, იგი თვით წარმოადგენს ძალას, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს გარემომცველ საგნებზე და თავისი მიზნების შესაბამისად გარდაქმნას და გამოიყენოს ისინი. სუბიექტს უნარი შესწევს გამოავლინოს თავისი თავი მისგან თვისებრივად განსხვავებულ ობიექტურად მიმდინარე პროცესებში და მისცეს მათ მისი ინტერესებისადმი შესაბამისი მიმდინარეობა. ამაში მდგომარეობს ადამიანის აქტიურობა, მისი თავისუფლების ქმედითობა.

თავისუფლების ქმედითობა ეფუძნება სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის შიგნით არსებულ წინააღმდეგობას. სუბიექტის მისწრაფება, იყოს თავისი თავიც და მისგან განსხვავებული სხვაც, შეიცავს დიალექტიკურ წინააღმდეგობას, რომელიც მუდამ იწვევს მისი გადაწყვეტისაკენ მიმართულ მოქმედებას. ამ წინააღმდეგობის საბოლოო გადაუწყვეტობა არის საფუძ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ., 38, გვ. 210—211.

[2] ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობის ძირითადი ასპექტები განხილულია დ. კალანდაძის წიგნში: „ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობის საკითხისათვის შემეცნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში". 1964.

ველი ადამიანის თვითგანხორციელებისადმი დაუსრულებელი სწრაფვისა. სუბიექტის მარადიული სწრაფვა იყო თავისი თავიც და მისგან განსხვავებული სხვაც, ანუ იყოს სუბიექტი, შეინარჩუნოს თავისი თავი, თავისი „მე“ და ამავე დროს ემყარებოდეს მისგან თვისებრივად განსხვავებულს — ობიექტურს, არსებობდეს მის საფუძველზე, განსაზღვრავს ადამიანური ყოფიერების სიძნელეს, რომლის დაძლევისაკენ მიმართულია ადამიანის პრაქტიკულ-თეორიული მოღვაწეობა. სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის შიგნით არსებული წინააღმდეგობის გამო წარმოქმნილი სიძნელის დაძლევისადმი მიმართული მოქმედება სპეციფიკურია მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმის — სოციალური მოძრაობისათვის.

სოციალური მოძრაობა მოძრაობის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით აუცილებლობით გულისხმობს თვისებრივად ერთმანეთისაგან განსხვავებულ ორ კომპონენტს: მოაზროვნე, მოქმედ სუბიექტს და ობიექტურ სამყაროს. სუბიექტი არსებობს და მოქმედებს მხოლოდ ობიექტურ სამყაროში. მისი არსებობა შესაძლებელია აქტიურობის, ობიექტური სამყაროს მოვლენათა შემეცნებისა და გარდაქმნის გზით. აქტიურობა კი გულისხმობს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას. გარესამყაროს საგანთა და მოვლენათათვის, სუბიექტისათვის სასურველი და საჭირო ფორმის მინიჭება (რაშიც მჟღავნდება თავისუფალი მოქმედების არსება) და არსებობის მოთხოვნილებებისადმი დაქვემდებარება შეადგენს სოციალური მოძრაობის შინაარსს. მასში წამყვანი როლი თავისუფალ არჩევასა და მოქმედებას ენიჭება, თუმცა იგი ყოველთვის ერთნაირი არაა. სუბიექტის მიერ გარემომცველი საგნების შეცნობისა და მათთვის სასურველი ფორმის მიმნიჭებელ მოქმედებაში ვითარდება სუბიექტის უნარი და იცვლება მისი მდგომარეობა სამყაროში.

თავისუფლების ცნების შინაარსი გამოხატავს, ერთი მხრივ, სუბიექტის უნარს, რასაც იგი ავლენს ობიექტის შეცნობისა და გარდაქმნის დროს და, მეორე მხრივ, იმ მდგომარეობას, რაც მას უკავია ბუნებასა და საზოგადოებაში. ვინაიდან მარქსიზმის კლასიკოსებს თავისუფალი ნების ცნება ესმით პოზიტიური თავისუფლების აზრით, ამიტომ მას ცალკე არ გამოვ-

ყოფთ და არ განვიხილავთ. „ნების თავისუფლება, — წერდა ენგელსი, — ნიშნავს მხოლოდ საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარს. მაშასადამე, რაც უფრო თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა ამა თუ იმ ადამიანის მსჯელობა განსაზღვრული საკითხის მიმართ, მით მეტი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი თ განისაზღვრება ამ მსჯელობის შინაარსი; მაშინ, როდესაც უცოდინარობაზე დაყრდნობილი დაურწმუნებლობა, რომელიც თითქოს თვითნებურ არჩევანს ახდენს მრავალ სხვადასხვა და ერთი-მეორის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს შორის, სწორედ თავის არათავისუფლებას ამტკიცებს, თავის დამორჩილებას იმ საგნისადმი, რომელიც სწორედ მას უნდა დაექვემდებარებინა. მაშასადამე, თავისუფლება მდგომარეობს ბუნებრივ აუცილებლობათა (Naturnotwendigkeiten) შემეცნებაზე დაყრდნობილ ბატონობაში თვით ჩვენ თავზე და გარეგან ბუნებაზე"[1]. აღნიშნულ დახასიათებაში თავისუფლება წარმოგვიდგება სუბიექტ-ობიექტის, ანუ შინაგანი და გარეგანი მხარეების ისეთ დიალექტიკურ ერთიანობად, რომელშიც წარმმართველია მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი აქტიურობა: სუბიექტის მიერ ობიექტის გარდაქმნისა და დაქვემდებარების უნარი.

თავისუფლების შინაგან მხარეს, რომელსაც ა. მისლივჩენკო შინაგან თავისუფლებას უწოდებს მართებულად მიაკუთვნებს შემდეგ კომპონენტებს: „1) შესაძლებლობის შემეცნება, მოვიქცეთ ასე ან სხვაგვარად (საბოლოო ჯამში გარეგანი აუცილებლობის შემეცნება); 2) ინდივიდის მიერ ამ შემეცნებული გარეგანი აუცილებლობის შეთანხმება, შედარება თავის შინაგან შეხედულებებთან, სინდისთან, თავის ინტერესებთან; 3) ნების გამოვლენა (არჩევა, გადაწყვეტილება და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობა); 4) მისწრაფება თვითგანხორციელებისადმი, თავისთავის რეალიზაცია ობიექტურ სამყაროში"[2]. თავისუფლების შინაგანი მხარის ზემოჩამოთვლილ კომპონენტთა ერთობლიობა გამოხატავს სუბიექტის თეორიულ სიმდიდრეს და ნებას.

---

1 ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 136.

2 А. Г. М ы с л и в ч е н к о. Человек как предмет философского познания, М., 1972, стр. 130.

თავისუფლების ობიექტური, ანუ გარეგანი მხარე, ფართო აზრით, მოიცავს მთელ გარემომცველ ბუნებას, რიგ გარემოებათა ერთობლიობას, რომელშიც სუბიექტი არსებობს და მოქმედებს. ამ მხარესთან სუბიექტის დამოკიდებულებაში მოჩანს მისი საზოგადოებრივი მდგომარეობაც. იგი გვიჩვენებს იმას, თუ ბატონობის რა დონეს მიაღწია სუბიექტმა სამყაროში და რა ადგილი უკავია მას საზოგადოების მატერიალურ ურთიერთობათა სისტემაში.

თავისუფლება გამოხატავს უნარისა და მდგომარეობის დიალექტიკურ ურთიერთგანპირობებულობას. ადამიანის მდგომარეობა ბუნებასა და საზოგადოებაში განსაზღვრავს საქმის ცოდნით გადაწყვეტილების უნარს, ხოლო, თავის მხრივ, ეს უნარი განაპირობებს მის მდგომარეობას. რაც უფრო იზრდება ადამიანის ბუნებაზე ბატონობა, მით უფრო მეტი უნარი აქვს მას არსებული შესაძლებლობებიდან თავისუფალი არჩევისა და არჩეულის წარმატებით განხორციელებისა. თავის მხრივ უკეთესის, სუბიექტისთვის მისაღები შესაძლებლობის არჩევისა და არჩეულის განხორციელების უნარი განაპირობებს მის გაბატონებულ მდგომარეობას ბუნების საგნებსა და მოვლენებზე.

ადამიანი თავისუფალია მაშინ, როცა მას გარეგანი იძულების გარეშე (იგულისხმება გარესამყაროს საგნებიდან და სხვა ადამიანებიდან გამომდინარე იძულება) შეცნობილ აუცილებლობაზე დაყრდნობით შეუძლია თავისი ინტერესების შესაბამისად აირჩიოს სხვადასხვა შესაძლებლობიდან ერთ-ერთი და სინამდვილედ აქციოს იგი. როგორც არჩევა, ასევე არჩეულის განხორციელება დამოკიდებულია როგორც ადამიანის უნარზე, ასევე მის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. ერთიც და მეორეც განსაზღვრულია საწარმოო ძალთა განვითარებით და მათ მიერ განპირობებული წარმოებითი ურთიერთობით. ეს უკანასკნელი უშუალოდ განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების დონეს და, რაც მთავარია, კლასებს, საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის თავისუფლების „განაწილებას“.

საქმის ცოდნით გადაწყვეტილების უნარი პრაქტიკაში ვლინდება. შრომის პროცესი არ არსებობს თავისუფალი მოქმედების გარეშე, ხოლო თავისუფალი მოქმედება განუყოფე-

ლია პრაქტიკული მოღვაწეობისაგან. მათ შორის დიალექტიკური კავშირი და ურთიერთგანპირობებულობაა. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ. გენეზისის მიხედვით პირველადია პრაქტიკა, საქმე, მაგრამ თავისუფლება თვით გამოდის პრაქტიკული მოქმედების შინაგანი აღმძვრელის როლში. თავისუფლების გამოვლენა, მისი სინამდვილედ გადაქცევა პრაქტიკულ მოღვაწეობაშია. პრაქტიკული ქმედება ანიჭებს მას ნამდვილობას. ლენინი აღნიშნავს, რომ ენგელსს თავისუფლება ესმის არა როგორც ჭვრეტა, არა როგორც სუბიექტის თეორიული მოღვაწეობა, არამედ როგორც გრძნობად-საგნობრივი მოქმედება, „ბუნებაზე ბატონობა, რომელიც ვლინდება კაცობრიობის პრაქტიკაში“.

თავისუფლება არა მარტო პრაქტიკულ მოღვაწეობაში ვლინდება, არამედ ასევე ამ მოღვაწეობის შედეგად გვეძლევა. გარკვეული აზრით, იგი თავშიცაა და ბოლოშიც. თავისუფლების შინაგანი მხარე: სუბიექტის უნარი, ნებელობა და სხვ. განსაზღვრულია წარსულსა და აწმყოში ადამიანის მოღვაწეობით, ამ მოღვაწეობის პროცესში მოპოვებული გამოცდილებით. სუბიექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მასზე დაფუძნებული მიზანი მხოლოდ მაშინაა ვარგისი მოქმედებისათვის, როცა იგი კაცობრიობის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობიდანაა გამოყვანილი.

საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე მიღწეული თავისუფლება — ადამიანის ბუნებაზე ბატონობა წინამორბედ თაობათა მიზანდასახული მოღვაწეობის შედეგია. იგი მრავალრიცხოვან მიზანთა განხორციელების შედეგად მიიღწევა. თავისუფლების უკვე მიღწეული დონე, ადამიანთა ბუნებაზე ბატონობის არსებული მდგომარეობა, თავის მხრივ, ახალი მიზნების განხორციელების საშუალებას წარმოადგენს. თავისუფლების ცნების შინაარსში მოცემული სუბიექტ-ობიექტის დიალექტიკა, რომელიც ერთიანობის მხარეთა ურთიერთქმნადობაში მდგომარეობს, თავისუფლებას წარმოგვიდგენს როგორც მიზანს და როგორც საშუალებას. ამდენად, თავისუფლება მიზან-საშუალების ერთიანობაცაა, იგი კაცობრიობის უწყვეტ პრაქტიკულ მოღვაწეობაში ვლინდება. თავისუფლების სუბიექტურ მხარეში მოცემული თეორიული სიმდიდრე,

მიზანი-ნება განუყრელად დაკავშირებულია მის წარმომქმნელ გარემოებებთან, როგორც მათი განხორციელების საშუალებებთან. „თავისუფლება არის მოღვაწეობა და ამიტომ იგი არ შეიძლება განვიხილოთ სტატიურად. თავისუფლება ეს მიზანიცაა თვით პროცესისა, და საშუალებაც მისი მიღწევისა, ესაა დიალექტიკური ერთიანობა მიზნისა და საშუალებისა, შესაძლებლობისა და სინამდვილისა"[1].

ობიექტური აუცილებლობის შემეცნებისა და კაცობრიობის წინამავალი პრაქტიკის საფუძველზე წარმოქმნილი მიზნები წარმოადგენს რეალურ ძალას არსებული სინამდვილის გარდაქმნისათვის. უკვე განხორციელებული მიზანი თვით გამოდის საშუალებად ახალი მიზნების მისაღწევად. ბუნებაზე ადამიანის ბატონობა, ერთი მხრივ, მიზანია იმ თაობებისთვის, რომლებიც მის განხორციელებას ესწრაფვიან, ხოლო უკვე სინამდვილედ ქცეული მიზნები, შემდეგი თაობისათვის ახალ მიზანთა განხორციელების საშუალებას და საფუძველს წარმოადგენს.

„ადამიანთა საზოგადოების ობიექტური კანონია ბუნებასა და საზოგადოების აუცილებლობის შემეცნებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე ადამიანთა ცხოვრებაში თავისუფლების როლისა და მნიშვნელობის ზრდა... რაც უფრო მაღალია ადამიანთა თავისუფლების ხარისხი, მით უფრო ადვილად დასაძლევია დაბრკოლებები პროგრესის გზაზე და, მაშასადამე მით უფრო ჩქარია საზოგადოების განვითარება"[2].

მიზნების დასახვა და მათი განხორციელებისათვის ნების გამოჩენა თავისუფლების შინაგან მხარესთან — სუბიექტთანაა დაკავშირებული, ობიექტი გარეგანი მხარეა და მიზნების განხორციელების საშუალებას წარმოადგენს. ამასთან ერთად, ფართო გაგებით თვით სუბიექტის არსებობა და მოქმედება მისგანაა დამოკიდებული. თავისუფლების შინაგანი მხარე, როგორც ზემოთ ითქვა, სუბიექტის თეორიულ და ნებელობით ფუნქციებს გამოხატავს. მასში მთავარია ობიექტური აუცილე-

---

1 В. Давидович. Проблема человеческой свободы, Львов, 1967, стр. 16.

2 ვ. კალანდარიშვილი. საზოგადოებრივ პროგრესის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ზოგიერთი საკითხი. 1969, გვ. 97.

ბლობის შემეცნების საფუძველზე სხვადასხვა შესაძლებლობიდან ერთ-ერთის ამორჩევა და ნების გამოჩენა.

ადამიანი, როგორც ცნობიერი და ნებისყოფის მქონე არსება, მუდამ აკეთებს არჩევანს სხვადასხვა შესაძლებლობას შორის. არჩევის სისწორე და მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა კი ობიექტური აუცილებლობის სფეროში ძევს. მიუხედავად ამისა, არსებულ შესაძლებლობათა დანახვა, მათგან ერთ-ერთის ამორჩევა და მისი განხორციელებისთვის მიზნის დასახვა აზროვნების გზით ხდება. იგი წინ უსწრებს პრაქტიკულ მოქმედებასა და სუბიექტის მიერ სრულდება.

იდეალისტები სუბიექტის ამ მოქმედებას მიიჩნევენ თავისუფლების არსებად, რომელიც არაა დამოკიდებული ობიექტური ფაქტორებისაგან. პირიქით, პრაქტიკა და მისგან გამომდინარე შედეგები მხოლოდ სუბიექტის მოქმედებითაა პირობადებული. იდეალიზმი ამის იქით არ მიდის და არ სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ რით არის განსაზღვრული სუბიექტის მიერ თავისუფალი არჩევა და რაში მდგომარეობს არჩეულის განხორციელების შესაძლებლობები. ერთიცა და მეორეც მათ სუბიექტის მიერ განსაზღვრულად მიაჩნიათ. „მას (იდეალისტს — გ. რ.) ჰგონია, რომ ყოველგვარი ადამიანური მოქმედება საბოლოო ანგარიშით აზროვნებაზეა დ ა ფ უ ძ ნ ე ბ უ ლ ი, იმიტომ, რომ აზროვნების ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ხდება"[1]. იდეალიზმი მხედველობიდან უშვებს იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებას, რომ ადამიანის მთელი თეორიული მოღვაწეობა პრაქტიკას ემყარება და მისგან გამომდინარეობს. ისე როგორც ჭეშმარიტების აღმოჩენისა და წვდომის საფუძველი არის პრაქტიკა, ასევე ადამიანის თავისუფალი გადაწყვეტილება და მისი განხორციელებისათვის მიზნების დასახვა პრაქტიკას ემყარება.

განსახორციელებელი მოქმედების წინასწარი არჩევა, საქმედო გეგმის შედგენა, მიზნის დასახვა ქმნის იმის მოჩვენებითობას, რომ იგი თითქოს დამოუკიდებელია ობიექტური სინამდვილისაგან. „ადამიანს, — მიუთითებდა ლენინი, — ეჩვენება, რომ მისი მიზნები სამყაროს გარეშეა აღებული, სამყარო-

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, გვ. 610.

საგან დამოუკიდებელია („თავისუფლება“)“. ამგვარად დანახული „თავისუფლება“, ანუ მიზნის დასახვის მომენტში რაიმესთან უშუალოდ დამოკიდებულების არარსებობა, გარესამყაროსაგან დამოუკიდებლობად არის მიჩნეული. აქედან გამოსული იდეალიზმი სუბიექტის აბსოლუტური დამოუკიდებლობის აღიარებამდე მიდის. სუბიექტის აბსოლუტურ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ეგზისტენციალიზმი, რომლის მიხედვით თავისი თავის არჩევა, მორალური შეფასება და ა. შ. არ არის დამოკიდებული არჩეულ ღირებულებათა ობიექტური შინაარსებისაგან.

ეგზისტენციალიზმის მიხედვით ადამიანი იმით განსხვავდება სამყაროს ყველა საგნისაგან, რომ იგი თვითონ ქმნის თავის თავს. ამ ქმნადობის დროს იგი მარტოა და სუბიექტურში მოსაზრებებით ხელმძღვანელობს. ადამიანის არსებად გამოცხადებულია ეგზისტენცია, რომელიც მოპოვებული უნდა იქნეს. ადამიანის ყოველდღიური არსებობა უპიროვნოა, ეგზისტენციის (არსებობის) გარეშეა. ამ დროს ადამიანი გარეგნულს ექვემდებარება. ამასთან ერთად იგი პიროვნულობას მოკლებულია, ანუ ისე იქცევა, როგორც ყველა. ასეთი გაგების დროს სუბიექტი დაკარგულია და არსების გარეშეა, რომ მან მოიპოვოს ეგზისტენცია ობიექტურიდან უნდა შემობრუნდეს სუბიექტურისაკენ და შინაგანად გააცნობიეროს თავისი სასრულობა და დანიშნულება. ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. „სასაზღვრო სიტუაციებს“, რომელშიც ადამიანი ჟამიჟამ აღმოჩნდება თავისი ყოველდღიური არსებობის დროს.

ამ სიტუაციებიდან მთავარია სიკვდილის წინაშე შიშის განცდა, რომელსაც იწვევს ადამიანის მიერ თავისი სასრულობის განცდა. იგი აიძულებს ადამიანს გაიაზროს თავისი დანიშნულება. ამ დროს ყოფიერება ხდება თავისუფალი სიკვდილისათვის და არსებობას მიზანს აძლევს. მას ეგზისტენცია მიჰყავს თავის დასასრულამდე. ამის შედეგად ადამიანის ყოფიერება იძენს სიკვდილისათვის ყოფიერების ხასიათს, ხოლო თავისუფლება ხდება თავისუფლებად სიკვდილისთვის. ამრიგად, ნამდვილი არსებობის მოსაპოვებლად საჭირო ყოფილა ეგზისტენციაზე გადასვლა, რომლის ქვეშ იგულისხმება თავისუფლება. ეგზისტენციად ყოფნა მოკლებულია რაიმე რეალურ შინაარსს და

მეტად ხანმოკლეა, წამიერია, უცაბედ გაელვებას ჰგავს, რომ-ლის შემდეგ ადამიანი კვლავ იძირება თავისი ყოველდღიური არსებობის წყვდიადში.

თავისი თავის არჩევაში, ანუ თავისი თავის წვდომაში გონე-ბა არაა გადამწყვეტი. არჩევას ადამიანი თავისი სინდისის კარ-ნახით ახდენს, რაც იასპერსის მიხედვით არის ღვთაების ხმა. ამ უკანასკნელსაც არა აქვს არჩევის დროს აბსოლუტური მნიშვ-ნელობა. პიროვნება საბოლოოდ თავის თავზეა მინდობილი, ადამიანის ბუნებისა და მოქმედების განმსაზღვრელი ობიექ-ტური პირობები და მათგან გამომდინარე წესები უგულებელ-ყოფილია.. სუბიექტივიზმი აქ უკიდურესობამდეა მიყვანილი.

ადამიანის მდგომარეობა კიდევ უფრო მუქი ფერებითაა წარმოდგენილი ათეისტური ეგზისტენციალიზმის წარმომად-გენლის სარტრის მოძღვრებაში, მასში წამყვანია მომავლის რწმენის უქონლობა და ცხოვრების საყოველთაო უაზრობის იდეა. მიუხედავად ამისა, ადამიანი მაინც ცდილობს მოიპოვოს ეგზისტენცია. იგი თვით ახორციელებს თავის თვითონობას. აქ მას არც ღმერთის, რომლის არსებობა უარყოფილია და არც არავის იმედი უნდა ჰქონდეს. ყოველ სიტუაციაში ადამიანი თვით განსაზღვრავს თავის მოქმედებას. იგი აბსოლუტურად თავისუფალია. რადგანაც ადამიანი თავისუფალია თავის არჩე-ვანში, ამდენად იგი თვით არის ყველაფრისთვის პასუხისმგე-ბელი.

ადამიანი, სარტრის მიხედვით, არის თავისუფლება. იგი არ ირჩევს იყოს თავისუფალი. მას მისჯილი აქვს იგი. ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით. თავისუფლება ადამიანის ძირ-ნე ტვირთია, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია. თავისი მოქმედებათა არჩევისა და განხორციელების დროს ადამიანი გამოდის ქვეცნობიერი მისწრაფებებიდან, რომლებიც მისი დაფარული სიღრმეებიდან მოდის. თავისუფალი მოქმედებების არჩევა-განხორციელების განმსაზღვრელი საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური პირობები აქაც უარყოფილია. არაფ-რისაგან და არავისგან დამოკიდებული თავისუფლება საბო-ლოოდ თვითნებობად იქცევა. „ტოტალური თავისუფლების სარტრისეული კონცეფცია არის შედეგი ადამიანის არსებობის

ნეგატიური განმარტებისა, როგორც ნივთიერი სამყაროს ობ-ფერების აბსოლუტური უარყოფისა"[1].

მიუხედავად იმისა, რომ თავისი აბსტრაქტულობის, ცხოვ-რებისგან განყენებულობის გამო თავისუფლება მოკლებულია რეალურ მნიშვნელობას, ეგზისტენციალისტები მას მაინც მაღალ შეფასებას აძლევენ. თავისუფლება, — მათი აზრით, — ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი არაფრისგან და არავისგან დამოკიდებული არაა გადაწყვეტილების მიღებასა და მის განხორციელებაში. თავისთავის არჩევა, თვითონობის განხორციელება ცხოვრებისეულ საფუძვლებს არ ემყარება. ადამიანი თავისთავს ქმნის არა შემეცნებაზე დაფუძნებული პრაქტიკული მოქმედებით, არამედ სუბიექტურის რაღაც მისტიკური უნარით — ეგზისტენციალური განათებით..

თავისუფლება, რომელიც რეალური ცხოვრების მიღმაა, კარგავს თავის ღირებულებას და იქცევა გაუგებარ აქტად. რადგანაც ეგზისტენცი როგორც თავისუფლება არ საბუთდება, განსაზღვრებას არ ექვემდებარება და მოკლებულია ცხოვრებისეულ შინაარსს, ამიტომ, იგი „არის და რჩება ფორმალურ პრინციპად, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იყოს გამოყენებული. არავითარი გარანტია არ არის, რომ ადამიანი ცხოვრების კრიტიკულ წუთში, ეგზისტენციალური განათების მომენტში თავის სულში არ განიცდიტს ჭეშმარიტებას, რომელიც ნამდვილ გონივრულობას ეწინააღმდეგება"[2]. ეგზისტენციალიზმში მოცემული არჩევა ფაქტიურად სუბიექტურია და ილუზორულ ხასიათს ატარებს. იგი მხოლოდ ცნობიერებაში და მის საფუძველზე ხდება და არაფერს არ განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებაში. პიროვნების აქტიურ, მიზანმიმართულ მოღვაწეობას თავისუფლების ქმნადობაში მნიშვნელობა არა აქვს. აქტიური, თავისუფალი მოქმედების არარსებობა სინამდვილეში პიროვნების უარყოფაა.

ეგზისტენციალიზმის ამოსავალი დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანი თავისი შინაგანი ძალებით, ყოველივე გარეგა-

---

1 И. В. Бычко. В лабиринтах свободы, М., 1976, стр. 132.

2 «Современная философия и социология в ФРГ», М., 1971, стр. 303.

ნისაგან დამოუკიდებლად თვითონ ირჩევს და ქმნის თავის არსებას, საფუძველშივე მცდარია. ამას განსაზღვრავს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის იდეალისტური გადაწყვეტა. იდეალიზმის საფუძველზე თავისუფლების პრობლემის გადაწყვეტა პრინციპულად შეუძლებელია. ეგზისტენციალიზმის საპირისპირო რეალისტური თვალსაზრისი, რომ ადამიანი თვით არ ირჩევს თავის არსებას და რომ მისი ქმნადობა დამოკიდებულია მრავალ ობიექტურ ფაქტორზე, მეტად მახვილგონივრულად აქვს გამოთქმული რომენ როლანს: „ტანჯვა უსაზღვროა და მრავალნაირ ფორმას იღებს. ზოგჯერ ის საგანთა ბრმა ტირანიით, გაჭირვებით, ავადმყოფობით, ბედის უკუღმართობით, კაცთგაუტანლობით არის გამოწვეული. ზოგჯერ კი მისი სათავე თვით ადამიანშია და მაშინ ეს ტანჯვა ნაკლებ საბედისწერო როდია, რადგანაც კაცი თავის არსებას თავად ვერ ირჩევს. მას არც გაჩენა უთხოვია და არც ყოფნა ისეთად, როგორადაც აქციაარსთა გამრიგემ“[1]. (ხაზი ჩემია — **გ. რ.**).

თავისუფლების შინაგან მხარეს, რომელიც არჩევას ახდენს, არ შეუძლია არსებობა და არც მოქმედების განხორციელება ობიექტური მხარის გარეშე. განსხვავებით შინაგანისაგან, გარეგან მხარეში იგულისხმება ის ობიექტური ფაქტორები და გარემოებები, რომლებიც „თავიანთ თავს ავლენენ“ როგორც არჩევის აქტში, ასევე არჩეულის განხორციელებაში. არჩეულის პრაქტიკული განხორციელება თავისუფლებას ნამდვილობას ანიჭებს. მხოლოდ არჩევა და ნების გამოჩენა ობიექტური აუცილებლობითაც რომ იყოს ნაკარნახევი, თუ არ არსებობს მისი განხორციელების გარემოებები, თავისუფლებას წარმოგვიდგენს მხოლოდ როგორც ფორმალურ შესაძლებლობას. ასეთი თავისუფლება მხოლოდ წარმოსახვითია, აბსტრაქტულია. ნამდვილი თავისუფლება იქაა, სადაც სუბიექტის მისწრაფების, მისი ნდომის ხორცშესხმაა შესაძლებელი პრაქტიკული მოქმედებით. სწორედ მისი საშუალებით თავისუფლების შინაგანი და გარეგანი მხარეების ერთიანობა სინამდვილედ იქცევა.

---

[1] რომენ როლანი. მიქელანჯელოს ცხოვრება, თბ., 1977, გვ. 303.

თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი არჩევის გარეშე. არჩევის თავისუფლება ნიშნავს არა გარესამყაროსაგან იზოლაციას, არამედ მასში არსებული აუცილებლობის გათვალისწინებით საზოგადოების ინტერესებთან თანხმობაში ძყოფი სუბიექტის ნდომით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებას. პირად თავისუფლებაში უპირველეს ყოვლისა იგულისხმება საკუთარი ნებით მოქმედება, რომელიც ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობისაგან განთავისუფლებაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმ იძულებისაგან თავის დაღწევაში, რომელიც სუბიექტისთვის მიუღებელია. თავისუფალი არჩევა და მოქმედება ემყარება აუცილებლობას, მაგრამ ის, რაც უნდა განხორციელდეს, სასურველი ხდება. ამდენად, ბუნებიდან და საზოგადოებიდან მომდინარე ზემოქმედება, რასაც ჩვენი არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი გარემოებანი გვიკარნახებენ, თვით სუბიექტის შინაგან სასურველ აუცილებლობად იქცევა.

თავისუფალი გადაწყვეტილების აქტი, რომელიც განსახორციელებელ მოქმედებებსა და ქცევებსაც ითვალისწინებს, სუბიექტის მიერ სრულდება. სუბიექტი მასში აქსოვს თავის პიროვნულ სიმდიდრეს, თავის ნებას, ნდომას და აუცილებლობის ჩარჩოებში ახორციელებს მას. არჩევისა და განხორციელების პროცესში მრავალი ობიექტური ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ ამ ფაქტორთა არჩევას, თანამიმდევრობას და მოქმედების გარკვეული მიმართულებით წარმართვას სუბიექტის აქტიურობა განსაზღვრავს. ყოველ ძნელ სიტუაციაში, რომელიც თან ახლავს არჩევასა და განხორციელებას, გამოსავალს თვით სუბიექტი პოულობს. თუ რამდენად წარმატებით იპოვის იგი უკეთეს გამოსავალს. ეს დამოკიდებულია მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისუფლება სუბიექტურისა და ობიექტურის, შინაგანი და გარეგანი მხარეების ერთიანობაა. ამ მხარეთა ერთმანეთისაგან გათიშვა შეუძლებელია. თავისუფლების შინაგანი მხარე კაცობრიობის პრაქტიკას ეფუძნება, მაგრამ თუ მისი განხორციელების პირობები არ არსებობს შესაძლებლობის სახით, იგი თავისუფლებად არ ჩაითვლება. ამითაა განსაზღვრული ის, რომ მარქსისტული ფილო-

სოფია ადამიანის განთავისუფლების საქმეს პრაქტიკას უკავშირებს. ამის გარეშე თავისუფლება ცარიელ სიტყვად რჩება. „განთავისუფლება ისტორიის საქმეა და არა აზრის საქმე და ამ განთავისუფლებამდე მიგვიყვანენ ისტორიული ურთიერთობანი, მდგომარეობა მრეწველობისა, ვაჭრობისა, მიწათმოქმედებისა, ურთიერთობისა...“[1].

თავისუფლების შინაგან და გარეგან მხარეთა ერთიანობის აუცილებლობას ერთხმად აღიარებს ყველა საბჭოთა ფილოსოფოსი და უცხოელი მარქსისტი. მათი აზრით, ეს მხარეები ერთმანეთთან განუყრელად არიან დაკავშირებული, როგორც ზემოთაც აღინიშნა, წმინდა სახით სუბიექტური არც სუბიექტური მხარეა, ასევეა ობიექტური მხარეც. გაადამიანურებული ბუნებაც არაა მხოლოდ ობიექტური. ისინი ერთმანეთს მსჭვალავენ და ერთმანეთზე ურთიერთმოქმედებენ. თავისუფლების ორივე მხარე საბოლოო ჯამში მატერიის არსებობითა და მისი მოძრაობითაა განსაზღვრული.

„თავისუფლება ნიშნავს არა მარტო კანონზომიერების შეშეცნებას, არამედ მათ პრაქტიკულ ფლობასაც, მათი ადამიანური მიზნებისადმი დაქვემდებარებას. ე. ი. ნამდვილი თავისუფლების მიღწევის პრობლემა შეიცავს თავისთავში ასევე არჩეულის რეალიზაციის შესაძლებლობას. თუ არ არის პირობები თავისუფლების რეალიზაციისათვის, მაშინ თავისუფლებას არ ძალუძს გავიდეს სუბიექტის მიერ თავის ცნობიერებაში იდეების უბრალო გარდაქმნის ფარგლებიდან“[2]. მხოლოდ სუბიექტის სფეროში და მისგან გაუსვლელად თავისუფლება არ არსებობს.. „აუცილებელი და სასურველი მიზნის არჩევა მის ბისაღწევად გზების განსაზღვრა, დასახული მიზნების რეალიზაციის პრაქტიკული მოქმედების ინტენსივობა და ხასიათი, აი, რაში შეიძლება მხოლოდ მდგომარეობდეს თავისუფლება... მხოლოდ ერთი აუცილებლობის ცოდნა, თუ ის არ გადაქცეულა პრაქტიკულ მოღვაწეობად, ჯერ კიდევ არ ხდის ადამიანს

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, 1975, გვ. 19.

2 «Ленинизм и философские проблемы современности», М., 1970, стр. 128.

თავისუფალს. მხოლოდ პრაქტიკა, რომელიც ცვლის მატერიალურ ურთიერთობებს, აფუძნებს ადამიანს ბუნებაზე და ხდის თავისთავის ბატონად"[1].

თავისუფლების ორი მხარის განუყოფელობას ხაზს უსვამს ტოდორ პავლოვი. „თავისუფლება, — წერს იგი, — რომელიც წარმოადგენს არა მოქმედების, არამედ ჩვენი იდეების თავისუფლებას არ არის რეალური თავისუფლება. ამავე დროს თავისუფლება, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ მოქმედების თავისუფლებას და იგი არ არის ჩვენი მოქმედებების წარმმართველი აზრის თავისუფლება, ასევე არაა რეალური თავისუფლება"[2]. თავისუფლება აღნიშნული ორი მხარის ერთიანობაა არა მარტო მის ნამდვილობაში, განხორციელებაში, არამედ შესაძლებლობაშიც. ამ უკანასკნელშიც ჩანს მათი დიალექტიკური კავშირი და ერთიანობა. „თავისუფლება ეს არის შესაძლებლობა განვახორციელოთ არჩევა, მივიღოთ გადაწყვეტილება და ხორცი შევასხათ მას ცხოვრებაში დამოუკიდებლად და იძულების გარეშე"[3].

თავისუფალი არჩევისა და მოქმედების განხორციელება აუცილებლობით გულისხმობს, ერთი მხრივ, ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედ მრავალ ხელშემშლელ გარემოებათა და ძალთა თავიდან აცილებას, გარეგანი იძულებისაგან თავის დაღწევას, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ობიექტური აუცილებლობის გათვალისწინებას, რომელიც თავისუფლების რეალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შემზღუდველ დამაბრკოლებელ ფაქტორთაგან განთავისუფლება არ წარმოადგენს თვითმიზანს. იგი გარკვეული აზრით საფუძველიცაა და შედეგიც ახალი ძალების და ფაქტორების შექმნისა. ერთი მხრივ, იმ გარემოებათა ქმნადობა, რომლითაც ადამიანი აღწევს გარემომცველ ბუნებაზე ბატონობას, გულისხმობს ხელშემშლელ ფაქტორთა, ძალთა თავიდან აცილებას, ხოლო მეორე მხრივ, იგი ახალი ძალებისა და ფაქტორების ქმნადობის პროცესის შედეგიცაა. რაიმესაგან განთავისუფლება ძირითადად არის საშუალება, პირობა იმისა-

---

1 В. Давидович. Грани свободы, М., 1969, стр. 7.

2 Т. Павлов. Ленинизм в битве за человеком. Ленинизм и развитие марксистской мысли за рубежом, М., 1973, стр. 43.

3 С. Нарнит. Свобода: обещание и угроза. Критика культа свободы, М., 1966, стр. 15.

თვის, რომ თავისუფლად გავაკეთოთ ის, რაც ადამიანის ცხოვრებისათვის აუცილებელია. მხოლოდ განთავისუფლება რაიმესაგან გზაა ადამიანის დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის თავისუფლება.

„ადამიანი, — მიუთითებდა მარქსი, — თავისუფალია არა უარყოფითი ძალის შედეგად თავიდან აიცილოს რამე, არამედ დადებითი ძალის წყალობით გამოავლინოს თავისი ჭეშმარიტი ინდივიდუალობა"[1].

თავისუფლების უარყოფითი და დადებითი განმარტება, ანუ მთელ რიგ გარემოებათა თავიდან აცილება და მთელ რიგ ფაქტორთა გათვალისწინება, ყოველთვის ობიექტურ სინამდვილესთანაა დაკავშირებული. იგი, ერთი მხრივ, არასასურველის, მიუღებელის თავიდან აცილებაა, სინამდვილეში არსებულ მთელ რიგ შესაძლებლობათა უარყოფაა, ჩვენი არსებობის ინტერესებისათვის უცხო და საზიანო ფაქტორებისაგან განთავისუფლებაა. მათგან გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვებაა. ამ მხრივ თავისუფლად ყოფნა ნიშნავს არ ვიყოთ დამოკიდებული ვინმესგან და რაიმესგან, არ ვიყოთ შეზღუდული გონივრული მიზნების არჩევასა და განხორციელებაში. ეს არის აუცილებელი გზა იმისაკენ, რათა გავაკეთოთ ის, რაც ჩვენ გვსურს. აქ იგულისხმება სუბიექტის შედარებითი დამოუკიდებლობა. რამდენადაც ადამიანი არჩევისა და მოქმედების განხორციელების დროს დამოკიდებულებაშია სინამდვილის მრავალრიცხოვან მოვლენებთან, ამდენად იგი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მათ. ეს გამორიცხავს აბსოლუტურ თავისუფლებას. ადამიანი, როგორც მთელის — ბუნების ნაწილი თანხმობაში უნდა იყოს მასთან და ამ შესაბამისობის ფარგლებში უნდა აღწევდეს თავის დამოუკიდებლობას.

ადამიანი ცდილობს გათავისუფლდეს არა ყველაფრისაგან, არამედ იმისაგან, რაც ხელს უშლის მის არსებობასა და სრულყოფას. იგი თავისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით ესწრაფვის თავი დააღწიოს ბუნებისა და საზოგადოების მჩაგვრელ, დამმონებელ ძალთა გავლენას. იგი ცდილობს თავიდან აიცილოს ბუნების დამანგრეველი ძალების მოქმედება,

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 2, стр. 145.

უკუაგდოს და დაძლიოს დრომოჭმული საზოგადოებრივი ურთიერთობები, პირადი ცხოვრების ხელშემშლელი ფაქტორები და მიაღწიოს გარკვეულ დამოუკიდებლობას. განთავისუფლება ეხება როგორც გარეგან, ასევე დროთა განმავლობაში თვით სუბიექტის საკუთრებად ქცეულ შინაგან „ფაქტორებს", წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებულ დრომოჭმულ ჩვეულებ-ტრადიციებს, შეხედულებებს. ისინი ხშირად ადამიანისთვის უცხო გარეგან ძალებს აღემატებიან თავიანთი უარყოფითი მოქმედებით.

დროთა განმავლობაში გამტკიცებული და ადამიანთა შეგნებაში ფესვგადგმული შეხედულებები ხელს უშლიან თავისუფლების სრულყოფა-განვითარებას; ზღუდავენ ადამიანთა ინიციატივას, ახლისადმი მისწრაფებას, მაგალითად, სოციალიზმის დროს ასეთ ხელშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია: ანგარება, მომხვეჭელობა. ქურდობა, რელიგიური ცრურწმენები და სხვ. ისინი შეუთავსებელი არიან ადამიანთა თავისუფალ მოღვაწეობასთან. მათი დაძლევის გარეშე შეუძლებელია თავისუფლების შემდგომი სრულყოფა. ვინც ამ მიმართულებით მოქმედებს, იგი ხელს უწყობს თავისუფლების განვითარებას.

ამრიგად. თავისუფლება, ერთი მხრივ, ობიექტურ სინამდვილეში არსებულ მთელ რიგ შესაძლებლობათა უარყოფაა, ხოლო მეორე მხრივ, სუბიექტის ინტერესების შესაბამისი შესაძლებლობების მიღებას გულისხმობს. სუბიექტი არსებული მთელი რიგი შესაძლებლობებიდან მრავალს უარყოფს არა იმიტომ, რომ მათი განხორციელება შეუძლებელია, არამედ ივის გამო, რომ ისინი არ შეესაბამებიან მის ნდომას, სურვილს, ინტერესებს. თავისუფლება რომ მხოლოდ შესაძლებელს და შეუძლებელს შორის ერთ-ერთის არჩევაში მდგომარეობდეს, მაშინ იგი არც იარსებებდა. ამ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა მხოლოდ გარეგან იძულებით განსაზღვრულ აქტს და ასარჩევიც არაფერი იქნებოდა. შეუძლებელი წინასწარ გამორიცხულია არჩევის სფეროდან. მისი განხორციელება აღკვეთილია ობიექტური აუცილებლობის საფუძველზე.

თავისუფლება მდგომარეობს ადამიანის უნარსა და შესაძლებლობაში — იბატონოს გარეგან ბუნებასა და თავისი ცხოვ-

რების პირობებზე. მან უნდა შექმნას ისეთი სინამდვილე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას დაიკმაყოფილოს თავისი საარსებო მოთხოვნილებები და განახორციელოს თავისი ჩანაფიქრები. ამდენად, თავისუფლება მჟღავნდება ადამიანის უნართა და დადებით ძალთა განვითარებაში, რომელიც თვითმიზანს წარმოადგენს. გარეგანი იძულების თავიდან აცილება, ბუნების საგანთა გარდაქმნა, ბუნების ძალთა ადამიანის სასარგებლო გამოყენება არის ის ფუნდამენტი, რომელსაც თავისუფლება ემყარება. „თავისუფლება, — წერდა მარქსი, — სინამდვილეში იწყება იქ, სადაც შეწყდება შრომა, რომელიც ნაკარნახევია გაჭირვებითა და გარეგანი მიზანშეწონილობით; მაშასადამე, თავისი ბუნების მიხედვით ეს სამეფო საკუთრივ მატერიალური წარმოების მიღმა მდებარეობს. როგორც ველური ადამიანი იძულებულია ბუნებას ებრძოლოს, რათა თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და რათა თავისი ცხოვრება შეინარჩუნოს და კვლავ აწარმოოს, ისე ცივილიზებულმა ადამიანმა უნდა იბრძოლოს და მან ეს უნდა ქნას ყოველ საზოგადოებრივ ფორმაციაში და ყოველი შესაძლებელი წესის პირობებში"[1].

მატერიალური წარმოება საზოგადოების არსებობის და განვითარების საფუძველია. მის გარეშე საერთოდ თავისუფლება არ არსებობს, მაგრამ თვით მწარმოებელთა თავისუფლება, რომელიც მათი ნიჭისა და უნარის განვითარებაში გამოვლინდება, განხორციელდება მაშინ, როდესაც შრომა გაჭირვებით და გარეგანი მიზანშეწონილობით ნაკარნახევი საქმიანობიდან ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცევა. ეს კი შესაძლებელი ხდება იმ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების თავისუფლება განსაზღვრულია წარმოების განვითარებით, მაგრამ პირველი, როგორც მთელი, ხოლო მეორე, როგორც მისი ნაწილი• წარმოების ორ მხარესთან არის უშუალოდ დაკავშირებული. საზოგადოების, როგორც მთელის თავისუფლება უშუალოდ დაწოკიდებულია საწარმოო ძალთა მდგომარეობაზე, ხოლო პი-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. III, 1950, ნაწილი II. წიგნი III, გვ. 448—449.

როვნების თავისუფლება განსაზღვრულია უშუალოდ წარმოებითი ურთიერთობების ხასიათით, კერძოდ, საკუთრების ურთიერთობებით.

თანამედროვე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად მიღწეულია ბუნებაზე ბატონობის მეტად მაღალი დონე, მაგრამ თვით წარმოების მუშაკები თავისუფლებას მოკლებული არიან. მათ მიერ გარემომცველ საგნებსა და პირობებზე ბატონობის შეუძლებლობას განსაზღვრავენ იქ არსებული კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობები.

რასაკვირველია, თვით წარმოებით ურთიერთობათა ხასიათი საწარმოო ძალთა განვითარების დონეზეა დამოკიდებული. მაგრამ საწარმოო ძალთა ზემოქმედება ცალკეულ ადამიანებზე ხორციელდება უშუალოდ წარმოებით ურთიერთობათა გზით. საწარმოო ძალთა მდგომარეობა ყოველთვის მისი შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობების საშუალებით არეგულირებს ადამიანთა ცხოვრებასა და მათ თავისუფლებას.

საკუთრების ფორმები წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში წარმოადგენენ იმ გადამწყვეტ ძირითად კომპონენტს, რომელიც კლასებისა და სოციალური ფენების თავისუფლებას განსაზღვრავს. საზოგადოებრივ ურთიერთობათა აღნიშნულ სფეროში ობიექტური აუცილებლობის შეგნებული გამოყენების დროს გამოვლენილი თავისუფლებები, როგორიცაა: ეკონომიკური და შრომის თავისუფლება განსაზღვრავენ სულიერი სფეროს თავისუფლებებს. ეკონომიკური ანუ მატერიალური თავისუფლება, როგორც მარქსი გვასწავლის, წარმოადგენს ყველა სხვა თავისუფლების ზომასა და საფუძველს. ეკონომიკური თავისუფლება არის საფუძველი პოლიტიკური, იდეოლოგიური, ზნეობრივი, სინდისის, შემოქმედების და სხვა თავისუფლებისა. ეკონომიკური ურთიერთობები და მით განსაზღვრული მატერიალური თავისუფლება განაპირობებს სულიერი ცხოვრების თავისუფლებათა ხასიათს. „თავისუფლების ეს ორი რიგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თუ თავისუფლება უზრუნველყოფილია მატერიალური ცხოვრების დარგში, ამით შექმნილია ბაზა თავისუფლებისათვის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და, პირი-

ქით, ადამიანთა ეკონომიკური მონობა მათი სულიერი მონობის საფუძველია"[1].

პიროვნება ეკონომიკურად თავისუფალია მაშინ, როცა ფლობს წარმოების საშუალებებს და მოიხმარს წარმოებაში შექმნილ პროდუქტებს თავისი გონივრული მოთხოვნილებების შესაბამისად. ეს განსაზღვრავს ყველა სხვა თავისუფლების ხასიათს. თავისუფლების განვითარება-სრულყოფა ყოველთვის ეკონომიკური ურთიერთობის ძირითად კომპონენტთან, საკუთრების ფორმებთან იყო დაკავშირებული. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში თავისუფალი არჩევისა და მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა ეკონომიკური თავისუფლებით იყო განსაზღვრული. აქედან ნათელია, რომ ანტაგონისტურ საზოგადოებაში ისტორიულად ბრძოლა მიმდინარეობდა წარმოებითი ურთიერთობებისა და, განსაკუთრებით, მათი წამყვანი კომპონენტის საკუთრების ფორმათა შეცვლა-სრულყოფისათვის.

სოციალური ჩაგვრა, საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორის დამონება წარმოების საშუალებებისა და წარმოებაში შექმნილი პროდუქტების კერძო მესაკუთრული მფლობელობის გზით ხორციელდება. ადამიანი ადამიანს იმორჩილებს და აიძულებს იშრომოს მის სასარგებლოდ იმის გამო, რომ მის ხელშია როგორც წარმოების, ასევე არსებობის საშუალებები. მესაკუთრის ბატონობა შესაძლებელი ხდება მის განკარგულებაში არსებული სიმდიდრის გზით.

კერძო საკუთრების წარმოშობა ისტორიულად განსაზღვრული იყო კაცობრიობის წინამავალი განვითარებით. წარმოების იარაღების გაუმჯობესების საფუძველზე დაგროვილი მატერიალური დოვლათის საზოგადოების მცირე ნაწილის მიერ მისაკუთრებამ განაპირობა მათი თავისუფლება. თვით მწარმოებლები, როგორც არაფრის მქონენი სიმდიდრის მფლობელებისადმი დაქვემდებარებული აღმოჩნდნენ. ისე როგორც საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონით განსაზღვრულმა საზოგადოებრივმა საკუთრებამ პირველყოფილ-თემუ-

---

[1] ბ. ლუტიძე. ვ. ი. ლენინი ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიების შესახებ, 1968, გვ. 121.

რი წყობილების პირობებში უარყო თავისი თავი და კერძო საკუთრებით შეიცვალა, ასევე ამ უკანასკნელმა მოამზადა პირობები საზოგადოებრივი საკუთრების მაღალ სოციალისტურ ფორმაზე გადასასვლელად. ამ პროცესთან უშუალოდ იყო დაკავშირებული წარმოების მუშაკთა თავისუფლების სრულყოფა-განვითარება. მონაზე მეტი თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობები ყმა გლეხს ჰქონდა, ხოლო პროლეტარი, ამ უკანასკნელზე უფრო მეტად არის თავისუფალი.

წარმოებითი ურთიერთობები უშუალოდ განსაზღვრავენ საზოგადოების სტრუქტურას, სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის ბუნებას, ადამიანის თავისუფლებას. როგორიცაა წარმოებითი ურთიერთობები, უწინარეს ყოვლისა საკუთრების ფორმები, ისეთია სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის ხასიათი და ადამიანის თავისუფლება. ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში მხოლოდ ადამიანთა ერთი ნაწილია თავისუფალი. ამის მიზეზია ის, რომ საზოგადოების უმრავლესობა, თვით წარმოების მუშაკები უშუალოდ არ უკავშირდებიან ობიექტებს, როგორც წარმოების საშუალებებს, ასევე შრომის პროცესში შექმნილ საგნებს. ამის გამო, მწარმოებელთა შრომის იარაღებთან და შრომის საგნებთან ერთიანობა ნაწილობრივია, არასრულყოფილია. ამ ერთიანობის სრულყოფა ხდება საწარმოო საშუალებათა განზოგადების გზით.

კაცობრიობის მთელი ისტორია იმის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს, რომ სოციალიზმამდელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში მწარმოებელთა თავისუფლებისათვის ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნისაკენ მიმართულ რევოლუციურ მოღვაწეობაში ვლინდებოდა. სოციალისტური საზოგადოების წარმოშობის წანამძღვრებს კაპიტალიზმი ქმნის. ამ დროს წარმოიშობა და ვითარდება მოწინავე წარმოების წესის მატარებელი კლასი — პროლეტარიატი.

კაპიტალიზმის დროს კერძო საკუთრებამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, ამოწურა თავისი თავი და დასვა საკითხი თავისი თავის მოხსნის შესახებ. აქ დადგა არა უბრალოდ საკუთრების არსებული ფორმის გარდაქმნა-

სრულყოფის საკითხი, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ მისი მოსპობის საკითხი. ამიტომ, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა სრულიად კანონზომიერად ძირითად საკითხად საკუთრების საკითხი გამოაცხადეს. „ყველა ამ მოძრაობაში, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში, ისინი (კომუნისტები, გ. რ.) წინ აყენებენ საკუთრების საკითხს, როგორც მოძრაობის ძირითად საკითხს, რაგინდ მეტ-ნაკლებად განვითარებული ფორმა არ ჰქონდეს მიღებული"[1].

ერთიანობის შიგნით ანტაგონისტური წინააღმდეგობის საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტების გადაწყვეტა ხდება რევოლუციების გზით, სოციალური რევოლუცია სპობს იმ წარმოებით ურთიერთობებს, რომლებიც საზოგადოების და პიროვნების თავისუფლების განვითარების მუხრუჭებად იქცევიან. იგი სინამდვილედ აქცევს თავისუფლების იმ შესაძლებლობებს, რომლებიც არსებულ საწარმოო ძალთა წიაღშია მოცემული. სწორედ რევოლუციის პერიოდში იწყებენ ამოქმედებას უდიდესი მასშტაბით თავისუფლების პოტენციური ძალები. სოციალური რევოლუცია საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისებრივ გარდაქმნას ახდენს. იგი ძირეულად ცვლის არსებულ საკუთრებით ურთიერთობებს. ყველა აქამდე მომხდარი რევოლუცია ეს ისეთი რევოლუციები იყო, რომელნიც იცავდნენ საკუთრების ერთ რომელიმე სახეს საკუთრების მეორე სახის წინააღმდეგ.

სოციალისტურ რევოლუციამდე მომხდარი გადატრიალებანი (ფეოდალური, ბურჟუაზიული) კერძო საკუთრების ერთ ფორმას მეორეთი ცვლიდნენ, ხოლო მათ შინაარსს ხელუხლებლად სტოვებდნენ. ფორმასა და შინაარსს შორის არსებული შეუსაბამობა წინააღმდეგობას ამწვავებდა და კონფლიქტამდე მიდიოდა. საკითხი ისმოდა მისი ისეთი გადაწყვეტის შესახებ, რომელიც კონფლიქტების შესაძლებლობას აღკვეთავდა. აღნიშნული ანტაგონისტური წინააღმდეგობის საბოლოო გადაწყვეტას სოციალისტური რევოლუცია ახდენს. იგი ყველა

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები სამ ტომად. ტ. 1, 1975, გვ. 165.

წინამაგალ რევოლუციებისგან განსხვავებით რადიკალურად ცვლის არსებული საკუთრებით ურთიერთობების როგორც ფორმას, ისე შინაარსს და მათ შორის შესაბამისობას ამყარებს. წარმოებაში შექმნილი საგნები ყველას კუთვნილება ხდება, რაც განსაზღვრავს საზოგადოების თითოეული წევრის თანაბარი თავისუფლების შესაძლებლობას. ამ პირობებში თავისუფლად ვითარდება ადამიანთა ნიჭი და უნარი. საზოგადოების წევრებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკულად განახორციელონ თავიანთი მიზნები, ხორცი შეასხან თავიანთ ჩანაფიქრს. დასახულ მიზანთა რეალიზაცია არ ეჯახება საზოგადოების ინტერესებს, რომლებიც განუყოფელია ადამიანთა ზნეობრივი მოვალეობისაგან. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იწყება იმ ობიექტური პირობების შექმნა, რომლებიც პიროვნებათა თავისუფლების შემდგომ სრულყოფა-განვითარებას განაპირობებს.

მარქსისტული ფილოსოფია ხაზს უსვამს თავისუფლების ისტორიულ ხასიათს. თავისუფლების ისტორიულ ხასიათს განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების პირობები, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა მდგომარეობა, საზოგადოებრივი წყობა, რომლებიც მუდმივ ცვალებადობას განიცდიან. თავისუფლება ისტორიულად პირობადებულია შემეცნებისა და პრაქტიკის განვითარებით, არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით და ადამიანთა სულიერი სიმდიდრით. თავისუფლება გამოხატავს ადამიანის რეალურ კავშირს გარემომცველ სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან და ეს კავშირი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის გზით მუდმივ ცვალებადობას განიცდის.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლება ადამიანთა მოღვაწეობის შედეგად წარმოიქმნება, მისი დონე დამოკიდებულია არა ადამიანის ნებისყოფაზე, არამედ წარმოების ამა თუ იმ წესისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებზე. ადამიანები ნებსით თუ უნებლიეთ ემორჩილებიან და ანგარიშს უწევენ იმ ობიექტურ ფაქტორებს, რომლებითაც ისინი გარემოცული არიან. „ყველა ჩვენ დამოკიდებული ვართ ძალიან დიდი რაოდენობის საგნებზე და შეზღუდულობანი ნებას არ გვაძლევენ გავაკეთოთ ბევრი რამ, რის გაკეთებაც ჩვენ გვსურდა. არავინ

არ არის აბსოლუტურად თავისუფალი, მაგრამ ჩვენ შეგვიძ-ლია ვიყოთ შედარებით თავისუფალი, ვაკეთოთ ერთი, მეორე ან მესამე. ეს შედარებითი თავისუფლებები წარმოადგენენ ერთად ერთ თავისუფლებებს"[1].

თავისუფლების დონე ისტორიულად განსაზღვრულია. იგი არ შეიძლება იყოს აბსოლუტური. საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკის ამაღლება იწვევს თავისუფლების განვითარება-სრულყოფას, მისი დონის ამაღლებას, მაგრამ იგი შეფარდები-თია, რადგანაც ასეთია მისი საფუძველი, პრაქტიკა. პრაქტიკის რელატიურობა განსაზღვრავს თავისუფლების შეფარდებითო-ბას. პრაქტიკის მუდმივი ცვალებადობა გამორიცხავს როგორც ცოდნის, ასევე თავისუფლების აბსოლუტად გადაქცევას.

ადამიანები ყოველთვის გარკვეულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული, მაგრამ ისინი მუდამ აფართოებენ თავისუფლე-ბის საზღვრებს, სრულყოფენ მას. იგი უსასრულო პროცესია. თავისუფლების სრულყოფა-განვითარების პროცესი განსა-კუთრებით სწრაფად მიმდინარეობს განვითარებულ სოცია-ლისტურ საზოგადოებაში, სადაც პიროვნების თავისუფალი შრომისა და შემოქმედებისთვის ფართო ასპარეზი იქმნება. იგი თავისუფლების სამეფოს კარიბჭეა, პიროვნების სრულყოფი-ლი თავისუფლების პირობათა მომზადების დასასრულია. მხო-ლოდ კომუნისტური საზოგადოება მისცემს შესაძლებლობას ადამიანებს სრულად განავითარონ თავიანთი ნიჭი და უნარი, კიდევ უფრო სრულყონ თავიანთი თავისუფლება.

ადამიანის ნიჭისა და უნარის განვითარების შესაძლებლო-ბები ამოუწურავია, მაგრამ აბსოლუტური თავისუფლება შე-უძლებელია. თავისუფლების განვითარება ხდება ისევე უსას-რულოდ, როგორც თვით საზოგადოების განვითარება. ადამია-ნის თავისუფლება ვერასოდეს ვერ მიაღწევს იმ დონეს, როცა ერთიანობის მხარეები ერთმანეთს დაემთხვევიან. ადამიანი ვერასოდეს ვერ მიაღწევს ბუნებაზე აბსოლუტურ ბატონობას. საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე სუბიექტი ერთიანობაშია მხოლოდ ობიექტური სამყაროს გარკვეულ ნა-

---

1 А. Робертсон. Рационализм в теории и в практике, М., 1958, стр. 119.

წილთან, უწინარეს ყოვლისა გაადამიანურებულ ბუნებასთან, იმ ობიექტებთან, რომლებიც მისი გასაგნობრივებული მოქმედებათა შედეგები არიან. მისი ძალაუფლება მხოლოდ ამ ობიექტებზე ვრცელდება. სუბიექტი ვერასოდეს ვერ მიაღწევს ისეთ მდგომარეობას, რომ აბსოლუტურ ერთიანობაში მოვიდეს მთელ გარემომცველ ბუნებასთან. ეს გარემოება განსაზღვრავს სუბიექტის მუდმივ სწრაფვას ამ ერთიანობის სრულყოფისაკენ. ერთიანობის დასრულება და აბსოლუტური თავისუფლების მიღწევა ერთიანობის შიგნით წინააღმდეგობის გაქრობისა და სოციალური მოძრაობის შეჩერების მომასწავებელი იქნებოდა. სინამდვილეში აღნიშნული წინააღმდეგობა არასოდეს არ ისპობა. ადამიანი მუდამ ცდილობს დაძლიოს სინამდვილე, აითვისოს ბუნების ახალი სფეროები და გააფართოვოს პირადი თავისუფლება. ეს მარადიული სწრაფვა ერთიანობის სრულყოფისაკენ, რომელიც არასოდეს არ მთავრდება, შეადგენს არა მარტო ადამიანის არსებობის, არამედ მისი მუდმივი, განუწყვეტელი წინსვლითი მოძრაობის წყაროს. საზოგადოების განვითარება ახალ მიზნებსა და ამოცანებს უსახავს ადამიანებს, რომელთა განხორციელებისთვის მათ უნდა იბრძოლონ.

ახალი მეცნიერული აღმოჩენები, მათი ტექნიკური განხორციელება, საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებით წარმოქმნილი სიძნელეები მუდამ აიძულებენ ადამიანებს იმუშაონ მათ დასაძლევად; იბრძოლონ თავიანთი თავისუფლების გაფართოება-სრულყოფისათვის.

ადამიანი მუდამ ცდილობს სრულყოს გარემომცველი სინამდვილე და თავისი თავი. ეს პროცესი უსასრულოა. მისი შესაძლებლობები ამოუწურავია. აბსოლუტური თავისუფლებისა და სრულყოფილობის საბოლოო მიუღწევადობა განაპირობებს ამ უმაღლესი მიზნისაკენ ადამიანის მარადიულ სწრაფვას.

გარდა იმისა, რომ აბსოლუტური თავისუფლება საბოლოოდ მიუღწეველია, საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე ადამიანის მიერ საკუთარი თავისუფლების შეზღუდვას თვით ცხოვრება მოითხოვს. პიროვნებამ ყოველთვის ანგარიში უნდა გაუწიოს სხვა ადამიანების და საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს. განვითარების ყოველ საფე-

ხურზე საზოგადოება მასში არსებული კანონებითა და ნორ. მებით არეგულირებს ადამიანთა თავისუფლებას. „არ შეიძ-ლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თა-ვისუფალი იყო“[1].

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა საზოგადოებაში ადამიანთა თავისუფლების შეზღუდვა განსხვავებულ ხასიათს ატარებს. ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, სადაც უმცირესობის ნებისყოფა თავსმოხვეული აქვს უმრავლესობას, იგი გარეგანი იძულების გზით ხორციელდება. არაანტაგონის-ტურ საზოგადოებაში ადამიანის მიერ საკუთარი თავისუფლე-ბის შეზღუდვა შინაგან აუცილებლობად გადაქცეული თვით-შეზღუდვაა, რომელიც განსაზღვრულია მთელი საზოგადოების არსებობისა და მისი თითოეული წევრის ღირსებისა და პატ-ოსნების დაცვის ინტერესებით.

2. თავისუფლების ძირითადი წანამძღვრები

მიზანდასახული, აქტიური მოღვაწეობა, რომელიც თავი-სუფლებას ავლენს და ახორციელებს, აუცილებლობით გუ-ლისხმობს გარემო-პირობების არსებობას. ადამიანის მოქმე-დებები სწორედ მათ საფუძველზე და მათი მეშვეობით არის შესაძლებელი. ეს კი აყენებს საკითხს თავისუფლების წანამ-ძღვრების შესახებ. ბუნებაზე და თავის თავზე ადამიანის ბატონობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც სუბიექტის განვი-თარების გარკვეულ დონესთან ერთად არსებობს პირობები მი-სი საგნობრივი მოქმედებისათვის. გარკვეულ გარემოებათა ერ-თობლიობა შეადგენს იმ საფუძველს, რომლის საშუალებითაც ადამიანი თვითგანხორციელებას ახდენს — თავის სუბიექტურ მისწრაფებებს, დასახულ მიზნებს სინამდვილედ აქცევს.

ადამიანი გარემოებათა პროდუქტია, მაგრამ იგი გვევლინება აქტიურ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს თვით შექმნას ობი-ექტებზე ზემოქმედებისა და მათი გარდაქმნის გზით საკუთა-რი არსებობა-განვითარებისათვის საჭირო პირობები. პრაქტი-კული მოღვაწეობის დროს სუბიექტის ცოდნისა და უნარის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 10, გვ. 40.

ერთობლიობა ფლობს შედარებით დამოუკიდებლობას და გარკვეული მიმართულებით წარმართავს მოქმედებას. ადამიანს შეუძლია საკუთარი ინტერესების შესაბამისად შეცვალოს სინამდვილე. სრულყოს თავისი თავი და პირადი თავისუფლება. ცნობიერების აქტიურობა, რომლის გარეშე შეუძლებელია თავისუფლება, უგულებელყოფილი იყო მარქსამდელ მატერიალიზმში. „მატერიალისტური მოძღვრება, — წერდა მარქსი, — რომ ადამიანები გარემო-პირობებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი გარემო-პირობებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან, იგიწყებს, რომ გარემო-პირობებს სწორედ ადამიანები ხცვლიან და რომ აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს"[1].

მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით გარემოებანი ყალიბდებიან და იცვლებიან თვით ადამიანთა მიერ არსებობის საშუალებებისათვის მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული და შეცვლილი გარემოებანი თვით გამოდიან ადამიანის ცხოვრებისა და მისი თავისუფალი მოღვაწეობის რეგულატორის როლში.

გარემოებებსა და ადამიანის შინაგან გონით და არსობრივ ძალებს შორის არსებობს დიალექტიკური კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა. „გარემოებანი იმდენადვე ქმნიან ადამიანებს, რამდენადაც ადამიანები ქმნიან გარემოებებს"[2]. აქედან გამომდინარეობს მარქსისტული ფილოსოფიის ძირითადი მოთხოვნა ადამიანთა სრული განთავისუფლებისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის სათანადო პირობების შექმნის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული პირობების საბოლოო მომზადება კი სოციალისტურ საზოგადოებაში, ექსპლუატაციისგან თავისუფალ ადამიანთა გაერთიანებული მიზანშეწონილი მოღვაწეობით ხორციელდება.

ადამიანი ცხოველისაგან განსხვავებით ინსტინქტების კარნახით კი არ მოქმედებს, არამედ შეგნებულად ახორციელებს გარკვეულ მიზნებს, რომელთა საშუალებები და შედეგები წი-

1 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1964. გვ 492.

2 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, გვ. 40.

ნასწარ იდეალური სახით მოცემულია ცნობიერებაში. ადამიანი ცდილობს თავისი ინტერესების მიხედვით გამოიყენოს ბუნების ძალები, გარდაქმნას საგნობრივი სინამდვილე.

ადამიანის მიზანშეწონილი, შეგნებული მოღვაწეობა შესაძლებელია ბუნებისა და მისი აუცილებლობის არსებობის დროს, მაგრამ მისი გამოყენებისათვის საჭიროა სათანადო ცოდნა და სუბიექტის ნების გარკვეული მიმართულებით წარმართვა. თავისუფალი, შეგნებული მოქმედება გულისხმობს აუცილებლობის შემეცნებას როგორც თავის წანამძღვარს. მაგრამ მასზე არ დაიყვანება.

„აუცილებლობის შემეცნება, — წერდა ენგელსი, — არის მხოლოდ თავისუფლების წანამძღვარი და არა თვით თავისუფლება“[1].

მარქსამდელ ფილოსოფიაში ძირითადად გაბატონებულია ის აზრი, რომ თავისუფლება მხოლოდ აუცილებლობითაა განსაზღვრული. ეს დამახასიათებელია როგორც მატერიალიზმის, ისე იდეალიზმისათვის. ახალი დროის მატერიალისტები თავისუფლებას ბუნების აუცილებლობას უკავშირებდნენ და გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევდნენ.

ადამიანთა მოქმედებების ბუნების კანონთა ცოდნით განსაზღვრულობის იდეა, რომელიც შემდგომ თავისუფლების ბუნების აუცილებლობით განსაზღვრულობის დებულებაში ჩამოყალიბდა, უკვე სახეზეა ინგლისური მატერიალიზმის მამამთავრის ფ. ბეკონის მოძღვრებაში. მისი აზრით, ადამიანის ბუნებაზე გამარჯვება და ბატონობა შესაძლებელია მისი კანონების შესწავლით და მათდამი დაქვემდებარებით. ცოდნა, რომელიც ძალადაა აღიარებული, გონებით მოიპოვება. გონება ღვთაებრივი ლამპარი კი არ არის, როგორც ეს რელიგიას მიაჩნდა, არამედ ადამიანის ბუნებრივი თვისებაა. იგი თვით ბუნების სინათლეა, რომელიც ადამიანებს უმხელს ბუნების დაფარულ საიდუმლოებებს.

თავისუფლების აუცილებლობასთან კავშირში განხილვის საჭიროებაზე მიუთითებდა ლოკი. მისი აზრით, თავისუფლება ადამიანის მოქმედებებში გვეძლევა, ხოლო მოქმედებები და-

1. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 20, стр. 16.

მოკიდებულია გარემო პირობებზე, მათში არსებულ აუცილებ-ლობაზე. ეს კი მოითხოვს თავისუფლებისა და აუცილებლობის კავშირის საკითხის გარკვევას.

ლოკის ეს მოთხოვნა სპინოზასთან ხორცს ისხამს. მან თავისუფლება მხოლოდ აუცილებლობასთან კავშირში განიხილა, მექანიკური დეტერმინიზმის კანონები ადამიანის ქცევებზე გავრცელა და მისი ყველა მოქმედება მას დაუკავშირა. თავისუფლად სპინოზა მიიჩნევდა იმას, რაც არსებობს თავისი ბუნების აუცილებლობის მიხედვით და თვით განსაზღვრავს თავის მოქმედებას. ეს, მისი აზრით, მხოლოდ სუბსტანციას, ბუნებას ახასიათებს, რომელიც თავისთავის მიზეზია. ადამიანი როგორც ბუნების მოდუსი, მისადმი დაქვემდებარებულია და საკუთარი ნებით მოქმედების შესაძლებლობას მოკლებულია. „ადამიანს, როგორც მთლიანი ბუნების ნაწილს, რომლისგანაც ის არის დამოკიდებული და რომელიც მას ასევე მართავს, თავისთავად არაფერი არ შეუძლია გააკეთოს თავისი ხსნისა და ბედნიერებისთვის"[1]. თავისუფლება აუცილებლობასთან მკაცრად შესაბამისი მოქმედებაა, რაც შეიძლება გაგებულ იქნეს გონების გზით. სპინოზას აზრით, აფექტებში ან ვნებებში ვლინდება ადამიანის დამონება, მისი გარემოებებისადმი გაუცნობიერებელი დამოკიდებულება. ადამიანი მათი გაცნობიერებით აღწევს ბუნების წესრიგთან თანხვდომას, სხეულის მდგომარეობის თავისი იდეების წესრიგთან შესაბამისობას. სარწმუნო ცოდნა აფექტებს კი არ მოგვაცილებს, არამედ გაცნობიერების გზით გაარკვევს მათ ადგილს სამყაროს დეტერმინაციის უნივერსალურ ჯაჭვში. უცოდინარობა აფექტების წყაროა. იგი ადამიანს მონობაში აგდებს. „სპინოზას მიხედვით თავისუფლება მდგომარეობს არა ნებისყოფის ავტონომიაში, არამედ აფექტების ბატონობის დაძლევაში... თავისუფლება არის სულიერი სიმშვიდე, რომელიც აუცილებლობის შემეცნებით მოიპოვება"[2]. რადგანაც თავისუფლების მოპოვებაში შემეცნება ასრულებს გადამწყვეტ როლს, ამდენად თვითშე-

---

1 Б. Спиноза. Избр. произ. в двух томах, т. I, 1957, стр. 142.

2 ოთარ ბაკურაძე. თავისუფლება და აუცილებლობა, 1964. გვ. 54—55.

მეცნებისადმი სწრაფვა ადამიანის უძლიერეს მიდრეკილებად იქცევა. თავისუფლების სოციალური საფუძველი სპინოზასთვის უცნობია. მისი აზრით, სახელმწიფო, რომელიც წარმოიქმნება საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ადამიანს ეხმარება იხელმძღვანელოს გონებით და ამ გზით განახორციელოს თავისუფლება.

თავისუფლების ბუნების აუცილებლობით განსაზღვრულობის იდეა, მექანისტური დეტერმინიზმი უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი XVIII ს. ფრანგული მატერიალიზმის წარმომადგენლის ჰოლბახის მიერ. მისთვის თავისუფლება თვით ადამიანში არსებული აუცილებლობაა. თავისუფლად ყოფნა ნიშნავს აუცილებელი მოტივების მიყოლას. „აუცილებლობა, — წერდა იგი, — რომელიც მართავს ფიზიკური სამყაროს მოძრაობებს, მართავს ასევე სულიერი სამყაროს ყველა მოძრაობას, რომელშიც, მაშასადამე, ყველაფერი ექვემდებარება ფატალურობას“[1]. ადამიანის მოქმედებები, — ჰოლბახის მიხედვით, — ერთიან მიზეზობრივ ჯაჭვშია ჩართული და ერთმნიშვნელოვნად დეტერმინირებულია გარემოებებით. თვით არჩევაც, რომელიც თავისუფლების მიუცილებელი მხარეა, სრულიადაც არ ასაბუთებს ადამიანის თავისუფლებას. ისიც აუცილებელი სახით ხდება. ადამიანის ქცევებისა და მოქმედებების ბუნების აუცილებლობისადმი მკაცრი დაქვემდებარებით და შემთხვევითობის უარყოფით ადამიანი მთლიანი ბუნების, როგორც მანქანის ნაწილად არის გადაქცეული და ბუნების სხვა მოვლენებისაგან თვისებრივად არ განსხვავდება, მას სამყაროში არაფრის შეცვლა არ შეუძლია და იძულებულია უდრტვინველად დაემორჩილოს თავის ბედს. თუკი იგი რამეს აღწევს, ამას გონებას უნდა უმადლოდეს.

თავისუფლებისა და აუცილებლობის მიმართების ზემოაღნიშნულ ნატურალისტურ გაგებას არსებითად არ დაშორებია მარქსამდელი მატერიალიზმის უკანასკნელი წარმომადგენელი ფოიერბახი. „ყოველი თავისუფლება, — წერდა იგი, — რომელიც ერთდროულად არ არის აუცილებლობა, წარმოადგენს ბავშვურ ოცნებას, თავისუფლების უბრალო მოჩვენებას... ის,

---

1 П. Гольбах. Избр. произв. в двух томах, т. I, 1963, стр. 237.

რაც თავისუფალია აზრში, თავის შიგნით და თავისში, თავის გამოაშკარავებაში, გამოვლენაში, გამოცხადებაში, ჩვენთვის არის რაღაც აუცილებლობა"[1]. ადამიანი, — ფოიერბახის აზრით, — თავისუფლად იქცევა, როდესაც აუცილებლობას მიყვება, როცა იგი თავის ბუნებას არ ეწინააღმდეგება, ანუ თავისი არსების შესაბამისად მოქმედებს. ამაში გადამწყვეტი როლი შემეცნებას ენიჭება. მართალია, ფოიერბახი მსჯელობს მატერიალური თავისუფლების შესახებაც, მაგრამ მისთვის მთავარია თეორიული თავისუფლება. თავისუფლების სფერო მისთვის, უწინარეს ყოვლისა, შეგნებული შესაძლებლობების სფეროა, რომელიც მოცემულია ადამიანის ცოდნის დონეში.

ადამიანთა გრძნობად-გარდამქმნელი მოღვაწეობისა და ამ მოღვაწეობის პროცესში წარმოქმნილი მატერიალური ურთიერთობების როლი ფოიერბახისათვის ისე როგორც მარქსამდელი მატერიალიზმის ყველა წარმომადგენლისათვის გაუგებარია. მიუხედავად ზოგიერთი საგულისხმო მიხვედრისა, ყველა ისინი მჭვრეტელობითი მატერიალიზმის პოზიციაზე დარჩნენ.

ახალი დროის მატერიალისტებისაგან განსხვავებით გერმანული კლასიკური იდეალიზმის წარმომადგენლები ადამიანის თავისუფლებას სულის აუცილებლობით განსაზღვრულად აღიარებენ. ჯერ კიდევ ლაიბნიცმა ერთი მხრივ თავისუფლება ადამიანის მოქმედებებს დაუკავშირა და მის მადეტერმინირებელ ფაქტორებზე მიუთითა, ხოლო მეორე მხრივ ღვთაებრივი წინასწარგანსაზღვრულობის იდეა ძალაში დატოვა. ასეთი გაგების დროს ადამიანი გარეგანი აუცილებლობისადმია დაქვემდებარებული, იგი ღმერთის ნების შემსრულებელია და სხვა არაფერი. მისი თავისუფლება ნულამდეა დაყვანილი. თავისუფლების ასეთი გაგება დამახასიათებელია ყველა გერმანელი იდეალისტისათვის. იგი თავის უმაღლეს გამოხატულებას ჰეგელის მოძღვრებაში პოულობს.

ჰეგელის ობიექტური იდეალიზმის სისტემაში ყველაფრის

---

[1] Людвиг Фейербах. История философии, 1967, т. II, стр. 269.

საფუძველია აბსოლუტური იდეა. იგი არის ადამიანისა და საზოგადოებისაგან განცალკევებული სულიერი შემოქმედებითი ძალა, რომლის თვითმოძრაობა სინამდვილის მთელ სიმდიდრეს წარმოქმნის. მას წინასწარდასახული მიზანი არა აქვს. რისკენაც ის მიისწრაფვის დასაწყისშივე, თვით მასშია მოცემული. ამის გამო ჰეგელი არც მსჯელობს მომავლის შესახებ. ფილოსოფია შეიმეცნებს იმას, რაც არის. განვითარების პროცესში იქმნება მოჩვენება იმისა, რომ მოქმედების მომენტები თითქოს საკუთარი ინიციატივით მოძრაობენ და წინმყოფი მიზნისკენ მიისწრაფვიან. სინამდვილეში ისინი ახორციელებენ იმას, რაც აბსოლუტურ იდეას სურდა. ის, რაც უნდა მოხდეს, წინასწარ არის განსაზღვრული. ასეთი გაგების დროს თვით ისტორია გადაიქცევა განსაკუთრებულ პიროვნებად, რომელიც ადამიანებს იყენებს როგორც საშუალებას თავისი მიზნების მისაღწევად. განვითარების ასეთი ფატალისტური გაგება როგორც პიროვნების ასევე ისტორიის გაუფასურებას წარმოადგენს.

ჰეგელის მიხედვით თავისუფლება სულის სფეროა, მისი შინაგანი კანონზომიერებაა. სულის თვითშემეცნება თავისუფლებაა, რადგანაც იგი მდგომარეობს „გონივრულობის" აუცილებლობის შემეცნებაში, იმის შეცნობაში, რაც დაფარულია შემთხვევითობებით. ადამიანს შეუძლია თავისუფლებას ცნებებში მიწვდეს. ჰეგელისათვის თავისუფლება არის აზროვნების განსაკუთრებული ხერხი, რომელიც ჩართულია ზოგადშემეცნებით პროცესში. თავისუფალი ნება მოკლებულია პიროვნების შიგნით არსებულ საფუძველს. იგი აბსოლუტური სულის იძულებით მოქმედებს და ანგარიშს არ უწევს ფაქტებს. თავისუფლება თავის განხორციელებას და კონკრეტიზაციას ზნეობაში აღწევს, რომელშიც სრულდება ობიექტური სულის თვითგანვითარება.

პიროვნების ნამდვილობა, მისი მოქმედებათა ღირებულება და თავისუფლება საბოლოოდ აბსოლუტური იდეითაა განსაზღვრული. აბსოლუტური იდეა პიროვნებას იყენებს თავისი მიზნებისთვის. თვით დიდი პიროვნებანიც კი თავის სიცოცხლის მიზნებს ხედავენ არა პირადულში, არამედ იდეაში, რომ-

ლის შინაარსი დაფარულია. ჰეგელის მოძღვრებაში ძირითადია თვით სამყაროს მსვლელობა, აბსოლუტურის აუცილებლობით გაპირობებული მოძრაობა-ცვალებადობა და არა პიროვნების ცხოვრება. პიროვნების მიზნები სამყაროს მოძრაობაშია გათქვეფილი. იგი ობიექტური აუცილებლობის სფეროშია. ამიტომ ჰეგელს პიროვნების ცხოვრება არც აინტერესებს. მისი აზრით, ნამდვილობას ყველა პიროვნების მოქმედება არ ფლობს. ნამდვილობა იქაა, სადაც აბსოლუტური სულის მიერ ნაკარნახევი აუცილებლობა ვლინდება. მას დიდი ისტორიული პიროვნებანი ავლენენ. რიგითი ადამიანი არანამდვილია. მისი ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოზე. რომელიც კონკრეტულ ფორმაში გამოხატული იდეაა.

თავისუფლების ასეთი გაგება პიროვნებას არაფერს უტოვებს ისეთს, რაც მის პირად აქტიურობასა და მამაცობაზე იქნება დამოკიდებული. მიზნების განხორციელება დამოკიდებულია არა რეალურად არსებულ გარემოებებზე, არამედ იმაზე, დაემთხვევა თუ არა პიროვნების მიზნები ზოგად-ობიექტურ აუცილებლობას. უამისოდ მისი თავისუფალი მოქმედებების შესაძლებლობები არ არსებობს. ჰეგელის აბსოლუტურ იდეალიზმში პიროვნების თავისუფალი, მიზანმიმართული მოქმედებისათვის სარბიელი ფაქტიურად არ არის. აბსოლუტური სულით ნაკარნახევმა მსოფლიო ისტორიის ობიექტურმა აუცილებლობამ პიროვნებას ყველაფერი წაართვა. მისი როლი აბსოლუტური იდეის სამსახურით შემოიფარგლება. სულიერი საწყისის აბსოლუტიზაციით ჰეგელმა პიროვნება და მისი თავისუფლება ფაქტიურად გააუქმა. ყველაფერი მის ცხოვრებაში ობიექტურად არსებული სულიერი საწყისის აუცილებლობით განსაზღვრული აღმოჩნდა. პიროვნებას ევალება შეიმეცნოს იგი და მიყვეს მის მოთხოვნებს. განყენებულმა იდეალურმა საწყისმა ჰეგელის მოძღვრებაში რეალური ადამიანი არარად აქცია, რამდენადაც მას საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით მოქმედების შესაძლებლობები აღუკვეთა. „რეალურ ჰუმანიზმს, — წერდნენ მარქსი და ენგელსი, — გერმანიაში არა ჰყავს უფრო საშიში მტერი, ვიდრე სპირიტუალიზმი ანუ სპეკულატური იდეალიზმი, რომელიც ნამდვილი ინდივიდუალუ-

რი ადამიანის ადგილას აყენებს „თვითცნობიერებას“ ანუ „სულს“[1].

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ძირეულად უპირისპირდება თავისუფლებისა და აუცილებლობის მიმართების შესახებ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისს: ფატალიზმსა და ვოლუნტარიზმს. პირველი ობიექტურ აუცილებლობას შეუთავსებლად თვლის თავისუფლებასთან, ხოლო მეორე მხედველობაში არ იღებს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას. ფატალიზმი აღიარებს სამყაროში ობიექტური აუცილებლობის წინასწარგანსაზღვრულობის იდეას, საგანთა და მოვლენათა გარდუვალ წესრიგს, რომელიც გამორიცხავს ახალ შესაძლებლობათა ქმნადობას. იგი საზოგადოებრივ-ისტორიული სინამდვილის დეტერმინაციას განიხილავს, როგორც ადამიანის დაქვემდებარებას მის გარეშე არსებული ძალებისადმი. ეს ძალა გაგებულია ღვთაებრივ ნებისყოფად ან ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონების მქონე სოციალურ წესრიგად, რომელშიც ბუნებრივი აუცილებლობა ბატონობს. ფატალიზმის უძველესი მითოლოგიური ფორმაა ბედისწერა. ახალ დროში იგი შეცვალა მსოფლწესრიგის რაციონალიზებულმა იდეამ, რომლის შემეცნება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს მიჰყვეს საგანთა და მოვლენათა მსვლელობას.

ისტორიული აუცილებლობის ფატალისტური გაგების მიხედვით ადამიანს სამყაროში არაფრის შეცვლა არ შეუძლია. იგი ნებსით თუ უნებლიეთ უნდა დაემორჩილოს არსებულ წესრიგს. მისი ხვედრი პასიურობაა. ფატალიზმი ობიექტურ აუცილებლობას უპირისპირებს თავისუფლებას. ისტორიული აუცილებლობისადმი ადამიანთა დაქვემდებარების მოთხოვნა ექსპლოატატორული კლასების ბატონობის გამარადისებას და მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღებას ნიშნავს.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ააშკარავებს ისტორიული აუცილებლობის ფატალისტური გაგების ანტიმეცნიერულ და რეაქციულ არსს. იგი სუბიექტ-ობიექტის დიალექტი-

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. второе, т. 2, стр. 7.

კური ერთიანობის პოზიციიდან უარყოფს მას. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი აღიარებს, როგორც ისტორიულ აუცილებლობას, ასევე მისი შეგნებული გამოყენების შესაძლებლობას. იგი ხაზს უსვამს შემეცნების პრაქტიკულ-გარდამქმნელი მოღვაწეობის უდიდეს როლს საზოგადოების განვითარებაში. „დეტერმინიზმი, — წერდა ლენინი, — არა თუ არ გულისხმობს ფატალიზმს, არამედ სწორედ ის იძლევა ნიადაგს გონივრული მოქმედებისათვის“[1].

ფატალიზმის საწინააღმდეგოდ ვოლუნტარიზმი თავისუფლებას თიშავს აუცილებლობისაგან და არ ცნობს ობიექტური ფაქტორების როლს. იგი მატერიალიზმისა და დეტერმინიზმის საპირისპიროდ უარყოფს მოვლენათა მიზეზობრივ ურთიერთგანპირობებულობას და სინამდვილის მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობას. ვოლუნტარიზმი ობიექტურ სამყაროს მიმართ სუბიექტის პრიმატს აღიარებს და უგულებელყოფს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. თავისუფალი მოქმედებები მისი მიხედვით განსაზღვრულია სუბიექტის ნებით. ვოლუნტარიზმი სათავეს იღებს ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმის მოძღვრებაში. მისი წარმომადგენლებია შოპენჰაუერი და ნიცშე. შოპენჰაუერის მიხედვით სამყაროში ბატონობს ბრმა, უგუნური, უმიზნოდ მოქმედი „ცხოვრების ნება“, რომლის შემეცნება არც გონებით და არც ემპირიული გზით არ შეიძლება. ნიცშემ ისტორიის მამოძრავებელ ძალად აღიარა „ძალაუფლების ნება“ და წამოაყენა „ძალის კულტი“. მისი აზრით, ძალაუფლებისადმი სწრაფვა აძლევს ადამიანს ცხოვრების აზრს და თავისუფალი მოქმედების სტიმულს. ნიცშე სოციალური სამართლიანობის იდეის, სოციალიზმისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ილაშქრებდა. შემთხვევითი არ იყო, რომ შოპენჰაუერისა და ნიცშეს ვოლუნტარიზმი ფაშიზმის ერთ-ერთი იდეური წყარო გახდა.

ვოლუნტარიზმი ბურჟუაზიული კლასობრივი შეუზღუდავობის მოთხოვნის იდეოლოგიურ გამოხატულებას წარმოადგენს. იგი ამართლებს მშრომელი მასების ჩაგვრას, ექსპლოატაციას, დამპყრობლურ ომებსა და კაპიტალისტური საზოგადო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 1, გვ. 506.

ების მანკიერებებს. ვოლუნტარიზმის იდეების კრიტიკა მოცემულია ახალი დროის მატერიალისტების ჰობსის, სპინოზას, ჰოლბახის და სხვათა შრომებში. მისი ამომწურავი კრიტიკა მოგვცა მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ, რომლის მიხედვით პირველადია ბუნების აუცილებლობა, ხოლო მეორადია ცნობიერება და ნება. მან გამოააშკარავა როგორც ფატალიზმის ისე ვოლუნტარიზმის ანტიმეცნიერული არსი და თავისუფლებისა და აუცილებლობის მიმართების დიალექტიკურ-მატერიალისტური ახსნა მოგვცა.

მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ დაასაბუთა, რომ ობიექტური აუცილებლობის შემეცნების საფუძველზე ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა საკუთარი ინტერესების მიხედვით გარდაქმნით ადამიანები აღწევენ გარეგან ძალებზე ბატონობას და ბუნების კანონთა გამოყენებას. ამიტომ, აუცილებლობის შემეცნება თავისუფლების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. „თავისუფლება მდგომარეობს არა ოცნებით წარმოდგენილ დამოუკიდებლობაში ბუნების კანონებისაგან, არამედ ამ კანონების შემეცნებაში და ა მ ი თ მ ო ც ე მ უ ლ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა შ ი, რათა ბუნების კანონები ვაიძულოთ გეგმიანად მოქმედებდნენ გარკვეული მიზნებისათვის"[1] (ხაზი ჩემია, გ. რ.).

წინასწარდასახული მიზნის მიხედვით მოქმედება გარდუვალად გულისხმობს სინამდვილის იმ კანონზომიერების ცოდნას, რომელშიც ეს მოქმედება ხდება. ამის გარეშე თავისუფლება არა გვაქვს არც შესაძლებლობაში და არც მოქმედებაში. ბუნების მოვლენებსა და პროცესებში არსებული აუცილებლობის ადამიანის ცნობიერებაში ასახვის გარეშე თავისუფლება განუხორციელებელია. უამისოდ ადამიანის ბუნებაზე და თავისთავზე ბატონობა შეუძლებელია. შემეცნების მიზანი ჭეშმარიტების დადგენაა, მაგრამ ჭეშმარიტება ადამიანის ბუნებაზე გაბატონების, ბუნების ადამიანის ინტერესებისადმი დაქვემდებარების საშუალებაა. „შემეცნება, — წერდა ლენინი, — არის არაორგანულ ბუნებაში (ჭკუის) ჩაღრმავების პ რ ო ც ე ს ი იმისათვის, რომ ეს ბუნება დაუქვემდებაროს სუბიექტის ძალა-

---

[1] ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურინგი, 1952, გვ 135,

უფლებას და განაზოგადოს (შეიმეცნოს ზოგადი ამ ბუნების მოვლენებში)"...[1]

ბუნებისა და მისი აუცილებლობის შესახებ მოპოვებული ცოდნა ადამიანს საშუალებას აძლევს შეეგუოს, შეეთანაწყოს ბუნების უნივერსალურ კანონზომიერებას და მასზე დაყრდნობით წარმართული მიზანდასახული მოქმედებით დაეუფლოს მას. ბუნების აუცილებლობის შემეცნება თავისუფლების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. მხოლოდ შემეცნება, მის შედეგად მოპოვებული ცოდნა განვითარების რა მაღალ საფეხურს არ იყოს მიღწეული, თავისუფლების მხოლოდ ერთი მხარეა, რომელსაც გარკვეულ პირობათა არსებობის დროს სინამდვილედ პრაქტიკული მოქმედება გადააქცევს. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ცოდნა პრაქტიკაში განსახიერდება, ბუნების ძალები ადამიანის სამსახურში დგება და თავისუფლება რეალური ხდება.

პრაქტიკაში დასტურდება არა მარტო ის თუ რამდენად სწორად გადაწყვიტა თეორიულად ადამიანმა აწმყოს საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრობლემა, არამედ, ასევე მისი ბუნების მიმართ დამოკიდებულების მართებულობა. შემეცნებამ უნდა გაითვალისწინოს ერთიცა და მეორეც. ბუნებაზე საზოგადოებრივი ზემოქმედებითი შედეგები გვიან ვლინდება. იგი თავს ამჟღავნებს უმეტეს შემთხვევაში დიდი ხნის შემდეგ. შემეცნება აქ ამიტომ მეტი სიძნელის წინაშე დგას. მიუხედავად ამისა, მან უნდა შეძლოს ადამიანის არა მარტო მოქმედების უახლოესი, არამედ შორეული შედეგების გათვალისწინებაც. მან ძირითადში უნდა განსაზღვროს თუ რა შედეგები მოჰყვება ბუნების გარდაქმნისაკენ მიმართულ კაცობრიობის მოღვაწეობას.

ისე როგორც ადამიანთა ნამდვილი თავისუფლების განხორციელებისთვის აუცილებელია საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, ასევე აუცილებელია ადამიანის მიერ ბუნებასთან დამოკიდებულების დროს ბუნების „ინტერესების" გათვალისწინება. აქ ადამიანი უფრო მეტ სიძნელეს აწყდება. საზოგადოების, მის წევრთა ინტერესების მხედველობაში მიუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 33, გვ. 191.

ღებლობა მაშინვე გარკვეულ რეაქციას იწვევს. ინტერესშელახული ადამიანები მას განიცდიან და პროტესტს აცხადებენ. ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრა, ერთის მიერ მეორის ხარჯზე თავისი თავისუფლების გაფართოება აისახება საზოგადოების ცნობიერების ფორმებში. იქმნება იდეოლოგია, იწყება ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. სხვა საკითხია თუ რამდენად ხერხდებოდა და ხერხდება ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა საზოგადოებაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს წინააღმდეგობანი მალე ამჟღავნებენ თავის თავს და აყენებენ საკითხს მათი გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ. ბუნებას ამგვარი შესაძლებლობები არ გააჩნია. მას და მის მოვლენებს არ ძალუძს „პროტესტის“ ცნობიერების ფორმით გამოთქმა. მისი „პროტესტი“ მჟღავნდება იმ უარყოფითი შედეგებით, რასაც მის მიმართ ადამიანთა მტრული, მტაცებლური დამოკიდებულება იწვევს. იგი, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც „შურს იძიებს“ ადამიანებზე მისი „ინტერესების გაუთვალისწინებლობისათვის“. მხოლოდ ამ დროს იგრძნობენ ადამიანები თავიანთ შეცდომებს, მაგრამ მისი გამოსწორება ძნელი ხდება.

ირკვევა, რომ საბოლოო ანგარიშით ბუნების „ინტერესები“ თვით ადამიანის ინტერესებისაგან განუყოფელია, რაც სვამს საკითხს ბუნების მიმართ „ჰუმანური“ დამოკიდებულების შესახებ. ბუნების „ინტერესების“ დაცვა ისევ ადამიანთა ინტერესების დაცვას წარმოადგენს. რასაკვირველია, თვით ბუნება ადამიანის მსგავსად არც არაფერს „განიცდის“ და არც პროტესტს აცხადებს, მაგრამ თვით ადამიანები განიცდიან თავისთავზე ბუნების „ინტერესების“ უგულებელყოფას, რაც მათივე ინტერესების ხელყოფას მოასწავებს. დღეს უკვე აშკარა გახდა ის გარემოება, რომ როგორ საზოგადოებაშიც არ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, იგი ვალდებულია შეეთანაწყოს ბუნებას, არ დაარღვიოს მისი ჰარმონია, იცავდეს და უფრთხილდებოდეს მას, როგორც მისი არსებობისა და მოღვაწეობის საფუძველსა და ასპარეზს.

ბუნებასა და ადამიანს შორის ჰარმონიული ერთიანობა არ გამორიცხავს მათ შორის წინააღმდეგობას, მაგრამ იგი შეიძლება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების დროს განსხვავებული იყოს. ამ წინააღმდეგობის ბუნება დამოკიდებულია

წარმოებით ურთიერთობათა ხასიათზე. კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებაში ბუნებასა და ადამიანის ერთიანობის შიგნით არსებული წინააღმდეგობა „ანტაგონისტურია". საწარმოო ძალთა განვითარება, რომელიც მესაკუთრეთა მოგების გადიდების ინტერესებს ემსახურება, მიდის იმ მიმართულებით, რომ ბუნების „ინტერესები" მხედველობაში არ არის მიღებული.

კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისშიც, როდესაც დაიწყო ბუნების ინტენსიური გარდაქმნა, ეს წინააღმდეგობა არსებობდა, მაგრამ იმპერიალიზმის სტადიაში საწარმოო ძალთა განვითარების მაღალ საფეხურზე იგი აშკარად გამოვლინდა. ადამიანსა და ბუნებას შორის წარმოქმნილი „ანტაგონიზმი" განსხვავდება კაპიტალისტური საზოგადოების ანტაგონისტური წინააღმდეგობისაგან. აქ ორივე მხარე შეგნებულად ებრძვის ერთმანეთს, ხოლო ბუნებასა და ადამიანს შორის „ანტაგონიზმის" დროს ასეთ ბრძოლას ადგილი არა აქვს. ადამიანები თავის მხრივ ესწრაფვიან თავიანთი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის გარკვეული მიზნების განხორციელებას და ანგარიშს არ უწევენ ბუნების „ინტერესებს", ხოლო ბუნება სტიქიურად „შურს იძიებს" ამის გამო. აღნიშნული წინააღმდეგობის გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გადაწყვეტა. უამისოდ ადამიანსა და ბუნებას შორის ჰარმონიის აღდგენა შეუძლებელია; ამ ჰარმონიის გარეშე ადამიანთა თავისუფლება განუხორციელებელია.

ფ. ენგელსი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გვაფრთხილებდა იმ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ, რომელიც მოყვებოდა ადამიანთა ბუნებაზე მოპოვებულ გამარჯვებებს. „ძალიანაც ნუ მოვიტყუებთ თავს ბუნებაზე ჩვენი ადამიანური გამარჯვებებით მოხიბლულნი. ყოველი ასეთი გამარჯვებისათვის ბუნება შურს იძიებს ჩვენზე. მართალია, ყოველ ამ გამარჯვებას პირველ რიგში სწორედ ის შედეგები აქვს, რომელთაც ჩვენ ვითვალისწინებდით, მაგრამ მეორე და მესამე რიგში მას აქვს სრულიად სხვა, გაუთვალისწინებელი შედეგები, რომელნიც ხშირად იმ პირველ შედეგებს კვლავ აქარწყლებენ".[1]

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. II, 1964, გვ. 99-100.

ბუნების მიმართ მტაცებლურმა დამოკიდებულებამ, რაც კაპიტალიზმისათვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო, აშკარად იჩინა თავი XX საუკუნეში. შეიქმნა ისეთი საგანგაშო მდგომარეობა, რომლის უგულებელყოფა უკვე შეუძლებელი გახდა. ბუნების „შურისძიება" განსაკუთრებით საგრძნობი გახდა თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავების ეპოქაში. მოგების ზრდისაკენ მონოპოლიათა დაუოკებელმა სწრაფვამ განაპირობა ბუნებრივი გარემოს სწრაფი გაუარესება. ბუნებრივი რესურსებისადმი მტაცებლური, არარაციონალური დამოკიდებულება კაცობრიობას ხელს უშლის სრული მოცულობით გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დიდი შესაძლებლობები. „ადამიანის ძლიერების მძაფრი ზრდის გამო, — წერს ფრანგი მარქსისტი გი ბიოლა, — მისი მოღვაწეობის სხვადასხვა სახეების ნარჩენები ფართოდ გავრცელდა დროსა და სივრცეში. ამ პირობებში შეუძლებელია განვაგოთ ბუნებრივი რესურსები ისე, როგორც უწინ. სურთ შთაგვაგონონ, რომ ყველაფერი ეს მომდინარეობს ტექნიკური პროგრესიდან. სინამდვილეში კაპიტალიზმს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარყოფდა ამ კრიზისს, ახლა სურს გამოიყენოს იგი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთ წერტილზე გაყინვის გასამართლებლად"[1].

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანსა და ბუნებას შორის წარმოქმნილი „ანტაგონისტური" წინააღმდეგობის გადაწყვეტა პრინციპულად შეუძლებელია. ბუნებრივი გარემოსადმი დამოკიდებულების პრობლემა სოციალისტურ ქვეყნებშიც დგას, მაგრამ მისი გადაწყვეტა წინააღმდეგობის „არაანტაგონისტური" ხასიათის გამო სავსებით შესაძლებელია. მართალია, არც სოციალისტური საზოგადოება არის დაზღვეული ცალკეული შეცდომებისაგან, მაგრამ აქ არსებობს მისი გადაწყვეტის ძირითადი პირობა: საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობა. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ხასიათი დამოკიდებულია სოციალურ სისტემათა ბუნებისაგან. სოციალისტურ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში

---

1 Ги Биола. Марксизм и окружающая среда, перевод с французского, М., 1975, стр. 31—32.

აღნიშნული პრობლემა გადაწყვეტის ურთიერთსაპირისპირო შესაძლებლობებს შეიცავს.

ადამიანის ბუნების მიმართ დამოკიდებულების პრობლემა თანამედროვე მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების დღის წესრიგში დადგა, მაგრამ მთავრობათა მიერ მიღებულ ღონისძიებებს უფრო სარეკლამო და არა ქმედითი ხასიათი აქვს. დღეს უკვე ცხადია ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში ინდუსტრიულ-ტექნიკურმა პროცესებმა გამოიწვიეს. სამრეწველო ნარჩენებმა, მომწამვლელმა ქიმიურმა ნივთიერებებმა გააბინძურეს მდინარეები, ტბები, ზღვები და ოკეანეები. ეს მეტად ცუდ გავლენას ახდენს როგორც წყლის მარაგზე, ასევე მდინარეების, ტბების ზღვებისა და ოკეანეების ფლორასა და ფაუნაზე, იღუპება თევზი, ფრინველი და ა. შ. ქარხნებისა და ავტომანქანების მიერ გამოყოფილი შხამიანი ნარჩენი გაზებით იწამლება ატმოსფერო. ქვანახშირისა და ნავთობის სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით მოხმარება იწვევს ატმოსფეროში ჟანგბადის მარაგის შემცირებას. გარემოს დაცვის პრობლემის გადაწყვეტა დღეს ბუნების მიმართ დამოკიდებულების ერთ-ერთი უპირველესი და გადაუდებელი ამოცანა გახდა.

საწარმოო ძალთა განვითარებას, ენერგეტიკული რესურსების ზრდას და გამოყენებას ერთი მხრივ სიკეთე მოაქვს ადამიანებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ იგი სათანადო ღონისძიებათა განხორციელების გარეშე მეტად ცუდ შედეგებს იძლევა. ატომური ენერგიის აღმოჩენა და მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ იგი აუცილებლობით აყენებს საკითხს მისი ნარჩენების შენახვისა და რადიაციის გავრცელების თავიდან აცილების შესახებ. მრეწველობისა და ქალაქმშენებლობის განვითარებას, ურბანიზაციის სწრაფ პროცესს კაპიტალისტურ ქვეყნებში თან სდევს ისეთი უარყოფითი შედეგები, რომელთა აღმოფხვრა ხშირ შემთხვევაში უდიდეს სიძნელეებს უკავშირდება. ამ მხრივ მეტად მძიმე შედეგებმა უკვე თავი იჩინა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მთელ რიგ რაიონებში მწვავედ დგას სუფთა ჰაერისა და გამჭვირვალე წყლის პრობლემა.

გარემოს გაჭუჭყიანების ძირითადი მიზეზია კერძომესაკუთრული ურთიერთობებით გამოწვეული მოგების გადიდებისაკენ სწრაფვა, საკონკურენციო ბრძოლა და კაპიტალისტური სისტემის გადარჩენისადმი მიმართული ღონისძიებები. დღეს იქ ყველაფერი ამ მიზნებს დაექვემდებარა, ხოლო გარემოს დაცვის საკითხი უკანა პლანზე გადაიწია და მისი გადაწყვეტა არ ხერხდება. სავსებით აშკარა გახდა, რომ ადამიანსა და გარემოს შორის არსებული „ანტაგონისტური" წინააღმდეგობის გადაწყვეტა შეუძლებელია კაპიტალისტური წყობილების პირობებში. თუ XIX საუკუნეში საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა გამწვავებით განსაზღვრულმა სოციალური თანასწორობისა და თავისუფლების განხორციელების მოთხოვნამ დღის წესრიგში დააყენა კაპიტალიზმის სოციალიზმით რევოლუციური შეცვლის საკითხი, თანამედროვე ეპოქაში ბუნების მიმართ ადამიანთა მტაცებლური დამოკიდებულებით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა კიდევ უფრო ცხადი გახადეს მისი გარდუვალობა.

დღეს უკვე სადავო არაა ის, რომ ადამიანისა და ბუნების ჰარმონიის დარღვევა საფრთხეს უქმნის არა მარტო ადამიანის თავისუფლებას, არამედ ემუქრება მის არსებობასაც. ბუნება უკვე აშკარად „მოითხოვს" მის მიმართ მტაცებლური, დამპყრობლური დამოკიდებულების აღკვეთას. გარემოს მზარდი გაჭუჭყიანება, ე. წ. „ნაგვის ყუმბარის" შექმნა კაცობრიობას კატასტროფის წინაშე აყენებს, თუ არ იქნება თავის დროზე ზომები მიღებული. ასევე ბუნებაზე ბატონობის ცნების შინაარსი უნდა გაგებული იქნეს არა ბატონობის ჩვეულებრივი, არამედ ადამიანსა და ბუნებას შორის ჰარმონიული ერთიანობის შიგნით ადამიანის წარმმართველი როლის აზრით, სადაც ადამიანის როგორც ბუნების ნაწილის ინტერესების გვერდით აუცილებლად გათვალისწინებული იქნება თვით მთელის — ბუნების „მოთხოვნები". „ჩვენ, — წერდა ენგელსი, — სრულიადაც არ ვბატონობთ ბუნებაზე ისე, როგორც დამპყრობელი ბატონობს უცხო ხალხზე, როგორც ბუნების გარეშე მდგომი ვინმე, არამედ ჩვენი ხორცით, სისხლით და ტვინით ბუნებას ვეკუთვნით და მის შიგნით ვიმყოფებით, და რომ ჩვენი ბატონობა მასზე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველა სხვა

ქმნილებებთან შედარებით უპირატესობის გამო შეგვიძლია ბუნების კანონები შევიცნოთ და სწორად გამოვიყენოთ"[1].

ადამიანის გარემომცველი ბუნება, ჩვენი პლანეტა არ არის ამოუწურავი, უსასრული, რომლისადმი ადამიანის, როგორც მისი მომხმარებლის დამოკიდებულება თავის დაღს არ ასვამდეს მის მომავალ ბედს. ამის გამო დღეს უკვე ახლებურად ისმის ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულების საკითხი: არა ბუნების ადამიანისადმი სრული დაქვემდებარება, არა ადამიანის მასზე ბატონობის უსაზღვრო გაფართოება, არამედ მათ შორის კოორდინაცია. ბუნებისათვის ანგარიშის გაწევა ისევ ადამიანის ინტერესების დაცვას წარმოადგენს. ბუნების მიმართ ყოველი დამოკიდებულება უნდა ითვალისწინებდეს ბუნების მომავალ ბედს. სუბიექტ-ობიექტის, ადამიანისა და ბუნების ერთიანობა ორივე მხარის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს, რაშიც შემეცნება, მეცნიერული წინასწარმეტყველება უდიდეს როლს ასრულებს.

ბუნების კანონზომიერების, მისი აუცილებლობის შემეცნება და ამ საფუძველზე ბუნების მიზანმიმართული გარდაქმნა უნდა ხორციელდებოდეს არა მარტო აწმყოს შედეგების, არამედ, ასევე კაცობრიობის მომავალი ბედის გათვალისწინებით. იგი დიდადაა დამოკიდებული აწმყოში ადამიანთა ბუნებასთან დამოკიდებულების ხასიათისაგან. ბუნების აუცილებლობის შემეცნება გარდუვალად გულისხმობს ბუნებასა და ადამიანს შორის ჰარმონიული ერთიანობის პირობათა გათვალისწინებას. მოსახლეობის სწრაფი ზრდა და ტექნიკის განვითარება აუცილებლობით მოითხოვს მისი შედეგების წინასწარმეტყველებას. ამის უგულებელყოფამ მძიმე შედეგები მოგვცა განსაკუთრებით იმ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებმაც დროებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ცნობილია თუ რა ძვირად დაუჯდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეგრეთ წოდებული „ეკონომიკური სასწაული". გარკვეულ რაიონებში მან დააჩქარა ბუნების „კვდომის" პროცესი და ადამიანთა არსებობა

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1964, გვ. 100.

საფრთხის ქვეშ დააყენა. ბუნებაზე ამგვარად მოპოვებული „გამარჯვება“ მეტად ქიმერული, მოჩვენებითი აღმოჩნდა.

ადამიანის წინაშე აუცილებლობით დადგა ბუნების „მოთხოვნა“ იმის შესახებ, რომ ადამიანი ბუნებას არ უნდა ეპყრობოდეს როგორც მხოლოდ საშუალებას, ისე, როგორც იგი სხვა ადამიანებს და საგნებს უყურებს კერძომესაკუთრული ურთიერთობების დროს. დღეს არსებულმა ვითარებამ დაგვანახა, რომ ბუნებას რაც შეიძლება გონივრულად უნდა მოვექცეთ. სუბიექტის ყოველი მოქმედება უნდა ითვალისწინებდეს ერთიანობის მეორე მხარის — ობიექტის „ინტერესებს“. ნაწილი ანგარიშს უნდა უწევდეს მთელს, რომლის ნაწილი ისაა. წინასწარ უნდა დაინახონ ადამიანსა და ბუნებას შორის ჰარმონიის დარღვევის საშიშროება და თავიდან იქნეს იგი აცილებული. ისე, როგორც ადამიანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ანგარიშს უწევს მათ და საჭიროების შემთხვევაში „ზღუდავს“ თავის თავისუფლებას, ასევე უნდა იქცეოდეს იგი ბუნებასთან დამოკიდებულებაში. მით უმეტეს, თუ ამის შესახებ თვით ბუნება იძლევა სიგნალებს. აქედან გამომდინარეობს ადამიანთა პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ თავიანთი მოქმედების შედეგებისათვის.

სუბიექტ-ობიექტის სრულყოფილ ჰარმონიული ერთიანობა მოიცავს როგორც ბუნების, ასევე საზოგადოების მიმართ გონივრულ დამოკიდებულებას, რაც მთლიანობაში ორივე მხარის ინტერესთა გათვალისწინებაში მდგომარეობს. ადამიანისა და მისი თავისუფალი, ყოველმხრივ განვითარების თვითმიზნად გადაქცევა შესაძლებელია მაშინ, როცა გათვალისწინებული იქნება ბუნების როგორც მთელის „მოთხოვნები“. მთელის „ინტერესების“ გაუთვალისწინებლად შეუძლებელია პროგრესი და განვითარება. თავისუფლების გაფართოება და სრულყოფა ერთიანობის ორივე მხარის ინტერესთა დაცვას გულისხმობს.

ბუნებაზე აბსოლუტური ბატონობისაკენ მიმართული მოღვაწეობა სინამდვილეში არათავისუფლებისაკენ სწრაფვაა. ბუნებაში მოქმედი აუცილებლობა არ უნდა იქნეს გამოყენებული ადამიანის და თვით ბუნების საზიანოდ. ასეთი გამოყენება არღვევს სუბიექტ-ობიექტის ერთიანობას. ერთიანობის მხარეთა

მოთხოვნების გაუთვალისწინებლობამ, კაპიტალიზმის დროს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში კიდევ უფრო გააღრმავა გაუცხოების—ადამიანის თავისუფლების დაკარგვის პროცესი. ადამიანური ურთიერთობების მოწესრიგების ამოცანა ჩანთქა ბუნების ათვისების, მასზე გაბატონების მიზანმა, რამაც თავის მხრივ დააჩქარა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება, მაგრამ ერთიანობის წარმმართველი მხარე—სუბიექტი და მისი ადამიანური ინტერესები თვითმიზნიდან ამოვარდა. სუბიექტი თვით აღმოჩნდა დაქვემდებარებული გარეგანი მიზნებისადმი. კომფორტისადმი სწრაფვამ დაჩრდილა და უკანა პლანზე გადასწია თვით ადამიანური ურთიერთობების მოწესრიგების საკითხი, რაც ასევე თავისთავზე „განიცადა“ ბუნებამ. დაირღვა ადამიანსა და ბუნებას შორის ერთიანობა და ჰარმონია.

ფ. ენგელსი ერთი საუკუნით ადრე მიუთითებდა, რომ ბუნებისმეცნიერებათა წარმატებები სულ უფრო და უფრო გვასწავლის ჩვენი საწარმოო მოქმედებების შორეული ბუნებრივი შედეგების გათვალისწინებას და ამით მათ დაუფლებასაც. ბუნების ძალებზე ნამდვილი ბატონობა ის კი არ არის მხოლოდ ხვალინდელი დღის შედეგებით დატკბე, არამედ ჩვენი მოქმედების შორეული უარყოფითი შედეგები თავიდან უნდა ავიცილოთ. „რაც უფრო მოხდება ეს, მით უფრო ადამიანები არამც თუ მეტად იგრძნობენ კვლავ ბუნებასთან ერთიანობას, არამედ შეიგნებენ და ეცოდინებათ ეს თავიანთი ერთიანობა ბუნებასთან, და მით უფრო შეუძლებელი გახდება ის უაზრო და ბუნების საწინააღმდეგო წარმოდგენა რაღაც დაპირისპირებაზე გონსა და მატერიას, ადამიანსა და ბუნებას, სულსა და სხეულს შორის, რომელიც ევროპაში კლასიკური ანტიკურობის დაცემის დღიდან გაჩნდა და რომელმაც ქრისტიანობაში უმაღლეს განვითარებას მიაღწია“[1]. (ხაზი ჩემია, გ. რ.).

სუბიექტ-ობიექტის, ადამიანისა და ბუნების სრულყოფილი, ჰარმონიული ერთიანობა კაპიტალიზმის დროს განუხორციელე-

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1964, გვ. 100-101.

ბელია, რადგანაც ერთიანობა თავისში შეიცავს „ანტაგონისტურ“ წინააღმდეგობას. მისი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანობის მხარეთა ძირეული გარდაქმნით. კაპიტალიზმის პირობებში ადამიანის ბუნების ძალებზე გონივრული ბატონობის განხორციელებას აბრკოლებს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება. საზოგადოებრივ ძალებზე გაბატონება არის ბუნების ძალებზე და თავისთავზე ადამიანის ბატონობის განხორციელების ძირითადი პირობა.

ადამიანის ბუნების მიმართ აქტიური გარდამქმნელი დამოკიდებულების დროს ორივე მხარის ინტერესების დაცვისა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინების პირობები იქმნება მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში. ბუნების დაცვა დღეს ჩვენს ქვეყანაში კანონმდებლობის აქტებით არის გაფორმებული. ახლახან მიღებული კონსტიტუციის 67-ე მუხლი მოითხოვს: „სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეებს“[1].

ადამიანსა და ბუნებას შორის ნამდვილი, სრულყოფილი, ჰარმონიული ერთიანობა, რომელიც გამორიცხავს მტრულ დაპირისპირებულობას და ემყარება ადამიანთა მიერ თავიანთი მოღვაწეობის შორეული შედეგების გათვალისწინებას, განხორციელდება კომუნისტურ საზოგადოებაში, როგორც სრულყოფილი თავისუფლება. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის სსრ კავშირში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით.

გარეგან ბუნებაზე და საკუთარ თავზე ბატონობის განხორციელებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ბუნების, არამედ, რაც მთავარია, თვით მწარმოებლების არსებობა-გან-

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1977, გვ. 29.

ვითარების ინტერესების გათვალისწინება. თავისუფლება რეალური ხდება მაშინ, როდესაც შრომის პროცესში შექმნილი საგნები თვით მათი შემქმნელების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნებს დაექვემდებარება.

თავიანთი არსებობისათვის საჭირო საშუალებების მოპოვებისა და შექმნის პროცესში ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ გარკვეულ მატერიალურ ურთიერთობებს. ისინი გაერთიანებული ძალებით გარდაქმნიან ბუნებას. მათი ყოველი მოქმედება საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს. ბუნების გარდაქმნის პროცესში შექმნილი საგნების მოხმარების დროს წარმოქმნილი საზოგადოებრივი ძალები, ისე, როგორც ბუნების ძალები, თვით მწარმოებელთა ინტერესებს უნდა დაექვემდებარონ. ბუნებაზე და თავისთავზე ადამიანის ბატონობის ანუ ნამდვილი, სრულყოფილი თავისუფლების აუცილებელ და გადამწყვეტ წინაპირობას საზოგადოებრივი ძალების შემეცნება და გარდაქმნა წარმოადგენს.

საზოგადოებრივ ძალებზე პრაქტიკული ბატონობა არის ადამიანის თავისუფლების უკანასკნელი და ძირითადი წინაპირობა. აქ უდიდეს მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი მოქმედება. იგი სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის სრულყოფა-განვითარების ძირითადი ფაქტორია. „მხოლოდ შემეცნება, — წერდა ენგელსი, — საკმაო არ არის იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ძალები საზოგადოების ბატონობას დავუმორჩილოთ. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოქმედებაა საჭირო[1]. საზოგადოებრივი მოქმედების, როგორც თავისუფლების სრულმყოფელი მოღვაწეობის უმაღლეს გამოხატულებას, წარმოადგენს რევოლუციური პრაქტიკა, როგორც „გარემოებათა და ადამიანთა მოქმედების ცვლილებათა თანამთხვევა“.

ცოდნისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობა არის ის საფუძველი, რომლის გარეშე თავისუფლება განუხორციელებელია. იგი თავისუფლების საფუძველიცაა და შედეგიც. შეგნებული აუცილებლობის გასაგნობრივება, ცოდნის პრაქტიკული განსხეულება არის ის ფუნდამენტი, რომელიც თავისუფლების წანამძღვარსა და სამოქმედო გამოვლენასაც წარმოადგენს.

---

1 ფრიდრიხ ენგელსი. ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 380.

თავისუფლების ეს ძირითადი და გადამწყვეტი წანამძღვარი უცნობი იყო მარქსამდელი ფილოსოფიისათვის. როგორც აღვნიშნეთ, მარქსამდელი . მატერიალისტები თავისუფლებას მხოლოდ ბუნების აუცილებლობის შემეცნებას უკავშირებდნენ და ამის იქით არ მიდიოდნენ. საზოგადოებრივი ძალების მოქმედების კანონზომიერების შემეცნება და მისი გათვალისწინებით ადამიანთა ურთიერთობების გარდაქმნა ყურადღების გარეშე რჩებოდა. მათ არ იცოდნენ, რომ ნამდვილი თავისუფლების განხორციელება შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობათა გარდაქმნის გარეშე. ამიტომ ისინი ვერ სახავდნენ რეალურ გზებს ადამიანის განთავისუფლებისთვის. მათ არ ესმოდათ, რომ ანტაგონისტური წარმოებითი ურთიერთობების არსებობის დროს მწარმოებელთა მიერ შექმნილი თავისუფლების წანამძღვრები, კაცობრიობის მატერიალური და კულტურული მონაპოვრები თვით მწარმოებელთა დამონების იარაღად იქცეოდა. ანტაგონისტური წარმოებითი ურთიერთობები სრულ გასაქანს არ აძლევდა არა მარტო მწარმოებლების, არამედ, ასევე მთელი საზოგადოების განვითარებას.

მარქსამდელი მატერიალიზმი ბუნების აუცილებლობის შემეცნებას თავისუფლების გადამწყვეტ ფაქტორად თვლიდა, ხოლო საზოგადოებრივი ძალების შემეცნებას ყურადღებას არ აქცევდა. ზოგიერთი მისი წარმომადგენელი შეეცადა თავისუფლება საზოგადოებრივი პირობებისაგან დამოკიდებულებაში განეხილა, მაგრამ მთავარ მადეტერმინირებელ ფაქტორებად აღიარებულ იქნა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები, რომლებიც თვით მოითხოვდა ახსნას. ჯონ ლოკი საჭიროდ თვლიდა, რომ თავისუფლების შესახებ მსჯელობის დროს გათვალისწინებული ყოფილიყო ის პირობები და შესაძლებლობები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებაში ადამიანის მოქმედებებს. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო ძლიერდება ჟან ჟაკ რუსოს ნააზრევში. იგი ადამიანის თავისუფლების საკითხს სოციალურ ინსტიტუტებთან კავშირში განიხილავდა. ამ თვალთახედვით იგი ცდილობდა გაერკვია საკითხი იმის თაობაზე, თუ რატომ ხდება, რომ ადამიანი იბადება თავისუფალი, მაგრამ იგი ყველგან ბორკილებშია.

მთავარი ყურადღება აღნიშნულ მოაზროვნეებს გადაჰქონდათ საკუთრებაზე, სამართალზე და სახელმწიფოზე, რომელთა სოციალური წარმოშობა და საზოგადოებრივი შინაარსი არ იყო ახსნილი. მიუხედავად ამისა, მათი დამსახურებაა ის, რომ ადამიანის თავისუფლება მათ მიერ განხილულ იქნა „მჭიდრო კავშირში სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებთან, მართლწესრიგთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, ერთი სიტყვით, სოციალ-ისტორიული სინამდვილის სავსებით კონკრეტულ მოვლენებთან"[1].

თავისუფლების სოციალური საფუძვლების მეცნიერული გამოკვლევა და მისი განხორციელების გზების დასახვა დაკავშირებულია მარქსიზმის წარმოშობასთან. ისტორიული მატერიალიზმის, როგორც საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ მოძღვრების შექმნამ, რომელიც რევოლუციურ გადატრიალებას წარმოადგენდა ფილოსოფიაში, დასაბამი მისცა კაცობრიობის მსვლელობას თავისუფლების სამეფოსაკენ. მარქსიზმმა საზოგადოების განვითარების კანონზომიერების აღმოჩენის საფუძველზე დაასაბუთა ადამიანთა მატერიალური ურთიერთობების გარდაქმნისა და სრულყოფის გზით ყველასათვის თავისუფლების განხორციელების შესაძლებლობა.

თანამედროვე მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების უაღრესად სრულყოფილი ტექნიკის პირობებშიც კი თავისუფლება განუხორციელებელია. თავისუფლება არსებულ ვითარებაში მხოლოდ ფორმალურ შესაძლებლობად რჩება. მისი სინამდვილედ გადაქცევისათვის საჭიროა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების შემეცნებაზე დაფუძნებული რევოლუციურ-გარდამქმნელი მოქმედება. თანამედროვე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებობს თავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარი — მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები, მაგრამ ადამიანები ჯერ კიდევ ვერ გაბატონებულან თავიანთ ურთიერთობებზე და თავისუფლებაც მიუღწეველია. თავისუფლების ამ გადამწყვეტი, საბოლოო

---

[1] Н. В. Мотрошилова. Познание и общество, М., 1969, стр. 207—208.

წინაპირობის შექმნა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ბუნების აუცილებლობის შემეცნება და მასზე პრაქტიკული გაბატონება. მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მონაპოვრები მშრომელთა ინტერესებისათვის შეიძლება რეალიზებულ იქნეს მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანები თავიანთი საზოგადოებრივი ურთიერთობის ბატონები გახდნენ.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის დროს საზოგადოებრივ ძალებზე მათი გაბატონება შეუძლებელია. ადამიანები ბრმა აუცილებლობის მონები არიან. საზოგადოების კონტროლი ობიექტურად მოქმედ ძალებზე განუხორციელებელია. კონკურენციისა და კერძო ინტერესების ბატონობის პირობებში ამ მიმართულებით რაიმე არსებითი, რადიკალურ ღონისძიებათა გატარება არ ხერხდება. თვით საწარმოო ძალთა ზოგიერთ სფეროში მაღალ განვითარებასაც არ მივყავართ მწარმოებელთა და საერთოდ საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, ანტაგონისტურ საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგია ხელს უწყობს ცალკეულ ინდივიდთა ბატონობის განმტკიცებას მთელი საზოგადოების საზიანოდ.

საზოგადოების ყველა წევრის თავისუფლების განხორციელებისათვის უნდა არსებობდეს არა მარტო მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები, არამედ საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ მოძღვრება, რომელიც გზას გვიჩვენებს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდასაქმნელად, აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში გადასასვლელად. ამ გადასვლას თავისი კანონზომიერება აქვს, რომელიც ფილოსოფიური შემეცნებით დგინდება. „აუცილებლობის თავისუფლებაში გადასვლა, — წერდა პლეხანოვი, — ხდება გარკვეული კანონების მიხედვით, რომელიც აღმოჩენილი უნდა იქნეს თეორიული ფილოსოფიის მიერ“[1].

კაცობრიობის ხანგრძლივი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის ღრმა მეცნიერული ანალიზისა და განზოგადების

---

[1] Г. В. Плеханов. Избранные философские произведения в пяти томах, т. I, 1956, стр. 595.

შედეგად შექმნილი მარქსისტული მოძღვრება წარმოადგენს იმ თეორიულ საფუძველს, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა თავისუფლების სამეფოს — კომუნიზმის აშენების გარდუვალობა და დასახა რეალური გზები მისი განხორციელებისათვის. მარქსისტულმა მოძღვრებამ ისტორიას ჩამოაცილა ის საბურველი, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ფარავდა. აურაცხელ საზოგადოებრივ მოვლენათა ურთიერთმოქმედებაში აღმოჩენილი იქნა ძალთა ის ტოლქმედი, რაც საზოგადოებისა და პიროვნების თავისუფლების განვითარებას განაპირობებდა. მითითებულ იქნა იმ გზებსა და საშუალებებზე, რომელთა მეოხებით შესაძლებელია ადამიანებისათვის უცხო, თვით მათ მიერვე შექმნილ ძალთაგან მომდინარე გარეგანი იძულების თავიდან აცილება და კაცობრიობის მიერ მოპოვებული უდიდესი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის მისივე სასარგებლოდ გამოყენება.

თავისუფლების პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, მაგრამ მათი კლასობრივი შეზღუდულობის გამო მიზანი მიუღწეველი დარჩა. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ კლასობრივი შეზღუდულობისაგან თავისუფალი, მეცნიერულ ფუნდამენტზე დაფუძნებული მარქსისტული ფილოსოფიის მიერ. იგი არის თავისუფლების სრულიად ახლებური თეორია, რომელსაც ადამიანთა განთავისუფლების გადამწყვეტ პირობად მიაჩნია ადამიანთა არა მხოლოდ თეორიული მოღვაწეობა, არამედ მასთან განუყოფლად დაკავშირებული არსებული სინამდვილის გარდაქმნისაკენ მიმართული პრაქტიკული მოქმედება. მისთვის წამყვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ურთიერთობების გარდაქმნისაკენ მიმართული რევოლუციური პრაქტიკა.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ აჩვენა ადამიანის არსებობის ბუნებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შექმნის რეალური გზები და ამით გადაწყვიტა კაცობრიობის წინაშე მდგარი უძნელესი პრობლემა. მან მეცნიერულად დაასაბუთა მატერიალურ ურთიერთობათა გარდაქმნის აუცილებლობა საზოგადოების ყველა წევრის განთავისუფლებისათვის. მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით არსებულ ურთიერ-

ობათა შეცვლა და მის ადგილას ახლის დაფუძნება დასაბამს აძლევს ახალ ადამიანს, მისი თავისუფლების შემდგომ სრულყოფა-განვითარებას. საწარმოო ძალთა განვითარების მაღალი დონე სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა არსებობის დროს წარმოადგენს საზოგადოებისა და პიროვნების თავისუფლების ძირითად საფუძველს. მარქსისტული მოძღვრების სახით პროლეტარიატმა უდიდესი თეორიული იარაღი მოიპოვა, რომლითაც შესაძლებელი გახდა კაცობრიობისათვის მომავლისაკენ გზის გაკვალვა. ამ ახალი თეორიით პროლეტარიატმა გაასაზრისა თავისი არსებობა, გააცნობიერა თავისი დანიშნულება; შეიგნო თავისი ისტორიული მისია და რუსეთში განხორციელებული სოციალისტური რევოლუციით სათავე დაუდო კაცობრიობის თავისუფლების სამეფოსაკენ მსვლელობას.

მარქსიზმის მოძღვრება კლასთა ბრძოლაზე, სოციალისტურ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე და ა. შ. გამსჭვალულია ერთი უმთავრესი მიზნით: მოსპოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და შექმნას პირობები საზოგადოების ყველა წევრის თავისუფალი განვითარებისათვის. უმაღლესი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებმა შეძლონ ყოველმხრივ განავითარონ თავიანთი ნიჭი და უნარი. პროლეტარიატის კლასობრივმა ბრძოლამ უნდა მიგვიყვანოს ისეთი პირობების შექმნამდე, როდესაც საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა ექნება თავისუფლად ისარგებლოს არსებული მატერიალური და სულიერი სიკეთით. პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედება არა მარტო სპობს ამ უმაღლესი მიზნის განხორციელებისათვის ხელშემშლელ გარემოებებს, არამედ, რაც მთავარია, ქმნის პირობებს ადამიანთა შინაგან ძალთა გაფურჩქვნა-განვითარებისათვის.

პროლეტარიატის დიქტატურა არის თავისუფლების სამეფოს დამკვიდრების უმთავრესი საშუალება. იგი მოწოდებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირეული გარდაქმნისათვის. მისი წარმატება განპირობებულია იმით, რომ იგი მოქმედებს ობიექტურ აუცილებლობაზე დაყრდნობით, საზოგადოებაში მოქმედი კანონების შესაბამისად. საზოგადოების განვითარების კანონზომიერების ცოდნაზე დაფუძნებული მოლ-

ვაწეობა გამორიცხავს კონფლიქტებს წარმოების ორ მხარეს შორის და მის განვითარებას ფართო გასაქანს აძლევს. პროლეტარიატის სახელმწიფო შეგნებულად იყენებს ობიექტურ კანონებს. იგი ძირეულად ცვლის არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ქმნის პირობებს პიროვნების თავისუფლების დასაფუძნებლად. იგი თვით მწარმოებლებს ხდის მდგომარეობის ბატონ-პატრონად და უჩვენებს მათ წინსვლის გზას.

საზოგადოებრივი საკუთრებაჲ წარმოების საშუალებებზე განაპირობებს საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესთა ერთიანობას. მატერიალური დოვლათის წარმოება მთელი საზოგადოების კონტროლს ექვემდებარება და წარმოებული პროდუქტების განაწილება საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინებით ხდება. პროლეტარიატის დიქტატურა ობიექტურ კანონებს იყენებს მშრომელთა ინტერესებისათვის, რაშიც ვლინდება ამ ახალი საზოგადოების წევრთა კონკრეტული თავისუფლება.

მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომით ადამიანისა და მისი სხვადასხვა მხარის შესახებ მეცნიერულად ღრმად დასაბუთებული სახელმძღვანელო დებულებები მოგვცა. ადამიანი გაგებული იქნა არა როგორც აბსტრაქტული არსება, არამედ როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტი. იგი წარმოგვიდგა როგორც გარკვეულ გარემოებებში მოქმედი, მწარმოებელი სუბიექტი, რომელიც ერთი მხრივ თვით არის განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ხოლო მეორე მხრივ თვით არის ამ ურთიერთობათა ცვლილების სუბიექტი. ამის გამო, მარქსისტულ მოძღვრებაში ძირითად ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს საკითხი საზოგადოებრივი ყოფიერების შეცვლის გზით ადამიანთა ახლებურად აღზრდისა და მისი თავისუფლების სრულყოფა-განვითარების შესახებ. „თუ ადამიანის ხასიათი იქმნება გარემოებებით, მაშინ ეს გარემოებები ადამიანური უნდა გავხადოთ"[1].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. второе, 1955, т. 2, стр. 145—146.

ის გარემოება, რომ მარქსისტული მოძღვრება წინა პლანზე აყენებს საზოგადოებრივი ყოფიერების შეცვლის საკითხს, სრულიად არ ნიშნავს თავისუფლების პრობლემის უგულებელყოფას. იგი მიუთითებს იმაზე, რომ ახალი ადამიანისა და მისი თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელია ადამიანური პირობების შექმნა. სოციალისტური რევოლუციის ნეგატიური ღონისძიებების შემდეგ, რაც დრომოჭმულისა და ხელშემშლელი ფაქტორების მოსპობისაკენ იყო მიმართული, დღის წესრიგში დადგა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების შექმნის საკითხი, ურომლისოდაც უმაღლესი მიზნის მიღწევა — საზოგადოებისა და პიროვნების ნამდვილი თავისუფლების განხორციელება შეუძლებელია.

მარქსისტული მოძღვრების მიხედვით ნამდვილი თავისუფლების განხორციელება შესაძლებელია ნამდვილ სამყაროში, ნამდვილი საშუალებებით სათანადო პირობების მომზადებით. ადამიანი თავისუფალი ხდება მაშინ, როცა ისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და საზოგადოების თითოეული წევრი იშრომებს საზოგადოებისა და თავისთავის საკეთილდღეოდ. ადამიანი თავისუფალი ხდება მაშინ, როცა იგი წარმოების საშუალებებს დაეუფლება და შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მმართველობაში, თვით განაგებდეს თავის შრომის ნაყოფს და თავის ბედს, ბატონობდეს თავის თავზე და ავითარებდეს თავის უნარს. ასეთ პირობებში ყველა საშუალება ადამიანის ყოველმხრივი განვითარების მიზანს ექვემდებარება.

ადამიანის ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ მაშინ განხორციელდება, „როცა საზოგადოება ყველა საწარმოო საშუალებას დაეუფლება, რათა იგი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გეგმაშეწონილად გამოიყენოს, იგი მოსპობს ადამიანთა დღემდე არსებულ დამონებას მათივე საკუთარი საშუალებების მიერ... მწარმოებლური შრომა ადამიანის დამონების მაგივრ ადამიანის განთავისუფლების საშუალებად გადაიქცევა, რადგანაც იგი თითოეულ პიროვნებას შესაძლებლობას მიანიჭებს ყველა მიმართულებით განავითაროს და აამოქმედოს ყოველი თავი-

�უნარი, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი"[1] (ხაზი ჩემია, გ. რ.).

ანტაგონისტური წარმოებითი ურთიერთობების ლიკვიდაციით ისპობა უმცირესობის ნებისყოფისადმი უმრავლესობის დაქვემდებარება და არსებული სიმდიდრე ხელმისაწვდომი ხდება საზოგადოების ყველა წევრისათვის. ეს კი საშუალებას აძლევს მათ ყოველმხრივ გაშალონ და განავითარონ თავიანთი ნიჭი, წარმართონ ცხოვრება გეგმაზომიერად, მეცნიერული მოსაზრებების მიხედვით. სწორედ ასეთ პირობებში ადამიანები თავიანთი საზოგადოებრივი ყოფის, თავიანთი თავის ბატონები ანუ თავისუფალი ხდებიან.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგად მოპოვებული უდიდესი ტექნიკური და მეცნიერული მიღწევები, ანტაგონისტურ საზოგადოებაში ხალხის დიდი უმრავლესობისთვის თავისუფლების მხოლოდ ფორმალურ შესაძლებლობას წარმოადგენს. არსებულის პირობებში შეუძლებელია რეფორმებისა და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის დროს საზოგადოებაში წარმმართველია ცალკეულ ადამიანთა ინტერესები. ეს ინტერესები თავს აქვს მოხვეული მთელ საზრგადოებას. მესაკუთრეთა ქმედებანი საზოგადოების კონტროლს არ ექვემდებარებიან და საზოგადოებრივ განვითარებას სტიქიური ხასიათი აქვს. ასეთ პირობებში გარემომცველ საგნებსა და მოვლენებზე შედარებითი ბატონობის შესაძლებლობები აქვთ კერძო მესაკუთრეებს. მათ განკარგულებაში არსებული მატერიალური დოვლათი არის ის უდიდესი ძალა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მათ მორჩილებაში იყოლიონ საზოგადოების უმრავლესობა და მაქსიმალურად გამოიყენონ ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა მიზანდასახული, გეგმაზომიერი პრაქტიკული მოღვაწეობა შეუძლებელი ხდება. საზოგადოებრივი პროცესები სტიქიურ ხა-

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 351—352.

სიათს ატარებს და როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეულ პირთა ნამდვილი თავისუფლება მიუღწეველია.

ასეთ ვითარებაში თვით მესაკუთრეთა თავისუფლებაც მხოლოდ ილუზიაა. მათი მოქმედებათა თავისუფლება მხოლოდ შემთხვევითობას ემყარება და უმეტესწილად თვითნებობას წარმოადგენს. თვითნებობა არის სუბიექტის მიერ თავისი მიზნებისა და ინტერესების თავს მოხვევა გარემომცველი პროცესებისა და ადამიანებისადმი. იგი არ გამომდინარეობს აუცილებლობის შეცნობიდან და ამდენად საზოგადოების ინტერესებისადმი დაპირისპირებულია. მქონებელ კლასთა თვითნებობას უმთავრესად ადგილი აქვს ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, რომლის კონცენტრირებულ გამოხატულებას პოლიტიკა წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს ეხება მითვისებასა და მოხმარებას. კლასთა ბრძოლა უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ ურთიერთობათა შეცვლისაკენ მიმართული მოქმედებაა. „ყოველი კლასობრივი განმათავისუფლებელი ბრძოლა, მისი აუცილებელი პოლიტიკური ფორმის მიუხედავად, — იმიტომ რომ ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, — ბოლოს და ბოლოს ეკონომიკურად განთავისუფლების გარშემო ტრიალებს"[1].

მარქსი და ენგელსი მეცნიერული კომუნიზმის პირველ ფუძემდებლურ საპროგრამო დოკუმენტში „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" ყოველი რევოლუციური მოძრაობის ძირითად საკითხად სწორედ საკუთრების საკითხს აყენებდნენ. ყველა დანარჩენი საკითხის გადაწყვეტა მასთანაა დაკავშირებული. კერძო საკუთრების მოსპობა მარქსისა და ენგელსის აზრით სათავეს უდებს ნამდვილ ადამიანურ ურთიერთობებს. მას მოყვება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის, ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაცია. თავისუფლების სამეფოს შექმნა ამ უძნელესი და უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტით იწყება. „თანამედროვე ბურჟუაზიული კერძო საკუთრება, — წერდნენ მეცნიერული კომუნიზმის ფეძემდებლები, — არის უკანასკნელი და უსრულესი გამოხატულება პროდუქტთა

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, 1964, ტ. II, გვ. 481.

ისეთი წარმოებისა და მისაკუთრებისა, რომელიც დამყარებულია კლასობრივ წანააღმდეგობაზე, ერთის მიერ მეორეს ექსპლოატაციაზე. ამ აზრით კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია ერთი დებულებით გამოხატონ: კერძო საკუთრების მოსპობა"[1] (ხაზი ჩემია, გ. რ.). მთელი მსოფლიოს სოციალისტური მოძრაობა ემყარება იმ ფუძემდებლურ დებულებას, რომ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების დროს სამართლიანი საზოგადოება არ აშენდება. მარქსმა არა მარტო მეცნიერულად დაასაბუთა ეს დებულება, არამედ აჩვენა სამართლიანი საზოგადოების აშენების გზები.

კაცობრიობის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე მტკიცედ დაფუძნებული კერძო საკუთრების მოსპობა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ბუნების ურთულეს პროცესთა და მასში მოქმედ ძალთა შემეცნება და მათი ადამიანთა სამსახურში ჩაყენება. ბუნების საგნები და მოვლენები თუმცა მარადიულ ცვალებადობას განიცდიან, მაგრამ მაინც ინერტულ აუცილებლობას ექვემდებარებიან. ეს აადვილებს მათ შემეცნებას, გარდაქმნასა და ადამიანთა ინტერესებისათვის გამოყენებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანი ნებსით თუ უნებლიეთ იძულებულია ბუნების აუცილებლობას შეეგუოს. „ბუნების აუცილებლობა პირველადია, ხოლო ადამიანის ნება და ცნობიერება — მეორადი. ეს უკანასკნელნი გარდუვალად პირველს უნდა შეეგუონ"[2].

რა მაღალგანვითარებული მეცნიერული ცოდნაც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, იგი ვერასოდეს ვერ შეაჩერებს ბუნების კანონთა მოქმედებას. მას შეუძლია თავიდან აიცილოს ან თავის მიზნებისთვის გამოიყენოს იგი. ბუნების კანონზომიერების, მისი აუცილებლობის შეცნობა სწორედ ამ მიზანს ისახავს. რაც შეეხება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში მოქმედ კანონებს, ისინი ბუნების კანონთაგან განსხვავებით დროებითი ხასიათისაა. ეს კანონები მოქმედებენ მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა, მატერიალურ ურთიერთობათა არსებობის

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, 1971, ტ. I, გვ. 143.

2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 233.

დროს. გარემოებანი კი მუდმივად იცვლებიან ადამიანთა მიერ, რაც განსაზღვრავს ცალკეულ საზოგადოებრივ ფორმაციებში მოქმედ კანონთა წარმავალ ხასიათს. ერთი სახის წარმოებით ურთიერთობათა მეორეთი შეცვლას თან სდევს მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერების შეცვლაც.

სოციალისტურ რევოლუციამდე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისა და მათში მოქმედი კანონების ცვალებადობა სტიქიურად მიმდინარეობდა. ადამიანთა მოღვაწეობას თან სდევდა ისეთი ცვლილებები საზოგადოების ბაზისსა და ზედნაშენში, რომლებიც მათ თავდაპირველად არ ჰქონდათ დასახული. როდესაც ფეოდალიზმის დროს ადამიანები აუმჯობესებდნენ და ქმნიდნენ ახალ იარაღებს, მათ არ იცოდნენ, რომ ეს მთელი საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნას გამოიწვევდა. დრომოჭმული წარმოებითი ურთიერთობების პროგრესულით შეცვლას, რომელიც მძაფრი კლასობრივი ბრძოლების საფუძველზე ხდებოდა, თან სდევდა განვითარების დამაჩქარებელი კანონების ამოქმედება. აღნიშნული შეცვლის აუცილებლობის გაცნობიერებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ რევოლუციის პერიოდებში.

ანტაგონისტურ საზოგადოებაში მოქმედი კანონების მოხსნისა და მის საფუძველზე ახლის დაფუძნების სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების გარკვეული ძალები — მჭონებელი კლასები სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან მათთვის მისაღები წარმოებითი ურთიერთობების, საკუთრების ურთიერთობების შენარჩუნებით. ამისათვის ისინი მაქსიმალურად იყენებენ მათ ხელში არსებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საშუალებებს.

კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოებითი ურთიერთობათა სისტემა ფლობს უდიდეს შესაძლებლობებს თავისთავის შესანარჩუნებლად. ამას განსაზღვრავს ძირითადად მჭონებელ კლასთა ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება და მათგან გამომდინარე შესაძლებლობები. ამ კლასის თითოეული წარმომადგენელი საკუთარი ბატონობის, პირადი თავისუფლების გაფართოების მიზანს ისახავს. არამჭონებელი კლასები კი ებრძვიან მათ. პირად ინტერესთა განსხვავებისა და დაპირისპირებულობის გამო საზოგადოებრივი პროცესები უაღრე-

სად დინამიურნი არიან და სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებენ. ეს ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ისინი თითქოს არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარებიან.

დრომოჭმული წარმოებითი ურთიერთობების გარდაქმნას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ გაბატონებული კლასების წარმომადგენლები. მათ ხელში არსებულ წარმოების საშუალებებს, სიმდიდრეს და სახელმწიფო ორგანოს ისინი იყენებენ თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად. ბუნებაში მოქმედი აუცილებლობა, მისი საგნები და მოვლენები მათი გარდაქმნისაკენ მიმართული მოქმედების დროს ასეთ რეაქციას არ იწვევს. ისინი არაფრით არ არიან „დაინტერესებული", პასიური, ინერტული არიან და მოქმედებენ ერთი გარკვეული მიმართულებით, რაც აადვილებს მათ შეცნობას და ადამიანის ინტერესებისთვის გამოყენებას.

ფილოსოფია ბუნებისმეტყველებისაგან განსხვავებით ძირითადად საზოგადოების გარდაქმნის ამოცანას ისახავს, რაც მას დიდი სიძნელის წინაშე აყენებს. მას უხდება სინამდვილის ამ ყველაზე ურთულეს სფეროში კანონზომიერების დადგენა და მისი შეცნობის გზით განვითარების სასურველი მიმართულებით წარმართვა. ფილოსოფიის ამოცანათა სიძნელეს ნათლად გვიჩვენებს კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორია. იმ დროს, როდესაც ბუნებისმეტყველებამ ადამიანებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში უდიდესი მონაპოვრებით გზა გაუხსნა ბუნებაზე ბატონობისაკენ, მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობამდე ვერც ერთმა ფილოსოფიურმა სისტემამ ვერ შეძლო მიეთითებინა პიროვნებისა და საზოგადოების განთავისუფლების გზებზე. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი მის სხვადასხვა სფეროში განვითარების დაბალ დონეზე რჩებოდნენ იმ დროს, როდესაც ბუნებისმეცნიერება ადამიანის ბუნებაზე ბატონობას უდიდეს შესაძლებლობებს უსახავს.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ ბოლო მოუღო ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებათმეცნიერების განვითარებას შორის არსებულ შეუსაბამობას. მან მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ადამიანთა მიერ თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ბატონობა, საზოგადოების განვითარების გეგმაზომიერი

წარმართვა, წარმოადგენს იმ უკანასკნელ და ძირითად წინაპირობას, რომელიც განსაზღვრავს საბოლოო ჯამში ადამიანთა პუნებაზე და თავიანთ თავზე ბატონობას. მას შემდეგ, რაც ადამიანები შეგნებულად წარმართავენ საზოგადოებრივ პროცესებს და თავს აღწევენ საზოგადოების განვითარების სტიქიურ ძალთა ზემოქმედებას, ხდებიან ბუნებისა და თავისთავის ბატონები, ხდებიან თავისუფალნი.

ადამიანის თავისთავზე ბატონობის დროს გვაქვს სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა სრულყოფილი ერთიანობა. პიროვნების შინაგან მოწოდებასა და განხორციელებულ მოქმედებებს შორის არსებობს შესაბამისობა, თანხვდომა. თავისუფლების ობიექტური მხარე — აუცილებლობა სუბიექტის შინაგან აუცილებლობადაა გადაქცეული. პირველი ექვემდებარება მეორეს, მაგრამ იგი იძულებით ხასიათს არ ატარებს. ორივე მხარე ერთმანეთისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ აქტიური, წარმმართველი როლი სუბიექტს ეკუთვნის. სუბიექტი თავის მოქმედებებს ახორციელებს შინაგანი მოწოდების კარნახით და ეს არ იწვევს ობიექტური მხარის „პროტესტს". სუბიექტის ნდომას, სწრაფვას, მიდრეკილებას შეესატყვისება მისი მოქმედებები და ის გარემოებები, რომლებშიც ეს მოქმედებები ხორციელდება. ადამიანი ხდება ისეთი, როგორადაც ყოფნა სურს მას და ეს არ იწვევს დაბრკოლებას სინამდვილეში. ამ დროს პიროვნება თავისუფალია, თავისი თავის ბატონია[1].

თავის თავზე ბატონობის ცნებაში მარქსისტული მატერიალიზმი სულ სხვა შინაარსს დებს, ვიდრე მარქსამდელი მატერიალიზმი. მაგ. სპინოზა ადამიანის თავისთავზე ბატონობაში გულისხმობდა გონების გრძნობებზე შეუზღუდველ ბატონობას, გრძნობათა და ვნებათა დაძლევას. გონებისა და გრძნობის ასეთი დაპირისპირება გაუმართლებელია. სრულყოფილად განვითარებული ჰარმონიული პიროვნებისათვის გონებისა და გრძნობის გათიშვა მიუღებელია.

გონების წარმმართველი როლის აღიარება არ ნიშნავს გრძნობათა დათრგუნვას. გონებამ უცილობლად ანგარიში უნდა

---

[1] საყურადღებოა, რომ ქართულ ენაში სიტყვა—თავისუფლება პირდაპირ გადმოსცემს ამ ცნების უარსებითეს ნიშანს — ადამიანის თავის თავზე ბატონობას. თავისუფალი ნიშნავს თავისი თავის ბატონს.

გაუწიოს მათ, მაგრამ თვით გრძნობა ისეთნაირად უნდა იყოს აღზრდილი, რომ გონების მოთხოვნას ესადაგებოდეს. მართალია, ადამიანის ხუთი გრძნობა სოციალური პროდუქტია, მაგრამ იგი თავის გენეზისით ცხოველურია. რაც შეეხება გონებას, იგი ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით მთლიანად სოციალურის პროდუქტია. გონება ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ არსებას ახასიათებს მხოლოდ და ეს საზოგადოებრივი არსება — ადამიანი წარმართული და რეგულირებული უნდა იყოს გონების მიერ. გონება ორგანული ბუნების განვითარების უმაღლესი საფეხურია, მისი გვირგვინია და უფლებამოსილია განაგებდეს გრძნობებს.

გონებისა და გრძნობის გათიშვას ადგილი ჰქონდა იდეალისტურ ფილოსოფიაში. იგი ანტაგონისტურ საზოგადოებაში არსებულ ბატონობა-მორჩილების გამოხატულებას წარმოადგენდა. ამას ხელს უწყობდა რელიგია. იგი სხეულის დათრგუნვას და მასზე სულის განუსაზღვრელ ბატონობას ქადაგებდა. სხეულებრივი გრძნობადი მოთხოვნილებების უგულებელყოფა რელიგიის ძირითად მოთხოვნად იყო გადაქცეული, რამაც იდეალიზმის უკიდურესი ფრთის წარმომადგენელის ფრიდრიხ ნიცშეს პროტესტიც კი გამოიწვია. ნიცშე წინ აღუდგა სხეულისა და სულის გათიშვა-დაპირისპირების რელიგიურ მოთხოვნას და გრძნობათა ემანსიპაცია მოითხოვა. თავისი კლასობრივი შეზღუდულობისა და ამოსავალი პოზიციის მცდარობის გამო იგი მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა. ნიცშემ უპირატესობა ინსტინქტებს მიანიჭა და გონების როლი უგულებელყოფილ იქნა. მან ვერ შეძლო გაეგო გონებისა და გრძნობის გათიშვის სოციალური საფუძველი და ამის გამო ვერც მათი გამაერთიანებელი თეორია შექმნა.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ აჩვენა, რომ ანტაგონისტურ საზოგადოებაში გონებას არა აქვს გრძნობათა მართვის შესაძლებლობა მათი მოთხოვნილებათა სწორად შეფასებისა და გათვალისწინების გზით. პირიქით, გრძნობები ობიექტების გზით თავს ახვევენ გონებას თავიანთ ნებას. გრძნობათა მოთხოვნილებები ნივთთა ურთიერთობებით რეგულირდება. გარეგანი, თვით ადამიანთა მიერ შექმნილი ობიექტები, გონების წარმმართველად გვევლინება. ადამიანები მათ მიერ შექმნილი საზოგა-

დოებრივი მატერიალური ურთიერთობების მონები ხდებიან. საზოგადოების წევრთა დიდი უმრავლესობა არსებობის შენარჩუნების ინსტინქტებით მოქმედებს, რაც განაპირობებს გრძნობათა გონებაზე ძალადობას. ცხოვრების საშუალებები, რომელთა მოქმედება ყველაზე მძაფრად გრძნობებზე განიცდება, თვითმიზნადაა გადაქცეული და გონებას იქვემდებარებს. გონება ნივთთა საშუალებით ახდენს ყველაფრის შეფასებას. ასეთ პირობებში ადამიანის მოწოდება, მისი იდეალები მათი განხორციელების საშუალებებისადმი დაქვემდებარებული ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი როგორც გონიერი არსება არ არის თავისი მოქმედების წარმმართველი, თავისი თავის ბატონი. პირიქით, იგი გარეგანი ძალების ბატონობას განიცდის. სუბიექტი, რომლის ბირთვს გონება წარმოადგენს, თვით ემორჩილება გარეგან ძალებს.

გონების გრძნობებთან თანამშრომლობაზე დაფუძნებული მოღვაწეობა ხორციელდება იმ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე. აქ ნივთთა ურთიერთობებით განსაზღვრული ადამიანისადმი დაპირისპირებული უცხო ძალები წყვეტენ მოქმედებას. გონება გრძნობათა მოთხოვნილებების შეფასებას არა ნივთების, არამედ თვით ადამიანთა შინაგანი მოწოდების გზით ახდენს. ადამიანის გრძნობები ადამიანის სოციალური ბუნების შესატყვისი ხდება. ადამიანი თავს აღწევს მისივე შექმნილი ობიექტების ბატონობას და თვით მბრძანებლობს მათზე. „კერძო საკუთრების გაუქმება, — წერდა მარქსი, — მოასწავებს ყველა ადამიანური გრძნობისა და თვისების სრულ ემანსიპაციას, მაგრამ იგი წარმოადგენს ამ ემანსიპაციას სწორედ იმიტომ, რომ ეს გრძნობები და ეს თვისებები გახდნენ ადამიანური, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური აზრით“[1].

გრძნობათა სრული ემანსიპაცია არ ნიშნავს მათი შემზღუდველი ყველა ბარიერის მოხსნას. იხსნება ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან თვით გრძნობათა განვითარებას და მათ გონებასთან თანამშრომლობას. გრძნობათა მთელი რიგი შეზ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, М., 1974, т. 42, стр. 120.

ლუდვები კლასობრივ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა, განმტკიცდა და გაბატონებული კლასების იდეოლოგიითაა სანქცირებული, რაც გონების წარმმართველი როლის მოჩვენებითობას ქმნის. გონებას მხოლოდ მაშინ აქვს შესაძლებლობა მართოს გრძნობები, როდესაც მისი მოთხოვნები თვით ადამიანთა ყოველმხრივი განვითარების ინტერესებითაა ნაკარნახევი. გონება, როგორც მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმის, სოციალური მოძრაობის გამოხატულება, თვით ადამიანთა საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიდან გამოსული ზღუდავს ან გასაქანს აძლევს გრძნობათა მოქმედებას, რასაც საფუძველი ეყრება სოციალისტურ საზოგადოებაში.

კომუნიზმის დროს საზოგადოებრივი ინტერესებით ან მათთან თანხმობაში მყოფი მიზნებისა და იდეალების საფუძველზე გრძნობათა მართვა და თვითშეზღუდვა სრულიადაც არ იქნება გარეგანი იძულება ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. იგი თვით ადამიანთა ყოველმხრივი განვითარების მოთხოვნილებებით იქნება განსაზღვრული. საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი მიზნები და იდეალები ამაღლებს გონებას გრძნობათა სამყაროზე. ზღუდავს მათ უკონტროლო „თავისუფალ" მოქმედებას და წარმართავს მას თვით ადამიანთა ძალების ჰარმონიული განვითარების მიმართულებით. მასში ვლინდება ადამიანის მარადიული მისწრაფება სრულყოფისაკენ.

გონებისა და გრძნობის თანაფარდობა პიროვნების ცხოვრებაში ძირითადად დამოკიდებულია არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობების ხასიათისა და მისგან გამომდინარე აღზრდის შინაარსსა და სისტემაზე. აღზრდას უდიდესი როლი ენიჭება პიროვნების თავისუფლების სრულყოფა-განვითარების საქმეში.

სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში გონების მიერ გრძნობების მართვის შესაძლებლობები განსხვავებულია როგორც ცალკეული კლასების წარმომადგენელთათვის, ასევე ერთი და იმავე კლასის სხვადასხვა ინდივიდთათვის. ანტაგონისტურ და არაანტაგონისტურ საზოგადოებებში ისინი სავსებით საპირისპირონი არიან. გონების როგორც შეცნობილი აუცილებლობის საფუძველზე გარემოებებზე ბატონობა, რაც გრძნობათა აღზრდასა და მართვაში ვლინდება, შე-

საძლებელი ხდება ექსპლოატაციისაგან თავისუფალ საზოგადოებაში. მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება ქმნის პირობებს ადამიანის გონების კარნახით მოქმედებისათვის. მხოლოდ აქ შეუძლია გონებას მართოს გრძნობები მთელი საზოგადოების ინტერესების და მათთან თანხმობაში მყოფი საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების საფუძველზე. ნივთებიდან მომდინარე გარეგანი იძულება უქმდება და ადამიანის ყოველი ქმედება აუცილებლობასთან შეთანხმებული შინაგანი მოწოდების რეალიზაციად გვევლინება. ადამიანები ერთმანეთს ანგარიშს უწევენ არა ნივთთა, არამედ თვით თავიანთი განვითარების მოთხოვნილებათა საფუძველზე. საზოგადოებრივი ინტერესები ყოველთვის გარკვეულ კომპენსაციას მოითხოვს პიროვნებისაგან, როგორც შრომაში, ასევე ყოფაცხოვრებით ურთიერთობებში.

ამრიგად, ადამიანის თავისთავზე ბატონობა მდგომარეობს მისი მოღვაწეობის არა მარტო საკუთარი ინტერესების მიხედვით წარმართვაში, არამედ, ასევე ბუნებასა და საზოგადოებაში არსებულ აუცილებლობისადმი დაქვემდებარებული გონების მოთხოვნათა შესრულებაში. საკუთარ თავზე ბატონობა, პირველად ყოვლისა, ადამიანის არსებობისა და განვითარებისათვის ხელშემშლელ და უარყოფით ძალთა თავიდან აცილებაა. ამასთანავე, იგი, რაც მთავარია, ობიექტური აუცილებლობის გათვალისწინებით და პრაქტიკული მოქმედებით სუბიექტის მიზნების განხორციელებაა. თავის თავზე ბატონობისათვის აუცილებელია როგორც ბუნების, ასევე საზოგადოების კანონზომიერების ცოდნა და მისი შეგნებული გამოყენება. მათი განუხრელი დაცვა ყოველი მოქმედების და ქცევის დროს პიროვნების მრწამსად, მისი ყოველდღიური ცხოვრების ჩვევად უნდა იყოს გადაქცეული. პიროვნება მისგან ამოსული და მის მოთხოვნილებებთან შეთანხმებული უნდა ახორციელებდეს პირად მიზნებს. ამ პროცესში ვლინდება სწორედ თვით პიროვნების პირადი შესაძლებლობები, მისი მაღალი განსწავლულობა, ზნეობრივი სახე, მაღალი იდეალები. რაც უფრო ღრმად აქვს პიროვნებას გაცნობიერებული სინამდვილის განვითარების კანონზომიერება, მასში მოქმედი აუცილებლობა და იგი მის რწმენად არის გადაქცეული, მით უფრო ქმედითია მისი

თავისუფლება. ამდენად თავისუფლება არამარტო სინამდვილეზე ბატონობისა და მისგან გარკვეული დამოუკიდებლობის გამოხატულებაა, არამედ იგი ამავე დროს ბუნების, საზოგადოების და მისი წევრების მიმართ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას შეიცავს, იგი თვითდისციპლინაა, თვითაღზრდაა, თავისთავის მართვაა.

თავისუფლება აუცილებლობით აყენებს საკითხს პიროვნების სხვა ადამიანებისადმი პასუხისმგებლობის შესახებ. ადამიანმა უნდა იცოდეს რას ირჩევს და რა შედეგები მოყვება არჩეულის განხორციელებას. პიროვნების გადაწყვეტილების აქტი იმთავითვე შეიცავს პასუხისმგებლობის გრძნობას. პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სხვა ადამიანის წინაშე მოითხოვს პიროვნების ზოგიერთი სურვილის შეზღუდვას, ზოგიერთ „თავისუფალ მოქმედებაზე" ხელის აღებას. თავისთავზე ბატონობა ზნეობრივი თავისუფლების სფეროში ადამიანის ქცევათა დეტერმინირებულობაზე და მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე თვითშეზღუდვის აუცილებლობაზე მიუთითებს. ზნეობრივი თავისუფლება გამოხატავს ქცევის შეფასებას საზოგადოების, მისი წევრების ინტერესების მიხედვით და აქედან გამომდინარე თვითშეზღუდვის საჭიროებას.

ადამიანი ყოველი თავისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელი უნდა იყოს საზოგადოების წინაშე. თვითშეზღუდვა თავისუფლების კომპენსირებას ახდენს, რადგანაც პიროვნების თავისუფლება მხოლოდ საზოგადოებაში არის შესაძლებელი. ადამიანის ქცევა მით უფრო სრულყოფილია, მისი თავისუფლება მით უფრო მყარია, რაც უფრო მეტად ავლენს იგი თავისთავს, პიროვნულს საზოგადოებრივად მისაღების ფარგლებში. ერთის თავისუფლება მეორის მოვალეობას, ხოლო ერთის მოვალეობა მეორის თავისუფლებას განაპირობებს. ისინი ერთმანეთს მსჭვალავენ და ერთმანეთში გადადიან.

რადგანაც ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და მის აუცილებლობას ექვემდებარება, ამდენად მას აბსოლუტურად თავისუფლად, მხოლოდ თავისი ნებით მოქმედება არ შეუძლია. თავისუფალი ადამიანის ყოველი ქცევა ყოველთვის როდია „თავისუფალი", მაგრამ ეს არათავისუფლებას არ ნიშნავს. სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით საკუთარი თავისუ-

ფლების შეზღუდვა არ არის ყოველთვის პირადი თავისუფლების ხელყოფა. პიროვნება ითვალისწინებს სხვა ადამიანთა ინტერესებს და აქედან გამოსული მართავს თავის გრძნობებს, მაგრამ ზიანს არ აყენებს თავისთავს. ე. ი. ადამიანი ბატონობს თავისთავზე საკუთარ და საზოგადოებრივ ინტერესთა ერთიანობით ნაკარნახევი აუცილებლობით. ადამიანის ნამდვილი თავისუფლება შესაძლებელია მაშინ, როცა მისი ქმედება და ქცევა პასუხობს საზოგადოებისა და საკუთარი მეს განვითარების ინტერესებს. ამ ინტერესთა ერთიანობა ასევე არის საფუძველი პიროვნების თავისუფლების სრულყოფა-განვითარებისა.

გონებისა და გრძნობების თანამშრომლობა ხორციელდება მაშინ, როდესაც გრძნობადი მოთხოვნილებების „კანონიერება" ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობისადმი დაქვემდებარებული გონებითაა სანქცირებული. გონებისა და გრძნობების შესაბამისობას, მათ თანამშრომლობას განაპირობებს ის სინამდვილე, რომელშიც პიროვნებას უხდება ცხოვრება. გარემო პირობები ისეთი უნდა იყოს, რომ გონებასთან შესაბამისობაში მყოფი გრძნობად მოთხოვნილებებს მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს. გარემო პირობები თავისთავად არ იქმნებიან. ისინი შედეგია თვით ადამიანთა აქტიური გარდამქმნელი მოღვაწეობისა. ადამიანის თავისთავზე ბატონობისათვის „საკმარისი არ არის, რომ აზრი ისწრაფოდეს სინამდვილეში განხორციელებისაკენ, თვით სინამდვილეც უნდა ისწრაფოდეს აზრისაკენ"[1]. სინამდვილე მაშინ იქნება აზრისაკენ მისწრაფებული, როცა იგი თვით ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით გონებისა და გრძნობის ერთიანობის მოთხოვნილებათა მიხედვით იქნება გარდაქმნილი. აზრისადმი მისწრაფებული სინამდვილე გამორიცხავს კონფლიქტს გონებასა და გრძნობად მოთხოვნილებათა შორის. იგი განაპირობებს მათ ჰარმონიულ ერთიანობას გონების წარმმართველი როლით. კომუნისტური მოძრაობა სწორედ ასეთი სინამდვილის შექმნას ითვალისწინებს.

„მიწიერი სოციალიზმის პირველი დებულება, — წერდა

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, М., 1955, т. 1, стр. 423.

მარქსი, — უარყოფს ემანსიპაციას მხოლოდ თეორიის ანუ ილუზიის სფეროში და ნამდვილი თავისუფლებისთვის გარდა იდეალისტური „ნებისყოფისა“ მოითხოვს ყველასათვის მეტად ხელშესახებ მატერიალურ პირობებს“[1].

ისტორიულად მრავალი აზრი ისწრაფოდა სინამდვილისაკენ, მაგრამ ყველა როდი ხორციელდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სინამდვილე თუმცა წარმოქმნიდა ამ აზრებს, მაგრამ თვით არ იყო მზად მათ მისაღებად. მშრომელი მასების გამუდმებული ბრძოლები თავისუფლებისა და ადამიანური ცხოვრებისათვის მიზანს ვერ აღწევდა. მშრომელი მასების ნამდვილი, საბოლოო და სრული განთავისუფლება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნება მათი აზრების შესაბამისი სინამდვილე. ეს კი განაპირობებს სიტყვისა და საქმის ერთიანობას, როგორც ნამდვილი თავისუფალი ქმედების გამოხატულებას.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში აზრი და სინამდვილე ერთმანეთს ესწრაფვიან, სუბიექტი და ობიექტი სრულყოფილ ერთიანობას მიაღწევენ, თავისუფლებისადმი სწრაფვა არა თუ შეწყდება, არამედ კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. საზოგადოების განვითარების ამ უმაღლეს საფეხურზე თავისუფლების განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობები იქმნება. ამას ძირითადად განსაზღვრავს ადამიანთა ბატონობა თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. საზოგადოების მთელი ენერგია მიმართული ხდება თავისუფლების შემდგომი გაფართოება-გაღრმავებისაკენ, რომელიც უფრო სრულყოფილი სინამდვილის ქმნადობაში ვლინდება.

სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის სრულყოფისადმი მიმართული მოღვაწეობა დაუსრულებელი პროცესია. ერთიანობის შიგნით არსებული ყველა წინააღმდეგობის საბოლოოდ გადაუწყვეტელობა, ერთიანობის მხარეთა სრული თანამთხვევის შეუძლებლობა განაპირობებს სუბიექტის მარადიულ მისწრაფებას თავისთავის სრულყოფისადმი. ადამიანის ყოველი მოქმედება წარმართული ხდება ამ უმაღლესი მიზნის განხორციელებისაკენ. იგი ვლინდება ცხოვრების ყველა სფეროში. თა-

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 2, стр. 104.

ვისთავის სრულყოფის პროცესში წარმოიქმნება ამაღლებული მიზნები და იდეალები, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლა ადამიანის ცხოვრებას შინაარსს, აზრს ანიჭებს.

ამრიგად, ნამდვილი სრულყოფილი თავისუფლება ხორციელდება არა მარტო საზოგადოების და პიროვნების, არამედ ასევე ადამიანისა და ბუნების ინტერესების შესაბამისობის დროს, რაც მჟღავნდება ამ ერთიანობის სოციალური საფუძვლის აუცილებლობის მოთხოვნაში.

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საზოგადოების თავისუფლებას, როგორც საზოგადოების ბუნების ძალებზე ბატონობის მდგომარეობას, განსაზღვრავს და გვიჩვენებს საწარმოო ძალთა განვითარების დონე. პიროვნების სოციალურ-ეკონომიკურ თავისუფლებას, როგორც საზოგადოებრივ ძალებზე მისი ბატონობის მდგომარეობას, უშუალოდ განსაზღვრავს და გვიჩვენებს წარმოებით ურთიერთობათა ხასიათი. ზნეობრივ თავისუფლებას, როგორც პიროვნების თავისთავზე ბატონობას, გონების მიერ გრძნობათა მართვის სრულყოფილებას, განაპირობებს უშუალოდ სუბიექტის შინაგანი სამყაროს სიმდიდრე. ეს უკანასკნელი თვითაა განსაზღვრული ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობის შემეცნების საფუძველზე წარმართული პრაქტიკული მოღვაწეობით, რომელშიც გამოვლენილი სუბიექტ-ობიექტის ერთიანობა საზოგადოების თითოეული წევრის შინაგან აუცილებლობად არის გადაქცეული. ზნეობრივი თავისუფლება არის ბუნებისა და საზოგადოების ძალებზე პიროვნების ბატონობის, როგორც საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კონცენტრირებული გამოხატულება, რომელიც თავის სრულყოფას აღწევს კომუნისტურ საზოგადოებაში.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

თავისუფლება — ადამიანის ცხოვრების საზრისი

„ყოველი ნაბიჯი წინ კულტურის გზაზე იყო ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“.

ფრიდრიხ ენგელსი.

„ცხოვრება თავისუფლების გარეშე არის არარა“.

რომენ როლანი.

1. თავისუფლება — უმაღლესი იდეალი

ადამიანი არის დედამიწაზე ერთადერთი არსება, რომლის მოქმედებები წინასწარმოფიქრებული, შეგნებულად არჩეული მიზნების განხორციელებას წარმოადგენს. საკუთარ გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული მიზანდასახული აქტიური მოქმედების უნარი ადამიანს განასხვავებს არა მარტო ინერტული აუცილებლობისადმი დაქვემდებარებული ბუნებისაგან, არამედ, ასევე ცხოველისგან. ცხოველებსაც ახასიათებს აქტიურობა, რაც მხოლოდ ბუნებასთან შ ე გ უ ე ბ ა შ ი მდგომარეობს. ადამიანის აქტიურობა ცხოველის აქტიურობის საპირისპიროა. ცხოველისგან განსხვავებით, ადამიანი თავისი მოქმედებით გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს გარემომცველ ბუნებას და მას საკუთარ საჭიროებას უგუებს. ცხოველთა აქტიურობა განსაზღვრულია თვით ობიექტების ზემოქმედებით, ხოლო ადამიანისა ხასიათდება სუბიექტის ობიექტზე გარდამქმნელი მოქმედებით და ამ გზით მისი ადამიანისადმი დაქვემდებარებით. ადამიანის აქტიურობა ვლინდება შრომის პროცესში. ცხოველი მარტოდენ სარგებლობს გარეგანი ბუნებით, ადამიანი კი თავის მიერ შეტანილი

ცვლილებით აიძულებს ბუნებას მის მიზნებს ემსახუროს. აქ ით იგი ბუნებაზე ბატონობს. ესაა ადამიანის არსებითი განსხვავება ცხოველისგან, რასაც შრომა იწვევს. „ცხოველმოქმედების (შრომის — გ. რ.) ხასიათი შეიცავს თავისში მოცემული სახის მთელ ხასიათს, ხოლო თავისუფალი შეგნებული მოღვაწეობა სწორედ ადამიანის გვარობრივ ხასიათს შეადგენს"[1].

შრომის პროცესში ადამიანი თავისი ინტერესების შესაბამისად გარდაქმნის და გამოიყენებს ბუნების საგნებს, აქტიური პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობისაკენ მას უბიძგებს თავისი არსებობის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები. ადამიანს არ შეუძლია არსებობა თუ თავისი სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საჭირო საგნები არ შექმნა. იმისათვის, რომ იგი შეეთანაწყოს ბუნებას, მან თავისი მოქმედებით ახალი სინამდვილე უნდა შექმნას. მან უნდა აწარმოოს საარსებო საშუალებები.

ადამიანი მთელი თავისი არსებობის მანძილზე მუდამ სხვადასხვა სიტუაციებში იმყოფება. ეს სიტუაციები მის წინაშე აყენებს ახალ-ახალ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტისაკენ იგი მიმართავს თავის ფიზიკურ და გონით ძალებს. არსებობისათვის ბრძოლის პროცესში წამოჭრილ კითხვებზე პასუხი ადამიანმა თვით უნდა იპოვოს. მარქსის აზრით, თუ ცხოველი თავისი სასიცოცხლო მოქმედების იგივეობრივია, ადამიანი ამ მოქმედებას საკუთარი ცხოვრებისა და ნების საგნად ხდის. ამდენად მისი მოქმედება ცნობიერიცაა და თავისუფალიც. უამისოდ მას არსებობის შენარჩუნება არ შეუძლია. ადამიანმა თავისი არსებობის შესანარჩუნებლად უნდა აამოქმედოს თავისი ძალები და დააფუძნოს თავისი თავი სამყაროში. იგი მუდამ უნდა ახორციელებდეს თავის ჩანაფიქრს, რომელიც გარკვეულ მიზნებში ყალიბდება.

ადამიანის მიერ თავისი მიზნების საგნობრივი განხორციელება სუბიექტის ობიექტთან ერთიანობით მიიღწევა. თვითგანხორციელება და ბუნებაში თვითდაფუძნება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, კონკრეტულ-ისტორიული

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, 1974, т. 42. стр. 93.

პირობების შესაბამისად განსხვავებულ შინაარსებში გვეძლევა. ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა თვითგანხორციელების შესაძლებლობები განსხვავებული და ხშირად ერთმანეთის საპირისპიროა. ეს განპირობებულია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობით. მწარმოებლებისა და მესაკუთრეების თვითგანხორციელების შესაძლებლობები ერთმანეთის გამომრიცხველია. მწარმოებლები უმთავრესად მესაკუთრეთა თვითგანხორციელების საშუალებებს წარმოადგენენ.

ყოველი ეპოქის ადამიანი, რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, მუდამ ცდილობს განახორციელოს თავისთავი, მისცეს „თავისთავს რეალობა გარე სინამდვილის ფორმით", თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს ამისათვის განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ. გაბატონებული კლასების ინდივიდებს წარმოებაში ჭათი ადგილისა და როლის გამო თვითგანხორციელების დიდი შესაძლებლობები აქვთ. ისინი როგორც არჩევისა, ასევე მოქმედების დიდ თავისუფლებას ფლობენ, რასაც მწარმოებლები მოკლებული არიან. თვითგანხორციელების ერთნაირი შესაძლებლობები ადამიანებს მხოლოდ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობის დროს ეძლევათ. მხოლოდ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალ საზოგადოებაში ყოველი ადამიანის თეორიული და პრაქტიკული მოქმედება გამოვა „როგორც თვითგანხორციელება, სუბიექტის საგნობრივი განსახიერება, მაშასადამე, როგორც ნამდვილი თავისუფლება, რომლის მოქმედ გამოვლენას შრომა წარმოადგენს"[1]. (ხაზი ჩემია — გ. რ.).

თვითგანხორციელების პროცესში ხდება იმ წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც არსებობს ადამიანის ძალებსა და მისი განხორციელების შესაძლებლობებს შორის. ადამიანის მიზნები უფრო ფართო და შორგადამწვდომია, ვიდრე ამის შესაძლებლობები სინამდვილეში არსებობს. ცნობიერება ცდილობს ამ

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., издание второе, М., 1968, т. 46, часть II, стр. 109—110.

წინააღმდეგობის დაძლევას, მაგრამ საბოლოოდ ვერასოდეს ვერ ახერხებს მას. მის წინაშე მუდამ ახალ-ახალი ამოცანები დგება, რომელთა გადაწყვეტისაკენ მიმართული მოქმედებები განვითარების პროცესის ძირითად შინაარსს შეადგენს.

ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი და მასთან ერთიანობაში მყოფი არსება, ერთი მხრივ დამოკიდებულია იმ პირობებზე და გარემოებებზე, რომელშიც მას უხდება არსებობა, ხოლო მეორე მხრივ, იგი, როგორც აქტიური მოქმედი სუბიექტი თვით ქმნის მათ. სუბიექტ-ობიექტის ეს დიალექტიკური ურთიერთმოქმედება, განაპირობებს ადამიანის მარადიულ მოძრაობასა და ამ მოძრაობის პროცესში წარმოქმნილ სამოქმედო მიზნების რაობას.

ცნობიერების შინაარსში, რომელიც გარემომცველ სამყაროსა და მის საგანთა და მოვლენათა შორის მიმართებათა ასახვას წარმოადგენს, ადამიანი პოულობს პასუხებს არსებობის აუცილებლობით დასმულ კითხვებზე. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სწორია ეს პასუხები, ისინი ყოველთვის განსაზღვრულია იმ გარემოებით, რომელშიც პიროვნებას უხდება ცხოვრება. ადამიანის განზრახვა, სამოქმედო გეგმა სუბიექტურია თავისი გამოხატვის ფორმით, ხოლო შინაარსობრივად ობიექტებითა და ამ ობიექტებთან მისი დამოკიდებულებითაა განსაზღვრული. „ადამიანის თავში უნდა განვლოს ყველაფერმა, რაც მას ამოძრავებს, მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს მის თავში, დიდად არის დამოკიდებული გარემოებაზე"[1]. ამიტომ, ადამიანის ცხოვრების საკვანძო საკითხების, მისი საარსებო მიზნების გარკვევის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს სუბიექტურ-ობიექტური მხარეები მათ დიალექტიკურ ერთიანობასა და ურთიერთქმედებაში.

საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორც ცალკეულ ადამიანთა ცხოვრებათა გარკვეული ერთობლიობა მატერიის მოძრაობის ისეთი სპეციფიკური ფორმაა, რომელიც ცნობიერებისა და ნებისყოფის მქონე სუბიექტთა შეგნებული, წინასწარმოფიქრებული მოქმედებით ხორციელდება. ადამიანები ისახავენ

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, 1964, გვ. 479.

გარკვეულ მიზნებს და ესწრაფვიან მათ განხორციელებას. მიზნების განხორციელებისთვის წარმოებული მოქმედებები წარმოქმნის ისტორიას, რომელიც „სხვა არაფერია, თუ არა თავიანთი მიზნების მიმდევარ ადამიანთა მოღვაწეობა". მრავალ, საკუთარ მიზნებისადმი მიმდევარ ადამიანთა მოქმედებები, ერთი შეხედვით, აძნელებს მათი საერთო კანონზომიერების აღმოჩენას, მათში მოქმედი ერთი საერთო ტოლქმედის დადგენას.

მართალია, ცალკეული ადამიანების მიერ დასახული მიზნების განხორციელებას არ ემთხვევა ისტორიული განვითარება, მაგრამ ამ აურაცხელ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიზანთა განხორციელებისაკენ მიმართული ადამიანთა მოქმედება ქმნის ისტორიას. „საზოგადოების ისტორიაში, — წერდა ენგელსი, — ცნობიერებით დაჯილდოებული ადამიანები მოქმედებენ, რომელთაც განსაზღვრული მიზნებისაკენ მოსაზრება ან ვნება ამოძრავებს; აქ არაფერი ხდება შეგნებული განსაზღვრის, სასურველი მიზნის გარეშე"[1].

საზოგადოებრივ მოძრაობაში მოცემულია მიზეზ-შედეგობრივი მიმართების ის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანური არსებობისათვის. ამ მოძრაობის დროს განსახორციელებელ საგნობრივ მდგომარეობას და მიმართებებს წინ უსწრებს შედეგის იდეალური სახე. ამასთანავე, უშუალო მიზეზთა როლში გამოდიან დასახულ მიზანთან მეტ-ნაკლებად შესაბამისი განხორციელების საშუალებები. მოქმედების პროცესი და მისი შედეგი წინასწარ იდეალური სახით წარმოგვიდგება, რომელიც ხორცს ისხამს ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებაში. ეს უკანასკნელი განპირობებულია ადამიანთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ინტერესებით. ისინი ადამიანის მოქმედების საფუძველია და მოქმედების პროგრამას განსაზღვრავენ. მიზანი ამ საფუძველზე წარმოქმნილი განზრახვაა, რომელიც უნდა განხორციელდეს.

მიზნები ადამიანის არსებობისა და მის ბუნებასთან ერთიანობის მოთხოვნილებებითაა წარმოშობილი. მათი ქმედითობა

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1964, გვ. 476.

განსაზღვრულია იმით, თუ რამდენად სწორადაა მათში გაშოხატული ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეგნო პირობებში მოცემული შესაძლებლობები. ძველი მატერიალიზმისგან განსხვავებით, რომელიც არ ითვალისწინებდა სუბიექტის მოქმედ მხარეს, მარქსისტული მატერიალიზმი თვლის, რომ „ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ქმნის მას". ობიექტური სამყაროს ქმნადობა, ადამიანისათვის საჭირო სინამდვილის შექმნა, ბუნების საგნებისათვის საჭირო სახის მინიჭება გულისხმობს მიზანთა არსებობას. როგორც აღინიშნა, ერთი მხრივ, მიზანდასახული მოქმედება განპირობებულია ადამიანის არსებობის, მისი სამყაროში თვითდაფუძნების მოთხოვნილებებით, ხოლო მეორე მხრივ, სამოქმედო მიზნები პრაქტიკას ემყარება. ისინი წარმოიქმნებიან პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. ამიტომ, მიზნები წარმოების სტიმულებიც არიან და მის შედეგებსაც წარმოადგენენ. მოხმარების მოთხოვნილებებით განსაზღვრული ახალი სინამდვილის საარსებო საშუალებების შექმნის აუცილებლობა წარმოქმნის წარმოების იდეალურ შინაგანად აღმძვრელ მოტივს, როგორც იმპულსსა და როგორც მიზანს[1]. წარმოების აღმძვრელი მოტივი აზრს აძლევს ადამიანის ცხოვრებას, გარკვეულად მიზანმიმართულს ხდის მას. ახალ-ახალი მიზნები წინ ეწევიან ადამიანს უფრო სრულყოფილი ყოფიერების შექმნისაკენ.

მიზანი, რომელიც წარმოიქმნება წარმოების პროცესის ობიექტური პირობებიდან, წარმოადგენს თავის განხორციელებაში მისგან განსხვავებულ და მის მიმართ დაპირისპირებულ სხვა სინამდვილის წინა სახეს. იგი თეორიისა და პრაქტიკის დამაკავშირებელი, მათი გამაერთიანებელი რგოლია. მასში მოცემულია ობიექტურისა და სუბიექტურის მომენტები, რის გამოც იგი გამოდის არა მარტო როგორც მოქმედების აღმძვრელი მოტივი, არამედ ასევე ადამიანური მოღვაწეობისა და წარმოების საგანი, განსახორციელებელი სინამდვილის იდეალური სახე.

---

1 იხ. კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 268.

მიზანში ასახულია ობიექტურ სინამდვილესთან ადამიანისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური, გარდამქმნელი, აქტიური დამოკიდებულება. მასში გამოხატულებას პოულობს ის გარემოება, რომ ადამიანი თავისი მოქმედებით არა უბრალოდ ცვლის იმის ფორმას, რაც მოცემულია ბუნებით, არამედ იმაში, რასაც ბუნება იძლევა, ადამიანი ახორციელებს ამასთანავე თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, განსაზღვრავს მისი მოქმედების ხერხსა და ხასიათს და რომელიც მან თავის ნებისყოფას უნდა დაუმორჩილოს. ამრიგად, მიზნის განხორციელება ბუნებასთან ერთიანობაში მყოფი ადამიანის მიერ თავისთავის განხორციელებას, მისი თვითობისთვის გარესინამდვილის ფორმით რეალობის მინიჭებას, თვითდაფუძნებას წარმოადგენს.

მიზანში, როგორც განსახორციელებელი სინამდვილის იდეალურ სახეში, გვაქვს ადამიანის არსებობასთან აუცილებლობით დაკავშირებული ორი მხარის განუყრელი ერთიანობა. იგი არც მხოლოდ ფუნქციაა — იდეალური მხარეა და არც მხოლოდ საფუძველი — ობიექტური მხარე ადამიანური მოღვაწეობისა. იგი მათი ერთიანობაა. მიზანი ამ ორი ურთიერთდაკავშირებული მხარის თანხვდომისა და დაპირისპირებულობის გამოხატულებაა. მასში მოჩანს ის, რომ ადამიანი როგორც ბუნების განვითარების უმაღლესი პროდუქტი, ცნობიერების მქონე არსება, თვით ბუნებასთან ერთიანობაში ცდილობს გაცნობიერებულად, შეგნებულად იყოს თავისი თავის მიზეზი; შექმნას თავისი თავი, გახდეს ის, რაც არ იყო ადრე, მაგრამ ემყარებოდეს იმას, რაც იყო. ე. ი. იგი ცდილობს იყოს თავისი თავი და არც იყოს იგი. თავისი ცხოვრების ყოველ გარკვეულ მომენტში კიდეევაც იყოს ის, რაც მისი ყოფიერებისთვის აუცილებელია და ამავე დროს დაშორდეს მას მისი მომავალი ყოფიერებისადმი მისწრაფების გამო.

მიზნის ზემოაღნიშნული დიალექტიკური ბუნება ნებას გვაძლევს ადამიანი მივიჩნიოთ არა ისეთ რამედ, რომელიც აბობოქრებულ ზღვაში საჭის გარეშე დარჩენილ ხომალდს ჰგავს, ან გენგების ხელში — სათამაშო თოჯინას, არამედ — ისეთ არსებად. რომელსაც შესწევს ძალა და უნარი იმოქმედოს საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით. საკითხი იმის შესახებ თუ

როდის და რა პირობებში ხორციელდება სრულყოფილად საკუთარი გადაწყვეტილებით არჩეული მიზანი პრობლემის მეორე მხარეა. ერთი რამ ცხადია, ადამიანის მიერ დასახული მიზანი ობიექტურ აუცილებლობასთან ერთად საკუთარ გადაწყვეტილებასაც შეიცავს.

მიზანში, როგორც სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობის კონკრეტულ იდეალურ გამოხატულებაში, ვლინდება თვით ბუნებისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობა. მიზნის განხორციელება არსებულის უარყოფაცაა, თავისთავისათვის მისთვის უცხო ფორმით რეალობის მინიჭებაა. „მიზნის მოქმედება, — წერდა ლენინი, — მიმართულია არა თავისთავზე, არამედ იმაზე, რომ გარესამყაროს გარკვეული (მხარეების, ნიშნების, მოვლენების) მოსპობის საშუალებით შისცეს თავის თავს რეალობა გარე სინამდვილის ფორმით...“[1].

მიზნების განხორციელება ადამიანის შინაგანი ნდომის, მისწრაფების, აზრების გარესინამდვილის ფორმაში განსახიერებაა, სუბიექტის გასაგნობრივებაა. ადამიანის მიერ თავისი თავის განხორციელება, მისი საგნობრივი მოქმედება, ყოველთვის კონკრეტულ გარემო პირობებში ხდება, რაც თავის მხრივ აყენებს საკითხს მიზნის საშუალებებთან დამოკიდებულების შესახებ, რაც მეტად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

რადგანაც სუბიექტურის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ გარესინამდვილის ფორმით, ამდენად სუბიექტი ისწრაფვის ობიექტურთან ერთიანობისაკენ, რაც კარგად ჩანს მიზნის დიალექტიკურ ბუნებაში. თავისი წარმოშობის მიხედვით მიზნები ემყარება ობიექტურ სინამდვილეს. ისინი ადამიანის საგნებთან და მოვლენებთან დამოკიდებულებით არიან განსაზღვრულნი და განხორციელების მხრივაც მათ გულისხმობენ. ობიექტური მასში მოხსნილი სახითაა მოცემული, რაც ერთი შეხედვით ქმნის იმის მოჩვენებითობას, თითქოს ისინი ობიექტური სინამდვილისაგან დამოუკიდებელნი არიან. „ნამდვილად, — გვასწავლის ლენინი, — ადამიანის მიზნები წარმოშობილია

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 38, გვ. 212.

ობიექტური სამყაროს მიერ და ისინი გულისხმობენ ამ სამყაროს როგორც მოცემულს, როგორც არსებულს. მაგრამ ადამიანს ეჩვენება, რომ მისი მიზნები აღებულია სამყაროს გარეშე, დამოუკიდებელია სამყაროსგან („თავისუფლება“)[1].

ადამიანის ფუნდამენტური მისწრაფების ბუნებაში თვითდაფუძნების გამომხატველი მიზნები პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობის უდიდეს სტიმულიზატორებს წარმოადგენს. ისინი ადამიანის ნებისყოფას გარკვეული მიმართულებით წარმართავენ. მიზანი მით უფრო წარმატებით ასრულებს სტიმულიზატორის — შინაგანი აღმძვრელის როლს, რაც უფრო სწორადაა მასში გათვალისწინებული ბუნების აუცილებლობა და ზუსტადაა გამოხატული ადამიანის მოთხოვნილებები. ადამიანები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ცალკეული, სასრული მიზნებით ხელმძღვანელობენ. ყოველ ცალკეულ, სასრულ მიზანსა და იდეალში თანამყოფობს, როგორც მათი არსება, უმაღლესი იდეალი — თავისუფლება.

იდეალი მისწრაფებათა კონკრეტულ შინაარსში გამოხატული საბოლოო მიზანია. იგი ადამიანის, კლასის ან სოციალური ჯგუფის მოქმედების წესის, ხასიათის განმსაზღვრელ ნორმას, იდეალურ სახეს წარმოადგენს. იდეალი თავისი არსებით და მნიშვნელობით სოციალურია. იგი საზოგადოების ყველა სფეროს მოიცავს. იდეალი სასრული და განხორციელებადია. თუ იგი საბოლოოდ განუხორციელებელი იქნებოდა, როგორც ამას ზოგიერთი იდეალისტი ფილოსოფოსი აღიარებს, მაშინ მისი ხორცშესხმისთვის ბრძოლას აზრი ეკარგება; ამ შემთხვევაში მასზე არავითარი რწმენის დაფუძნება არ შეიძლება, ხოლო რწმენის გარეშე მიზანსწრაფული მოქმედება შეუძლებელია. ასეთი გაგების დროს არ შეუძლია იდეალს სტიმულიზატორის, შინაგანად აღმძვრელი მოტივის როლის შესრულება.

იდეალი, როგორც ცალკეულ მიზანთა გამაერთიანებელი, ყოველთვის კონკრეტულ შინაარსში გვეძლევა, რომლის განხორციელება ისტორიული განვითარების პროცესში ხდება. იდეალის განხორციელებადობა არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ყოველთვის ახორციელებდნენ თავიანთ იდეალებს. მისი

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 38. გვ. 186.

განხორციელებადობის საკითხი პრობლემის მეორე მხარეა, რომელიც რეალური წინააღმდეგობების აღმოჩენისა და მათ გადასაჭრელად რეალური გზების დასახვით ხდება. იდეალის მიუღწევლად აღიარება მისადმი დაქვემდებარებული კონკრეტული მიზნების გაუფასურებასა და მოქმედების სტიმულების დაკარგვას მოასწავებს.

იდეალის „მიუღწევლობა" და მუდამ შორეულად ყოფნა შეიძლება გავიგოთ იმ აზრით, რომ კაცობრიობის განვითარების პროცესში ახალ-ახალი იდეალები წარმოიქმნება. ერთი რომელიმე იდეალის ხორცშესხმით არ მთავრდება განვითარება. ამა თუ იმ იდეალის განხორციელების შემდეგ ახალი იდეალი წარმოიშობა. ეს განსაზღვრულია საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებით, რომელთა კონცენტრირებულ გამოხატულებას იდეალი წარმოადგენს.

იდეალი არსებული წინააღმდეგობების თეორიულად გადაწყვეტის გზით მიღებული შედეგის იდეალური სახეა, იგი მუდამ წარმოიქმნება, სანამ ეს წინააღმდეგობები არსებობს და წინ სწევს განვითარებას. სხვადასხვა ეპოქაში არსებულ კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს განსხვავებული იდეალები ჰქონდათ, რომლის განხორციელებისადმი მიმართული ძოღვაწეობა წინ სწევდა საზოგადოებას. კონკრეტული იდეალის, კლასის ან სოციალური ფენის იდეალის კაცობრიობის საბოლოო მიზნად გამოცხადება მისი მოძრაობა-განვითარების დასასრულის მომასწავებელი იქნებოდა, რაც დიალექტიკური განვითარების უსასრულობის აზრს ეწინააღმდეგება.

იდეალში გამოხატულია სინამდვილის განვითარებით ნაკარნახევი ჯერარსობა, მომავალი სინამდვილე, რომელიც უნდა განხორციელდეს. იგი არის დანასკვი არსებული წინააღმდეგობებისა, რომელთა შორის ბრძოლა სახეს უცვლის აწმყოს და აუცილებლობით განსაზღვრავს მომავალს. იდეალში გამოხატული ჯერარსობა მოცემულია აწმყოს შინაგან წინააღმდეგობათა სინთეზის სახით. მისი კონკრეტული შინაარსი თვით სინამდვილის შინაგან წინააღმდეგობათა მეცნიერული ანალიზით დგინდება, რომლის განხორციელება დამოკიდებულია არსებულ წინააღმდეგობათა მეცნიერულ გადაწყვეტასა და ამ მიმართულებით რეალური გზების დასახვისაგან. იდეალი ისტო-

რიულად ცვალებადია და მუშავდება საზოგადოებრივი განვითარების პროცესში და მის საფუძველზე. რაც უფრო სწორად ისახავს იგი საზოგადოების განვითარების მიმართულებას, მით უფრო სწრაფია წინსვლა-განვითარება. ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იდეალს უნარი შესწევს წარმართოს ადამიანთა ნებისყოფა ისტორიულად მომწიფებული პრობლემების გადასაწყვეტად. ასეთ ამაღლებულ იდეალს დღეს კომუნიზმი წარმოადგენს. იგი უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის ძალთა კონსოლიდაციისა და ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

მიზნებსა და იდეალებში გამოხატულია ადამიანის სწრაფვა თვითგანხორციელებისაკენ, ბუნებაში თვითდაფუძნებისკენ. სწორედ მათში მოცემული ეს საყოველთაო მომენტი — თავისუფლება, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულ შინაარსში ვლინდება, წარმოადგენს უმაღლეს იდეალს. თავისუფლებისაკენ სწრაფვა ეს არის სუბიექტის ობიექტთან, ადამიანის ბუნებასთან ერთიანობისაკენ სწრაფვა. იგი არის ბუნებაში ადამიანის თვითდაფუძნება, გარემომცველ საგნებზე და მოვლენებზე ბატონობა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ უმაღლესი იდეალის კონკრეტული ხორცშესხმა ანიჭებს ადამიანის არსებობას რეალურ ქმედით ხასიათს.

ადამიანი თავისი წარმოშობის მომენტიდან მუდამ მიისწრაფოდა თავისუფლებისაკენ. ამ უმაღლესი იდეალის განხორციელებისაკენ მიმართული ადამიანთა მოქმედებები ბუნების სტიქიურ ძალთა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის გამოვლინებას წარმოადგენდა. თავისუფლება მუდამ მიჩნეული იყო ადამიანებისათვის სანუკვარ მიზნად. იგი ყოველთვის სავსე იყო ღრმა შინაარსით. ადამიანები მუდამ იბრძოლნენ თავიანთი თავისუფლებისათვის და შეგნებულად არასოდეს არ მოქმედებდნენ მის წინააღმდეგ. იგი მუდამ განიხილებოდა როგორც უმაღლესი სიკეთე და ღირებულება, რომელსაც უდიდესი მიმზიდველი ძალა ჰქონდა ყველა ეპოქისა და კლასის ადამიანთათვის.

თავისუფლებისადმი ადამიანთა დაუოკებელი სწრაფვა, არსებული მდგომარეობით დაუკმაყოფილებლობა განაპირობებს

საზოგადოების მარადიულ წინსვლით მოძრაობას. ადამიანური ცხოვრება მთელ თავის სირთულესა და მრავალფეროვნებაში შეიცავს უსასრულო წინსვლითი მოძრაობის ურიცხვ შესაძლებლობებს, რომელთა სინამდვილედ გადაქცევაში მეცნიერულად დასაბუთებული მიზნები და იდეალები დიდ როლს ასრულებს. მათი განხორციელებისთვის ბრძოლა აზრს აძლევს ადამიანის ცხოვრებას.

როგორც ამერიკელი მარქსისტი სელზამი წერს, თავისუფლება „შეიცავს თავის თავში ყოველ იდეალს „სიუხვის ცხოვრებიდან" მომავალში დარწმუნებულობამდე, ადამიანთა ურთიერთობის გონივრულობიდან და სამართლიანობიდან ადამიანთა შემოქმედებითი ძალების უმაღლეს განვითარებამდე"[1]. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე თავისუფლება თავის გამოხატულებას პოულობს ცალკეულ მიზანთა და იდეალთა შინაარსების მთელ სიმდიდრეში.

არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელშიც გარკვეული ზომით ადამიანის თავისუფლება არ ვლინდებოდეს. ადამიანის ყოველი მიზანმიმართული მოქმედება ამა თუ იმ ზომით ადამიანის თავისუფლებას ავლენს.

თავისუფლება საყოველთაობასთან ერთად თავის ცალკეულ გამოხატულებაში ყოველთვის კონკრეტულია და ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მხარეებთან არის დაკავშირებული. თავისუფლება საერთო გვარია, რომელსაც თავისი მრავალი სახე აქვს. მათგან ძირითადია ადამიანის ბატონობა ბუნებისა და საზოგადოების ძალებზე. ამასთან, მეორე პირველს ემყარება და მისგან არის წარმოებული, მაგრამ ბუნებასთან ადამიანის თავისუფალ დამოკიდებულებას საბოლო ანგარიშით გზას უხსნის მისი სოციალური თავისუფლება. ადამიანები ვერ მიაღწევენ თავისუფლებას მისი ჭეშმარიტი აზრით, თუ არ გაბატონდნენ საზოგადოებრივ ძალებზე.

ამიტომ, სოციალური თავისუფლება ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს. იგი ყველა სხვა ღირებულებათა ათვისების ძირითადი პირობაა, მატერიალურ და კულტურულ

---

[1] Г. Сельзам. Марксизм и мораль, М., 1962, стр. 272.

ღირებულებათა ათვისების საფუძველია. ეს ღირებულებანი რეალობად გადაიქცევიან მას შემდეგ, როდესაც მისაწვდომი გახდებიან ცალკეული ადამიანებისათვის. მათ მისაწვდომობას სოციალური თავისუფლება განსაზღვრავს.

ამდენად სოციალური თავისუფლება საბოლოო ანგარიშით არის არსებულ ღირებულებათა „მოხმარების" გზა. ისე, როგორც საქონელი, რომელიც არ მოხმარდება, არ არის საქონელი, ასევე ცალკეული ღირებულება მათი ადამიანებთან შეერთების გარეშე წარმოადგენს პოტენციურ ღირებულებას, მხოლოდ შესაძლებლობას. მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს ნამდვილობას ანიჭებს მათი „შეერთება" ადამიანებთან.

ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში წარმოების განვითარებით მიღწეული სოციალური თავისუფლების დონე და მათი კლასებს შორის განაწილება განსაზღვრულია წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით, კერძოდ, საკუთრების ფორმებით.

საზოგადოებაში არსებულ ღირებულებათა ათვისება ხდება ცალკეულ ადამიანთა მიერ. ამიტომ, თავისუფლების საკითხი საბოლოო ჯამში დაიყვანება იმაზე, თუ რა შესაძლებლობები აქვთ საზოგადოების წევრებს „ისარგებლონ" არსებული ღირებულებებით. იმ საზოგადოებაში, სადაც არსებობს ყველა ადამიანის თავისუფალი განვითარების პირობები, შესაძლებელი ხდება ადამიანსა და ბუნებას შორის ნივთიერების ცვლისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის გონივრული რეგულირება და კონტროლი. მხოლოდ არსებულ ღირებულებათა „მოხმარება" აძლევს ადამიანებს შესაძლებლობას განავითარონ ოავიანთი ნიჭი და უნარი და აამოქმედონ თავიანთი შემოქმედებითი ძალები. იქ, სადაც არ არსებობს ადამიანის სოციალური თავისუფლება, საზოგადოების წევრებს დახშული აქვთ გზა მატერიალური და სულიერი ღირებულებებისაკენ, არსებული სიმდიდრის წყაროებთან შეერთებისაკენ. ადამიანთა ცხოვრების სისავსეს და მის სრულყოფილ განცდას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ძალუძთ მათ მოიხმარონ არსებული ღირებულებები და შემოქმედებით შრომაში ფართო გასაქანი მისცენ თვიანთ უნარს.

უმაღლეს სიკეთედ და მთავარ ღირებულებად ყოფნა თა-

ვისუფლებას ხდის უმაღლეს მიზნად, ბუნებისა და საზოგადოების ძალებზე ბატონობისაკენ მიმართულ მიზანთა და იდეალთა (ცნობიერების ღირებულებათა) საყოველთაო ფორმად და მათ არსებად. თავისუფლება როგორც უმაღლესი იდეალი და უმაღლესი სიკეთე წარმოადგენს საზოგადოების წინსვლითი მოძრაობის დიდ მამოძრავებელ ძალას. კაცობრიობის შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ბრძოლის ისტორია ამავე დროს არის თავისუფლებისაკენ მსვლელობის ისტორია. „ყოველი ნაბიჯი კულტურის გზაზე,—წერდა ენგელსი,—იყო ნაბიჯი თავისუფლებისაკენ"[1].

2. უმაღლესი იდეალის გაცნობიერების მნიშვნელობა

ადამიანის ცხოვრების შინაარსის სიმდიდრეს განსაზღვრავს ბუნებაში თვითდაფუძნებისადმი მიმართულ მოქმედებათა მრავალგვარობა. ეს მოქმედებები გულისხმობენ მრავალ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიზანს, რომელთა არსებას თავისუფლება წარმოადგენს. თავისუფლება, რომელიც თანამყოფობს ადამიანის თვითდაფუძნების მიზნებში, ამავე დროს არის ადამიანის ცხოვრების საზრისი. იგი მოიცავს ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, შეაქვს მასში აზრი და აძლევს ადამიანს წინსვლითი მოძრაობის სტიმულს. ყოველი ადამიანი, რომელ კლასს ან სოციალურ ჯგუფს არ უნდა განეკუთვნებოდეს, ყოველთვის ცდილობს განახორციელოს თავისი თავი იმ შესაძლებლობათა მიხედვით, რის საშუალებას მას არსებული პირობები აძლევს. ბუნებაში თვითდაფუძნებისადმი სწრაფვა, როგორც თავისუფლებისაკენ მუდმივი მოძრაობა, ადამიანს ანიჭებს თავისთავისადმი რწმენას და ღრმა შინაარსით ავსებს მის ცხოვრებას. „ადამიანის არსებობის აზრი თავისუფალ შემოქმედებით მოღვაწეობაშია, სამყაროს პრაქტიკულ გარდაქმნაშია..."[2]. სამყაროს პრაქტიკული გარდაქმნა ადამიანის ბუნებაში თვითდაფუძნების მიზანთა რეალიზაციას წარმოადგენს.

---

1 ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 136.

2 მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლები, თბ., 1974, გვ. 159.

ბუნებაში თვითდაფუძნების მოთხოვნილება თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების იდეალებში, რომლებსაც ექვემდებარება ცხოვრებისეული მიზნები. იდეალები მიზანსწრაფულს და გააზრებულს ხდის ცხოვრებას. მისი საშუალებით ადამიანი განსაზღვრავს თავისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას, ადგენს სამოქმედო პროგრამას და ცდილობს მის განხორციელებას. იდეალის არსებობის დროს ადამიანი თავის ნებელობას ერთი გარკვეული მიმართულებით წარმართავს. ამ დროს მას აქვს საზომი თავისი მოქმედებებისა და ქცევების შეფასებისათვის. ამდენად თავისუფლება, როგორც უმაღლესი იდეალი, ადამიანის ცხოვრების საზრისია, რომელშიც გამოხატულობას პოულობს მისი დანიშნულება, შინაარსი და ღირებულება. უმაღლესი იდეალი, როგორც ცხოვრების საზრისი, ადამიანის მიზანდასახული მოქმედებებისა და ქცევების შინაგანი აღმძვრელი მოტივის განზოგადებული სახეა.

რამდენადაც მიზნების რეალიზაციის პროცესი თვითგანხორციელებისა და თავისუფლების სრულყოფის პროცესია, ამდენად ადამიანის ცხოვრებას ყოველთვის გააჩნია საზრისი. არსებობა აუცილებლობით მოითხოვს სუბიექტის საგნობრივ მოქმედებას, ობიექტებთან ერთიანობის დამყარებას. უამისოდ ადამიანის ცხოვრება ყოველგვარ ღირებულებას და შინაგანად აღმძვრელ მოტივს მოკლებული იქნებოდა. ადამიანები თავიანთი არსებობის შესანარჩუნებლად ისახავდნენ გარკვეულ მიზნებს და ცდილობდნენ მათ განხორციელებას. შინაარსით განსხვავებული მიზნები ხან ცნობიერად და ხშირად არაცნობიერად მოიცავდნენ თავისში უმაღლეს იდეალს. თავიანთი მოღვაწეობის პროცესში ადამიანები მეტ-ნაკლები ზომით ახორციელებდნენ და სრულყოფდნენ თავიანთ თავისუფლებას.

„ეს მიზნები ანიჭებენ ცხოვრებას გარკვეულ აზრს. მომავლის იმედებს შთააგონებენ ადამიანთა გულებს. ცხოვრების გასაზრისიანება ადამიანში ბადებს ძალას, რომელსაც უნარი შესწევს გარდაქმნას სამყარო, შექმნას სამოთხე არა ზეცაში, როგორც ასწავლიდნენ რელიგიის მქადაგებლები, არამედ დედამიწაზე. ცხოვრების ღირებულების, მიზნის და

საზრისის საკითხებს აქვთ არა მარტო თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა"[1].

რამდენადაც ადამიანი ყოველთვის ესწრაფვოდა თვითგანხორციელებას, თავისი თავისუფლების სრულყოფას, ამდენად მისი ცხოვრების საზრისი საყოველთაოა. იგი ჰქონდა და აქვს ყველა ეპოქის ადამიანს, თუმცა ყველას როდი შეეძლო მისი გაცნობიერება.

ყოველი იდეალი საყოველთაოსა და ერთეულის დიალექტიკური ერთიანობაა. მასში ერთი მხრივ, ამა თუ იმ კლასის ან სოციალური ჯგუფის მოთხოვნილებებით განსაზღვრული უმაღლესი იდეალია ხორცშესხმული, ხოლო მეორე მხრივ, ეს უმაღლესი იდეალი ცალკეულ მიზანთა სახით ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოიცავს, რომელთა განხორციელებისაკენ მიმართული მოქმედებები თავისი შინაარსით საზოგადოებრივ მოძრაობის მრავალფეროვნებას გვაძლევს.

ადამიანის ცხოვრების საზრისის საყოველთაობა იმას ნიშნავს, რომ იგი მოიცავს წარსულს, აწმყოს და მომავალს. ყოველი ცალკეული იდეალი, როგორც უმაღლესი იდეალის კონკრეტული გამოხატვა, შეიცავს თავისში მოხსნილი სახით წარსულს; თავის მოქმედებას ავლენს აწმყოში და იდეალურად გამოხატავს მომავალს. ამასთან ერთად, აწმყო, ანუ ის, რაც არის, არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ საშუალებას მომავლისათვის. როგორც ყველაფრის აწმყოს ინტერესებისადმი დაქვემდებარება ან მისი მხოლოდ მომავლის საშუალებად აღიარება ადამიანის ცხოვრების გაუფასურებაა. ადამიანი, რომელიც ყოველთვის მხოლოდ მომავლისთვის ცხოვრობს და მოქმედებს, ფაქტიურად არასოდეს არ ცხოვრობს. ამ შემთხვევაში აწმყოსათვის ცხოვრებას აზრი არა აქვს. მეორე მხრივ, მომავლისათვის ბრძოლის გარეშე თვით აწმყოც უფასურდება. მომავლისთვის ბრძოლა და მოქმედება უნდა მსჭვალავდეს აწმყოს, ჰარმონიულად ერწყმოდეს მას. მიზნები წარსულის აწმყოსთან და აწმყოსი მომავალთან დამაკავშირებელი რგოლებია. იგი ერთიანი ჯაჭვის უწყვეტობას ქმნის.

---

[1] И. Д. Пацхава. Человек, его жизнь и бессмертие, М., 1967. стр. 85.

მიზნები შეიცავს ადამიანთა წარსული მოღვაწეობის გამოცდილებას და მომავალში განსახორციელებელი მოქმედებების შესაძლებლობებს, რომლებიც აწმყოს ნამდვილობას ეფუძნება. წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით ადამიანი ადგენს სამოქმედო გეგმებს, ისახავს მიზნებს და ქმნის ახალ სინამდვილეს, რაც შესაძლებლობის სახით აწმყოშია მოცემული. ნათქვამია: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ბატონობის დროს ადამიანები ძირითადად მხოლოდ მომავლისათვის ცხოვრობენ. ერთი მხრივ, მესაკუთრეთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სიმდიდრის დაგროვება, როგორც მომავალი ცხოვრების გარანტია, ხოლო მეორე მხრივ, მწარმოებლები მუდამ ხვალინდელი დღის საარსებო საშუალებების მოპოვებაზე ზრუნავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი აწმყოში სრულყოფილად ვერასოდეს ვერ ცხოვრობენ და მთელ თავიანთ მიზნებს მომავლის ინტერესებს უქვემდებარებენ. მხოლოდ მომავლის მიზნებით ცხოვრება, რაც დამახასიათებელია ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოებებისათვის, არ არის სრულფასოვანი ცხოვრება. მომავლის მიზნების განხორციელებისკენ მიმართული მოღვაწეობა ადამიანებს მაშინ ანიჭებს ბედნიერებას, თუ ისინი განუყოფელ კავშირში არიან აწმყოს ამოცანებთან. მომავლის მიზნები მით უფრო ახლობელი ხდება და განხორციელების დიდ შესაძლებლობებს შეიცავს, რაც უფრო ღრმად არიან ისინი ფესვგადგმული აწმყოში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიათ მათ წარმმართველი როლის შესრულება.

აწმყოს და მომავლის მიზანთა ჰარმონიული ერთიანობა განუხორციელებელია ანტაგონისტურ საზოგადოებაში. იგი შესაძლებელი ხდება სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების შედეგად. სოციალისტური წყობა შესაძლებლობას ქმნის პროდუქტთა სამართლიანი განაწილებისათვის, სპობს სასაქონლო ფეტიშიზმს და აწმყოს მიმართ მომავლის დაპირისპირებულობას. აწმყო უკვე არ არის მხოლოდ საშუალება მომავლისათვის და მომავალი არ არის აწმყოს ერთადერთი მიზანი. ისინი ერთმანეთს მსჭვალავენ. აწ-

მყოსა და მომავლის ინტერესები სოციალიზმის დროს ჰარმონიულად შეერწყმიან ერთმანეთს, რომელშიც წარმმართველ როლს ასრულებს მომავლის დიადი მიზნის განხორციელებისაკენ მიმართული მოღვაწეობა. იგი ხელს უწყობს ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებას. მომავლისათვის ბრძოლა განიორციცხავს კონფლიქტებს და საზოგადოების წინსვლა წინააღმდეგობათა ერთიანი მიზნის საფუძველზე გადაწყვეტის გზით ხდება.

ნამდვილი ადამიანის ცხოვრებას, როგორც აწმყოში თვითდაფუძნებისადმი სწრაფვას და მომავლის შექმნისაკენ მიმართულ მოღვაწეობას ყოველთვის გააჩნია საზრისი, მაგრამ შესაძლებელია იგი არ იყოს გაცნობიერებული. მართალია, ადამიანთა მოქმედებები მიმართული თვითგანხორციელებისაკენ წარსულში უმეტეს შემთხვევაში არ იყო გაცნობიერებული, მაგრამ მათ ცხოვრებას ჰქონდა საზრისი, ცხოვრების გაუსაზრისიანება თავის მხრივ ხელს უწყობდა იმას, რომ მიზნები და შედეგები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ემთხვეოდა ერთმანეთს. ამის მთავარი მიზეზი იყო ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრების უბადრუკი პირობები. ცხოვრების გასაზრისიანება ნიშნავს უმაღლესი იდეალის გაცნობიერებას, მის კონკრეტულ სასრულ იდეალში გამოხატვას, რომელსაც ექვემდებარება ადამიანის ცალკეული მიზნები. ცხოვრება გასაზრისიანებულია მაშინ, როდესაც ადამიანს შეგნებული აქვს თავისი ჭეშმარიტი მოწოდება, დანიშნულება, აქვს იდეალი და იბრძვის მისი განხორციელებისათვის.

ცხოვრების გასაზრისიანება თვითცნობიერების ის აქტია, როდესაც ადამიანი თავისი ინტერესების, იდეალებისა და ქცევის მოტივების შეფასებას ახდენს. ესაა მთლიანი შეფასება თავისი თავისა, როგორც გრძნობადი და მოაზროვნე არსებისა. ცხოვრების გასაზრისიანება დამახასიათებელია არა მარტო ცალკეული ადამიანისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, კლასისა და სოციალური ჯგუფისთვის, როცა ისინი ამაღლდებიან თავიანთი ინტერესებისა და იდეალების გაგებამდე. ცალკეული სუბიექტის მიერ ცხოვრების გასაზრისიანება, თავისი მოქმედებების შეფასება, მისი დანიშნულების შეგნება, იდეალის დასახვა ხორციელდება სხვადასხვა საზოგა-

ღოებაში და მის შიგნით განსხვავებული სახით: ღრმა და ნათელი შეგნებიდან მის ბნელ და გაურკვეველ გაგებამდე, ამას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დონე.

თვითგანხორციელებად გადაქცეული ცხოვრების გასაზრისიანება ხდება პიროვნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ცხოვრების სოციალური პირობების გავლენით, რომელიც მოითხოვს ადამიანისაგან თავისი მოქმედებების თვითშეფასებას, კონტროლს და მათზე სრულ პასუხისმგებლობას. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის დროს, ცხოვრების წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო ადამიანები თვით ერთ და იმავე საზოგადოებაში, სხვადასხვა მდგომარეობაში არიან ჩაყენებული, რაც აძნელებს ერთიანი იდეალის შექმნას. მათ ერთნაირად არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ შეგნებული თავიანთი დანიშნულება. ადამიანის ცხოვრების საზრისს — თავისუფლებას, როგორც უმაღლეს იდეალს, ანტაგონისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ხასიათი აქვს.

ადამიანის ცხოვრებას გასაზრისიანების შემდეგ მიზანი და ღირებულება ენიჭება. ადამიანის ყოველი მოქმედება და ქცევა ერთი ამაღლებული იდეალისა და მისდამი დაქვემდებარებული მიზნების განხორციელებას ემსახურება. იგი ადამიანის ცხოვრების სისავსეს და მთლიანობას განაპირობებს. იდეალი ადამიანის მოღვაწეობას ერთი გარკვეული მიმართულებით წარმართავს. ის შინაარსი, რაც მოცემულია უმაღლესი იდეალის გამომხატველი სასრული იდეალის შინაარსში, დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ადამიანის მიერ თავისი დანიშნულების შეგნება, იდეალის გაცნობიერება — როგორც ცხოვრების გასაზრისიანება, ისე როგორც ჭეშმარიტების წვდომა და ძიება, ადამიანის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია. „ადამიანისათვის საჭიროა იდეალი, მაგრამ ადამიანური, ბუნების შესაბამისი და არა ზებუნებრივი“[1]. ადამიანმა უნდა იცოდეს, საით მიისწრაფვის იგი და რა შედეგებს მიიღებს დასახული მიზნების განხორ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 38, გვ. 67.

ციელების შემდეგ. მას უნდა ესმოდეს, თუ რა პირობებში არის შესაძლებელი თავისი უნარისა და ნიჭის გაშლა-გაფურჩქვნა. იდეალისადმი შეგნებული სწრაფვის გარეშე ცხოვრება მოკლებულია სისავსეს, სიღრმეს, ხოლო ადამიანი მის სრულფასოვან განცდას. ცხოვრების საზრისი — უმაღლესი იდეალი თავის კონკრეტულ გამოხატულებაში ადამიანს აძლევს რწმენას და სტიმულს უკეთესი მერმისისთვის ბრძოლაში. იდეალის გარეშე, რომელიც აერთიანებს ცხოვრებისეულ მიზნებს, შეუძლებელია ბრძოლა, მოღვაწეობა, საზოგადოებისა და პიროვნების წინსვლა. იგი კლასის, სოციალური ჯგუფის, პიროვნების გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია.

თუ ცხოვრება არაა გასაზრისიანებული, მაშინ ადამიანთა ბრძოლა, მოქმედება სტიქიური და უპერსპექტივოა. ცხოვრება მხოლოდ გასაზრისიანების შემდეგ იძენს ღრმა შინაარსს და მიმზიდველი ხდება. სამოქალაქო ომის გმირი ვ. ჩაპაევი ამბობდა, რომ მას ადრე სიცოცხლე არაფრად მიაჩნდა, მაგრამ, როდესაც მის ცხოვრებაში იდეალი გაჩნდა, მის ბრძოლასა და თავგანწირვას აზრი მიეცა. სიცოცხლე ამის შემდეგ მეტად ძვირფასი გახდა. იმაზე, თუ რაოდენ ამაღლებულ, განხორციელებად და მისაღებ იდეალს ისახავს ადამიანი, დიდად არის დამოკიდებული მისი აქტიურობა. რაც უფრო ამაღლებულ, საკაცობრიო იდეალს ესწრაფვის ადამიანი, მით უფრო დიდია მისი შემართება და წინსვლის შინაგანი შესაძლებლობები. მართალია, მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული იდეალის არსებობა არ განაპირობებს ადამიანთა წარმატებებს, მაგრამ იგი არც მის გარეშეა შესაძლებელი. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ამაღლებული, მეცნიერულად დასაბუთებული იდეალი, რომელიც ადექვატურად ასახავს განვითარების ტენდენციებს, თეორიულად წყვეტს არსებულ წინააღმდეგობებს, მაგრამ ამასთან ერთად უნდა არსებობდეს მისი განხორციელების ობიექტური პირობები. თავის მხრივ მხოლოდ პირობები იდეალის გარეშე არაფრის მთქმელი და მნიშვნელობას მოკლებულია.

კაცობრიობის ისტორია ადასტურებს, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვალებადობასთან ერთად ადამიანის ცხოვრების საზრისის, მისი უმაღლესი იდეალის და-

კონკრეტება-გაცნობიერება გარდუვალად იწვევდა ადამიანთა აქტიურობის უდიდეს ზრდას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა საზოგადოების შემდგომ სწრაფ განვითარებას. ფეოდალიზმის ეპოქაში, რელიგიური იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის დროს, მიღმური, ირეალური, განყენებული რელიგიური იდეალი სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უშლიდნენ საწარმოო ძალთა განვითარებას, ბუნების ძალთა შემეცნებას და მის პრაქტიკულ გამოყენებას; საზოგადოება მეტად ნელი ტემპით მიდიოდა წინ. რელიგიურ იდეოლოგიას და მისგან გამომდინარე იდეალებს არ შეეძლოთ გამოსულიყვნენ ადამიანის მიწიერი ცხოვრების საზრისისა და მისი მოქმედებების შინაგანი აღმძვრელი მოტივის როლში.

ყოველი რელიგია უმაღლეს იდეალად, ადამიანის დანიშნულებად ღმერთის სამსახურს და მასთან თანაზიარობის მიღწევას აღიარებდა. ეს მიწიერი ცხოვრების საზრისს ფაქტიურად აუფასურებდა. ღვთისმეტყველთა აზრით, ბედნიერება ღმერთის რწმენაშია, რადგანაც ადამიანის ცხოვრების საზრისი საიქიო ნეტარებით მიიღწევა, ამდენად ადამიანის მიწიერი, ნამდვილი ცხოვრება მისადმია დაქვემდებარებული. თვით მიწიერ ცხოვრებას თავისთავად, ღმერთისკენ სწრაფვის გარეშე საზრისი არა აქვს. მიწიერ ცხოვრებას ღირებულებას ღმერთის არსებობის რწმენა ანიჭებს. ასეთი განყენებული იდეალი განაპირობებდა მიწიერ ცხოვრებაში ადამიანთა პასიურობას და ხელს უშლიდა პროგრესს.

მიუხედავად ამისა, ანტაგონისტური წარმოებითი ურთიერთობები და მასში არსებული წინააღმდეგობების განვითარება ერთის მხრივ, აუცილებლობით მოითხოვდა მშრომელი მასების ცხოვრების გასაზრისიანებას, მეცნიერულად დასაბუთებული იდეალის შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, აბრკოლებდა არსებული წყობილების შეცვლას და საზოგადოების წინსვლით მოძრაობას. გაბატონებული კლასები მიწიერი ცხოვრების საზრისში თავიანთი უფლებების ხელყოფას ხედავდნენ და ხელს უშლიდნენ პროგრესულ იდეალთა დამკვიდრებას. ცხოვრება კი მაინც დაბეჯითებით მოითხოვდა პროგრესის ნ. უწყებელ იდეალთა წარმოქმნას. ადამიანთა ცხოვრების გასაზრისიანება უმეტეს წილად ხდებოდა რევოლუციური გადატ-

რიალების პერიოდებში. ამ დროს წარმოქმნილი იდეალები მასების მოქმედების უდიდეს სტიმულიზატორების როლს ასრულებდნენ და არნახულად ამაღლებდნენ მასების აქტიურობას, არსებულის გარდაქმნისაკენ მიმართულ მოღვაწეობას.

უმაღლესი იდეალის — თავისუფლების მეცნიერულად დასაბუთებულ კონკრეტულ იდეალში განსახიერებას, მის გაცნობიერებას და ამ საფუძველზე ცხოვრების გასაზრისიანებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. იდეალი ადამიანთა ძალთა მობილიზაციას ახდენს და ერთი მიმართულებით წარმართავს საზოგადოების განვითარებას. ადამიანს თავისი მოწოდების, დანიშნულების, მიზნის შეგნება მთლიან, მონოლითურ პიროვნებად აქცევს, რომელსაც შეუძლია სიძნელეთა დაძლევა, თავგანწირვა და მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა, „მონა, — წერდა ლენინი, — რომელმაც შეიგნო თავისი მონური მდგომარეობა და იბრძვის მის წინააღმდეგ, რევოლუციონერია. მონა, რომელსაც ვერ შეუგნია თავისი მონობა და ჩუმად, შეუგნებლად, უსიტყვოდ იტანს მონურ ცხოვრებას — უბრალო მონაა. მონა, რომელსაც ნერწყვი მოსდის, როდესაც თვითკმაყოფილებით აღწერს მონური ცხოვრების მშვენიერებას და აღტაცებულია კეთილი და კარგი ბატონით ყურმოჭრილი მონაა, ხეპრეა"[1].

პროლეტარიატი მაშინ გახდა კლასი თავისთვის, როცა მან მეცნიერულად დასაბუთებული იდეალის განხორციელებისათვის ბრძოლა დაიწყო. აქამდე, თუმცა იგი გარკვეულ მიზნებს ისახავდა, მისი ბრძოლა სტიქიურ ხასიათს ატარებდა. მუშები კლავდნენ მეწარმეებს, ამტვრევდნენ მანქანებს და ა. შ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით თავისუფლებას მოიპოვებდნენ. ეს იყო უმაღლესი იდეალის განხორციელებისთვის ბრძოლის სტიქიური გამოხატულება. პროლეტარიატს არ ჰქონდა შეგნებული თავისი მსოფლიო-ისტორიული მისია, თავისი დანიშნულება. წარმოების ამ ახალი წესის მატარებელ კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გასაზრისიანებული თავისი ცხოვრება. პროლეტარიატს არ გააჩნდა ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული თეორია და იდეალი. მარქსი და ენგელ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 13, გვ. 51.

სი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროლეტარიატის მიერ თავისი ცხოვრების გასაზრისიანებას, უმაღლესი იდეალის კონკრეტულ თეორიასა და იდეალში ხორცშესხმას კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის ბრძოლაში. „ჩვენ, — წერდნენ ისინი, — ვაძლევთ მას ბრძოლის ჭეშმარიტ ლოზუნგს. ჩვენ მხოლოდ ვუჩვენებთ მსოფლიოს თუ საკუთრივ რისთვის იბრძვის იგი, ხოლო შეგნება ისეთი რამ არის, რაც მსოფლიომ უნდა შეიძინოს სურს თუ არ სურს ეს მას"[1].

პროლეტარიატის ბრძოლა მიზანსწრაფული გახდა მას შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა მისი კლასობრივი თვითცნობიერება. შეიქმნა მეცნიერულად დასაბუთებული თეორია და იდეალი, რომელშიც მისი განთავისუფლების კონკრეტული გზები იქნა ნაჩვენები. პროლეტარიატის ყველა მიზანი ერთი ძირითადი იდეალის კომუნისტური საზოგადოების, როგორც თავისუფლების სამეფოს აშენების ამოცანას დაექვემდებარა. კომუნისტურ იდეალში გაერთიანდა პროლეტარიატის ცალკეული სასიცოცხლო მიზნები და იგი კლასის უდიდეს შინაგან აღმძვრელ მოტივად იქცა. მეცნიერულად ჩამოყალიბებული კომუნისტური თეორიის, მისი იდეალის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან შეერთებამ მოგვცა უმაღლესი იდეალი მოქმედებაში. მარქსიზმმა გააცნობიერა პროლეტარიატის უმაღლესი იდეალი და მისი განხორციელების გზები აჩვენა. მან პროლეტარიატს უმაღლესი იდეალის — თავისუფლების მოპოვების მეცნიერულად სრულყოფილი თეორია მისცა, რომლის რევოლუციურ პრაქტიკასთან შეერთებამ დიადი კომუნისტური მოძრაობა წარმოშვა. პროლეტარიატმა მარქსისტულ ფილოსოფიაში თავისი სულიერი იარაღი, ხოლო ფილოსოფიამ პროლეტარიატში თავისი მატერიალური იარაღი პოვა.

კომუნისტური იდეალი არის საყოველთაოს — უმაღლესი იდეალის — თავისუფლებისა და ცალკეულის — პროლეტარიატის კლასობრივი მიზნების ერთიანობა. ერთეულია პროლეტარიატის მიზნები, რომელთა გზით საყოველთაო კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს და მოქმედებაში ვლინდება.

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. I, стр. 31.

მაგ., პროლეტარიატის მიზნებია სოციალისტური რევოლუციის განხორციელება, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების შექმნა, კლასობრივი განსხვავების მოსპობა და ა. შ. ეს ცალკეული მიზნები პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ შინაარსებში გვეძლევა, მაგრამ კომუნისტური იდეალი, როგორც თავისუფლების სამეფოს შექმნა ყოველთვის ფიგურირებს ამ მიზნებში მის საბოლოო განხორციელებამდე. იგი სასრულია, მიღწევადია, მაინც ცალკეულია, რაც არ ითქმის უმაღლესი იდეალის — თავისუფლების შესახებ. უმაღლესი იდეალი—თავისუფლება მუდამ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად რჩება და ახალ-ახალ კონკრეტულ შინაარსებში ვლინდება. იგი არასოდეს არ ამოიწურავს თავის თავს. კაცობრიობა არასოდეს არ შეწყვეტს თავისუფლებისაკენ მსვლელობას.

პროლეტარიატის იდეალში და მისადმი დაქვემდებარებულ მიზნებში ყველაზე ღრმად და სრულყოფილად არის გამოხატული, ხორცშესხმული უმაღლესი იდეალი — თავისუფლება. ამიტომ კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე იგი წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო იდეალს, მშრომელ ადამიანთა ცხოვრების საზრისს და სრულყოფილად მოიცავს თავისში უმაღლესი იდეალის — თავისუფლების მთელ სიღრმისეულ შესაძლებლობებს და სიმდიდრეს, „ყოველი ადამიანის მოწოდებას, დანიშნულებას, ამოცანას — ყოველმხრივ განავითაროს ყველა თავისი უნარი...“[1].

სწორედ ამის გამო კომუნიზმი თანამედროვეობის უდიდესი მიმზიდველი იდეალია პროგრესული კაცობრიობისათვის. იგი მასში ხედავს თავის ნათელ მომავალს, თავისუფლების სამეფოს, სადაც შექმნილი იქნება ყოველგვარი პირობა ადამიანთა ყოველმხრივი განვითარებისა და თითოეული. ადამიანის თავისი საკუთარი შესაძლებლობების — უნარის მიხედვით თვითგანხორციელებისათვის. კომუნიზმის დროს იწყება ადამიანთა ძალთა განვითარება, რომელიც თვითმიზანს წარ-

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, 1955, т. 3. стр. 282.

მოადგენს, ყველაფერი მისი ყოველმხრივი განვითარების ამოცანას დაექვემდებარება; იქ ადამიანს შესაძლებლობა ექნება გამოავლინოს თავისი ჰეშმარიტი ინდივიდუალობა, ყოველივე ის ღირებული და საუკეთესო, რაც მასშია მოცემული.

ამასთან კომუნიზმი არის არა მხოლოდ განსახორციელებელი სინამდვილის — სრულყოფილი საზოგადოების წინასახე, არამედ აგრეთვე ამ იდეალის განხორციელებისაკენ მიმართული რეალური მოქმედება, პროლეტარიატის ეკონომიკური, იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლა, მისი რევოლუციური პრაქტიკა. შეცდომა იქნებოდა კომუნიზმი მიგვეჩნია მხოლოდ იდეალად მისი განხორციელებისაკენ მიმართული რევოლუციური მოძრაობის გარეშე, ისე როგორც ეს მოძრაობა — რეალურ მოქმედებად კომუნისტური იდეალის გარეშე. კომუნიზმი გამოხატავს თანამედროვე ეპოქის ძირითადი საწარმოო ძალის — პროლეტარიატის მისწრაფებას თვითგანხორციელებისადმი.

მთელ მსოფლიოში კომუნიზმის საბოლოო და სრული გამარჯვების შემდეგ, როდესაც გაქრებიან კლასები, აღმოიფხვრებიან ადამიანთა უთანასწორობისა და ჩაგვრის უკანასკნელი ნაშთები, კაცობრიობის მთელი მონაპოვრები, მისი მთელი სიმდიდრე ადამიანთა ყოველმხრივი, თავისუფალი განვითარების ამოცანებს დაექვემდებარება, ხოლო ცხოვრების საზრისი — თავისუფლება საზოგადოების ამ უმაღლესი საფეხურის საჭიროებებით განსაზღვრულ ახალ, უფრო სრულყოფილ იდეალში განსახიერდება.

ცხოვრების საზრისად თავისუფლების აღიარების დროს თვითმიზანია ადამიანი, როგორც ბუნებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრაქტიკულად გარდამქმნელი სუბიექტი. ამაშია მარქსისტული ჰუმანიზმის არსება. შრომის პროცესში ადამიანი აფართოებს თავის ბატონობას ბუნების ძალებზე და სრულყოფს თავის ნიჭსა და უნარს. რაც უფრო მეტად ვლინდება მოქმედებაში მისი „მე“, მით უფრო ფართო და სრულყოფილია ადამიანის თავისუფლება. თავისუფალი შემოქმედებითი შრომის პროცესში, რომელიც თვითგანხორციელების პროცესად არის გადაქცეული, ადამიანები ცვლიან გარემოს

და თავისთავს, თავიანთ აზროვნებას და თავიანთი აზროვნების პროდუქტებს.

როგორც ზემოთაც ითქვა, იდეალიზმი ადამიანის აქტიურობის საფუძველს აზროვნების მოღვაწეობაში ხედავს. იგი უგულებელყოფს ადამიანთა გრძნობად-გარდამქნელი მოქმედების როლს მიზნებისა და იდეალების ქმნადობაში. მისთვის ზნეობრივი პიროვნების მოქმედება და ქცევა ავტონომიურია, ადამიანის თავისუფლება გარემო პირობებისაგან დამოუკიდებელია. ადამიანი აზროვნების გზით ახორციელებს თავის ზრახვებს თავისთავის საფუძველზე და თავისთავის მეშვეობით; მოაზროვნე-ზნეობრივი სუბიექტი თავისი მიზნებისა და იდეების მიხედვით ქმნის სინამდვილეს. ადამიანის მოქმედების შინაგანად აღმძვრელი მოტივი პრაქტიკული მოღვაწეობისგან მოწყვეტილია და წმინდა აზროვნებაში ძევს. მიზნებისა და იდეალების ასეთი გაგება განაპირობებს ადამიანის ცხოვრების საზრისის პრობლემის იდეალისტურ გადაწყვეტას. ნამდვილი ცხოვრებისგან მოწყვეტილი იდეალი — მოაზროვნე-ზნეობრივი სუბიექტის თავისუფლება აბსტრაქტული და ფორმალურია. იგი ადამიანის ცოცხალი ცხოვრების საზრისად არ გამოდგება. მარქსისტული ფილოსოფია ადამიანის ცხოვრების საზრისს და მის საფუძვლებს რეალურ სინამდვილესთან, ადამიანთა გრძნობად-პრაქტიკულ საქმიანობასთან აკავშირებს.

ბუნებაში დაფუძნებისადმი მიმართული საგნობრივი მოქმედება აუცილებლად გულისხმობს თავის წანამძღვრად იმას, რომ ადამიანს ცხოვრების გარკვეულ სფეროში რაღაც ზომით თავისუფლება აქვს. ამის გარეშე იგი ვერაფერს ვერ მიაღწევდა.

საზოგადოების განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ არც ერთ ეპოქაში ადამიანი არ ყოფილა აბსოლუტურად არათავისუფალი, რომელი კლასის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, ადამიანს ცხოვრების რომელიმე სფეროში მაინც გარკვეული ზომით თავისუფლება აქვს. „თავისუფლების ზომა შედის ადამიანის ცნებაში“[1]. თავისუფლების გარეშე არ არ-

---

[1] А. Грамши. Избранные произведения, М., 1950, т. 3, стр. 53.

სებობს პიროვნება, პიროვნულობა. „თავისუფლება ნებისყოფის ანუ პიროვნების არსებითი განსაზღვრულობაა, არსებითი ნიშანია. პიროვნება, პიროვნულობა, ადამიანი, ადამიანურობა წარმოუდგენელია თავისუფლების გარეშე. ადამიანი იმითაა ადამიანი, რომ იგი იმას კი არ აკეთებს, რასაც უკარნახებენ, არამედ იმას, რასაც თვითონ გაიზიარებს (თუნდაც ნაკარნახევს), გაამართლებს და გადაწყვეტს"[1].

რასაკვირველია, აქ იგულისხმება თავისუფლება, როგორც გვარეობითი ცნება, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში ავლენს თავის თავს. მისი ზოგიერთი სახე შეიძლება არც ჰქონდეს ადამიანს. მაგ. მონას არ გააჩნია სოციალური თავისუფლება, მაგრამ იგი ადამიანია. მას სხვა სახის თავისუფლება რაღაც ზომით აქვს. როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ, რომ ადამიანს არ გააჩნია თავისუფლება ან იგი მეტად შეზღუდული აქვს, მხედველობაშია სოციალური თავისუფლება, რომელზეც დაბოკიდებულია სხვა თავისუფლებები. ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში რომ წარმოების მუშაკები სოციალურ თავისუფლებას მოკლებული არიან ან იგი მეტად შეზღუდული აქვთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათ აღკვეთილი აქვთ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობები. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სოციალური თავისუფლების არ არსებობა ან მკვეთრი შეზღუდვა უარყოფით გავლენას ახდენს თავისუფლების სხვა სახეებზე, განსაზღვრავს მათ ზომას, მაგრამ ვერ აუქმებს მათ. ადამიანს რომ ცხოვრების არც ერთ სფეროში არ შეეძლოს რაღაც ზომით თავისუფლად მოქმედება, მისი ცხოვრება აზრს დაკარგავდა და ყოველგვარ ინტერესს მოკლებული იქნებოდა.

თუ ადამიანს მისი ცხოვრების რომელიმე მომენტში მაქსიმალურად შეზღუდული აქვს თვითგანხორციელების შესაძლებლობა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი ცხოვრება უსაზრისოა. ამ დროს გონება თავისუფლებას პერსპექტივაში ჰვრეტს. მისთვის იგი თუმცა შორეული, მაგრამ რეალური შესაძლებლობაა, რომელიც გარკვეულ პირობებში სინამდვი-

---

[1] გელა ბანძელაძე. ადამიანური ღირსების ცნება მარქსისტულ-ლენინურ ეთიკაში, 1975, გვ. 29.

ლედ იქცევა. ამდენად იგი მის ცხოვრებას აზრს აძლევს. ადამიანს სწამს, რომ თუ ეხლა არა, შემდგომ მაინც შეძლებს თავისი მიზნების ხორცშესხმას. მართალია, ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ მომავლით ცხოვრობს, მაგრამ თავისუფლება როგორც თვითგანხორციელების რეალური შესაძლებლობა, მისი ცხოვრების შემადგენელ ნაწილადაა გადაქცეული, მსჭვალავს მის ყოველ მოქმედებას და აზრს აძლევს მის ცხოვრებას.

ამრიგად, ცხოვრებას აზრს აძლევს არა მარტო თავისუფლების რაღაც ზომით არსებობა, არამედ ასევე მისი მოპოვებისა და გაფართოებისათვის ბრძოლა.

ადამიანთა სოციალური თავისუფლების შეზღუდვა ან გაუქმება, რომელთანაც უშუალო კავშირშია თავისუფლების სხვა სახეები, ყოველთვის ძლიერ რეაქციას იწვევდა ადამიანებში. სოციალური თავისუფლებისთვის ბრძოლის კულმინაციურ გამოხატულებას აჯანყებები და რევოლუციები წარმოადგენდა. თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა გაგებული იყო როგორც ადამიანური არსებობის ხელყოფა და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება. იგი განაპიროებებს დესპოტიზმის უდიდეს სიძულვილს. არც ერთ ნორმალურ ადამიანს თავისი საკუთარი თავისუფლების წინააღმდეგ შეგნებულად ხელი არ აღუმართავს, ხოლო თავისუფლებისთვის ადამიანები მუდამ იბრძოდნენ და სიცოცხლეს სწირავდნენ.

სოციალური თავისუფლების არარსებობის ან მკვეთრი შეზღუდვის დროს ადამიანი გაუცხოებულია. იგი მისთვის უცხო მიზნების განხორციელების იარაღია. ამ დროს პიროვნებას მკვეთრად შეზღუდული აქვს თვითგანხორციელების შესაძლებლობები და ამ შემთხვევაში მინიმუმამდეა დაყვანილი მისი შინაგანი აღმძვრელი სტიმული, რომელიც გონებრივ და ფიზიკურ ძალებს თავისუფალ მოქმედებისკენ უბიძგებდა. თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა პიროვნების გარემომცველ საგნებთან და სხვა ადამიანებთან მიმართებების გაღარიბებაა, რომელშიც იგი არა მარტო ავლენს და ავითარებს თავის შემოქმედებით ძალებს, არამედ ასევე ქმნის თავისთავს როგორც პიროვნებას.

თავისუფლება ყოველთვის კონკრეტულ-რეალურ მიმარ-

თებებში გვეძლევა. მიმართებათა სისავსე, მათი ცხოვრებისეული სიღრმე და სიფართოვე ადამიანს თვითგანხორციელებისათვის ფართო გზას აძლევს.

თავისუფალ შემოქმედებით მოღვაწეობაში გამოვლენილი ინდივიდის სიმდიდრე, — როგორც მარქსი მიუთითებდა, მთლიანად დამოკიდებულია მისი ნამდვილი მიმართებების სიმდიდრეზე. ნამდვილი მიმართებების სიმდიდრე, მისი მრავალგვარობა შესაძლებელია საზოგადოებაში ადამიანის თავისუფლების არსებობის პირობებში. კონკრეტული მოქმედი პიროვნება გარემომცველ საგნებთან, მოვლენებთან, სხვა ადამიანებსა და თავისთავთან მიმართებებში გამოვლენილი სინამდვილეა. რაც უფრო თავისუფალია ადამიანი, მით უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს მას გამოავლინოს მასში მოცემული შესაძლებლობები თავისთავისა და საზოგადოების სასარგებლოდ. მხოლოდ თავისუფლებისა და მისი მართებული გააზრების, გაცნობიერების გზით შეუძლია მას შექმნას ყოველივე კარგი და საუკეთესო. „ადამიანურად კარგი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც წარმოადგენს თავისუფლების განხორციელებას“[1].

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, 1954. т. 1, стр. 59.

თავი მესამე

სოციალური თავისუფლების კლასობრივი ხასიათი ანტაგონისტურ საზოგადოებაში

„კოლექტიურობის დღემდე არსებულ სუროგატებში — სახელმწიფოში და ა. შ. პირადი თავისუფლება არსებობდა მხოლოდ გაბატონებული კლასის ფარგლებში განვითარებული ინდივიდებისთვის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ამ კლასის ინდივიდები იყვნენ".

კ. მარქსი, ფ. ენგელსი.

1. თავისუფლება და საკუთრება

შრომის პროცესი როგორც თავისუფლების მოქმედი გამოვლენა ხორციელდება მაშინ, როდესაც ადამიანს გარკვეული ზომით ხელი მიუწვდება საზოგადოებრივი სიმდიდრის წყაროებისადმი, ამის გარეშე შეუძლებელია ნამდვილად თავისუფალი არჩევა და არჩეულის რეალიზაცია. არჩევა ძირითადად განსაზღვრულია პიროვნების შინაგანი სამყაროს სიმდიდრით, მისი ცოდნით და გამოცდილებით, ხოლო არჩეულის განხორციელებას განაპირობებს გარემომცველ საგნებთან და კაცობრიობის მიერ შექმნილ დოვლათთან მისი დაკავშირება. ეს უკანასკნელი თუმცა გადამწყვეტ როლს არ ასრულებს, მაგრამ მაინც დიდ გავლენას ახდენს ადამიანის გადაწყვეტილებაზე. პიროვნების შინაგანი სამყაროს სიმდიდრე თავისი გენეზისით და მიღწეული დონით საბოლოო ჯამში განსაზღვრულია ობიექტურად არსებული მატერიალური ურთიერთობებით, თუმცა მას გარკვეული დამოუკიდებლობაც აქვს. არჩე-

ული მიზნის განხორციელებისათვის, მიუხედავად პიროვნების განვითარების დონისა, აუცილებელია ობიექტური პირობები. მხოლოდ რაიმე სამოქმედო მიზნის არჩევა მისი განხორციელების შესაძლებლობების გარეშე ვერ დააფუძნებს სუბიექტ-ობიექტის მოქმედ ერთიანობას. არჩეულ მიზანს სინამდვილედ გადააქცევს ადამიანის აქტიური მოქმედება სათანადო გარემო პირობების არსებობის დროს. მხოლოდ არჩევა, გადაწყვეტილების მიღება რა ადვილად განხორციელებადიც არ უნდა იყოს იგი, რეალურ შესაძლებლობათა გარეშე მნიშვნელობას მოკლებულია. არჩეულის განხორციელება, ჩანაფიქრის ხორცშესხმა, ადამიანის საგნობრივი მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასთან ერთიანობაში იქნება ობიექტური მხარე. ერთიანობის ორი მხარე ცალ-ცალკე შედეგს არ იძლევა, ისე როგორც დასკვნის პროცესში ერთ-ერთი წანამძღვარიდან, მისი მეორესთან შეერთების გარეშე დასკვნა არ მიიღება. პიროვნებას გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაუკავშირდეს მოქმედების განხორციელების საშუალებებს. უამისოდ შეუძლებელია სუბიექტ-ობიექტის მოქმედი ერთიანობა, რომელიც შრომასა და მასთან დაკავშირებულ პროცესებში ვლინდება.

კაცობრიობის არსებობის აუცილებელი პირობა წარმოებასთან ერთად არის მითვისება. ბუნების საგნებთან და საზოგადოებაში შექმნილ სიმდიდრისადმი ადამიანის დამოკიდებულება წარმოების პროცესში საკუთრების ურთიერთობათა ფორმებში ყალიბდება. ადამიანთა წარმოებითი და მასთან დაკავშირებული მოღვაწეობა აუცილებლობად გულისხმობს საზოგადოების წევრთა მიერ მატერიალური დოვლათის მითვისების გარკვეულ ფორმას. „არავითარ წარმოებაზე, — წერდა მარქსი, — მაშასადამე არც არავითარ საზოგადოებაზე, ლაპარაკი არ შეიძლება იქ, სადაც საკუთრების რაიმე ფორმა არ არსებობს“[1]. (ხაზი ჩემია. გ. რ.).

---

[1] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953. გვ. 262.

საკუთრება არის წარმოების საშუალებების, სამუშაო ძალებისა და მოხმარების საგნების მითვისების გზით წარმოქმნილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა. იგი საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე მატერიალური წარმოების პროცესში ისტორიულად განსაზღვრულ კონკრეტულ ფორმას იღებს. საკუთრება მოიცავს განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროებს. საკუთრება მდგომარეობს ობიექტის. საგნის გამგებლობის თავისუფლებაში. გამგებლობის სამი სახე არსებობს: სრული საკუთრება, ფლობა და სარგებლობა. თითოეულ მათგანში გამოხატულია ფლობის გარკვეული ზომა. სრული საკუთრების დროს ობიექტი ადამიანის განუყოფელი კუთვნილებაა. ფლობა არის ნაწილობრივი კუთვნილება, რომელსაც კონტროლს უწევს მესაკუთრე. სარგებლობა კი ობიექტის დროებითი სარგებლობის შესაძლებლობებს გამოხატავს. სრული საკუთრება მოიცავს თავისში დანარჩენ ორს.

საკუთრების ფორმები ისტორიულად იცვლებოდა საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად და ეს ცვალებადობა განაპირობებდა კლასების მდგომარეობისა და თავისუფლების ცვალებადობას. პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში არსებობდა საერთო მფლობელობა, მაგრამ საწარმოო ძალთა მეტად დაბალი განვითარების გამო ადამიანთა თავისუფლების დონე ძალიან დაბალი იყო. „პირველყოფილი ადამიანი სრულიად დაბეჩავებული იყო არსებობის სიძნელით"[1].

პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში, როგორც საზოგადოებრივი საკუთრების, ასევე მასზე დაფუძნებული თავისუფლების შინაარსი მეტად ღარიბია. სუსტად განვითარებული საწარმოო ძალები და მით განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობების ხასიათი განსაზღვრავს პირადი დაინტერესებისა და თავისუფლების დაბალ დონეს. აქ პირადი ინტერესი განუყოფელია საზოგადოებრივისგან, რომელიც წარმართავს ადამიანთა მოქმედებებს.

პირველყოფილი თემური საზოგადოების წიაღში კერძო საკუთრების წარმოქმნას თან სდევდა პირადი თავისუფლებისა და პირადი ინტერესის წარმოშობა. იგი ისეთი პირადი

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 6, გვ. 128.

თავისუფლება და პირადი ინტერესია, რომელიც იმთავითვე საზოგადოებრივს უპირისპირდება. მონათმფლობელობის წარმოშობა არსებითად ცვლის საზოგადოების წევრთა მდგომარეობას და თავისუფლებას მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილის პრივილეგიად აქცევს. მესაკუთრეთა ნებას ექვემდებარება არა მარტო წარმოების საშუალებები და შრომის პროდუქტები, არამედ, ასევე „ობიექტებად“ გადაქცეული წარმოების მუშაკები.

წარმოების საშუალებების ცალკეულ პირთა მიერ მისაკუთრება განსაზღვრავს შრომის პროცესში შექმნილი საგნების მათ მიერ გამგებლობის უფლებას და ამ საფუძველზე საზოგადოებაში ბატონობა-მორჩილების ურთიერთობათა წარმოქმნას. ამიერიდან მწარმოებელთა წარმოების საშუალებებთან ერთიანობა, რაც შრომის იძულებით ხასიათში ვლინდება, გარეგან იძულებას ეფუძნება და ანტაგონისტური ხდება. ერთიანობის ობიექტური მხარე კერძომესაკუთრული მფლობელობის გამო თითქოს ნებისყოფას იძენს და წარმოების მუშაკების მიმართ გარეგანი მაიძულებელი ფაქტორის როლში გამოდის.

საწარმოო ძალთა განვითარების გამო წარმოებაში შექმნილი ჭარბი მატერიალური დოვლათის ცალკეულ პირთა გამგებლობაში გადასვლა, მათ შესაძლებლობას აძლევს ნივთების მეშვეობით თავიანთი ნება თავს მოახვიონ მწარმოებლებს. ამ უკანასკნელთა ბუნებაში თვითდაფუძნებისაკენ მიმართული მოღვაწეობის სიმდიდრე, ხასიათი და ამ მოღვაწეობის შედეგების გამოყენება დამოკიდებულია მესაკუთრეთა ნებაზე, რომლის ცხოვრებაში გამტარებელ ორგანოდ სახელმწიფო გვევლინება.

კერძო საკუთრების არსებობის დროს წარმოების საშუალებებზე გარემომცველ სინამდვილესა და თვით ადამიანებზე ბატონობის შესაძლებლობები გააჩნიათ იმათ, ვისაც სიმდიდრე აქვს. ამის გამო ისინი წარმოებაშიც გაბატონებულ მდგომარეობაში არიან და მატერიალური დოვლათის განაწილებაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ. ასეთ პირობებში საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილია თავისუფალი, ხოლო უმრავლესობა თავისუფლებას მოკლებულია. საზოგადოება ორ

მტრულ, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ნაწილად არის გაყოფილი.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობის დროს სავსებით საპირისპირო მდგომარეობას აქვს ადგილი. მწარმოებლები უშუალოდ არიან დაკავშირებული როგორც წარმოების საშუალებებთან, ასევე შრომის პროცესში შექმნილ საგნებთან. მათ შორის არ დგას მესაკუთრე. ადამიანთა ობიექტებთან კავშირი უშუალოა. მას არ ეანსაზღვრავს ცალკეულ პირთა ინტერესები, რის გამოც სუბიექტ-ობიექტის ერთიანობა არაანტაგონისტურ ხასიათს ატარებს. მწარმოებლები განაგებენ საზოგადოებაში შექმნილ მატერიალურ დოვლათს ყველა მისი წევრის ინტერესების გათვალისწინებით. საზოგადოების თითოეულ წევრს თანაბრად მიეწვდება ხელი სიმდიდრის წყაროებისადმი. მათ თვითგანხორციელების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. ამის გამო არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ჩაგვრა, საზოგადოების წევრთა შორის ინტერესთა გათიშულობა და მტრულ კლასებად დაყოფა.

ამრიგად, ყოველი წარმოების წესის დროს ჩამოყალიბებულ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში საკუთრების ფორმები წარმოადგენს იმ წამყვან კომპონენტს, რომელიც განაპირობებს ისტორიულად საზოგადოების ორი განსხვავებული ტიპის — ანტაგონისტური და არაანტაგონისტური საზოგადოების არსებობას, რომლებიც ხასიათდებიან გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების არსებითად განსხვავებული ფორმებით.

საკუთრების ფორმები განსაზღვრავს წარმოების მართვის, შექმნილი დოვლათის მოხმარებისა და მათთან დაკავშირებულ სხვა უფლება-თავისუფლებებს. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში განსაზღვრავს სოციალური თავისუფლების კლასობრივ ხასიათს ანტაგონისტურ საზოგადოებაში.

ბურჟუაზიის იდეოლოგები საკუთრების ფორმად მხოლოდ კერძო საკუთრებას აღიარებენ და მას ადამიანთა თავისუფლების საფუძვლად მიიჩნევენ. საკუთრება, მათი აზრით, მხოლოდ პიროვნული შეიძლება იყოს. ჯონ ლოკი თავისუფლებას კერ-

ძო საკუთრების გარეშე შეუძლებლად თვლიდა. თავისუფალი მოქალაქის ცნებაში პოლიტიკურ უფლებებზე ადრე მას საკუთრების დაცვის უფლება შეჰქონდა. მასთან თავისუფლების იდეალი თავის გამოხატულებას საკუთრების თეორიაში პოულობს. კერძო საკუთრების ხელყოფა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაა. კერძო საკუთრებისადმი სწრაფვა ადამიანის არსებით თვისებას წარმოადგენს. თვით თავისუფლების კანონები, რომლებიც კერძო საკუთრებასთან არის დაკავშირებული, მისი აზრით, მოწოდებულია პატიოსანი შრომის წასახალისებლად.

საგულისხმოა, რომ ჟან-ჟაკ რუსო, ერთი მხრივ, ადამიანთა მიერ თავისუფლების დაკარგვას კერძო საკუთრების წარმოშობას უკავშირებდა და ყოველი სოციალური უბედურების წყაროდ მას მიიჩნევდა, ხოლო მეორე მხრივ, თავისუფლების დაბრუნების აუცილებელ პირობად მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას აღიარებდა. პიროვნების არსებობა კერძო საკუთრების გარეშე მისთვის წარმოუდგენელია. ამასთან ერთად, რუსო ისე როგორც ლოკი და მე-18 საუკუნის ფრანგი მატერიალისტები, გადაჭარბებული სიმდიდრის წინააღმდეგია. მისი აზრით, ადამიანს იმდენი სიმდიდრე უნდა ჰქონდეს, რომ არ შეეძლოს სხვა ადამიანის ყიდვა, დაჩაგვრა, ხოლო არც ერთი ადამიანი არ უნდა იყოს ისე ღარიბი, რომ გაჰყიდოს თავისი თავი. სიმდიდრე და ანგარება, რომლებიც თავისუფლების მტერია, უნდა შეიზღუდოს. არსებული საზოგადოების მთავარი ბოროტება სიმდიდრის უთანაბრო განაწილების შედეგია.

ჰოლბახიც თავისუფლების აუცილებელ პირობად კერძო საკუთრებას აღიარებდა. მასაც, ბურჟუაზიის სხვა იდეოლოგთა მსგავსად, თავისუფლება მიაჩნდა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ „ბუნებრივ უფლებად“, რომლის ხელყოფის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს. მისი აზრით, შეუძლებელია შევზღუდოთ ადამიანის თავისუფლება მისი ქონებისადმი დამოკიდებულებაში ამ „ბუნებრივი უფლების“ შეულახავად. კერძო საკუთრების გარეშე არ არსებობს პიროვნება და თავისუფლება. ჰელვეციუსი ქონებრივ უთანასწორობას სასარგებლოდაც კი მიიჩნევდა.

ზემოჩამოთვლილი მოაზროვნეები ებრძოდნენ საკუთრების ფეოდალურ ფორმას, რომელიც, მათი აზრით, თავისუფლებას უპირისპირდებოდა. ისინი ვერ ხედავდნენ, რომ საკუთრების ახლად წარმოქმნილი ბურჟუაზიული ფორმა არსებითად იმავე ბუნების იყო. იგი ახალი კლასის პრივილეგიას უდებდა საფუძველს და წინანდებურად ზღუდავდა მწარმოებელთა თავისუფლებას. ეს მოაზროვნეები გრძნობდნენ, რომ გადაჭარბებული სიმდიდრე თავისუფლებას დაუპირისპირდებოდა, რის გამოც მოითხოვდნენ მის სამართლიან განაწილებას. მათ ეს მიაჩნდათ ყველა მოქალაქის თანასწორობისა და თავისუფლების განხორციელების ძირითად პირობად. სიმდიდრის სამართლიანი განაწილება გონების გზით უნდა მომხდარიყო. მხოლოდ გონების სამეფოში, — მათი აზრით, — შესაძლებელია ადამიანთა თავისუფლება და ბედნიერება. „გონების ეს სამეფო, — წერდა ენგელსი, — სხვა არა იყო რა თუ არა ბურჟუაზიის გაიდეალებული სამეფო; რომ სამართლიანობამ თავისი განხორციელება ბურჟუაზიულ იუსტიციაში ჰპოვა; რომ თანასწორობა გადაიქცა ბურჟუაზიულ თანასწორობად კანონის წინაშე; რომ ბურჟუაზიული საკუთრება ერთ-ერთ ყველაზე არსებით ადამიანურ უფლებად იქნა გამოცხადებული"[1]. პიროვნებასა და მის თავისუფლებას ასე განსაზღვრავს პრაგმატიზმის ფუძემდებელი ჯემსი. „პიროვნება, — წერდა იგი, — ამ სიტყვის ყველაზე ფართო აზრით არის ჯამი იმისა, რასაც ადამიანი თვლის თავისად, ე. ი. არა მხოლოდ საკუთარი სხეული და საკუთარი ძალები, არამედ ასევე მისი კუთვნილი ტანსაცმელი და სახლი, ცოლი და შვილები, წინაპრები და მეგობრები, თავისი კეთილი სიტყვა და შემოქმედებითი ნაწარმოებები, მიწის საკუთრება და ცხენები, იახტა და მიმდინარე ანგარიში[2]".

კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოების წესის განვითარებამ, რომელიც მარქსამდელი მატერიალიზმის წარმომადგენლებს ყველა ადამიანის თავისუფლების გარანტიად მიაჩნდათ, დაგვანახა, რომ მას აუცილებლად მივყავართ მწარ-

---

[1] ფრიდრიხ ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 22.

[2] У. Джемс. Научные основы психологии, СПБ, 1902. стр. 135.

მოებელი სუბიექტის საქონლად გადაქცევამდე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოების მუშაკი არა მარტო მქონებელთა ნებას ექვემდებარება, არამედ იგი იყიდება ბაზარზე, გაცვლა-გამოცვლის ობიექტია. ასეთ პირობებში მას სოციალური თავისუფლება არა აქვს.

ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ვერც მესაკუთრენი აღწევენ თავს გარეგანი იძულებისაგან. ერთი მხრივ, ისინი ახორციელებენ თავიანთ მიზნებს, მაგრამ მეორე მხრივ, თავიანთი ვიწრო ეგოისტური მისწრაფებათა მონები ხდებიან. „არა მარტო მუშები, — წერდა ფ. ენგელსი, — არამედ ის კლასებიც, რომლებიც მუშების პირდაპირ ან არაპირდაპირ ექსპლუატაციას ეწევიან, შრომის დანაწილების საშუალებით, თავიანთი საქმიანობის იარაღის მონა ხდებიან: სულიერად გამოფიტული ბურჟუა თავისი საკუთარი კაპიტალისა და საკუთარი მოგების წყურვილის მონაა; იურისტი მონაა თავისი გაქვავებული წარმოდგენებისა, რომლებიც მასზე ბატონობენ დამოუკიდებელი ძალის სახით“[1].

კაპიტალის ბატონობის პირობებში პიროვნების თავისუფლება ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით განუხორციელებელია. თვით მესაკუთრეთა თავისუფლებაც არამყარია და არაა დაზღვეული მოსალოდნელი შემთხვევითობათაგან. „ბურჟუაზიის ბატონობისას ინდივიდები წარმოგვიდგებიან უფრო თავისუფალნი, ვიდრე ისინი უწინ იყვნენ, რადგან მათი ცხოვრების პირობები შემთხვევითია მათთვის; სინამდვილეში კი ისინი, რასაკვირველია, უფრო ნაკლებად თავისუფალნი არიან, რადგან უფრო მეტად ექვემდებარებიან ნივთიერ ძალას“[2]. რადგანაც არსებულ პირობებში შეუძლებელია საზოგადოების მატერიალური საფუძვლის წარმოების გეგმაზომიერი განვითარება, ამიტომ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა კრიზისებისა, რასაც შეუძლია მესაკუთრე პროლეტარად გადააქციოს. მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს მთელი სიმდიდრის ერთ მუჭა მილიონერთა ხელში დაგროვება

---

1 ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურინგი, გვ. 350.

2 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, 1975, გვ. 72.

იწვევს მილიონობით ადამიანების გაღატაკებას, წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებასა და პროლეტარებად გადაქცევას. მმართველი წრეების მიერ გატარებული რეფორმები, მხოლოდ დროებით ამსუბუქებს მასების მდგომარეობას, იწვევს წარმოების ამ თუ იმ დარგის გამოცოცხლებას, მაგრამ სრულიადაც ვერ წყვეტს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების წესისთვის შინაგანად დამახასიათებელია.

კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, სადაც ერთის თავისუფლება ხორციელდება მეორის ან სხვების არათავისუფლებით, ერთი კლასის მიერ მეორე კლასის ექსპლოატაცია და ჩაგვრა ცხოვრების კანონის რანგშია აყვანილი. „რადგან ცივილიზაციის საფუძველი ისაა, რომ ერთი კლასი მეორე კლასის ექსპლუატაციას ეწევა, ამიტომ ცივილიზაციის მთელი განვითარება მუდმივ წინააღმდეგობაში მიმდინარეობს. ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი წარმოებაში მოასწავებს იმავდროულად ნაბიჯის უკან გადადგმას ჩაგრული კლასის, ე. ი. დიდი უმრავლესობის მდგომარეობაში. ყოველი კეთილდღეობა ერთისა აუცილებელი უბედურებაა მეორისათვის, ყოველი ახალი განთავისუფლება ერთი კლასისა ახალი ჩაგვრაა მეორე კლასისთვის“[1].

პიროვნების სოციალ-პოლიტიკური თავისუფლება ანტაგონისტურ საზოგადოებაში ექსპლოატატორული კლასის პრივილეგიას წარმოადგენს. იგი განსაზღვრულია და გარანტირებულია მისი ეკონომიკური ძლიერებით. თავისუფლების საკითხი ყოველთვის ამას უნდა ითვალისწინებდეს. მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ დააასაბუთა, რომ საზოგადოებისა და მისი ყოველი წევრის განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მჭონებელი კლასების ექსპროპრიაციის გზით. „ვიდრე არ მოსპობილა კლასები. — წერდა ლენინი, — თავისუფლებასა და თანასწორობაზე ყოველგვარი მსჯელობის დროს უნდა დაისვას კითხვა: თავისუფლება, რომელი კლასისათვის?. და სახელდობრ როგორი გამოყენებისათვის? თანასწორობა რომელი კლასისა, რომელ კლასთან? და სახელდობრ რა

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1964. გვ. 398.

მხრივ? ამ კითხვების გვერდის ავლა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, აუცილებლივ წარმოადგენს ბურჟუაზიის ინტერესების, კაპიტალის ინტერესების, ექსპლოატატორთა ინტერესების დაცვას, თავისუფლების და თანასწორობის ლოზუნგი, როცა ამ საკითხებზე, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე სდუმან. წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების სიცრუესა და თვალთმაქცობას, საზოგადოებისა, რომელიც თავისუფლებისა და თანასწორობის ფორმალური აღიარებით მალავს მუშების, ყველა მშრომელისა და კაპიტალის მიერ ექსპლოატირებულის, ე. ი. ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ფაქტიურ, ეკონომიურ უთავისუფლობას და უთანასწორობას"[1].

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც არსებობს წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტური საკუთრება, თვით მქონებელი კლასების ბატონობა დამოკიდებულია მწარმოებელთა შრომის შედეგებისაგან. მწარმოებლები წარმოების საშუალებებსა და წარმოებაში შექმნილ პროდუქტებს კაპიტალისტთა საშუალებით უკავშირდებიან და სოციალურ თავისუფლებას მოკლებული არიან, მაგრამ მეორე მხრივ, მათი შრომის გარეშე თვით კაპიტალისტთა თავისუფლებაც არ განხორციელდება. თუ წარმოების მუშაკები არ დაუკავშირდებიან წარმოების საშუალებებს და არ შექმნიან მატერიალურ დოვლათს მისასაკუთრებელიც არაფერი იქნება. ამიტომ, მესაკუთრე კლასების ეკონომიკური ძლიერება და თავისუფლება დამოკიდებულია მწარმოებელთა საქმიანობაზე. კაპიტალისტური წარმოების წესი ამის გამო შეიცავს თავისში ღრმა ანტაგონისტურ წინააღმდეგობას, რომელიც იწვევს პროლეტარიატის მხრივ მისი გადაწყვეტისადმი მიმართულ რევოლუციურ მოქმედებას.

გაბატონებული კლასები ცდილობენ შეინარჩუნონ არსებული წინააღმდეგობა და განამტკიცონ თავიანთი მდგომარეობა. რადგანაც მათი პრივილეგიური მდგომარეობა და მისგან გამომდინარე უფლებები მთლიანად დამოკიდებულია კერძო-

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 479.

მესაკუთრული ურთიერთობებისაგან, ამიტომ ისინი პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა საშუალებებით ესწრაფვიან მის შენარჩუნება-განმტკიცებას. ბურჟუაზიული სახელმწიფო ყველა მისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებებით, კაპიტალისტთა თავისუფლების შენარჩუნებასა და მუშათა კლასის დამორჩილების მიზნის განხორციელებას ემსახურება. ბურჟუაზიამ კერძო საკუთრება იმთავითვე წმიდათა წმიდად და, როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების არსებობა-განვითარების საფუძველთ-საფუძვლად გამოაცხადა და ყველაფერი მისი განმტკიცება-დაცვის ამოცანას დაუქვემდებარა. მას კარგად ესმის, რომ ეკონომიკურ სფეროში ბატონობის გარეშე მისი ბატონობა და თავისუფლება შეუძლებელია.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მხოლოდ იმას შესწევს უნარი გამოავლინოს თავისი პიროვნული მე, განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი, ვისაც სიმდიდრე აქვს. საზოგადოების უდიდესი ნაწილი, წარმოების მუშაკები, მოკლებული არიან შესაძლებლობებს განახორციელონ თავისი თავი. ისინი გარეგანი იძულებით მოქმედებენ და გაუპიროვნებელი არიან. წარმოების მუშაკის გაუპიროვნება უმაღლეს წერტილს აღწევს იმპერიალიზმის ეპოქაში. მწარმოებელი სუბიექტები ექვემდებარებიან კაპიტალის ძალას, რომელიც თავისთავადობას ფლობს. „ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალი თავისთავადი და პიროვნულია, მაშინ, როდესაც მშრომელი ინდივიდუუმი არაა თავისთავადი და უპიროვნოა"[1]. კაპიტალის თავისთავადობა განაპირობებს მის მფლობელთა პიროვნულობას.

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როდესაც საკუთრების გაბატონებულ ფორმად საზოგადოებრივი საკუთრება ხდება, მდგომარეობა არსებითად იცვლება; წარმოების საშუალებები და წარმოებაში შექმნილი დოვლათი მთელი საზოგადოების განკარგულებაში გადადის, მისი განმანაწილებელნი თვით მწარმოებლები ხდებიან. მასზე ხელი მიუწვდება საზოგადოების ყველა წევრს. ამდენად იგი უპიროვნო ხდება,

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, გვ. 145.

ხოლო თავისუფლება პიროვნების ატრიბუტად იქცევა. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დაფუძნებით ხორციელდება ყველა ადამიანის თავისუფლება, ანუ თავისუფლება პიროვნული ხდება. საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა ეძლევა განახორციელოს საზოგადოებრივ ინტერესთან შესაბამისი საკუთარი მიზანი. სოციალიზმის დროს პიროვნების თავისუფლების საფუძველია გაუპიროვნებული საკუთრება — წარმოების საშუალებების განსაზოგადოება. მწარმოებელი სუბიექტი გამოდის როგორც დამქვემდებარებელი, ხოლო საგნები, ობიექტები მათდამი — დაქვემდებარებული. წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება შესაძლებლობას ართმევს ცალკეულ პირებს მათი ფლობის გზით იბატონონ. საგნები კარგავენ გარეგანი მაიძულებელი ფაქტორების თვისებებს და თვით აღმოჩნდებიან საზოგადოებისა და მისი წევრების ნებისყოფისადმი დაქვემდებარებულნი.

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ყველა აქამდე არსებულ საზოგადოებაში პიროვნების თავისუფლების ეკონომიკური საფუძველია საკუთრების ურთიერთობები. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება განაპირობებს საზოგადოებაში მხოლოდ ზოგიერთის — მესაკუთრეების თავისუფლებას, ხოლო — საზოგადოებრივი საკუთრება საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფლებას. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ სოციალიზმამდელი რევოლუციების ძირითად ამოცანას კლასებს შორის სიმდიდრის გადანაწილება შეადგენდა. კერძო საკუთრების ერთი ფორმა მეორეთი იცვლებოდა. ყველა წინა რევოლუციებისგან განსხვავებით სოციალისტური რევოლუცია მიზნად ისახავს კერძო საკუთრების მოსპობას და ამ გზით ყველასათვის თავისუფლების მინიჭებას. იგი სპობს ადამიანთა ნივთიერ ძალებისაგან აქამდე არსებულ დამოკიდებულებას და ამ ძალებს მთელი საზოგადოების ინტერესებს უქვემდებარებს. „კომუნისტური რევოლუცია ნიშნავს ყველაზე რადიკალურად კავშირის გაწყვეტას ტრადიციული საკუთრების ურთიერთობებთან“[1].

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, გვ. 150.

კერძო საკუთრების არსებობით განსაზღვრული ნივთიერ ძალებზე ადამიანთა დაქვემდებარება სოციალიზმამდელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში, ყველაზე უფრო გაშიშვლებულად გამოვლინდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ობიექტის სუბიექტზე ბატონობას, ანუ ადამიანის შრომის შედეგების ადამიანისაგან დამოუკიდებელ და მასზე გაბატონებულ ძალად გადაქცევას გამოხატავს გაუცხოების ცნება. იგი აღნიშნავს მწარმოებელთაგან მათივე შექმნილი ნივთების გათიშვას და მათზე ბატონობას. გაუცხოებას საფუძველი ეყრება შრომის დანაწილებისა და კერძო საკუთრების წარმოშობისთანავე. ადამიანს მის მიერვე შექმნილი პროდუქტი როგორც უცხო არსება უპირისპირდება. ყველაფერი საქონლით განისაზღვრება. წარმოიქმნება წინააღმდეგობა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის; ადამიანის გაუცხოება ხდება არა მარტო ბუნებისგან, არამედ სხვა ადამიანებისგანაც. კლასობრივი საზელმწიფო თავისი ორგანოებით თრგუნავს ადამიანს. ადამიანი ექტიური სუბიექტიდან გადაიქცევა საზოგადოებრივი პროცესის ობიექტად, რაც დამანგრეველ გავლენას ახდენს მის არსობრივ ძალებზე. გაუცხოების დროს იგი არ არის თავისი ცხოვრების განმგებელი. მისი მდგომარეობა და მოღვაწეობა ყველაზე ნაკლებად დამოკიდებულია საკუთარ თავზე. იგი განსაზღვრულია გარეგანი იძულებით და არ შეესაბამება მოქმედი სუბიექტის შინაგან მისწრაფებებს და ნდომას. გაუცხოება ადამიანის მიერ თავისი თავის დაკარგვაა, თავისუფლების არარსებობაა.

გაუცხოების დროს ადამიანები ყველაფერში საცვლელ ღირებულებას ხედავენ. გაფეტიშებული ნივთები, მატერიალური კეთილდღეობა ხდება ადამიანის ერთადერთი მიზანი. კომფორტისადმი გამოდევნებაში იკარგება ცხოვრების ნამდვილი საზრისი. ადამიანი თავისი მოხმარებითი ინტერესების მონად იქცევა. ამაღლებული იდეალები ქრება ან მათი დანამატი ხდება. მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით გაუცხოება არაა მარადიული, ადამიანებისათვის დამახასიათებელი, როგორც ამას ბურჟუაზიის იდეოლოგები ამტკიცებენ. გაუცხოება ისტორიული მოვლენაა, რომელიც მოიხსნება მისი გამომწვევი მიზეზების მოსპობის შედეგად. კაპიტალიზმი, რომელშიც

ყველაზე უფრო მკვეთრადაა გამოხატული ნივთების ადამიანებზე ბატონობა, აუცილებლობით აყენებს საკითხს მისი მოხსნის შესახებ.

შრომის დანაწილებისა და კერძო საკუთრების საფუძველზე წარმოქმნილი ეკონომიკური გაუცხოება, რომელიც ყველა სხვა გაუცხოების საფუძველია, ზღუდავს მწარმოებელთა ინიციატივას, ხელს უშლის მათი არსობრივი ძალების გაშლა-განვითარებას. კაპიტალიზმის დროს წარმოების მუშაკი არსებობს იმ სიმდიდრის გასადიდებლად, რომელიც მას არ ეკუთვნის, იმის ნაცვლად, რომ სიმდიდრე არსებობდეს მისი ძალების განვითარებისათვის. მუშა კაპიტალის ბატონობის დროს თავისი შრომით კი არ აფუძნებს თავის თავს, არამედ უარყოფს მას, კი არ შლის თავისუფლად თავის უნარს, არამედ ფიტავს საკუთარ ფიზიკურ და სულიერ ძალებს. რაც უფრო მეტს მუშაობს და მეტს ქმნის იგი, მით უფრო უცხო ხდება მისთვის მის მიერ შექმნილი საგნობრივი სამყარო. მწარმოებელთა თავისუფლება არა თუ იზრდება, არამედ თანდათან კნინდება და ფორმალური ხდება.

კაპიტალი, როგორც კერძო საკუთრების უმაღლესი ფორმა, ადამიანებს აუცხოებს და ერთმანეთს უპირისპირებს. კაპიტალი ყველა ადამიანურ მიზნებს მხოლოდ მოგების გაზრდის ინტერესებს უქვემდებარებს და ამაღლებულ იდეალებს მას სწირავს მსხვერპლად. კაპიტალი მის მფლობელს საშუალებას აძლევს ცხოვრების მთელ რიგ სფეროში იმოქმედოს საკუთარი ინტერესებით. ყველა ეს საკუთარი ინტერესი საბოლოო ჯამში ისევ კაპიტალის გაზრდის მიზნითაა განსაზღვრული. გამოდის, რომ ვერც მესაკუთრენი განაგებენ თავიანთ სიმდიდრეს ნამდვილ ადამიანურ მოთხოვნილებათა კარნახით. პირიქით, სიმდიდრე განაგებს მათ. გარეგანი, ნივთიერი სამყარო ავიწროებს; ზღუდავს და აკნინებს ადამიანურ გრძნობებს. თვით მესაკუთრეთა თავისუფლებაც კაპიტალიზმის დროს არასრულყოფილია და გარეგანი ძალების მოქმედებით შეზღუდულია. „მქონებელი კლასი, — წერდა მარქსი, — ღებულობს გაუცხოებას როგორც საკუთარი ძლიერების

დამტკიცებას და მასში ფლობს ადამიანური არსებობის მოჩვენებითობას"[1].

თავისუფლების განხორციელების აუცილებელ პირობას, მარქსიზმის მიხედვით, წარმოადგენს გაუცხოების დაძლევა არა მხოლოდ ცნობიერებაში, არამედ, რაც მთავარია, რეალურ სინამდვილეში, ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობაში. ნამდვილი თავისუფლების მოპოვებისათვის საჭიროა შრომის გამაუცხოებელი კერძომესაკუთრული ურთიერთობების მოსპობა, რომლებმაც ადამიანები ტექნიკური პროგრესის საშუალებებად გადააქცია. თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნების დეჰუმანიზაციის საფუძველია არა ინდუსტრიულ-ტექნიკური განვითარების მაღალი დონე, არამედ დრომოჭმული კაპიტალისტური წყობილება.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში განვითარების მეტად მაღალ დონეს მიღწეული საწარმოო ძალები კი არ აფართოებს, არამედ ზღუდავს მილიონობით მწარმოებელთა თავისუფლებას. მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მონაპოვრები ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის უბედურებისა და გაჩანაგების წყარო ხდება. იმის ნაცვლად, რომ ამაღლებულიყო ადამიანთა თავისუფლება, იგი უფრო მეტად იზღუდება, მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას თვით მწარმოებელთათვის უარყოფითი შედეგები მოაქვს. მაღალგანვითარებული ტექნიკა ზღუდავს მათ ინიციატივას და მუშებს მანქანების დანამატად აქცევს. მწარმოებელი სუბიექტი თვით საწარმოო ძალის მანქანის მოქმედების ობიექტი ხდება. გაუცხოებული ნივთები იძენენ დამოუკიდებლობას და ცოცხალ ადამიანებზე ბატონობენ. წარმოების საშუალებებს მუშა კი არ მოიხმარს, როგორც თავისი საწარმოო მოღვაწეობის ელემენტს, არამედ წარმოების საშუალებები მოიხმარენ მას, როგორც თავისი პროცესისთვის აუცილებელ ელემენტს. სოციალურ ფუნქციათა შორის ურთიერთობა, როგორც მარქსი გვასწავლის, კარგავს ადამიანურ შინაარსს და საგნობრივ საზრისს იძენს.

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., издание второе, М., 1955, т. 2, стр. 39.

მეცნიერების განვითარებას კაპიტალიზმი მიჰყავს ღრმა წინააღმდეგობებამდე. ერთი მხრივ, მანქანა ამსუბუქებს მუშის შრომას და ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, ხოლო მეორეს მხრივ, იწვევს თვით მუშა ძალის შიმშილს, აძლიერებს მის გამოფიტვას. ახლად აღმოჩენილი სიმდიდრის წყაროები მთელი საზოგადოების კეთილდღეობას არ ემსახურება „იმ ზომით, რა ზომითაც კაცობრიობა ბუნების უფალი ხდება. ადამიანი, თითქოს მეორე ადამიანის მონობაში ვარდება. ანდა თავისი საკუთარი სიმდაბლის მონად იქცევა...

ყველა ჩვენს გამოგონებათა და მთელი ჩვენი პროგრესის შედეგი, თითქოს, მხოლოდ ისაა, რომ მატერიალურ ძალებს სულიერი ცხოვრება ენიჭებათ, ხოლო ადამიანის სიცოცხლე მატერიალური ძალის დონემდეა დაჩლუნგებული"[1].

მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მონაპოვრების შეუსაბამობა მთელი საზოგადოების კეთილდღეობისა და პროგრესის მოთხოვნებთან კიდევ უფრო გაღრმავდა თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში. იმ დროს, როდესაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება აიძულებს მატერიას დაემორჩილოს ადამიანის ნებას, ადამიანთა შორის ურთიერთობანი სულ უფრო უგუნური ხდებიან და ნივთიერების დამოკიდებულების ანარეკლად იქცევიან. ნივთთა ურთიერთობებში მოქმედი ბრმა ძალები „მართავენ" ადამიანთა ცხოვრებას. ადამიანთა მოქმედებებს თან სდევს არა ის შედეგები, რაც მათ სურდათ, არამედ პირდაპირ მათი საწინააღმდეგო. მიზანმიმართული, გეგმაზომიერი მოღვაწეობა განუხორციელებელია. მიზანი და მისი განხორციელების შედეგები სხვადასხვა პოლუსებზე აღმოჩნდებიან და ინტელექტი ვერ ახერხებს მათ თანამთხვევას. ცხოვრებისა და ნებისყოფის მქონე არსებათათვის დამახასიათებელი თავისუფალი მოქმედებების შესაძლებლობები იზღუდება და სტიქიურობა ბატონდება. ინტელექტის მოქმედება სასურველ შედეგებს არ იძლევა. კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის შედეგად შექმნილი მატერიალური და სულიერი სიკეთე, რომელიც თავისუფლების შემდგომი სრულყოფის სა-

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, გვ. 620.

ღონეძველი უნდა ყოფილიყო, პირიქით, მისი განვითარება სრულყოფის დაბრკოლებად იქცევა.

უდიდესი მეცნიერული და ტექნიკური აღმოჩენები კერძო-მესაკუთრული, პარტიკულარული ინტერესების ბატონობის დროს ადამიანებისათვის უცხო, საშიში ძალა ხდება. ამ მონაპოვრების ადამიანთა კეთილდღეობისათვის გამოყენების მეტად მცირე შესაძლებლობები არსებობს. ბუნების გაადამიანურებული ძალები ადამიანებში უფრო მეტ შიშს იწვევენ, ვიდრე პირველყოფილ საზოგადოებაში სტიქიურ ძალთა მოქმედება იწვევდა. თანამედროვე ადამიანებს გაცნობიერებული აქვთ ატომური ომის საშინელი შედეგები, მაგრამ იმპერიალიზმი ზღუდავს მათ ბრძოლას ამ შედეგების თავიდან ასაცილებლად. თანამედროვე რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებობს მეტად მაღალგანვითარებული მეცნიერება და ტექნიკა, ატომური ენერგიის დიდი მარაგი, მაგრამ მით უფრო ნაკლებია მათი მშვიდობიანი მიზნისათვის გამოყენების შესაძლებლობები. კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების დროს ისე როგორც თვით მწარმოებლებისაგან არაა დამოკიდებული მათ მიერვე შექმნილი დოვლათის განაწილება, ასევე მეცნიერებს არავინ ეკითხება თუ რა მიზნისათვის იქნეს გამოყენებული მათ მიერ აღმოჩენილი ენერგიის წყაროები.

საწარმოო ძალების განვითარება თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში კიდევ უფრო აძლიერებს მწარმოებელთა დამოკიდებულებას საზოგადოებაში მოქმედი სტიქიურ ძალებზე. მილიონობით ადამიანების მიერ შექმნილი საგნები „თავის ნებას“ კარნახობენ საზოგადოებას.

თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის რეაქციული ბუნების ამომწურავი დახასიათება მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში. „მონოპოლისტური კაპიტალი, რომელმაც მთლიანად იგდო ხელთ ძირითადი მატერიალური საშუალებანი, არავის არ უზიარებს პოლიტიკურ ძალა-უფლებას. მან დაამყარა თავისი დიქტატურა — უმრავლესობაზე უმცირესობის დიქტატურა, საზოგადოებაზე კაპიტალისტური მონოპოლიების დიქტატურა. იმპერიალიზმის იდეოლოგები მონოპოლისტური კაპიტალის დიქტატურას ნიღბავენ თავისუფლებისა და დემოკრატიის ყალბი ლოზუნგე-

ბით. აცხადებენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს „თავისუ-ფალი სამყაროს“ ქვეყნებად. მმართველ ბურჟუაზიულ წრეებს ასაღებენ ყოველგვარი დიქტატურის მოწინააღმდეგეებად. ნამ-დვილად კი თავისუფლება იმპერიალისტურ სამყაროში ნიშ-ნავს მხოლოდ არა მარტო თავიანთი ქვეყნების, არამედ აგრეთ-ვე მონოპოლიების რკინის ქუსლქვეშ მოყოლილი ყველა სხვა ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ექსპლუატაციის თავისუფლებას“[1].

2. ბურჟუაზიული თავისუფლების არსი

ადამიანები არსებობისათვის საჭიროებენ მოხმარების საგ-ნებს, რომლებსაც ისინი აწარმოებენ. მოხმარება და წარმოება ერთმანეთს მოითხოვენ. მოხმარება ქმნის მოთხოვნილებას რო-გორც მიზანს წარმოებისათვის. მოხმარების საგანთა შექმნის აუცილებლობა აიძულებს წარმოებას განვითარდეს. წარმოე-ბაში შექმნილი საგნები ვიდრე მომხმარებლებთან მივიდოდეს, განაწილებული უნდა იქნას, რომლის წესი არაა დამოკიდებუ-ლი თვით ადამიანთა სურვილებზე. მწარმოებლებსა და პრო-დუქტებს შორის დგება განაწილება, რომელიც საზოგადოებ-რივი კანონების საშუალებით განსაზღვრავს მწარმოებელთა წილს პროდუქტთა სამყაროში.

პროდუქტების განაწილება შედეგია წარმოების შიგნით არ-სებული განაწილებისა, წარმოების საშუალებებზე არსებული საკუთრების ფორმებისა, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოე-ბის წესს და აქედან გამომდინარე მთელი საზოგადოების სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ განაწილება განსაზღ-ვრულია თვით წარმოების წესით, მას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით წარმოებისა და საბოლოო ჯამში საზოგადოების განვითარებისთვის. „განაწილება, —წერდა ენგელსი, — რამ-დენადაც მას წმინდა ეკონომიური მოსაზრებანი განაგებენ, წარმოების ინტერესებით მოწესრიგდება, ხ ო ლ ო წ ა რ მ ო-ე ბ ა ყ ვ ე ლ ა ზ ე უ კ ე თ ე ს ა დ გ ა ნ ვ ი თ ა რ დ ე ბ ა

---

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1907, გვ. 36—37.

განაწილების ისეთი წესით, რომელიც საზოგადოების ყველა წევრს ნებას მისცემს თავისი უნარი რამდენადაც შესაძლებელია ყოველმხრივ განავითაროს, დაიცვას და გამოავლინოს[1] (ხაზი ჩემია, გ. რ.).

წარმოების საშუალებებისა და წარმოების პროცესში შექმნილი საგნების განაწილების წესი ის საბოლოო პუნქტია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ეკონომიკურ და სხვა სახის თავისუფლებას... ადამიანთა ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც სხვა თავისუფლებათა საფუძველია, საბოლოო ჯამში დამოკიდებულია განაწილების იმ წესისაგან, რომელიც საზოგადოების ამა თუ იმ საფეხურზე არსებობს. ინდივიდის ინიციატივა, მისი შემოქმედებითი თავისუფლება და განვითარება დიდადაა დამოკიდებული მისგან. იქ, სადაც ადამიანის მოქმედების შინაგან აღმძვრელ მოტივს მხოლოდ არსებობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა წარმოადგენს, მის ნამდვილ თავისუფლებაზე მსჯელობა არ შეიძლება. ამ შემთხვევაში ადამიანის მთელი შემოქმედებითი ძალები, მისი პიროვნული შე შეზღუდულია მხოლოდ ამ ერთი მიზნის განხორციელებისადმი მიმართული მოღვაწეობით. ადამიანი მხოლოდ თავისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისთვის ღვწის, იგი მთელ თავის ენერგიას ამ მიზნის განხორციელებისთვის ხარჯავს.

საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების წესი, რომლის ლვისებრივი შეცვლა თან სდევს საკუთრების ჯორმათა გარდაქმნას, დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა ცნობიერებაზე. იგი ეხება არსებული კლასების ცხოვრებისეულ ინტერესებს, მათი წარმომადგენლების სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. „ყოველგვარი განაწილების კავშირი ამა თუ იმ საზოგადოების არსებობის ყოველგვარ მატერიალურ პირობებთან იმდენად ფესვგადგმულია საქმის ბუნებაში, რომ იგი, როგორც წესი, აირეკლება ხალხის ინსტინქტებში“[2]. პროდუქტთა განაწილების წესი ერთი და იგივე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმა-

---

[1] ფრიდრიხ ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 237.
[2] იქვე, გვ. 176.

ციის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულ როლს ასრულებს. ახლად წარმოქმნილი განაწილების წესი დიდ მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენს საწარმოო ძალთა განვითარებისთვის, მაგრამ, როდესაც ისინი დრომოჭმული ხდებიან, ხელს უშლიან მათ წინსვლას. თვით ერთი და იგივე განაწილების წესის დროს კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგიერთი ღონისძიება წარმოების ამა თუ იმ დარგის მუშებისათვის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ქმნის სამართლიანი განაწილების მოჩვენებითობას, ასუსტებს მუშათა კლასის ერთიანობას და ხელს უწყობს ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებას.

საზოგადოებაში კლასებისა და სოციალური ჯგუფების დამოკიდებულების რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს განაწილების ურთიერთობები. ყოველ საზოგადოებრივ- ეკონომიკურ ფორმაციას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განაწილების წესი აქვს. გაბატონებული კლასები კერძო საკუთრების შენარჩუნებით იცავენ და ამტკიცებენ მათთვის მისაღებ განაწილების ურთიერთობებს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ დაპირისპირებულ კლასებს შორის ბრძოლა არსებული საკუთრებითი ურთიერთობების და მათგან გამომდინარე განაწილების წესის შენარჩუნებისა და შეცვლისაკენ იყო მიმართული. ჩაგრული კლასები მისი შეცვლისათვის იბრძოდნენ. ყოველი წარმოებითი ურთიერთობების შეცვლა პროდუქტთა განაწილების წესის გარდაქმნით მთავრდებოდა. პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობა, საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება მიმართულია იქეთკენ, რომ განხორციელდეს საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი განაწილება. სწორედ ამითაა რევოლუციის მიზნები ახლობელი ჩაგრული კლასებისთვის. სოციალიზმის არსებას გასაგებსა და ახლობელს ხდის პროლეტარებისთვის მასში არსებული განაწილების პრინციპი: „თითოეულისგან თავისი უნარის — თითოეულს თავისი შრომის მიხედვით“.

ისტორიის მთელი წინამავალი პერიოდი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ჩაგვრის, მიკერძოების, არაობიექტურობის, ადამიანთა შორის მტრობისა და სხვა მანკიერებათა უშუალო

საფუძველს საზოგადოებაში შექმნილი დოვლათის უსამართლო განაწილება შეადგენდა. უსამართლო განაწილებამ სიმდიდრე არსებობის საშუალებიდან ადამიანთა ცხოვრების უმაღლეს მიზნად, მისი არსებობის, სიცოცხლის საზრისად გადააქცია. ჩაგვრა, მიკერძოება, ტენდენციურობა, მტრობა, ნივთების ფეტიშიზმი-გაუცხოება უსამართლო განაწილების უშუალო შედეგებს წარმოადგენდა. ადამიანი ადამიანს აფასებს და მასთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს ნივთების მეშვეობით. საქონლის საცვლელი ღირებულება გამოდის ადამიანის ქცევის კრიტერიუმად. თავისუფალი არჩევა ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით შეუძლებელი ხდება. ადამიანები მოქმედებენ არა თავიანთი ადამიანური მისწრაფებებისა და ნდობის კარნახით, არამედ ნივთების იძულებით, ქონების დაგროვება-გადიდების მიზნებით.

წარმოებითი ურთიერთობების გარდაქმნისაკენ მიმართული ჩაგრული კლასების რევოლუციური მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს მატერიალური დოვლათის უსამართლო განაწილების წესის შეცვლა შეადგენდა. ექსპლოატირებული მასები ცნობიერად თუ ქვეცნობიერად აღიქვამდნენ იმ ფაქტს, რომ მატერიალური დოვლათის ფლობის გარეშე თავისუფლება არ არსებობდა. ასეთი მსჯელობის საფუძველს მათ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოების წევრთა განსხვავებული მდგომარეობა აძლევდა. ცხოვრების ყოველ სფეროში თავისუფლებას ფლობდა ის, ვისაც მეტი ქონება ჰქონდა. ადამიანის ბრძოლა საკუთრების გადიდებისთვის თავისუფლების გაფართოებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. არსებობისა და თავისუფალი მოქმედების ინტერესები აიძულებდა ადამიანებს, რაც შეიძლება მეტი ქონება დაეგროვებინათ. არსებულ პირობებში იგი თავისუფლების გარანტიას ქმნიდა. ისტორიულად ჩამოყალიბდა ისეთი ვითარება, რომ ქონების დაგროვება, რაც პიროვნების თავისუფლების საშუალება უნდა ყოფილიყო, თვითმიზნად გადაიქცა.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ადამიანის ნამდვილი თავისუფლება, რომელიც მათი ნიჭისა და უნარის ყოველმხრივ განვითარებაში გამოვლინდება, განუხორციელებელია. „ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, სადაც მშრომელი

მასები გაღატაკებულნი არიან და ერთი მუჭა მდიდრები შუქთახორობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი თავისუფლება"[1].

მარქსიზმის კლასიკოსები არაერთგზის უსვამდნენ ხაზს იმას, რომ სანამ ადამიანები არ გაბატონდებიან თავიანთ მატერიალურ ურთიერთობებზე და არ მოაწესრიგებენ განაწილებას, თავისუფლება განუხორციელებელ იდეალად დარჩება. თუ ადამიანები ვერ შეძლებენ იმის სამართლიან განაწილებას, რის რაოდენობრივი გაზომვა შეიძლება, მაშინ ისინი ვერასოდეს ვერ განახორციელებენ სხვა სულიერ ღირებულებათა სამართლიან განაწილებას. მატერიალური დოვლათის სამართლიანი განაწილება ყველა სხვა ღირებულებათა სამართლიანი განაწილების საფუძველია, იდეალისტური ფილოსოფია უგულებელყოფს თავისუფლების მიღწევაში მატერიალური ურთიერთობებისა და მათ შორის სიმდიდრის განაწილების როლს. მას მთელი ყურადღება გადააქვს საზოგადოების წევრთა მიერ მეცნიერებისა და ზნეობის მონაპოვრების ათვისებაზე; ზნეობრივი და მეცნიერული თვითგაუმჯობესება თავისუფლების მოპოვებისა და განვითარების ერთადერთ პირობადაა გამოცხადებული. ეს აზრი ყველაზე მკაფიოდ იქნა გამოთქმული ჰეგელის მიერ. თავისუფლების ერთადერთი საფუძველია აუცილებლობის შეცნობა. ამდენად, თავისუფლების განვითარება — ცოდნის განვითარებას წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებისა და პიროვნების თავისუფლების საფუძველს საწარმოო ძალთა განვითარების მაღალი დონე და მით განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობები წარმოადგენენ. საზოგადოების წევრთა შორის თავისუფლების განაწილებას უშუალოდ განსაზღვრავს წარმოებითი ურთიერთობები და მისგან გამომდინარე განაწილების წესი. თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროს მეცნიერებისა და ტექნიკის, საწარმოო ძალთა მაღალი განვითარების პირობებში ადამიანთა მონობის და სიდუხჭირის ძირითადი მიზეზი არსებულ წარმოებით ურთიერთობათა ხასიათში ძევს. წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნა ან სრულყოფა სტიმულს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 10, გვ. 39,

აძლევს მწარმოებლებს და განაპირობებს წარმოების შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე განაწილების ურთიერთობათა შეცვლა-სრულყოფა. მისი ყოველი გაუმჯობესება-სრულყოფა იწვევს მწარმოებელთა შემოქმედებითი ძალების გამოთავისუფლებას.

სოციალური რევოლუციები წარმოებითი ურთიერთობების გარდაქმნით, რომელსაც თან სდევდა განაწილების წესის სრულყოფა ან შეცვლა, გზას უხსნიდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, ადამიანთა ბუნებაზე ბატონობის განმტკიცებას. უამისოდ ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების იდეოლოგიურ თუ სხვა საშუალებებს ძალა არა აქვს. მას შემდეგ, რაც ძველი წარმოებითი ურთიერთობები შეიცვლება ახლით, მატერიალური დოვლათის განაწილების წესიც უფრო სამართლიანად ეჩვენებათ. იგი უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს მწარმოებლებს და თვით მესაკუთრეებს. ამით იყო გამოწვეული კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება. ახალგაზრდა ბურჟუაზიის მიერ თავისუფლებისა და პროგრესის იდეების ქადაგება მიზანს აღწევდა იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ახალი წარმოებითი ურთიერთობები იძლეოდა. ეს გრძელდებოდა კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მიერ განაწილების ურთიერთობათა გაუმჯობესებისა და სრულყოფისთვის გატარებული რეფორმები და ღონისძიებანი სასურველ შედეგს არ იძლევა. იგი მხოლოდ სამართლიანი განაწილების ილუზიას ქმნის და მხოლოდ რამდენადმე ახანგრძლივებს კაპიტალიზმის არსებობას.

კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურზე სულ უფრო ცხადი ხდება უთანასწორობა პროდუქტთა განაწილებაში და ძლიერდება ბრძოლა არსებული წარმოებითი ურთიერთობების გარდაქმნისათვის. იმპერიალიზმის დროს სიმდიდრის ერთი მუჭა მილიონერთა ხელში თავმოყრას თან სდევს მშრომელი მასების ცხოვრების პირობების გაუარესება და მათი უფლებების მკვეთრი შეკვეცა. მწარმოებელთა მთელი შემოქმედებითი ენერგია მხოლოდ ინდივიდუალური არსებობისათვის საჭირო საშუალებების მოპოვებისათვის იხარჯება. საწარმოო ძალთა შემდგომი წინსვლა ბრკოლდება. ასეთი მდგომა-

რეობა შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს. საწარმოო ძალთა განვითარება აუცილებლად მოითხოვს წარმოებით ურთიერთობათა შეცვლას. წარმოების მომავალი სოციალისტური წესის მატარებელი კლასი — პროლეტარიატი, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული ფლობს უდიდეს პოტენციურ თავისუფლებას. მისი შემოქმედებითი ძალები დროებით შეჩერებულია. მას გზას გაუხსნის სოციალისტური რევოლუცია.

ანტაგონისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში საკუთრების ფორმებისა და მათგან გამომდინარე პროდუქტთა სამართლიანი განაწილების წესის დაფუძნებისათვის წარმოებული რევოლუციური ბრძოლა მშრომელთა თავისუფლებისთვის ბრძოლას წარმოადგენდა. ექსპლოატირებული მასები ცდილობდნენ თავიანთი სასიცოცხლო მიზნების, არსებობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. მარქსიზმის წარმოშობამდე ამ ბრძოლის ძირითადი შინაარსი და უმთავრესი მიზანი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში მდგომარეობდა. არსებობის საშუალებები, ნივთები უმაღლესი იდეალისა და ცხოვრების საზრისის როლში გამოდიოდა. თვით გაბატონებული კლასების წარმომადგენლები კი ყოველი საშუალებებით ცდილობდნენ თავიანთი თავისუფლების ეკონომიკური საფუძვლის — სიმდიდრის შენარჩუნება-გადიდებას. სიმდიდრის დაგროვება და გადიდება უდიდესი სტიმულიზატორის როლს თამაშობდა. „ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა მისი გაჩენის მომენტიდან დღემდე, — წერდა ენგელსი, — სიხარბე იყო; მისი ერთადერთი, განმსაზღვრელი მიზანი იყო სიმდიდრე, სიმდიდრე და კიდევ სიმდიდრე, მაგრამ სიმდიდრე არა საზოგადოებისა, არამედ აი ამ ცალკეული სულმდაბალი ინდივიდისა"[1]. (ხაზი ჩემია, გ. რ.).

ანტაგონისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში სახელმწიფოთა და ადამიანთა შორის მუდმივი ბრძოლის

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 11, გვ. 397.

საფუძველია კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სიმდიდრის უსამართლო განაწილება. სახელმწიფოთა შორის ომები, კლასობრივი ბრძოლები, აჯანყებები, სოციალური რევოლუციები სიმდიდრის დაგროვებასა და გადანაწილებას ისახავდნენ მიზნად. ადამიანთა მთელი შემოქმედებითი ძალები უმთავრესად ამ მიზნის განხორციელებისათვის იხარჯებოდნენ. იგი უმაღლესი სიკეთისა და თავისუფლების სინონიმს წარმოადგენდა. ჩაგრული კლასები მჩაგვრელებთან ბრძოლაში ყოველთვის თავისუფლების ლოზუნგით გამოდიოდნენ. თავისუფლება, რომელიც სიმდიდრის გადანაწილების გზით უნდა განხორციელებულიყო, გაგებული იყო სრულყოფილ სიცოცხლედ. თავისუფლებას უპირისპირდებოდა სიკვდილი. რევოლუციებში და აჯანყებებში წამოყენებული ლოზუნგი „თავისუფლება ან სიკვდილი" გამოხატავდა სრულფასოვანი ადამიანური ცხოვრების უბადრუკი არსებობისადმი დაპირისპირებას. სრულფასოვანი ცხოვრება კი ისეთ არსებობას ნიშნავდა, როდესაც ადამიანს გააჩნდა ქონება და შეეძლო განეხორციელებინა თავისი თავი. თვითგანხორციელების შესაძლებლობას პიროვნების ქონებრივი მდგომარეობა იძლეოდა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ადამიანის უმაღლესი მიზანი და ცხოვრების საზრისი არის მატერიალურ ღირებულებათა ფლობა. თავისუფლება ამ უმაღლესი მიზნის განხორციელების საშუალებაა. იგი იმდენად არის ღირებულება, რამდენადაც სიმდიდრის მოხვეჭას ემსახურება. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კერძო საკუთრება თავისუფლების სინონიმია. მხოლოდ გაპიროვნებული, ცალკეული სუბიექტისადმი დაქვემდებარებული სიმდიდრე არის მიჩნეული საკუთრებად. ეს გარემოება განსაზღვრავს კერძო საკუთრების აბსოლუტიზაციას და თავისუფლების მასთან ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულების აღიარებას. ეს გასაგებს ხდის იმ უკიდურეს ინდივიდუალიზმს, რომელიც არსებობს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. ადამიანის ცხოვრების საზრისია არა მთელი საზოგადოების მიერ მატერიალური დოვლათის ფლობის გზით თვით ადამიანთა ყოველმხრივი განვითარება, არამედ ცალკეული ინდივიდის მიერ მისი დაქვემდებარება. ასეთ ვითარებაში

არა მარტო მატერიალური დოვლათი, არამედ სხვა ადამიანებიც საშუალებები არიან ცალკეული ინდივიდების მიზნების განხორციელებისა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველაფერი იზომება კაპიტალით. სხვა სულიერი, ზნეობრივი ღირებულებები მისდამია დაქვემდებარებული. პიროვნებაც ისაა, ვისაც სიმდიდრე გააჩნია.

„კერძო საკუთრებამ, — აღნიშნავს მარქსი, — ჩვენ გვაქცია ისეთ ყეყეჩებად და ცალმხრივებად, რომ რაიმე საგანი ჩვენია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ვფლობთ მას, ე. ი. როდესაც ის არსებობს როგორც კაპიტალი, ან როდესაც ჩვენ მას უშუალოდ ვფლობთ, მისით ვიკვებებით, მას ვსვამთ, ვიცვამთ. მასში ვცხოვრობთ და ა. შ. ერთი სიტყვით, როდესაც ჩვენ ვხმარობთ მას. ამიტომ ყველა ფიზიკური და სულიერ გრძნობათა ადგილას დადგა ყველა ამ გრძნობათა მარტივი გაუცხოება-ფლობის გრძნობა“[1].

ამ შემთხვევაში ადამიანი გადაქცეულია შიშველ მომხმარებლად და ყველა მიზანი მისი სამომხმარებლო ინტერესებით განისაზღვრება. საინტერესოა ის, რისი მოხმარებაც შეიძლება. ამ დროს ადამიანი ცალმხრივად ვითარდება, მისი ყოველმხრივი სრულყოფის შესაძლებლობები არ არსებობს.

თავისუფლება, რომელიც უმაღლესი მიზანი უნდა იყოს თვით გამოდის როგორც მხოლოდ საშუალება გარეგანი მიზნისათვის. საგნები და მატერიალური ღირებულებები თვით უნდა ყოფილიყო საშუალება თავისუფლების განხორციელებისა, ადამიანთა უნართა ყოველმხრივ განვითარებისა. მაგრამ კაპიტალის ბატონობის პირობებში პირიქითაა.

თავისუფლება თვით გაბატონებულ კლასებსაც სჭირდებათ იმდენად. რამდენადაც იგი სიმდიდრის ზრდასა და შენარჩუნებას ემსახურება. ისინი თავისუფლებას იყენებენ არა სრულყოფილი ადამიანური ცხოვრების დასაფუძნებლად და შინაგან ძალთა განვითარებისათვის, არამედ თავიანთი სიმდიდრის გადიდებისათვის. თვით მწარმოებლებიც იმის გამო, რომ

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, М., 1974, т. 42, стр. 120.

მათ მუდამ აკლდათ არსებობის საშუალებანი, ნივთებს უმაღლეს ღირებულებად მიიჩნევდნენ. მათი ობიექტებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ნივთების ცხოვრების საზრისად აღიარება გრძელდებოდა მანამ, სანამ პროლეტარიატმა არ შეიძინა საზოგადოების გარდაქმნის მეცნიერული თეორია.

კაპიტალისტურ სასაქონლო წარმოებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ადამიანები ვერ ბატონობენ ცხოვრების პირობებზე; პირიქით, ისინი თვით ექვემდებარებიან მათ მიერ შექმნილ საგნებს. „როგორც რელიგიაში, — წერს მარქსი, — ბატონობს მისი საკუთარი თავის პროდუქტი, ასევე კაპიტალისტური წარმოების დროს მათზე ბატონობს მათი საკუთარი ხელების პროდუქტი“[1].

კაცობრიობის ისტორიის პარადოქსია ის, რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში, როდესაც ბატონობდა რელიგია და იდეალიზმი, ადამიანის ცხოვრების საზრისი მატერიალური დოვლათის ფლობა, სიმდიდრის მოხვეჭა იყო. მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებული იდეოლოგია ყოველივე მატერიალურს წარმავლად, მეორადად და არაარსებითად აცხადებდა, ადამიანის დანიშნულებას, მისი ცხოვრების საზრისს მატერიალური დოვლათის ფლობა შეადგენდა. თვით ადამიანის შინაგანი სულიერი სამყარო, მისი უნარი და ძალები საგნობრივ სამყაროს ექვემდებარებოდა. ადამიანთა მიერ შექმნილი სიმდიდრე, რომელიც მათი ბედნიერების წყარო უნდა ყოფილიყო, მათივე დამონებისა და ჩაგვრის იარაღი გახდა. კერძო საკუთრების განვითარების უმაღლეს საფეხურზე, კაპიტალიზმის დროს, „ეს სიმდიდრე, ხალხისადმი დაპირისპირებულ, უძლეველ ძალად იქცა. ადამიანის გონება უმწეო და მოჯადოებული დგას თავის საკუთარი ქმნილების წინაშე... ჩვენ გვემუქრება საზოგადოების დაღუპვა, როგორც დასრულება იმ ისტორიული სარბიელისა, რომლის ერთადერთ საბოლოო მიზანს სიმდიდრე შეადგენს; ეს იმიტომ, რომ ასეთი სარბიელი თავისივე საკუთარი მოსპობის ელემენტებს შეიცავს“[2].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 20, стр. 639.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, გვ. 399.

საზოგადოებაში, სადაც კაპიტალი ბატონობს მწარმოებელთა თავისუფალი არჩევისა და არჩეულის განხორციელების შესაძლებლობები მინიმუმამდეა დაყვანილი. რაიმე გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების დროს გადამწყვეტია ნივთებთან სუბიექტის დამოკიდებულება. ობიექტი წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას. ყველა ცხოვრებისეული პრობლემა მისი შეფასების საფუძველზე ხდება. ყოველივე ადამიანური მას ექვემდებარება.

კაპიტალიზმის დროს თვით შრომა, ცხოველქმედება, თვით მწარმოებლური ცხოვრება აღმოჩნდება ადამიანისთვის მხოლოდ საშუალება მისი ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის, ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მოთხოვნილებებისათვის. თვით ცხოვრება აღმოჩნდება მხოლოდ საშუალება ცხოვრებისათვის, ასეთ პირობებში „ადამიანი (მუშა) გრძნობს თავს თავისუფლად მოქმედად მხოლოდ თავისი ცხოველური ფუნქციების შესრულების დროს — ჭამაში, სმაში, სქესობრივ აქტში, უკეთეს შემთხვევაში კიდევ თავის ბინაში ადგილის არჩევასა, თავის თავის მორთვაში და ა. შ., — ხოლო თავის ადამიანურ ფუნქციებში, იგი თავს გრძნობს მხოლოდ ცხოველად. ის, რაც ახასიათებს ცხოველს, ადამიანის ხვედრი ხდება, ხოლო ადამიანური გადაიქცევა იმად, რაც ახასიათებს ცხოველს. მართალია, ჭამა, სმა, სქესობრივი აქტი და ა. შ. ასევე ნამდვილი ადამიანური ფუნქციებია, მაგრამ აბსტრაქციაში, რომელიც მათ მოწყვეტს დანარჩენ ადამიანურ მოღვაწეობისაგან და გადააქცევს უკანასკნელ ერთადერთ მიზნებად, ისინი ატარებენ ცხოველურ ხასიათს"[1]. ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, ნივთიერების ცვლის რეგულირება აუცილებელია ადამიანისთვის, მაგრამ იგი მაინც აუცილებლობის სფეროში ძევს. „მის იქეთა მხარეს იწყება ადამიანურ ძალთა განვითარება, რომელიც თვითმიზანს წარმოადგენს". თავისუფლების ჭეშმარიტი სამეფო თვით ეფუძნება აუცილებლობის სამეფოს, როგორც თავის ბაზისს.

თავისუფლების სამეფოში — კომუნისტურ საზოგადოება-

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, М., 1974, т. 42, стр. 91.

ში ადამიანთა ყოველი მოქმედება მათი ძალების ყოველმხრივი განვითარების ამოცანებს ექვემდებარება. ის, რაც ადრე საშუალება იყო, თვითმიზნად იქცევა და პირიქით. ადამიანის შემოქმედებით ძალებს და უნარს ფართო გზა მიეცემა მაშინ, როდესაც საწარმოო ძალთა მაღალი განვითარების შედეგად „შესაძლებელია ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა, სადაც არ იარსებებს არავითარი კლასობრივი განსხვავება, არავითარი ზრუნვა ინდივიდუალური არსებობის საშუალებებისთვის და სადაც პირველად გახდება შესაძლებელი ვილაპარაკოთ ნამდვილ ადამიანურ თავისუფლებაზე, არსებობაზე შეცნობილი ბუნებრივ კანონებთან შეთანხმებით“[1]. (ხაზი ჩემია, გ. რ.).

კომუნისტური საზოგადოების აშენება მოასწავებს თავისუფლების სამეფოს შექმნას, რომელშიც ადამიანები განთავისუფლდებიან ინდივიდუალური არსებობისათვის ზრუნვისაგან. ეს უკანასკნელი საზოგადოების საქმედ იქცევა. საზოგადოების ყოველი წევრის მოღვაწეობა თვით ადამიანთა უნარის ყოველმხრივი განვითარება-გაფურჩქვნის ამოცანებს დაექვემდებარება. თავისუფალ ადამიანთა შემოქმედებითი ძალების მოქმედება მათი თავისუფლების შემდგომი სრულყოფისაკენ წარიმართება. ადამიანები თავს დააღწევენ ბუნებისა და საზოგადოების უცხო ძალთა ბატონობას; გახდებიან თავისუფალნი ანუ თავისი თავის ბატონები. ისინი მთელ თავიანთ ენერგიას მოახმარენ თავიანთ თავისუფალ შემოქმედებაზე დაფუძნებული ცხოვრების სრულყოფა-გაუმჯობესებას. პირველად კაცობრიობის ისტორიაში საზოგადოების თითოეული წევრის ცხოვრების საზრისი თავისუფალ შემოქმედებაზე დაფუძნებული თავისუფლების შემდგომი სრულყოფა-განვითარება გახდება.

მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძველზე პროლეტარიატი ახდენს თავის ცხოვრების გასაზრისიანებას, თავისი მისიისა და დანიშნულების გაცნობიერებას. მისი რევოლუციური მოღვაწეობა მიმართულია თავისუფლების სამეფოს —

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 137.

კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. კომუნიზმის მოძღვრება უმაღლეს ღირებულებად ადამიანს აცხადებს და ბუნების გარეგან ძალებს მისი განვითარების ამოცანებს უქვემდებარებს. სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის აქტიურ, მოქმედ მხარედ სუბიექტი და მისი უნარი გამოდის. მთელი ნივთიერი სამყარო, კაცობრიობის მიერ შექმნილი მატერიალური და კულტურული ღირებულებები კომუნიზმის დროს ადამიანის ყოველმხრივ განვითარების მიზნებს დაექვემდებარება.

აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების ჭეშმარიტი სამეფოსაკენ — კომუნიზმისკენ ძლევამოსილ მსვლელობას სათავეს უდებს სოციალისტური რევოლუცია. „სოციალისტური რევოლუცია არის წინააღმდეგობის გადაჭრა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებულ მწარმოებლურ ძალებსა და მათი გამოყენების შეუსაბამო, დრომოჭმულ კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს შორის, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების ანუ განაწილების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის, თვისობრივი ნახტომი წარმოების კაპიტალისტური წესიდან უფრო პროგრესულ, სოციალისტურ წესზე და ამის შესაბამისად მთელი ბურჟაზიული-საზოგადოებრივი წყობილების ძირეული გადატრიალება, გადასვლა სოციალისტურ წყობილებაზე"[1].

---

1 შ. ბიწაძე, პროლეტარული რევოლუციის გარდუვალობის დასაბუთება კ. მარქსის „კაპიტალში", თბ., 1977, გვ. 8.

თავი მეოთხე

თავისუფლება და მოვალეობა

„არ არის უფლებები მოვალეობათა გარეშე,
არ არის მოვალეობები უფლებათა გარეშე“.

კ. მარქსი, ფ. ენგელსი.

„უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება
განუყოფელია მოქალაქის მიერ მოვალეობათა შე-
სრულებისაგან“.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან.

1. თავისუფლება — მთლიანი პიროვნების არსება

ადამიანის საგნობრივი მოქმედება, როგორც თავისუფლების სამოქმედო გამოვლენა, არის სუბიექტის თვითგანხორციელება, სუბიექტურ ფორმაში მოცემული მიზნების ხორცშესხმა. რაც უფრო სრულყოფილია ობიექტური აუცილებლობით განსაზღვრული მიზნების ერთიანობა მოქმედების განხორციელების ობიექტურ საფუძვლებთან, მით უფრო ზუსტად შეესაბამება ახლად შექმნილი სინამდვილე სუბიექტის მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს. თავისუფალი მოღვაწეობის ღროს ადგილი აქვს ადამიანის თვითმოქმედებისა და მის შედეგად წარმოქმნილი მატერიალური ცხოვრების თანაარსებობას. ამ შემთხვევაში დასახულ მიზნებს თან სდევს წინასწარ გათვალისწინებული შედეგები. ადამიანთა თვითშემოქმედებით მიღებული შედეგები არ უპირისპირდება მათ შემოქმედს. იგი არ წარმოადგენს მის მიმართ დაპირისპირებულ უცხო ძალას, რის გამოც პიროვნების გაორების საფუძველი არ არსებობს.

მოქმედებებისა და მათი შედეგების თანმთხვევა გამორიცხავს კონფლიქტურ სიტუაციებს საზოგადოებაში და განსაზღვრავს ადამიანის ყოველმხრივ, ჰარმონიულ, მთლიან პიროვნებად განვითარებას.

თვითმოქმედებისა და მისი შედეგების თანამთხვევა განხორციელდება კომუნისტურ საზოგადოებაში, როდესაც საწარმოო ძალები და მათთან შესაბამისობაში მყოფი წარმოებითი ურთიერთობები თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწევს და შრომა ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცევა. სრულყოფილი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები წარმოადგენს იმ მთავარ ობიექტურ ფაქტორს მატერიალურ ურთიერთობათა სისტემაში, რომელიც მთლიან ინდივიდთა განვითარებას, მათი უნარისა და ნიჭის ყოველმხრივ გაფურჩქვნას განაპირობებს. მაშინ გაჭირვებითა და გარეგანი იძულებით ნაკარნახევი მუშაობა ადგილს დაუთმობს ადამიანთა შეგნებულ მოღვაწეობას. „მხოლოდ ამ საფეხურზე ემთხვევა თვითმოქმედება მატერიალურ ცხოვრებას, რაც ინდივიდთა მთლიან ინდივიდებად განვითარებას და ყოველგვარი სტიქიურობის თავიდან აცილებას შეესაბამება"[1]. (ხაზი ჩემია, გ. რ.).

მთლიანი პიროვნების განვითარებისათვის აუცილებელია სუბიექტური და ობიექტური მხარეების ისეთი ერთიანობა, როდესაც მწარმოებლები და მათი შრომის შედეგად შექმნილი საგნები არა მარტო არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ მიისწრაფვიან ერთმანეთისაკენ როგორც წარმოების ასევე მოხმარების სფეროში. ადამიანთა თვითმოქმედებით წარმოქმნილი მატერიალური ცხოვრების პირობები ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების ყველა წევრის მისწრაფებათა, მიზანთა განხორციელებას. ისინი უნდა მოქმედებდნენ ადამიანთა თვითგანხორციელების მიმართულებით, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების განვითარების ტენდენციათა გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს.

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტომი I, გვ. 84-85.

ადამიანის ბუნებაში დაფუძნების, თვითგანხორციელების მოთხოვნილებებით განსაზღვრული თვითმოქმედების მატერიალურ ცხოვრებასთან თანამთხვევა განაპირობებს მის მთლიანობას. იდეური მრწამსის, მსოფლმხედველობისა და შინაგანი სიმდიდრის პიროვნების პრაქტიკასთან მიმართება კონკრეტულ სიტუაციებში არსებითად განსაზღვრავს მის ზოგად იერსახეს. „ადამიანები ამ მხრივ, — წერს ს. ლ. რუბინშტეინი,—არსებითად განსხვავდებიან მთლიანობის ხარისხით. ერთ პოლუსზე არიან ადამიანები, რომელთა „სიტყვა" არ სცილდება „საქმეს" და ცნობიერება წარმოადგენს თითქოს პრაქტიკის სარკისებურ ასახვას, ხოლო პრაქტიკა მისი მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობის სწორ და თანამიმდევრულ გამოხატვას, მეორეზე არიან ადამიანები, რომელთა ქცევა უფრო მეტად შენიღბვაა, ვიდრე მათი ნამდვილად შინაგან მიზანდასახულობათა ასახვა"[1] (ხაზი ჩემია, გ. რ.). ასეთ შენიღბულ, არამთლიან ადამიანთა არსებობას განსაზღვრავს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ურთიერთობები. იგი ადამიანურ არსებას მისთვის უცხო სახით გამოავლენს და მათ ერთმანეთს უპირისპირებს.

ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა სამოქმედო მიზნების მათ მატერიალურ ცხოვრებასთან სრული თანამთხვევა შეუძლებელია. მათი ერთიანობა ცალმხრივი და ნაწილობრივია. ერთის მხრივ, მწარმოებლები შრომის პროცესში ერთიანობაში არიან მათ მიერ შექმნილ საგნებთან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი გადადიან გაცვლის სფეროში, ძნელად მისაწვდომნი ხდებიან.

მწარმოებლები მოხმარების სფეროში მათ მიერვე შექმნილ პროდუქტებთან ნაწილობრივ ერთიანობაში არიან. რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მოიხმარენ მათ მინიმუმს, აუცილებელს დახარჯული ენერგიის აღდგენისა და არსებობის საშუალებათა კვლავწარმოებისათვის. სუბიექტ-ობიექტის ეს ერთიანობა სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმა-

---

1 С. Л. Рубинштейн. Основы общей психологии, изд. второе, М., 1946, стр. 667—668.

ციებში განსხვავებულ ხასიათს ატარებს. მონათმფლობელურ საზოგადოებაში იგი უკიდურესად ცალმხრივია, მონა მუშა-პირუტყვის დონეზეა დაყვანილი, თავისუფლებას არ ფლობს და მთლიან ინდივიდის ნიშან-თვისებებს მოკლებულია. წარმოების ფეოდალური წესის დროს მწარმოებელი სუბიექტის მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ იგი მთლიან ინდივიდს არ წარმოადგენს. ყმა გლეხის თვითმოქმედება და მატერიალური ცხოვრება არ ემთხვევა ერთმანეთს. მას შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ნაწილობრივ, მხოლოდ სამეურნეო საქმიანობაში გამოავლინოს თავისი პიროვნული მე. სხვა მხრივ იგი მთლიანად დამონებულია.

კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში მწარმოებელ ინდივიდთა მთლიანობა მოჩვენებით ხასიათს ატარებს. იმის გამო, რომ პროლეტარი თავისუფალია იურიდიულად, ფლობს თავის სამუშაო ძალას და შეუძლია იგი თავისი სურვილის მიხედვით მიჰყიდოს ერთ ან მეორე კაპიტალისტს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი თავისი თავის ბატონია და მთლიან ინდივიდს წარმოადგენს. მხოლოდ იურიდიული თავისუფლება ეკონომიკური თავისუფლების გარეშე შეუძლებელს ხდის პროლეტარის მთლიან ინდივიდად ყოფნას. პროლეტარი გარეგანი იძულების მონაა. იგი იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, როგორც საქონელი. პროლეტარი სავსებით დამოკიდებულია კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებულ ნივთიერ ძალებზე. იგი გათიშულია მის მიერ შექმნილ ობიექტისაგან. პროლეტარების თვითმოქმედება არ ემთხვევა მათ მატერიალურ ცხოვრებას და ისინი ნაწილობრივ პიროვნებებს წარმოადგენენ. პროლეტარი, როგორც მომავალი წარმოების წესის მატარებელი, მთლიანი ინდივიდია მხოლოდ შესაძლებლობაში, სინამდვილეში კი იგი დაქვემდებარებულია ობიექტისადმი. მთლიან ინდივიდად მას აქცევს არსებული სინამდვილის, მისი ეკონომიკური საფუძვლების რევოლუციური შეცვლა.

მწარმოებელ სუბიექტებისადმი ობიექტების დაქვემდებარება განსაზღვრავს მათ თვითგანხორციელებას და მთლიან ინდივიდებად განვითარებას. ადამიანი თავის თავს ახორციელებს მაშინ, როცა მისი გადაწყვეტილება, ჩანაფიქრი და მის საფუ-

ძველზე წარმოებული მოქმედება იძლევა მისი შემდგომი განვითარებისათვის საჭირო შედეგებს. სუბიექტის ზრახვანი და გარემომცველი ობიექტური პირობები ერთი მიმართულებით მოქმედებენ და ერთმანეთს ემთხვევიან. მათი შესაბამისობა და თანამთხვევა პიროვნების მთლიანობას განაპირობებს.

ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა უდიდესი უმრავლესობის მოქმედებას განსაზღვრავს ნივთთა მიმართებებით განპირობებული ობიექტური ვითარება, თვით საგანთა უმკაცრესი ლოგიკა, პიროვნების მთლიანობა დარღვეულია. აქ ადგილი აქვს გაუცხოებას, ადამიანის არსებისეულ ნდომისა და მოქმედებათა სრულ გათიშვას. ადამიანი მოქმედებს თავისი თავის საწინააღმდეგოდ, რადგანაც ამ საზოგადოებაში სხვა შესაძლებლობა აღკვეთილია. მას შესაძლებელია გააჩნდეს ამაღლებული იდეალი, მაგრამ არსებული წარმოებითი ურთიერთობები არ აძლევს საშუალებას ხორცი შეასხას მას. ამ შემთხვევაში ადამიანი გაორებულია, ის, რაც მისი ადამიანური, გონივრული მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს, წინააღმდეგობაშია მისი განხორციელების პირობებთან. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია მთლიანი ინდივიდის განვითარება. მთლიანი ინდივიდი სოციალური აზრით არის ის, ვინც თავისი ცხოვრების ყველა სფეროში ყოველ მოქმედებას ახორციელებს თავისუფლად, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთიანობის საფუძველზე. ეს ისეთი მოქმედებაა, როცა ადამიანი ემყარება შეცნობილ აუცილებლობას, შინაგან დარწმუნებულობას, რომელიც თანხმობაშია საზოგადოებრივ ინტერესებთან.

ადამიანის გაორებას მოქმედ, რეალურ პიროვნებასა და იმას შორის, რასაც თვით ფიქრობს ან სხვები ფიქრობენ მასზე, განაპირობებს შეუსაბამობა და შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებულ პირობებსა და მისწრაფებებს შორის. მხოლოდ ამ წინააღმდეგობის მოხსნის შემდეგ იქმნება ადამიანის საზოგადოებრივი პრაქტიკისა და მისი მრწამსის თანამთხვევის შესაძლებლობა, რაც განსაზღვრავს მის ერთ მთლიან პიროვნებად ჩამოყალიბებას. მისი საზოგადოებრივი პრაქტიკა, თავის თავის შეფასება და სხვათა შეფასება ერთმანეთს შეესაბამება. ადამიანი მოქმედებს და აზროვნებს თავისუფლად, ბატონობს სი-

ნამდვილეზე ისე, რომ თანხმობაშია საკუთარ მრწამსთან, რომლის არსებისეულ მომენტად საზოგადოებრივი ინტერესები ხდება. იცხოვრო და იმოქმედო საზოგადოებრივ ინტერესებთან თანხმობით, განახორციელო მასთან შესაბამისობაში საკუთარი პიროვნული მიზნები, წარმოადგენს ადამიანის ბედნიერების ერთ-ერთ არსებით ნიშანს. ადამიანის მოქმედების შინაგან მრწამსთან და მისი პიროვნების შეფასების საზოგადოებრივ აზრთან თანხვდომის დროს ჩვენს წინაშეა მთლიანი ინდივიდი, როგორც ნამდვილად საზოგადოებრივი სუბიექტი.

პიროვნების განვითარება თავის გამოხატულებას პოულობს მისი მთლიანობის სრულყოფაში და უშუალო კავშირშია მისი თავისუფლების დონესთან. რაც უფრო მაღალია პიროვნების თავისუფლების დონე ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, მით უფრო სრულყოფილია მისი მთლიანობა. თავისუფლების განვითარების დონე და მასთან უშუალო კავშირში მყოფი პიროვნების მთლიანობა, რომლებიც საბოლოო ჯამში განსაზღვრულია წარმოების განვითარებით, თვით წარმოადგენენ წარმოების შემდგომი განვითარების დიდ მასტიმულირებელ ძალას. რაც უფრო თავისუფალია მწარმოებელი და მთლიანია მისი პიროვნება, მით უფრო სწრაფად ვითარდებიან საწარმოო ძალები.

მთლიანი პიროვნების არსებას თავისუფლება წარმოადგენს. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია იმოქმედოს საზოგადოებრივ ინტერესებთან თანხმობაში მყოფი საკუთარი რწმენის შესაბამისად. საზოგადოებრივი ინტერესი ამ დროს საკუთარი ბუნების არსებით მხარედაა გადაქცეული, იგი მისი პიროვნულისაგან განუყოფელია; მხოლოდ თავისუფალ ადამიანს აქვს შესაძლებლობა გამოავლინოს თავისი სიღრმისეული ნდომა, არსებისეული მისწრაფება და განახორციელოს იგი. რწმენისა და მოქმედების ერთიანობა, რაც მის ადამიანურ უნართა განვითარებას ემსახურება, მას წარმოგვიდგენს მთლიან ინდივიდად. ჯერ კიდევ ადრე ანტიკური ეპოქის მოაზროვნე მარკუს ავრელიუსი გამოთქვამდა აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თავის ბუნებას, მის გონივრულ მოთხოვნილებებს და მისწრაფებებს. „თუ ეს ეწი-

ნააღმდეგება შენს ბუნებას, — წერდა იგი,—ნუ იზამ ამას; თუ ეს ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, ნუ იტყვი ამას; დაე, ასეთი იყოს შენი გადაწყვეტილება ყველა ცალკეულ შემთხვევაში"[1].

პიროვნება მთლიანია მაშინ, როდესაც მას აქვს არჩევის თავისუფლება და არჩეულის განხორციელების შესაძლებლობა. ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს მის მთლიანობას. თუ კი ადამიანს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღება და მიზნის დასახვა შეუძლია, ხოლო ობიექტური ვითარება შეუძლებელს ხდის მის განხორციელებას, მაშინ მისი მთლიანობა დარღვეულია. ასეთი მდგომარეობა გვაქვს მაშინაც, როცა ობიექტური პირობები არსებობს თავისუფალი მოქმედების რეალიზაციისათვის, მაგრამ სუბიექტს არა აქვს მისწრაფება რაიმე მიზნის არჩევისა და განხორციელებისაკენ. სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთიანობა განსაზღვრავს პიროვნების მთლიანობას. ამ ერთიანობაში წამყვანი და მაქვემდებარებელი როლი აქტიურ სუბიექტს ეკუთვნის, ხოლო თვით ერთიანობის განვითარების დონე პიროვნებისაგან დამოკიდებული არაა. იგი ისტორიული განვითარებითაა განსაზღვრული.

სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა სრულყოფილი ერთიანობის დროს პიროვნების მისწრაფებები უკავშირდება იმ ღირებულებათა ობიექტურ შინაარსებს, რომლის არჩევა ხდება. სუბიექტის მისწრაფებათა თანამთხვევა არჩეულ ღირებულებათა ობიექტურ შინაარსთან, განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლებასა და მთლიანობას. სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთიანობა-თანამთხვევა განაპირობებს ასევე პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისობას. არჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების მთლიანობისთვის, მაგრამ გადამწყვეტია არჩეული მიზნის რეალობად გადაქცევის შესაძლებლობათა არსებობა. ამ დროს ადამიანი ავლენს თავის შინაგან შესაძლებლობებს და ითვისებს მისი არსების ქმედების შედეგებს. სუბიექტ-ობიექტის სრულყოფილი ერთიანობის დროს „ადამიანი მიითვისებს თავის ყოველ-

---

1 მარკუს ავრელიუსი. ფიქრები, 1972, გვ. 281.

მხრივ არსებას ყოველმხრივი სახით, ე. ი. როგორც მთლიანი ადამიანი"[1].

სიკეთის, სამართლიანობის, პატიოსნების სწორ გაგებას უნდა ეთანხმებოდეს პიროვნების მოქმედებები, ანუ რაც იგივეა, პიროვნების მრწამსი და პრაქტიკა ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. უამისოდ, პიროვნების მთლიანობა შეუძლებელია. თუ ადამიანის შეხედულებები, მრწამსი, მისი „მეს" შინაარსი სხვა არის და მოქმედება სხვა, მაშინ იგი გაორებულია. პიროვნების რაობა განისაზღვრება ძირითადად მისი რეალური მოქმედებებით — საზოგადოებრივი პრაქტიკით. ადამიანზე მსჯელობენ მისი საქმეების მიხედვით. შესაძლებელია პიროვნება არ ეთანხმებოდეს თავის მოქმედებებს, მიაჩნდეს ისინი გარედან თავსმოხვეულად და გარემოებებიდან მომდინარე იძულების შედეგად, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის მიხედვით იგი ფასდება იმ როლით, რაც მის მოქმედებებში მეღავნდება. ამ შემთხვევაში ხშირად ადამიანი ყველაფერს გარემოებებს გადააბრალებს და პასუხისმგებლობას მოიხსნის.

გარემოებებზე გადაბრალება ადამიანს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. იგი ყოველ სიტუაციაში უნდა ითვალისწინებდეს მისი მოქმედების შედეგებს. ის გარემოება, რომ მისი მრწამსი სხვაა, ვიდრე მისი მოქმედება, არ ამართლებს მას საზოგადოების წინაშე. პიროვნების რაობა განისაზღვრება მისი რეალური მოქმედებით. „როგორც არ შეიძლება ამა თუ იმ ინდივიდის შესახებ ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს იგი თავის თავზე, ასევე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ამგვარი გადატრიალების ეპოქის შესახებ მისი ცნობიერების მიხედვით; პირიქით, ეს ცნობიერება უნდა ავხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებული კონფლიქტებით"[2].

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, М., т. 42, 1974, стр. 120.

2 კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 11.

ადამიანის მრწამსის, მისწრაფებების, შეხედულებების დაშორება მისი საქმეებისაგან განსაზღვრულია ობიექტური ფაქტორებით. იგი დამახასიათებელია იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც წარმოების საშუალებები კერძო მესაკუთრეთა ხელშია. ამ პირობებში მწარმოებელი სუბიექტი მოკლებულია დამოუკიდებელ, თავის შინაგანი მრწამსის მიხედვით მოქმედების შესაძლებლობას. იგი თვითაა დაქვემდებარებული ობიექტურ ძალთა მოქმედებისაგან და ფაქტიურად ნივთის მდგომარეობაშია. ასეთ ვითარებაში ადამიანი მუდამ წინააღმდეგობაშია თავისი მოქმედებებით საკუთარ არსებასთან, თავის შინაგან მისწრაფებებთან.

მთლიანი ინდივიდის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მისი მრწამსისა და მოქმედების ერთიანობა. ასეთი ერთიანობა შესაძლებელია ახასიათებდეს დაპირისპირებული კლასების წარმომადგენლებს. ამიტომ უნდა განვასხვავოთ დადებითი და უარყოფითი მთლიანი ინდივიდები იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიმართებაში არიან ისინი თავიანთი შეხედულებებითა და მოქმედებებით მთელი საზოგადოების ინტერესებსა და მის პროგრესულ განვითარებასთან. უარყოფითი მთლიანი ინდივიდი შეიძლება ვუწოდოთ ისეთ ადამიანს, რომლის მრწამსი და მოქმედება ერთმანეთს შეესაბამება, მაგრამ ეწინააღმდეგება საზოგადოების პროგრესულ განვითარებას და ემსახურება ვიწრო კლასობრივი მიზნების განხორციელებას. გაბატონებული კლასების წარმომადგენლებს სამართლიანად მიაჩნიათ კერძო მეწარმეობა და მისგან გამომდინარე შედეგები; ასევე ისინი თავიანთი მოქმედებებით შესაბამისობაში არიან მათ მიერ აღიარებულ შეხედულებებთან, მაგრამ ერთიცა და მეორეც ეწინააღმდეგება საზოგადოების დიდი უმრავლესობის ინტერესებს.

ამის საპირისპიროდ დადებით მთლიან ინდივიდს წარმოადგენს ადამიანი, რომლის მრწამსი და საქმეები ემსახურება საზოგადოებრივ პროგრესს, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობას და უკლასო საზოგადოების აშენებას, დადებით მთლიან ინდივიდში პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები არ უპირისპირდება ერთმანეთს. იგი თავის ინდივიდუალურ თავისებურებებს ავლენს საზოგადოებრივთან სრულ

თანხმობაში: ამ შემთხვევაში მისი თვითგანხორციელების პროცესი ამავე დროს არის საზოგადოებრივი იდეალების რეალიზაცია. აქ პიროვნულობაც შენარჩუნებულია და საზოგადოებრივი ინტერესებიც არაა შელახული.

სოციალისტური საზოგადოების შექმნისა და განვითარების პროცესში სუბიექტის შინაარსში თანდათანობით პრიორიტეტს იძენს საზოგადოებრივი ინტერესი და იგი პიროვნების არსებისეულ მომენტად იქცევა. პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმა და თანამთხვევა სრულყოფს პიროვნების მთლიანობას. ინტერესთა ეს ორი რიგი ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება. მათი ჰარმონიული ერთიანობა საზოგადოების განვითარების დიდ მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენს. პიროვნების მთლიანობა, აგრეთვე განსაზღვრულია საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების ერთიანობის საფუძველზე სინამდვილის ქმნადობით. ამ შემთხვევაში ადამიანთა აზრები, მათი იდეალები სინამდვილის კანონზომიერების ცოდნას ეფუძნება, ხოლო თვით სინამდვილე აზრთა გასაგნობრივების შედეგად წარმოიქმნება. ეს განაპირობებს აზრსა და სინამდვილეს შორის „ანტაგონისტური“ წინააღმდეგობის არარსებობას, რის გამოც აზრის გასაგნობრივება კონფლიქტებთან არაა დაკავშირებული.

ადამიანებს ამ დროს შესაძლებლობა აქვთ თავისუფალი შემოქმედებითი შრომისა. ისინი თავისუფლად ქმნიან იმ სინამდვილეს, რაც მათ აკმაყოფილებთ. აზრისადმი სინამდვილის მისწრაფებულობა არ არის სუბიექტისადმი ობიექტის დაქვემდებარების იძულებითი პროცესი. სუბიექტი, რომლის არსებად საზოგადოებრივი ინტერესი გამხდარა, ობიექტებს იქვემდებარებს არა იძულებით, არამედ იმის გამო, რომ ეს ობიექტები შექმნილი არიან ადამიანთა მიზნების შესაბამისად, შეესატყვისებიან მას. საზოგადოება სწრაფად ვითარდება ერთიანი ინტერესებისა და მიზნების მქონე მთლიან ინდივიდთა შემოქმედებითი მოღვაწეობის საფუძველზე. აქ თითოეული შრომობს ყველასათვის, ხოლო ყველა — ერთისთვის, რაც საზოგადოებისა და პიროვნების ერთიანობის მტკიცე გარანტიას ქმნის. საბჭოთა კავშირში იქმნება ყველა პირობა პიროვნების სრულყოფილი, თავისუფალი განვითარებისთვის. „განვითარებული

სოციალიზმის აშენება, — ამბობს ლ. ბრეჟნევი, — საშუალებას გვაძლევს ჭნიშვნელოვნად სრულვყოთ ძირითადი კანონის დებულებანი საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა შესახებ. „კომუნისტური მანიფესტის“ ცნობილი სიტყვები — „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა“— ფაქტიურად ჩვენი სახელმწიფოს ძირეული პრინციპი გახდა და ეს დამკვიდრებულია პროექტით“[1].

მთლიანი ინდივიდების განვითარებას უზრუნველყოფს სოციალისტური საზოგადოება, რომელშიც შრომა ყოველი ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებად იწყებს გადაქცევას. როცა ადამიანი ხედავს, რომ მის მიერ შექმნილი დოვლათი მისივე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და ყოველმხრივ განვითარებას ემსახურება, მაშინ იგი აკეთებს იმას, რასაც ფიქრობს და ფიქრობს იმას, რასაც მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა მოითხოვს. იგი ახორციელებს იმ მიზნებს, რომლებიც არსებული წარმოების აღმძვრელ მოტივებს წარმოადგენენ. ნამდვილი სოციალიზმის დროს ადამიანთა მიზნები ძირითადად თანხმობაშია წარმოების განვითარებისა და სრულყოფის ამოცანებთან. ამასთანავე, მიზნები და მათი განხორციელების გზით მიღებული შედეგები ერთმანეთს ემთხვევიან, ადამიანთა მოქმედებები მათივე კონტროლს ექვემდებარება და გაუთვალისწინებელი შედეგი იშვიათია. ეს კი არის თავისუფლება მოქმედებაში.

ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებული საზოგადოება, რომელსაც მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები გააჩნია, ქმნის მთლიან ინდივიდებად ჩამოყალიბებადგანვითარების ყველა პირობას. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში აქვს ადგილი პიროვნებათა თვითგანხორციელებისა და მათ მოქმედებათა შედეგების თანამთხვევას.

ადამიანი, რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, მუდამ ცდილობს დაძლიოს დაბრკოლებები, გააფართოოს თავისი თავისუფლება, ხორცი შეასხას მის შინაგან მისწრაფებებს. სრულყოს თავისი აზრისა და მოქმედების ერთიანობა, მაგრამ

---

1 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, გვ. 10.

ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. როგორ აქტიურადაც მოქმედებდეს ადამიანი, მისი წარმატება, მისი თვითობის ხორცშესხმა საბოლოო ჯამში დამოკიდებულია გარემომცველ პირობებზე. იგი განსაზღვრავს მის მთლიანობას, თავისუფლების ზომას და მის განაწილებას საზოგადოების წევრებს შორის. ე. ი. პიროვნების მდგომარეობა განსაზღვრულია მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემით. „მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგია იმ ძირითადი დებულებიდან ამოდის, რომ პიროვნება როგორც შემადგენელი ელემენტი განსაზღვრულია მთელის, ე. ი. საზოგადოების კანონზომიერებით"[1]. მარქსისტული ფილოსოფია ადამიანის თავისუფლებისა და მის მთლიან ინდივიდებად ჩამოყალიბება-განვითარების საკითხს განუყოფელად უკავშირებს საზოგადოების განთავისუფლებისა და სრულყოფის პრობლემას.

ადამიანთა განვითარება, რაც მათ თავისუფალ, მთლიან ინდივიდებად ჩამოყალიბება-სრულყოფის სახით წარმოგვიდგება, საბოლოო ჯამში დამოკიდებულია საზოგადოების ისტორიულ განვითარებაზე. იგი განსაზღვრულია საწარმოო ძალთა მდგომარეობითა და მათთან შესაბამისობაში მყოფი წარმოებითი ურთიერთობების ხასიათით. ადამიანი არის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ამა თუ იმ კონკრეტულ-ისტორიული პირობების გავლენით.

ადამიანი უშუალოდ განიცდის თავის მატერიალურ მდგომარეობას. იგი ყალიბდება ობიექტურ, მატერიალურ ურთიერთობათა სისტემაში. ამასთან ერთად იგი თავისთავს ავლენს და პიროვნულ სახეს ქმნის საზოგადოების სხვადასხვა მოვლენებთან მიმართებების დამყარების გზით. ასეთებია ცხოვრების მატერიალური პირობებისადმი, საზოგადოებისადმი, სხვა ადამიანებისადმი და თავის თავისადმი მიმართებები. აქ მჟღავნდება მისი ნამდვილი სახე. იგი გვიჩვენებს მის მთლიანობას, თავისუფლებას და ახასიათებს მის ზნეობრივ სახეს. ამ მიმართებებში წარმოჩინდება ადამიანის პიროვნული სახე, მისი თვი-

---

1 ბ. ლუტიძე. ვ. ი. ლენინი ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიების შესახებ, 1969, გვ. 140.

თონობა და ამ თვითონობის განხორციელებისაკენ მიმართული მოქმედებათა ხასიათი.

ამრიგად, ადამიანის შინაგანი სიმდიდრე, მისი მისწრაფებანი, რეალური მოქმედებები, ობიექტებისადმი დამოკიდებულების ხასიათი ყოველ ცალკეულ ეპოქაში განსაზღვრულია არსებული წარმოებითი ურთიერთობების მთელი სისტემით. ყოველი ცალკეული ინდივიდის მდგომარეობა, თავისუფლება და მთლიანობა კონკრეტულ-ისტორიულ ხასიათს ატარებს და საბოლოო ჯამში აიხსნება სოციალ-ეკონომიკური მიზეზებით. „ცოცხალი პიროვნების ზრახვანი და გრძნობები.... — წერდა ლენინი, — იქმნებიან მისი ცხოვრების პირობებით, წარმოებითი ურთიერთობების ამა თუ იმ სისტემით"[1].

ადამიანის თავისუფლებისა და მთლიანობის ჩამოყალიბება-განვითარებაში გარემო პირობების გადამწყვეტი როლის აღიარება არ უარყოფს თვით სუბიექტურ ფაქტორთა მნიშვნელობას. ადამიანი თვითონობის განხორციელებას, თავის თავის რეალიზაციას ახდენს არჩეული მიზნების ხორცშესხმისკენ მიმართული მოქმედებებით, ამა თუ იმ საზოგადოებრივი როლის შესრულებით. თავისი გარკვეული მოქმედებით იგი ჩართულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში და გამოდის როგორც მისი მატარებელი და შემოქმედი. თავის მხრივ ეს მოქმედებები განპირობებულია საზოგადოებრივი განვითარების მიღწეული დონით. სუბიექტმა ნებსით თუ უნებლიეთ განვითარების მიმართულებით უნდა იმოქმედოს, თუ სურს წარმატებებს მიაღწიოს. გარემომცველი პირობები ზემოქმედებას ახდენს ადამიანის მოთხოვნილებებზე, ინტერესებსა და მისწრაფებებზე, მაგრამ ყოველივე ეს თავის გამოხატულებას პოულობს სუბიექტისათვის ასე თუ ისე მისაწვდომ და შესაძლებელ სუბიექტურ ფორმაში, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი შინაგანი სამყაროს სიმდიდრე.

საზოგადოების აღმავალ განვითარებასთან ერთად მდიდრდება სუბიექტის შინაარსი და იზრდება მისი რეალიზაციის შესაძლებლობები. ამას თან სდევს სუბიექტის თავის ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულობის განმტკიცება. აქ

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. I, გვ. 499.

დიდი როლი ენიჭება იმას, თუ რამდენად სწორად აქვს ადამიანს გააზრებული თავისი ცხოვრება, რამდენად სწორად ესმის მას თავისი დანიშნულება. როდესაც ადამიანმა იცის თავისი ცხოვრების დანიშნულება და აზრი, ეს მას დიდ სტიმულს აძლევს თავისი ცხოვრებისეული მიზნების ხორცშესხმისათვის. უმაღლეს მიზანს ერთიანობაში მოჰყავს ადამიანის მთელი ძალები, იგი ადგილს არ ტოვებს მისი გაორებისათვის და მას ერთ მონოლითურ პიროვნებად აყალიბებს. მთლიანი ინდივიდი გარემომცველ პირობებთან ერთად აუცილებლობით გუნლისხმობს ერთიან უმაღლეს მიზანს, რომელიც მრავალ ცხოვრებისეულ კონკრეტულ მიზნების შინაარსებში ვლინდება და პიროვნების ცხოვრების ძირითადი წარმმართველი ძალა ხდება.

როგორი კეთილისმყოფელი პირობებიც უნდა არსებობდეს მოქმედებისთვის, ისინი ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავენ, თუ ადამიანი არ ისწრაფვის ამაღლებული იდეალის ხორცშესხმისაკენ: არ აქსოვს მისგან გამომდინარე ცხოვრებისეულ მიზნებს თავის ყოველდღიურ მოქმედებაში და სტიქიურად ირთვება მოვლენათა დინებაში. ამ შემთხვევაში იგი მოკლებულია თვითმყოფობას, თვითმოქმედებას და მხოლოდ გარეგან, მისთვის უცხო ფაქტორთა გავლენის ქვეშ ექცევა და მთლიან ინდივიდს არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი ინდივიდების განვითარებას ძირითადად განაპირობებს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა და მით განსაზღვრული თვითმოქმედებისა და მატერიალური ცხოვრების თანაშთხვევა. კაცობრიობის ისტორიაში მრავლად არიან მთლიანი ინდივიდები, რომლებიც ამაღლებული იდეალებისათვის იბრძოდნენ. ამ შემთხვევაში მათ მთლიანობას განაპირობებდა თავიანთი დანიშნულების შეგნება, ცხოვრების გასაზრისიანება და ყოველი მოქმედების ერთი უმაღლესი მიზნისადმი დაქვემდებარება. ეს ადამიანები მშრომელი მასების თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები არიან. მშრომელი მასების თავისუფლებისათვის ბრძოლა აზრს აძლევდა მათ ცხოვრებას, ამაღლებდა გარემომცველ ცხოვრების უბადრუკ პირობებზე და აკავშირებდა სასურველი მომავლის დადგომის რეალურ პერსპექტივებთან.

კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლი რევო-

ლუციონერები, მუდამ წინააღმდეგობაში იყვნენ არსებულ სინამდვილესთან და მტკიცედ იბრძოდნენ უმაღლესი მიზნის განხორციელებისათვის. ისინი გმირობისა და თავგანწირვის შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ. ისინი თავიანთი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით ქმნიდნენ პირობებს მომავალი საზოგადოებისათვის; უმაღლესი იდეალის განხორციელებისათვის აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელი იყო არსებულ ვითარებაში. მათ მთლიანობას და შეუპოვარ ბრძოლას განსაზღვრავდა ურყევი რწმენა ნათელი მომავლის დადგომისა, სამართლიანი საზოგადოების აშენებისა, თავისუფალი სამეფოს შექმნისა, რომლის წინა სახე მათ იდეალში იყო მოცემული და რომლის მიხედვით იყო გასაზრისიანებული მათი ცხოვრება. მათი თვითმოქმედება სრულ შესაბამისობაში იყო იმ სინამდვილესთან, რომლისათვის ისინი იბრძოდნენ და მოღვაწეობდნენ.

2. თავისუფლების მოვალეობისაგან განუყოფლობა

თავისუფლების შინაგან და გარეგან მხარეებთან უშუალოდ არის დაკავშირებული ბედნიერების განცდა და მოვალეობის გრძნობა. ერთიცა და მეორეც შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბედნიერება მოქმედებათა რეალიზაციის პროცესში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა სიტუაციებში გვეძლევა და დიდად არის დამოკიდებული გარემო პირობებზე, იგი, საკუთრივ, სუბიექტის განცდას წარმოადგენს. ადამიანის პიროვნული ცხოვრება განუყოფელია ბედნიერებისაგან, რომელიც სრულყოფილად ვლინდება პიროვნების თავისუფლების არსებობის დროს. მოვალეობის გრძნობას წარმოქმნის ადამიანის გარემო პირობებთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის აუცილებლობა. იგი ძირითადად თავისუფლების გარეგანი მხარითაა განსაზღვრული, რომელიც ადამიანმა უნდა მიიღოს თუ სურს თავისთავის განხორციელება. ბედნიერების კომპენსირება ძირითადად მოვალეობის გრძნობაში ხდება. საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მატერიალური ურთიერთობები ადამიანის მოქმედებებს და სურვილებს გარკვეულ ჩარჩოებში სვამს და აიძულებს მას გაითვალისწინოს

ბრძი მოთხოვნები. ეს გარემოება აუცილებლობით აყენებს საკითხს საზოგადოების წინაშე პიროვნების მოვალეობის შესახებ. პირადი ბედნიერებისადმი სწრაფვისა და სხვა ადამიანების წინაშე მოვალეობის გრძნობის ერთმანეთისგან განუყოფლობა მთლიან ინდივიდში პირადული და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიულ ურთიერთშერწყმას გამოხატავს.

ბედნიერება მიუღწეველია ან არასრულყოფილია, თუ პიროვნების სამოქმედო მიზნებში არ არის გათვალისწინებული საზოგადოების ინტერესები. ადამიანმა თავისი პირადული ბედნიერებისათვის გამიზნული მოქმედებები უნდა შეუთანაწყოს სხვა ადამიანთა ინტერესებს. ადამიანის ნდომა და სურვილი დაემთხვევა მის მოქმედებას მხოლოდ მაშინ, როცა იგი ანგარიშს გაუწევს სხვა ადამიანთა მისწრაფებებს. ამ შემთხვევაში პირადი ბედნიერება შესაბამისობაშია საზოგადოების სხვა წევრების ბედნიერებასთან და კონფლიქტური სიტუაცია თავიდან არის აცილებული.

ბედნიერება, როგორც სუბიექტის მიერ ყოფიერების სისავსის განცდა, უშუალოდ არის დაკავშირებული თვითგანხორციელებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი შესაძლებელია სუბიექტ-ობიექტის სრულყოფილი ერთიანობის დროს. სუბიექტი ობიექტის დაქვემდებარებით ახორციელებს თავის თავს, ობიექტურობას ანიჭებს მის ჩანაფიქრს, სინამდვილედ აქცევს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც მოცემული არიან არსებულ ყოფიერებაში. ამ შემთხვევაში აზრი და სინამდვილე ერთმანეთისკენ მიისწრაფვიან. დასახული მიზნების განხორციელების შედეგად მიიღებიან წინასწარგათვალისწინებული შედეგები. ამდენად ბედნიერება თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობის, ადამიანის თვითგანხორციელების, მისი თავისუფლების ქმნადობითს პროცესში განცდილი ყოფიერების სისავსეს წარმოადგენს.

ადამიანი ბედნიერებას ეზიარება მაშინ, როცა იგი საზოგადოებრივთან თანხმობაში მყოფი პირადი მიზნების, ჩანაფიქრის რეალიზაციას ახდენს. იგი ადამიანს ანიჭებს დიდ სიხარულს, აძლევს თავის თავის რწმენას; განაცდევინებს თავს სრულყოფილ ადამიანად და ბედნიერ არსებად. არსად ბედნიერება არ უკავშირდება სიკეთეს, საზოგადოების საკეთილდღეო

მოღვაწეობას ისე, როგორც მოქმედების სხვადასხვა სახის თავისუფალ არჩევასა და განხორციელებაში.

თავისუფლებისა და ბედნიერების ცნებათა შინაარსების არსებით მომენტთა თანხვდომა განაპირობებს იმას, რომ ისინი ხშირად ერთნაირი გაგებით იხმარებიან. თავისუფლება — ბედნიერებად, ხოლო არათავისუფლება უბედურებადაა გაგებული. არათავისუფლება უწინარესად სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა შორის ერთიანობის არარსებობაა, რაც ასევე ბედნიერების შეუძლებლობაცაა. არათავისუფლება — სუბიექტის სტატიკური მდგომარეობაა, უსაზრისობაა, ადამიანის მიერ თავის თავის დაკარგვა და მთლიანობის დარღვევაა. იქ, სადაც ადამიანი სრულად ან ნაწილობრივ თავისუფალი არ არის, ნამდვილი ბედნიერება მიუღწეველია.

ახალი დროის მატერიალისტების თვალსაზრისით თავისუფლება და ბედნიერება განუყოფელია ერთმანეთისაგან. სპინოზას აზრით, თავისუფლებასთან დაკავშირებულია ყოველივე კარგი ადამიანის ცხოვრებაში. უიმისოდ შეუძლებელია ადამიანის ბედნიერება. თავისუფლება უმაღლეს ბედნიერებასთან — სულის ნეტარებასთან არის გაიგივებული. ჰოლბახი თავისუფლების სიყვარულს ადამიანის თვითშენახვისა და არსებობის მისწრაფებებს უკავშირებს. ადამიანს არ ძალუძს ისარგებლოს პირადი უნარით და გახდეს ბედნიერი, თუ მას თავისუფლება არა აქვს. „თავისუფლების სიყვარული, — წერდა იგი, — ადამიანის ყველაზე ძლიერი ვნებაა: იგი გამოწვეულია მისი თვითშენახვისა და პირადი უნარის დაუბრკოლებრივ სარგებლობის მისწრაფებით, რომ ადამიანი ცხოვრებაში ბედნიერი იყოს“[1].

ფოიერბახის აზრით, ადამიანის ყოველი მისწრაფება ბედნიერებისაკენ მიიმართება. ადამიანისთვის თავისუფლების წართმევა ბედნიერებისკენ სწრაფვის ჩახშობაა, რაც ყველაზე დიდი უბედურებაა: „თავისუფლებისკენ მისწრაფება, — წერდა ფოიერბახი, — ბედნიერებისაკენ სწრაფვის იგივეობრივია,

---

[1] П. А. Гольбах, Избр. произ. в двух томах, т. II, стр. 337.

ეს არის ბუნების არსება და ადამიანის არსება"[1]. თავისუფლება, მისი მიხედვით, არის ადამიანის მიერ თავისი არსების ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოვლენის შესაძლებლობა. იქ, სადაც თავისუფლება არაა და ბოროტება არ განიცდება ბოროტებად, ბედნიერებაც მიუღწეველია. ნამდვილი ადამიანური არსებობა, ბედნიერება მხოლოდ თავისუფლების დროს არის შესაძლებელი. ფოიერბახისათვის ბედნიერება თავისუფლების გამოხატვაა.

რობესპიერის აზრით, ბედნიერი შეიძლება იყოს ხალხი, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა. „როგორია მიზანი, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით? ეს არის მშვიდობიანი სარგებლობა თავისუფლებისა და გონებისა, პატონობა იმ მარადიული სამართლიანობისა, რომლის კანონები ამოკვეთილია არა მარმარილოზე ან ქვაზე, არამედ ყველა ადამიანის გულში, მონის გულშიც კი, რომელმაც დაივიწყა მის შესახებ, ტირანის გულშიც, რომელსაც იგი უარყოფს... ბედნიერია ხალხი, რომელმაც მიაღწია ამ მდგომარეობას"[2].

თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს ზოგიერთი მოაზროვნე თავისუფლებას და ბედნიერებას ურთიერთგამომრიცხველი შინაარსის მქონე ცნებებად მიიჩნევს. თავისუფლება გამოცხადებულია უბედურების წყაროდ. ყოველი მანკიერება საზოგადოებაში მასთანაა დაკავშირებული. ქრისტიანული სპირიტუალიზმის წარმომადგენელი მ. შაკკა ცნობს მხოლოდ სულიერ თავისუფლებას, ხოლო სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა მსგავს თავისუფლებებს მიიჩნევს ადამიანის ციხედ, რომელიც ზღუდავს მას ათასი პირობითობებით, ჩვეულებებით, მოვალეობებით. ესპანელი ფილოსოფოსი, კათოლიციზმის იდეოლოგი მუნიესა ალონსო თავისუფლებას განმარტავს როგორც უმძიმეს ტვირთს, რომელსაც ვერ იტანს ადამიანი და რომლისგანაც იგი ცდილობს გათავისუფლდეს. თავისუფლება, მისი

---

1 Людвиг Фейербах. Избр. филос. произв., т. I, 1955, стр. 476.

2 Максимилиан Робеспьер. Избранные произведения в трех томах, т. III, 1965, стр. 107.

აზრით, ადამიანს უსახლკაროდ ტოვებს, გაუცხოების მდგომარეობაში აგდებს, ამიტომ, იგი მან უნდა მოიცილოს. „იმყოფებოდე უსახლკაროდ სტიქიის ძალაუფლების ქვეშ და ავდრის წინაშე, ებრძოდე უამინდობას ან დანებდე მას — ეს არის საშინელი მდგომარეობა ადამიანისა"[1].

სუბიექტ-ობიექტის სრული გათიშულობა აბსოლუტური არათავისუფლებაა, ყოველგვარ ადამიანურ ქმედებათა აღკვეთაა, თვითგანხორციელების შეუძლებლობაა. ასეთი ვითარება ადამიანის დეგრადაციას, მის სრულ უმწეობას, უმოქმედობაა და წინსვლის შეჩერებას გამოხატავს. თავისუფლებისა და ბედნიერების წვდომის შეუძლებლობა უსაზრისობაა, ჯერარსობის ქმნადობის აღკვეთაა და ადამიანის სულიერი კვდომის მაჩვენებელია, ამით არის განსაზღვრული ის, რომ ადამიანი, რომელსაც აღკვეთილი აქვს მომავალში გასვლის შესაძლებლობა, თავს უბედურად გრძნობს.

თავისუფლებისა და ბედნიერების წვდომის შეუძლებლობით გამოწვეული მოწყენილობა და სასოწარკვეთილება ადამიანის სულიერი გაძოფიტვის საფუძველია. ამ დროს წარმოქმნილი ყოფიერების სიცარიელის განცდა ადამიანს ცხოვრების აზრს უკარგავს და სიცოცხლის ხელყოფისაკენ უბიძგებს. ამას განაპირობებს არა მხოლოდ თავისუფლების არარსებობა, არამედ ამასთან ერთად მისი მოპოვების შეუძლებლობაც.

პიროვნების მთლიანობის დარღვევა და მის აღდგენაზე იმედის დაკარგვა ყველაზე დიდი უბედურება და დაუძლეველი პესიმიზმის საფუძველია. ყოფიერების სიცარიელის განცდა შეიძლება განსაზღვრული იყოს სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის დარღვევით, რომელიც დამახასიათებელია ანტაგონისტური საზოგადოებისთვის. მას ადგილი აქვს ორ ურთიერთსაპირისპირო ვითარებაში. პიროვნება თავს უბედურად გრძნობს და სასოწარკვეთილებაში ვარდება მაშინ, როდესაც მას ყოფიერებასთან მიმართების ყველა შესაძლებლობა ამოწურულად მიაჩნია. რადგანაც ასარჩევი და განსახორციელებელი არაფერია, ამის გამო მისი შინაგანი მამოძრავებელი სტიმულებიც ქრება და ცხოვრებას აზრი ეკარგება. პიროვნება უკვე არ არ-

---

1 Человек и эпоха. 1964. М., стр. 54.

სებობს. მეორე შემთხვევაში, პიროვნებას, მიუხედავად მისი ხდომისა, აღკვეთილი აქვს როგორც აწმყოში, ისე მომავალში თვითგანხორციელების შესაძლებლობები. სინამდვილე მის წინაშე გადაულახავ ზღუდედ არის აღმართული და ყოველ მის მოქმედებას აბრკოლებს. პიროვნებას აქვს შინაგანი მამოძრავებელი სტიმული, მაგრამ მისი რეალიზაცია არ ხერხდება. ასეთი დაპირისპირებულობა პიროვნებასა და არასასურველ სინამდვილეს შორის წარმოქმნის კონფლიქტს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია არსებული საზოგადოებრივი ყოფიერების რევოლუციური გარდაქმნით.

პიროვნების მთლიანობა დარღვეულია თეორიისა და პრაქტიკის გათიშვის დროს. თეორიისა და პრაქტიკის გათიშვა წარმოქმნის პიროვნებასა და სინამდვილეს შორის კონფლიქტს, რომლის არსებობის დროს შეუძლებელია ყოფიერების სისავსის განცდა. სუბიექტი ამ შემთხვევაში ირჩევს მისთვის უცხო მიზანს, რომელიც თავსმოხვეულია გარედან და არ ითვალისწინებს მის პირად ნდომასა და სურვილებს. მისი მოქმედებების წარმმართველი გარეგანი იძულება ხდება და თავისუფლება ქრება. ადამიანი ამ შემთხვევაში ერთს ფიქრობს, ხოლო სულ სხვას, ამის საწინააღმდეგოს აკეთებს. ამიტომ, მოქმედების შედეგები წინააღმდეგობაშია მის ჩანაფიქრთან და ყოფიერების სისავსის განცდა შეუძლებელი ხდება.

კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანთა ბედნიერება განუყოფელია მათი თავისუფლებისაგან. მხოლოდ თავისუფლად მოქმედ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ყოფიერების სისავსის განცდა და მისი წვდომის შესაძლებლობა.

პიროვნების მთლიანობა და ბედნიერება ყოველთვის შეფარდებითი ხასიათისაა. იგი განსაზღვრულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა ერთიანობის კონკრეტული ხასიათით. საზოგადოების განვითარების საფუძველზე პიროვნების თავისუფლების სრულყოფის შედეგად საზოგადოებრივის პიროვნულისადმი შესაბამისობის განმტკიცების გამო პიროვნების მთლიანობა სრულყოფას განიცდის. იგი თავის უმაღლეს საფეხურს აღწევს კომუნიზმის დროს,

როდესაც საზოგადოებრივი და პიროვნული ჰარმონიულ ერთიანობაშია.

ჰარქსიზმის ფუძემდებლები აკრიტიკებდნენ რა თავისუფლებისა და ბედნიერების შესახებ ინდივიდუალისტურ შეხედულებებს, თვლიდნენ, რომ სრულყოფილი თავისუფლება და ბედნიერება ეფუძნება საზოგადოებრივისა და პირადულის ერთიანობას. ამ შემთხვევაში პიროვნების მრწამსი თანხმობაშია საზოგადოების ინტერესებთან. საზოგადოებრივი და პიროვნული მიზნები ერთმანეთს ემთხვევიან. ამ ერთმანეთთან თანხმობაში მყოფი მიზნების, რომლებიც უმაღლესი იდეალის კონკრეტული გამოხატულებებია, განხორციელებისათვის ბრძოლაში, თავისუფლებისადმი მარადიულ სწრაფვაში განცდილი ყოფიერების სისავსე არის პიროვნების ბედნიერების უშრეტი წყარო. ამიტომ არის, რომ ბედნიერების შესახებ მარქსისტული წარმოდგენა განუყოფლად არის დაკავშირებული კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლასთან, ადამიანი მასში პოვებს უმაღლეს ბედნიერებას.

რამდენადაც ნამდვილი თავისუფლება და ბედნიერება შესაძლებელია საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შესაბამისობის დროს, ამდენად მისგან გამომდინარეობს საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების დაცვის მოთხოვნა. ეს კი წარმოქმნის საზოგადოების წინაშე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას. მოვალეობა თავისში გულისხმობს სხვა ადამიანთა წინაშე პასუხისმგებლობას. ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და იქ ახორციელებს თავის სანუკვარ მიზნებს. საზოგადოება აძლევს მას საშუალებას იმოქმედოს და იცხოვროს ადამიანურად. იგი ქმნის იმ გარემო-პირობებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ცალკეულ ადამიანებს ეზიარონ ბედნიერებას. ბედნიერებასა და თავისუფლებაში ყველაზე უფრო სრულად ვლინდება საზოგადოებრივისა და პირადულის ერთიანობა. სრულყოფილი ბედნიერება მაშინაა, როცა პირადულიც დაკმაყოფილებულია და საზოგადოების ინტერესებიც არაა შელახული. პირიქით, ეს უკანასკნელი გამოდის პიროვნების ქმედების ხელშემწყობი ფაქტორის როლში.

კომუნიზმის დროს პიროვნების მონოლითურ მთლიანობას განაპირობებს საზოგადოებრივი ინტერესების წამყვანი როლი.

მთლიანი ინდივიდი ყოველი თავისი მოქმედების დროს ითვალისწინებს სხვა ადამიანებსა და ობიექტებთან ურთიერთობებით ნაკარნახევ მოთხოვნებს. ყოველი მისი მოქმედება მიიმართება საზოგადოების ბედნიერებისათვის გამიზნული ქმედების ნიმართულებით, რაც ამავე დროს მისი პირადი ბედნიერების წვდომის საფუძველია. ამიტომ არის, რომ საზოგადოებრივისა და პიროვნულის ერთიანობა სოციალიზმის დროს ეფუძნება საზოგადოებრივი მოვალეობის პრიორიტეტის აღიარებას. იგი გვევლინება ადამიანის ზნეობრივი აღზრდის საფუძვლად და ცალკეულ პიროვნებათა მოღვაწეობის წარმმართველად. „არაფერი ისე არ ამაღლებს პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხდება ქცევის ყოველდღიური ნორმა. ასეთი პოზიციის შემუშავება ზნეობრივი აღზრდის ამოცანაა"[1] (ხაზი ჩემია, **გ. რ.**).

განსაკუთრებით წინა პლანზე წამოიწევს საზოგადოებრივი მომენტის როლი მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში. საზოგადოებრივი ურთიერთობების სირთულე პიროვნებას უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს. ყოველი არჩევისა და გადაწყვეტილების მიღების დროს ამ მოთხოვნათა გათვალისწინება აუცილებელი ხდება. მისი უგულებელყოფა განაპირობებს სუბიექტის თვითმოქმედებისა და მატერიალური ცხოვრების შეუსაბამობას, რაც ხელს უშლის მთლიანი ინდივიდის ჩამოყალიბება-განვითარებას. ამიტომ პიროვნება მუდამ უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას იმ კოლექტივის წინაშე, რომელშიც იგი ცხოვრობს და ახორციელებს თავის მიზნებს. აქ საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად შეესაბამება ადამიანის ქცევა და მოქმედება კოლექტივის ცხოვრების მოთხოვნებს. იგი განსაზღვრული უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის თავისუფალი განვითარების ინტერესებით.

---

1 ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. მოხსენება სკკპ XXV ყრილობას 1976 წლის 24 თებერვალს. 1976 წ. გვ. 107.

ადამიანის თავისუფალი მოქმედებებისა და ქცევების დეტერმინისტული ხასიათი, რომელიც მისი მთლიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი მხარეა, კი არ ხსნის, არამედ აუცილებლობით მოითხოვს საზოგადოების წინაშე პიროვნების პასუხისმგებლობას. პიროვნებამ ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოების ინტერესებს, შეუთანაწყოს მას თავისი მიზნები და ამ მიმართულებით განახორციელოს არჩევა და მასზე დამფუძნებელი მოქმედება. საზოგადოების ინტერესების გაუთვალისწინებლობა არჩევისა და მოქმედების დროს წარმოადგენს თვითნებობას, აბსოლუტური დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. უპასუხისმგებლობა ხდება საფუძველი პიროვნების წარუმატებლობისა და მარცხისა, რომელსაც გამართლება არ მოეპოვება. „დეტერმინიზმის იდეა ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც მის სინდისს, არც მის მოქმედების შეფასებას. სრულიად პირიქით, მხოლოდ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება, და არა თავისუფალი ნებისყოფისათვის ყველაფრის თავზე მოხვევა“[1].

პიროვნების თავისუფლება აუცილებლობით გულისხმობს პასუხისმგებლობას იმ შედეგებისათვის, რომელსაც მისი ქმედება გამოიწვევს. თავისუფლება და პასუხისმგებლობა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ის შეუძლებელია პასუხისმგებლობის გარეშე. პასუხისმგებლობა თავისუფლების ზნეობრივი ზომაა. თავისუფლება არაა ადამიანის შეუზღუდავი ნება, აბსოლუტური თვითნებობა. იგი ყოველთვის გარკვეულ საზღვრებშია მოთავსებული, რაც კონკრეტულ-ისტორიული პირობებითაა განსაზღვრული. ყოველი თავისუფალი მოქმედება მოითხოვს პიროვნებისგან შესაძლებელი შედეგების გათვალისწინებას. რაც უფრო რთულია ცხოვრება და რაც უფრო მდიდარია პიროვნების ურთიერთობები გარემოებებთან და სხვა ადამიანებთან, მით უფრო ძაღლი უნდა იყოს მისი პასუხისმგებლობა. ხოლო, თავის მხრივ, რაც უფრო დიდია პიროვნების პასუხისმგებლობა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. I, გვ. 176.

საზოგადოების წინაშე, მით უფრო დაზღვეულია იგი თავისი მოქმედების უარყოფითი შედეგებისაგან და მით უფრო ფართოა მისი თავისუფლება. საქმის ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განსაზღვრული მოქმედება პიროვნების წარმატების საწინდარია.

პიროვნული ინტერესების საზოგადოებრივისაგან განუყოფლობა პიროვნებისგან მოითხოვს არა მარტო სხვა ადამიანთა გონივრული სურვილებისა და მისწრაფებების გათვალისწინებას, არამედ მათზე ზრუნვასაც. ეს მისი როგორც სოციალური არსების მოვალეობაა. „ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ არსებას, ევალება იფიქროს, იზრუნოს სხვებზე, მაგრამ ეს სხვები მარტო მისი მახლობლები კი არ უნდა იყვნენ, არამედ მისი კოლექტივი, მისი ხალხი, მისი ქვეყანა. სადაც ასეთი ზრუნვა არ არის, იქ არც ნამდვილ ადამიანთან გვაქვს საქმე. ვინც მარტო თავის თავზე ფიქრობს ინდივიდუალისტი და ეგოისტია"[1].

პიროვნების მიერ თავისი მოვალეობის შეგნება, საზოგადოების მოთხოვნებთან მისი საკუთარი ინტერესების შეთანაწყობა არ არის მისი თავისუფლების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში პიროვნების გადაწყვეტილება და ქმედება თავისუფალია და აუცილებელიც. მოვალეობის შესრულება, საზოგადოებრივი ნებისადმი დაქვემდებარების გაცნობიერება პიროვნების თავისუფლებას კი არ ზღუდავს, არამედ მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარების გარანტიას ქმნის.

„ადამიანის სპეციფიკა სწორედ სხვისთვის შეგნებული ზრუნვაა. ადამიანი გრძნობს პასუხისმგებლობას სხვისი ნების წინაშე, საზოგადოების ნების წინაშე და ამას მოვალეობის გრძნობა ეწოდება. მოვალეობის გრძნობა აქცევს ადამიანს ადამიანად. ამ გრძნობის წყალობით არის იგი სოციალური არსება.

შესაბამისად, ადამიანის ცხოვრება, პირველ რიგში, არის სხვა ადამიანისა და საზოგადოების წინაშე მოვალეობის შესრულებისთვის ბრძოლის სარბიელი. ადამიანური შეგნება სა-

---

1 რევაზ ბალანჩივაძე. ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, 1974, 99—100.

კუთარი და სხვისი ინტერესების თანაფარდობის შეგნებაა, ხოლო ადამიანური თავისუფლება — სხვისი ნებისადმი შეგნებული დაქვემდებარების მიდრეკილება"[1].

"ადამიანის თავისუფალი მოქმედების სფეროს გაფართოება იმავე დროს არის მისი პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა და პირიქით, პასუხისმგებლობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება თავის მხრივ მოასწავებს მისი თავისუფლების სრულყოფას. კოლექტივის ინტერესების უგულებელყოფა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილება მოასწავებს არა მარტო სხვა ადამიანების, არამედ ასევე საკუთარი თავისუფლების ხელყოფას. პიროვნული თავისუფლება არ არის აბსოლუტურად პირადული ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. იგი სოციალ-ეკონომიკური თავისუფლების სახეა, რომელშიც სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის დონეა გამოხატული. გადაწყვეტილების მიღების აქტი დაკავშირებულია სოციალურ აუცილებლობასთან, სადაც თვით პიროვნების ცხოვრებაა ჩართული. ამიტომ, პიროვნების მოქმედების შეგნებული ნებისმიერი შეთანხმება საზოგადოების განვითარების აუცილებლობასთან სრულიადაც არ მოასწავებს პიროვნების თავისუფლების გაუქმებას, როგორც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები თვლიან.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სირთულე თავისუფლებას ზღუდავს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი არ არის ჩართული თავისი საქმიანობით მასში, თუ იგი არ იმყოფება ამ ურთიერთობათა განვითარების დონეზე და ვერ ითვალისწინებს ამ ურთიერთობათა სიმდიდრეს თავისი მოღვაწეობის დროს. გარემოებათაგან და საზოგადოების სხვა წევრების ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა პიროვნების მოქმედებებს ზღუდავს ან მისი მოქმედების შედეგებს საზოგადოებისათვის მიუღებელს ხდის. ეს კი გადაულახავ დაბრკოლებას უქმნის ადამიანს თავისი ცხოვრების გზაზე. მისი ყოველი მოქმედება იწვევს უკუმოქმედებას და წარმოქმნის კონფლიქტს სინამდვილესთან. ამ შემთხვევაში ობიექტური ფაქტორები გადაულახავ ზღუდედ აღიმართება ადამიანის წინა-

---

[1] გ. დ. ბანძელაძე. ეთიკა, 1969, გვ. 235.

შე. მათგან გამომდინარე იძულება ბატონდება და თავისუფლება კნინდება. არჩევა და მოქმედება მაშინაა თავისუფალი, როცა იგი ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს და ეს უკანასკნელნი, გარემომცველ ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობენ თავისუფლების შემდგომ სრულყოფას.

ამრიგად, პიროვნების ობიექტურ პირობებთან, საზოგადოების ინტერესებთან შეთანაწყობის აუცილებლობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა პიროვნულობის განუყოფელი მხარეა. სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა ერთიანობა სწორედ თავისუფალი არჩევა-მოქმედებისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების ურთიერთგანსაზღვრულობაში ვლინდება. რაც უფრო მეტადაა გათვალისწინებული ბუნებისა და საზოგადოებრივი განვითარების აუცილებლობა და მისგან გამომდინარე შედეგები თავისუფალი არჩევისა და არჩეულის განხორციელების დროს, მით უფრო მაღალია ადამიანის პასუხისმგებლობა და ფართოა თავისუფალი მოქმედების სფერო. ამავე დროს მით უფრო გარანტირებულია ადამიანი მოსალოდნელი წარუმატებლობისაგან და დაზღვეულია ცხოვრებისეული შეცდომებისაგან.

საზოგადოებისა და ბუნების აუცილებლობიდან გამომდინარე მოთხოვნათა გათვალისწინება, მასთან ადამიანის ინტერესების შესაბამისობა, გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების დროს პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც დამახასიათებელია სოციალისტური საზოგადოების ინდივიდებისთვის, განაპირობებს ადამიანის თვითმოქმედების თანამთხვევას მის მატერიალურ ცხოვრებასთან, წარმოებით და ყოფაცხოვრებით საქმიანობასთან. იგი ქმნის კეთილმყოფელ გარემოს მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობები ემყარება მათ ურთიერთთანამშრომლობას, ერთმანეთის ინტერესთა პატივისცემას. ერთი დიადი მიზნისაკენ მისწრაფება განაპირობებს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და პიროვნული მისწრაფებების რეალიზაციას. ეს მოითხოვს მათი ერთმანეთისა და საზოგადოების ბიმართ მოვალეობის შესრულებას. აღნიშნულმა მოთხოვნამ თავისი ასახვა პოვა სსრ კავშირის კონსტიტუციაში. მისი 59 მუხლი გვაუწყებს: „უფლებათა და თავისუფლებათა განხორ-

ციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან"[1].

სოციალისტურ საზოგადოებაში თავისუფლება და პასუხისმგებლობა განუყოფელ კავშირშია კანონთან. საზოგადოებაში არსებულ კანონებთან შეფარდებული პასუხისმგებლობა თავისუფლებისა და პიროვნების მთლიანობის გარანტიას წარმოადგენს. კანონი თავისუფლებასა და პასუხისმგებლობასთან ორგანულადაა დაკავშირებული. ის, ერთი მხრივ, პიროვნების თავისუფალი განვითარების იურიდიულ გარანტიას ქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, მის მოქმედებებს გარკვეულ საზღვრებსაც უწესებს, რომელთა გადალახვა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხელყოფას წარმოადგენს. განსხვავებით ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოებისაგან, სოციალიზმის დროს კანონი საზოგადოების ყველა წევრის თავისუფლების რეალურ გარანტიას იძლევა, რაც განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

კერძო საკუთრების ურთიერთობებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში კანონი სინამდვილეში გაბატონებული კლასების ინტერესებსა და მათ თავისუფლებას იცავს. აქ სახელმწიფოს მიერ სანქცირებული კანონი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობისათვის გარეგანი იძულების როლში გამოდის. იგი წარმოადგენს გაბატონებული კლასების ნებისყოფის დაკანონებას, რომელიც თავსმოხვეული აქვს მთელ საზოგადოებას. მესაკუთრეთა ინტერესებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა გამოცხადებულია მთელი საზოგადოებისთვის სავალდებულო ნორმად, რაც შეუძლებელს ხდის საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. ამიტომ, სოციალისტური რევოლუციის გზით კერძო საკუთრების მოსპობა და ძალაუფლების მთელი საზოგადოების ხელში გადასვლა არსებითად ცვლის ადრინდელ კანონთა ბუნებას. იგი ერთნაირად იცავს ყველა ადამიანის ინტერესებს. საზოგადოების თითოეული წევრის უფლება და თავისუფლება ორგანულად შეერწყმის და ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე უკავშირდება მათ მოვალეობას.

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1977, გვ. 27.

თავი მეხუთე

სოციალიზმი და პიროვნების თავისუფლება

„მხოლოდ ამიერიდან შექმნიან ადამიანები თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით. მხოლოდ ამიერიდან მოჰყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზეზებს უმთავრესად და თანდათან გაზრდილი ზომით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები. ესაა კაცობრიობის ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“.

ფრიდრიხ ენგელსი.

1. პიროვნების თავისუფლება და სოციალისტური საკუთრება

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, პიროვნება ყალიბდება და მოქმედებს სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების გავლენით. ამიტომ, პიროვნების თავისუფლება განხილული უნდა იქნეს საზოგადოებაში მოქმედ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან დამოკიდებულებაში. პიროვნების თავისუფლება, ერთი მხრივ, დამოკიდებულია მის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თვით წარმოადგენს საზოგადოების სრულყოფა-განვითარების დიდ მასტიმულირებელ ძალას.

პიროვნების თავისუფლების განმსაზღვრელ ობიექტურ ფაქტორს, ყველა სხვა თავისუფლებათა საფუძველთ საფუძველს წარმოადგენს ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომა. აღნიშნული ფაქტორი აუცილებელია, მაგრამ იგი ავტომა-

ტურად არ განსაზღვრავს პიროვნების თავისუფლებას. ამასთან ერთად საჭიროა სუბიექტური ფაქტორების: პოლიტიკური, დემოკრატიული და სამართლებრივი ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთათვის ქვეყნის სახელმწიფო, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას.

პიროვნების თავისუფლება არის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით განსაზღვრული ადამიანის ისეთი მდგომარეობა საზოგადოებაში, როდესაც მას შესაძლებლობა აქვს ობიექტური აუცილებლობის შესაბამისი ბუნების საგნებისა და მოვლენების გარდამქმნელი საგნობრივი მოქმედებით დაიკმაყოფილოს თავისი მატერიალური, სულიერი მოთხოვნილებები და თავისუფლად განავითაროს თავისი უნარი.

პიროვნების თავისუფლება გულისხმობს მისი განათლების, კულტურის და ზნეობის განვითარების მაღალ დონეს, რომლის გარეშე შეუძლებელია ბუნების ძალებსა და თავის თავზე ბატონობა. ინდივიდუალური ცნობიერების სიმდიდრე, როგორც ცოდნის, იდეების, გამოცდილების, ზნეობრივი თვითშეგნების ერთობლიობა წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან სუბიექტურ ფაქტორს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პიროვნებას სწორად განსაზღვროს საზოგადოებრივისა და პირადულის დამოკიდებულება და მის საფუძველზე აირჩიოს და განახორციელოს ცხოვრებისეული მიზნები. ზემოჩამოთვლილი სუბიექტური ფაქტორების ჩამოყალიბებასა და მოქმედებას განსაზღვრავს ობიექტური ფაქტორები, რომლებშიც წამყვანი როლს ასრულებს წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება.

სოციალისტური საკუთრება მწარმოებლებს მათ მიერვე შექმნილი პროდუქტების სრულუფლებიან მფლობელად ხდის და ათავისუფლებს ნივთიერი ძალების ბატონობისგან. შრომის წინანდელი დანაწილება თანდათან კარგავს თავის ყოვლადშემძლე ძალას და გარეგანი ძალები ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ინტერესების სასარგებლოდ იწყებენ მოქმედებას „ყველა წინანდელი მითვისების დროს ინდივიდთა მასა რჩებოდა წარმოების იარაღებისადმი დაქვემდებარებული. პროლეტარული მითვისების დროს წარმოების იარაღების მასა უნდ

ექვემდებარებოდეს თვითეულ ინდივიდს, საკუთრება კი — ყოველ ინდივიდს"[1].

სოციალისტური რევოლუციის უახლოესი მიზანი — პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა მიმართულია უფრო მაღალი მიზნის განხორციელებისაკენ. ეს მიზანია საკუთრების აქამდე არსებულ ურთიერთობათა მოსპობა და ამით მთელი საზოგადოების სტრუქტურის ძირეული შეცვლა. საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისებრივი გარდაქმნა არსებითად ცვლის ადამიანთა შორის ურთიერთობებს და ანტაგონიზმის საპირისპიროდ ადამიანთა მეგობრულ თანამშრომლობას აფუძნებს. სოციალისტური საკუთრება განაპირობებს საზოგადოების გეგმაზომიერ მართვასა და პიროვნების შემოქმედებითი ძალების განვითარება-სრულყოფას. ახალ ეკონომიკურ საფუძველზე დაფუძნებით შრომა აჩქარებს განვითარების ტემპებს და ამზადებს პირობებს ადამიანთა ყოველმხრივი განვითარებისთვის. ადამიანები თანდათან ბატონდებიან თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ბუნების გარეგან ძალებზე. ისინი სულ უფრო და უფრო აღწევენ იმ შედეგებს, რომლებსაც ისახავენ და შეგნებულად ქმნიან თავიანთ ისტორიას.

სოციალისტურ რევოლუციაში „პროლეტარიატი იპყრობს საზოგადოებრივ ხელისუფლებას და ამ ხელისუფლების მეოხებით საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებს, რომელიც ბურჟუაზიას ხელიდან უსხლტება, საზოგადოებრივ საკუთრებად აქცევს. ამ ფაქტით იგი ათავისუფლებს საწარმოო საშუალებებს კაპიტალის თვისებიდან, რომელიც მათ დღემდე ჰქონდათ და მათ საზოგადოებრივ ხასიათს სრულ თავისუფლებას აძლევს. ამიერიდან შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი წარმოება წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით... ადამიანები, რომლებიც, როგორც იქნა, თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი ყოფის ბატონები გახდნენ, ამით იმავდროულად ხდებიან ბუნების ბატონები, თავიანთი თავის

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტომი I, 1975, გვ. 84.

ბ ა ტ ო ნ ე ბ ი — ხ დ ე ბ ი ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ნ ი“[1]. (ხაზი ჩემია, **გ. რ.**).

აქ სრულიად ნათლად არის ნაჩვენები ის საბოლოო და განმსაზღვრელი ობიექტური ფაქტორი, რომლის გზით თავისუფლება, როგორც ადამიანის ბუნებაზე და თავის თავზე ბატონობა ხორციელდება და პიროვნების თავისუფლება ნამდვილი ხდება. ეს არის წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დაფუძნებით საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირეული გარდაქმნა და თვისებრივად ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა. სწორედ ეს არის ის წყალგამყოფი, რომელიც სოციალისტურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებებში პიროვნების განსხვავებულ, ურთიერთდიამეტრალურად საპირისპირო მდგომარეობას განსაზღვრავს.

მხოლოდ წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების არსებობის პირობებში მაღალგანვითარებულ საწარმოო ძალთა საფუძველზე საზოგადოების ყველა წევრს შესაძლებლობა ეძლევა ისარგებლოს გონივრულად კაცობრიობის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრით. ეს გულისხმობს მოთხოვნილებათა არა ერთნაირ, თანაბარ, არამედ მათ გონივრულ მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ეს უკანასკნელი სხვადასხვა ადამიანებისთვის მათი ინდივიდუალურ თავისებურებათა გამო სავსებით განსხვავებული შეიძლება იყოს, მაგრამ გონივრულად მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მოთხოვნით განსაზღვრული თვითშეზღუდვა სრულიადაც არ იქნება პიროვნების თავისუფლების ხელყოფა. სოციალისტურ შეგნებულობაზე დაფუძნებული თვითშეზღუდვა და თვითდისციპლინა არეგულირებს მოთხოვნილებათა გონივრულ დაკმაყოფილებას. იგი არ მოითხოვს მსხვერპლს პიროვნებისგან, როგორც აქვს ადგილი აქვს კერძო საკუთრების პირობებში.

საზოგადოებრივ საკუთრებაზე დაფუძნებული სოციალური თანასწორობა ხელს კი არ უშლის, არამედ ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. იგი არ ახდენს მისი ნიჭისა და უნარის ნიველირებას, რამდენადაც ადამიანს შეუძლია საზოგადოებისგან მიიღოს ის, რაც საჭიროა მისი მაღალ-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურინგი, გვ. 340.

ადამიანური არსებობა-განვითარებისთვის. სოციალური თანასწორობა არ ნიშნავს პიროვნებათა მოთხოვნილებების გათანაბრებას. ეს მოთხოვნილებები განსხვავებული იქნება ყოველთვის, მაგრამ საზოგადოებრივი საკუთრების დროს ისინი სოციალურად თანასწორნი არიან, მათი თავისუფლებანი საზოგადოების ყველა სფეროში არ უპირატესობენ ერთმანეთის მიმართ. მათ შესაძლებლობა აქვთ თავიანთი განსხვავებული მოთხოვნილებანი მაქსიმალურად დააკმაყოფილონ. თუ რა იგულისხმება მაქსიმალურ დაკმაყოფილებაში, ეს დამოკიდებულია სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებზე. იგი განსაზღვრულია საწარმოო ძალთა განვითარების დონით და თვით ადამიანთა შეგნებისა და კულტურის მდგომარეობით.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უდიდესი მონაპოვრები განმტკიცებული და გარანტირებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციით. მასში ჩამოყალიბებულია და ძირითად კანონად არის ქცეული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებით განსაზღვრული პოლიტიკური სისტემა. მუხლი 1 ამბობს: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხების და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს". მუხლი 2. „სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე"[1].

პიროვნების კომუნისტური შეგნებისა და თავისუფლების განმსაზღვრელ ფაქტორებში: როგორიცაა საზოგადოებრივი საკუთრება, შრომა, შრომის მიხედვით განაწილება, პოლიტიკური სისტემა, სამართლებრივი მართლწესრიგი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, წამყვანი როლი წარმოების საშუ-

---

[1] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 7.

ალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას ეკუთვნის. მის ბაზაზე წარმოიქმნება ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც სოციალიზმის არსებას შეადგენს. იგი განსაზღვრავს საზოგადოებაში პროდუქტთა განაწილებასა და შრომის მიმართ ადამიანთა დამოკიდებულებას, მათ კლასობრივ გამიზნულობას, ქცევასა და ცნობიერების ხასიათს.

სოციალისტური საკუთრება, როგორც საზოგადოებრივი საკუთრების სრულყოფილი ფორმა და მასზე დაფუძნებული ურთიერთობები, ძირეულად ცვლის ადამიანთა შრომის მიმართ და შრომის პროდუქტებისადმი დამოკიდებულებას. წარმოების მუშაკი თავის შრომას უკვე არ უყურებს როგორც ეხოლოდ არსებობის საშუალებას, როგორც მისადმი უცხოს, მტრულსა და დაპირისპირებულს. წარმოების საშუალებებზე განხორციელებული სოციალისტური საკუთრება მისგან გამომდინარე შედეგებით არსებითად ცვლის ადამიანთა შეგნებას.

სოციალიზმის დროს შრომის პროდუქტები ეკუთვნის მთელ საზოგადოებას. ამიტომ საკუთრების ურთიერთობათა სუბიექტად გამოდის სოციალისტური სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების გამომხატველი. წარმოების უპირველესი მიზანია საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მატერიალური და სულიერი დოვლათი გამოიყენება მშრომელი ადამიანების ინტერესებისათვის. საზოგადოება თავის ხელში იღებს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას, სწავლა-განათლებას, სოციალურ უზრუნველყოფას და ა. შ.

სოციალისტურ საზოგადოებაში მწარმოებელთა მიერ შექმნილი პროდუქცია არ გადადის ცალკეულ პირთა ისეთ საკუთრებაში, რომელიც გამოყენებული იქნებოდა სხვათა საზიანოდ. აქ შრომის ნაყოფი ყველას ეკუთვნის. ადამიანები შრომობენ და იღებენ მოხმარების საგნებს. აქ ბატონობს პრინციპი „თითოეულისაგან უნარის მიხედვით — თითოეულს შრომის მიხედვით". შრომის პროდუქტი ამიერიდან აღარაა ექსპლოატაციის საშუალება, არაა წარმოების მუშაკისადმი მტრული, დაპირისპირებული ძალა. იგი მთელი საზოგადოების, მისი

ყველა წევრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, უნართა განვითარების საშუალებად იქცევა.

სოციალიზმი საზოგადოების ყველა წევრს ხდის როგორც წარმოების პირობების ბატონ-პატრონად, ასევე უშუალო მწარმოებლებად. ეს განსაზღვრავს საზოგადოების ყველა წევრთა ინტერესების ერთიანობას, მათ ერთი მიზნისკენ მიმართულ მოღვაწეობას. წარმოების მუშაკთა და შრომის პროდუქტთა შორის დაპირისპირებულობის მოსპობის შედეგად წარმოიქმნება სოციალისტური შეგნება, რომლის მიხედვით წარმოების მუშაკი საზოგადოებრივ სიმდიდრეს თავისად მიიჩნევს. სოციალისტური საკუთრების საფუძველზე წარმოქმნილ ინტერესთა ერთობა განაპირობებს ადამიანთა შორის მეგობრულ და ძმურ თანამშრომლობას. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის არარსებობა სპობს ინტერესთა დაპირისპირებულობას და ერთიანობაში მოდის ყველა ერის, სოციალური ჯგუფის და საზოგადოების ყველა წევრის ძირეული ინტერესები. საზოგადოების წევრთა ინტერესების ერთობა თავის გამოხატულებას პოულობს სოციალისტურ დემოკრატიზმში, სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკაში, რომლის მთავარი დანიშნულებაა მთელი ხალხის ინტერესების სამსახური.

სოციალისტური საკუთრება საფუძველს აცლის ადამიანთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესთა გათიშულობას და დაპირისპირებულობას. იგი ადამიანთა მთელ ძალებს წარმართავს ერთი საერთო მიზნისაკენ ბუნებაში თვითდამფუძნებისა და ბუნების ძალებზე ბატონობისაკენ.

საბჭოთა კავშირში არსებობს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა: სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო (ჯგუფური). ეს ორი ფორმა წარმოიქმნება სოციალისტური რევოლუციის შემდეგ წარმოების საშუალებების განსაზოგადოებისა და საქონელმწარმოებლების კოოპერირების გზით. სოციალისტური საკუთრების ეს ორი ფორმა თავისი ბუნებით ერთტიპიურნი არიან. მათი არსი ერთი და იგივეა. ორივე შემთხვევაში წარმოებაში შექმნილი პროდუქტები მწარმოებელთა განკარგულებაში გადადის და მათ მიერ საკუთარი მოსაზრებების მიხედვით გამოიყენება.

სახელმწიფო სოციალიზმის დროს მშრომელი ხალხის ნე-

ბრუნვის გამოხატულებას წარმოადგენს. ამიტომ საერთო-სახალხო საკუთრება სოციალისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო საკუთრების ფორმას იღებს. წარმოების საშუალებები და წარმოებაში შექმნილი პროდუქცია ყველას ეკუთვნის. საბჭოთა კავშირში საერთო-სახალხო საკუთრების წილად მოდის მთელი ძირითადი წარმოებითი ფონდის 90%-ზე მეტი. იგი სოციალისტური საკუთრების გაბატონებული, წამყვანი ფორმაა. სახელმწიფო საკუთრება განსაზღვრავს წარმოების განვითარების მაღალ დონეს, ტემპებს და პროდუქტების განაწილების სოციალიზმის პრინციპის უფრო სრულყოფილ განხორციელებას. სოციალისტური საკუთრების მეორე ფორმის—კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების განვითარებას და მის საერთო-სახალხო საკუთრებად გადაქცევას განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრება. იგი მთელი საზოგადოებრივი წარმოებისა და მისი განვითარება-სრულყოფის საფუძველთა საფუძველია.

საბჭოთა კავშირში არსებული ეკონომიკური სისტემის არსი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათს, ჩამოყალიბებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში). „სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმით.

სოციალისტური საკუთრებაა აგრეთვე პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონება, რომელიც მათ საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად სჭირდებათ.

სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და ქმნის ნიადაგს შემდგომი ზრდის პირობებს.

არავის არა აქვს უფლება პირადი გამორჩენის და სხვა ანგარებითი მიზნით იყენებდეს სოციალისტურ საკუთრებას“[1].

პირადი საკუთრება სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოიქმნება არა ექსპლოატაციის, არამედ პირადი შრომის სა-

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 10.

ფუძველზე. პირადი საკუთრება საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილია, რომელიც მწარმოებლისა და მისი ოჯახის განკარგულებაში გადადის ხელფასის, საზოგადოებრივი ფონდებიდან პრემიების და სხვ. სახით. მოქალაქეს უფლება აქვს თავისი შეხედულების მიხედვით გამოიყენოს მის პირად საკუთრებაში არსებული საგნები. მას შეუძლია მათი გაყიდვა, გაჩუქება, მეკვიდრეობით გადაცემა და სხვა. პირადი საკუთრება სოციალიზმის დროს სოციალისტური კვლავწარმოების ზრდის და სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი არა მარტო წარმოების განვითარების შედეგი, არამედ ასევე მისი განვითარების მამოძრავებელი ძალაცაა.

განაწილების ხერხს, რომლის გზით საზოგადოებრივი საკუთრების ნაწილი გადადის მწარმოებელთა პირად საკუთრებაში, განსაზღვრავს არა ცალკეულ ადამიანთა ნებისყოფა, არამედ ობიექტური ფაქტორები. ძირითადში იგი დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დონისაგან.

შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით საზოგადოებრივ წარმოებაში შექმნილი პროდუქციის განაწილებით, რომელიც კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზისათვის არის დამახასიათებელი, იწყება ადამიანთა შორის ეკონომიკური უთანასწორობის აღმოფხვრა, მაგრამ იგი სრულ ეკონომიკურ თანასწორობას არ გვაძლევს. ამისათვის პირობები ჯერ კიდევ არ არსებობს: ჯერ კიდევ არასაკმარისია საწარმოო ძალთა განვითარების დონე და არსებობს განსხვავება, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის. მიუხედავად ამისა, ამ ფაზაში შეუძლებელია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რადგანაც არავის არ ძალუძს მიისაკუთროს წარმოების საშუალებები: ქარხნები, ფაბრიკები და ა. შ. წარმოებას ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი მოგვცეს პროდუქტთა ისეთი სიუხვე, რომ ყველამ თავისი მოთხოვნილების მიხედვით მიიღოს საჭირო საგნები. მოთხოვნილების მიხედვით განაწილება შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც წარმოების მაღალი დონე შექმნის პროდუქტთა სიუხვეს. სოციალიზმის დროს, რანდენადაც წარმოების უზენაეს მიზანს მშრომელთა მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება შეადგენს, ამდენად განაწილების ხასიათს შექმნილი პროდუქციის რაოდენობა განსაზღვრავს. „გა-

ნაწილების ხერხი არსებითად დამოკიდებულია გასანაწილებელი პროდუქტების რაოდენობაზე და რომ ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, იცვლება წარმოებისა და საზოგადოების ორგანიზაციის პროგრესთან ერთად, მაშასადამე, განაწილების ხერხიც უნდა იცვლებოდეს"[1].

სოციალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე განაპირობებს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას, რაც სპობს დაბრკოლებებს და აჩქარებს სოციალისტური წარმოების განვითარების ტემპებს. მისი საშუალებით ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილია მოსახლეობის დასაქმების უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემა და ყველა ადამიანი ჩაბმულია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. საზოგადოების ყველა წევრთა შრომითი ენთუზიაზმი, დაფუძნებული მატერიალურ დაინტერესებაზე, ადიდებს ხალხის მატერიალურ და კულტურულ ღირებულებებს, რაც დღითიდღე აფართოებს და სრულყოფს თითოეული ადამიანის ეკონომიკურ თავისუფლებას.

სოციალისტური საკუთრების შექმნა ბოლოს უღებს კაპიტალისტურ კონკურენციას. იგი ახალ პირობებში გადაიქცევა მშრომელთა შეჯიბრებად, რომელიც მიმართულია მთელი საზოგადოების სიმდიდრის წყაროების განუხრელი ზრდისაკენ. სოციალისტური საკუთრების არსებობის დროს მშრომელთა ქცევების ძირითადი აღმძვრელი მოტივი ხდება მათი დაინტერესება საზოგადოებრივი წარმოების გადიდებაში, რამდენადაც ისინი მასში ხედავენ საკუთარი კეთილდღეობისა და თავისუფლების საფუძველს. სოციალისტური საკუთრება მთელ სიმდიდრეს აყენებს მშრომელი ადამიანების სამსახურში და შრომას თანდათან გადააქცევს ადამიანის პირველ საარსებო მოთხოვნილებად, მისი სრულყოფილი თავისუფლების სამოქმედო გამოვლენად.

სოციალისტური საკუთრების არსებობის დროს წარმოებაში შექმნილი მატერიალური სიმდიდრე წარმოადგენს უდიდეს ფაქტორს, რომლითაც ადამიანი ბუნებისა და თავისი თავის ბა-

---

[1] იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტომი II, გვ. 590.

ტონი ხდება. სიმდიდრე ყოველთვის დიდ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ სოციალიზმამდელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში იგი ადამიანთა უმცირესობის მიერ უმრავლესობის მორჩილების, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის იარაღი იყო. სოციალიზმი მას მთელი საზოგადოების სამსახურში აყენებს. მისი გეგმაზომიერი, მშრომელთა ინტერესების მიხედვით გამოყენება შემდგომი წინსვლისა და ადამიანთა თავისუფლების სრულყოფის უდიდესი წყარო ხდება. „რა არის სიმდიდრე თუ არა ადამიანის ბატონობის სრული განვითარება ბუნების ძალებზე, ე. ი. როგორც ეგრეთწოდებულ „ბუნების" ძალებზე, ასევე მისი საკუთარი ბუნების ძალებზე"[1].

წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება უდიდეს შესაძლებლობას აძლევს საწარმოო ძალთა განვითარებას, საზოგადოებაში არსებულ მთელ სიმდიდრეს ადამიანის ძალთა განვითარების მიზნებს უქვემდებარებს. კერძო საკუთრების გაუქმება და წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების განხორციელება ქმნის პიროვნების ჰუმანიზაციისა და მისი ყოველმხრივი განვითარების წინაპირობებს. პირველი და უმთავრესი პირობა პიროვნების განთავისუფლებისა, ეს არის სოციალიზმის მიერ ადამიანთა ექსპლოატაციისა და იძულებითი შრომისაგან განთავისუფლება. ადამიანები უკვე აწარმოებენ არა მესაკუთრეთათვის, არა მხოლოდ წარმოებისათვის, არამედ თავიანთი მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

სოციალისტური წარმოების განვითარება არ არის თვითმიზანი. იგი არ უგულებელყოფს მწარმოებელთა ინტერესებს. სოციალისტური წარმოება არის საშუალება მწარმოებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისა, მათი შემოქმედებითი ძალების ზრდისა. სოციალიზმის დროს ეკონომიკის მზარდი და ყოველმხრივი სრულყოფა არის საზოგადოების სრულყოფის აუცილებელი წანამძღვარი. იგი ქმნის ობიექტურ პირობებს, რომ თითოეულმა ადამიანმა გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები, განავითაროს

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., издание второе, т. 46, ч. I, стр. 476.

თავისი უნარი. სოციალიზმი ადამიანს შესაძლებლობას აძლევს განვითარდეს როგორც შემოქმედებითი მოღვაწე პიროვნება. პიროვნების კეთილდღეობა და მისი ყოველმხრივი განვითარება სოციალისტური წარმოების მიზანს და მის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს. ამ მოთხოვნამ, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს არსებას გამოხატავს, თავისი გამოხატულება პოვა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში. „სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზანია ყველაზე სრულად დააკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი"[1].

წარმოების სოციალისტური წესის მიზანი — „ყველაფერი ადამიანისთვის, ადამიანის კეთილდღეობისთვის"— გამოხატავს ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ეკონომიკურ კანონს. იგი განსაზღვრავს წარმოების მუშაკთა დაინტერესებისა და ინიციატივის უდიდეს ზრდას. წარმოების სოციალისტური წესის მიზანთა თანამთხვევა მწარმოებელთა მისწრაფებებთან წარმოქმნის მასების უდიდეს ენერგიას, ხელს უწყობს მათი უნარის განვითარებას, რაც განაპირობებს წარმოების მეტად სწრაფ პროგრესს. სოციალისტური წარმოების მიზნისა და წარმოების მუშაკთა ინტერესების, თანამთხვევის ობიექტური საფუძველია სოციალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე, როგორც ყველაზე უფრო სრულყოფილი ფორმა აქამდე არსებული საკუთრების ფორმათაგან. მთავარი და ძირითადი მასში არის კოლექტივიზმი; წარმოების საშუალებებისა და წარმოებული პროდუქციის საერთო მფლობელობა. ყველაფერი, რაც იწარმოება, მთელი საზოგადოების განკარგულებაში გადადის, რომელიც ადამიანთა კეთილდღეობის მუდმივი აღმავლობისათვის გამოიყენება.

სოციალისტური საკუთრების ფორმის წარმოშობა მოაწევებდა ძირეულ, თვისებრივ ნახტომს, რომელმაც არსებითად შეცვალა წარმოების მუშაკის დამოკიდებულება როგორც წარმოების, ასევე მთელი საზოგადოების მიმართ. საკუთრების სოციალისტური ფორმა წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთ-

---

[1] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 12.

რების სრულყოფილ ფორმას, მთელი საზოგადოებისა და მისი ყოველი წევრის თავისუფლების საფუძველს. ამიტომ მის მიმართ დამოკიდებულება კანონის ძირითადი მუხლის სახით არის ჩამოყალიბებული კონსტიტუციაში. „სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობაა ებრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა და მფლანგველობას, უფრთხილდებოდეს სახალხო დოვლათს"[1].

სოციალისტური საკუთრების საფუძველზე არსებული საზოგადოების წევრთა ძირეული ინტერესების ერთიანობა განაპირობებს ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. იგი არის წყარო სოციალისტური საზოგადოების მძლავრი წინსვლა-განვითარებისა. სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება რომელიმე სოციალურ ჯგუფს განვითარების უპირატესობას არ ანიჭებს. ეკონომიკურ ინტერესთა ერთიანობა გამორიცხავს საზოგადოების ცალკეული ჯგუფების მონოპოლიას პოლიტიკურ მოღვაწეობაში, კულტურულ შემოქმედებაში, ცოდნის შეძენასა და ინფორმაციაში და ა. შ. აქ ყველას წინაშე გადაშლილია ერთნაირი შესაძლებლობები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მოღვაწეობისთვის, სხვადასხვა საზოგადოებრივ ფუნქციათა შესასრულებლად, სახელმწიფო მართვასა და მისი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში პრაქტიკული მონაწილეობისათვის.

საბჭოთა დემოკრატიზმი, რომელიც მყარ ეკონომიკურ საფუძველს ემყარება, სოციალისტური წყობილების სასიცოცხლო ძალის მთავარი წყაროა. სოციალიზმის დროს საზოგადოების წევრთა ინდივიდუალურ უნართა ყოველმხრივი განვითარება შეადგენს საზოგადოების ნამდვილ სიმდიდრეს. პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობებს ქმნის ის, რომ საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მისაწვდომია ყველა სოციალური ჯგუფისთვის. ისინი მონაწილეობას იღებენ საზოგადოე-

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 20.

ბრივი ცხოვრების ყველა არსებითი მხარის განვითარებაში. ამას განაპირობებს სოციალისტურ ეკონომიკაში არსებული რეალური შესაძლებლობები. იგია საფუძველი საზოგადოების წევრთა პირადი თავისუფლების შემდგომი გაფართოება-განვითარებისა.

სოციალიზმმა საბჭოთა კავშირის მაგალითზე გვიჩვენა ის უდიდესი უპირატესობანი, რომლებიც მოპოვებულ იქნა როგორც საწარმოო ძალთა უდიდეს ზრდაში, ასევე თვით მწარმოებელთა ცხოვრების პირობების თვისებრივად შეცვლასა და მათი შემოქმედებითი უნარის განვითარებაში. წარმოების განვითარების ასეთი სწრაფი ტემპები არც ერთ საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციაში არ ყოფილა. მართალია, სოციალიზმს ჯერ კიდევ არ შეუქმნია ყველა პირობა პიროვნების ყოველმხრივი, სრული განვითარებისთვის, მაგრამ მისი უდიდესი რეზერვები და ტექნიკური პროგრესი ყოველ წელს გვაახლოებს დიად მიზანთან. მთავარი და ძირითადი მიღწეულია: არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უმუშევრობა, ჩაგვრა და უმაღლეს ღირებულებას ადამიანი წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმის დროს განუზომლად იზრდება სუბიექტური ფაქტორის როლი, გადამწყვეტ მნიშვნელობას კვლავ ინარჩუნებს ობიექტური ფაქტორები. სოციალიზმმა უნდა შექმნას აუცილებელი და საკმარისი პირობები საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების უზრუნველსაყოფად. მთავარი და განმსაზღვრელია ცხოვრების ისეთი მატერიალური პირობების შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს მთელ საზოგადოებას მთელი თავისი ძალები წარმართონ არა მხოლოდ საარსებო საშუალებათა წარმოებისაკენ, არამედ ადამიანთა ყოველმხრივი განვითარებისა და მათი უნართა სრულყოფისაკენ. ამიტომ, დღეს განვითარებული სოციალიზმის ძირითადი ამოცანაა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

წარმოების სრული მექანიზაცია, კომპლექსური ავტომატიზაცია, მაღალ მეცნიერულ საფუძველზე მისი მართვა, შესაძლებლობას მისცემს ადამიანებს მთელი თავიანთი ძალები და-

უქვემდებარონ ადამიანთა განვითარების უმაღლეს მიზანს. ობიექტურ ფაქტორთა შორის ძირითადია საზოგადოებრივი სიმდიდრის გაზრდა, დაცვა და განმტკიცება. იგი ჩვენი წყობილების საფუძველთ საფუძველია, ხალხის კეთილდღეობისა და თავისუფალი განვითარების მტკიცე საყრდენია. ამიტომ, სოციალისტური საკუთრებისადმი დამოკიდებულება თითოეული მოქალაქის ქცევათა შეფასების კრიტერიუმია.

სოციალიზმის დროს ერთიანობაშია სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. ისინი მთელი ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედებენ და საზოგადოებრივ არსებას იძენენ. საზოგადოებრივი სიმდიდრის ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოყენება განსაზღვრავს სიმდიდრის წყაროებისა და შრომისადმი ადამიანთა კომუნისტურ დამოკიდებულებას. სუბიექტის ობიექტთან ერთიანობა, რომელიც ხორციელდება როგორც წარმოების, ასევე მოხმარების სფეროში, გამორიცხავს წინააღმდეგობათა გამწვავებასა და კონფლიქტებს საზოგადოებაში. წარმოქმნილი წინააღმდეგობების გადაწყვეტა ხდება მთელი საზოგადოების ძალებით, რომლებიც ერთ ტოლქმედს ქმნიან და ერთი მიმართულებით მოქმედებენ.

სოციალისტურ საზოგადოებაში განხორციელებული წარმოების საშუალებათა და წარმოებაში შექმნილი პროდუქციის საერთო მფლობელობა არსებითად ცვლის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმებს. ადამიანი უკვე გამოდის არა როგორც საკუთარი არსებობის საშუალება, არამედ როგორც უმაღლესი მიზანი. თვით არსებობის საშუალებები და გარეგანი საგნები ადამიანის ძალთა და უნართა განვითარების ამოცანებს ექვემდებარება. ფიზიკური არსებობის შენარჩუნება უკვე არ არის ადამიანის უმაღლესი მიზანი. სოციალიზმი ქმნის პირობებს იმისათვის, რომ ადამიანი განთავისუფლდეს არსებობის საშუალებებისათვის ინდივიდუალური ზრუნვისაგან. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შეიქმნება პირობები იმისათვის, რომ ადამიანებმა დაუბრკოლებლივ, გონივრულად ისარგებლონ მათთვის საჭირო საგნებით, შეიძლება ვიმსჯელოთ პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესახებ.

თუ საზოგადოებაში ბატონობენ ცალმხრივი მიზნები და ადამიანები უპირატესად მოქმედებენ მხოლოდ არსებობის შე-

ნარჩუნებისათვის, მათი უნარიც და ნიჭიც ცალმხრივად ვითარდება. სუბიექტ-ობიექტის სრულყოფილი ერთიანობა გამორიცხავს საზოგადოებაში ცალკეულ მიზანთა უპირატესობას და ადამიანთა მთელ მოღვაწეობას მისი განვითარების უმაღლეს მიზანს უქვემდებარებს. ეს შესაძლებელი ხდება მაშინ, როცა საზოგადოების ყველა წევრი გონივრულად დაიკმაყოფილებს თავის ადამიანურ მოთხოვნილებებს და ამაღლდება თავისი ცხოველური მოთხოვნილების, ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ზრუნვაზე. „საერთოდ, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, —შეუძლებელია ადამიანთა განთავისუფლება, სანამ ისინი არ შეძლებენ ხარისხობრივად და რაოდენობრივად მთლიანად უზრუნველყონ თავისთვის საჭმელი და სასმელი, ბინა და ტანსაცმელი"[1].

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან იწყება ბრძოლა ნივთთა ბატონობისაგან ადამიანთა განთავისუფლებისათვის. სოციალიზმი ქმნის პირობებს იმისათვის, რომ ადამიანები თავიანთი ყოფის ბატონ-პატრონი იყვნენ. გაადამიანურებული ბუნება, ნივთთა სამყარო, რომელიც ადრე თვით „კარნახობდა" ადამიანებს თავის „ნებას", ამიერიდან რეგულირდება თვით საზოგადოების მიერ.

მატერიალური ღირებულებები ადამიანთა შინაგანი სამყაროს, მისი სულიერი ღირებულებისადმი დაქვემდებარებულია. სიმდიდრე წყვეტს უმაღლეს იდეალად და ცხოვრების საზრისად ყოფნას. იგი ადამიანთა უნარისა და ნიჭის განვითარების საშუალება ხდება. შემოქმედებითი შრომის პროცესში თავისუფლებისაკენ სწრაფვა ადამიანთა ცხოვრების მთავარ შინაარსად იქცევა.

ადამიანის ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თავისუფალ დროს, რაც მას გააჩნია შრომითი საქმიანობის დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგ. ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალების მძლავრმა განვითარებამ, საზოგადოებრივი სიმდიდრის გაზრდამ საზოგადოებას შესაძლებლობა მისცა განხორციელებულიყო ხუთ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 19.

დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა, რამაც გაზარდა საზოგადოების წევრთა თავისუფალი დრო. მარქსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისუფალ დროს და მას ადამიანის განვითარების სივრცეს უწოდებდა. თავისუფალი დრო საზოგადოების განვითარების მძლავრი ფაქტორია, იგი აუცილებელია ადამიანთა ნიჭისა და უნარის განვითარებისთვის.

თავისუფალი დროით ყველა ადამიანის უზრუნველყოფა საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალთა განვითარების დონის ამაღლებასა და საზოგადოების წევრთა შორის შრომის უფრო თანაზომიერი განაწილების საფუძველზე, აუცილებელი დროის შემცირებით თავისუფალი დრო იზრდება.

სოციალიზმის დროს თავისუფალი დრო აუცილებელია ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების შემდგომი გაშლა-განვითარებისათვის. ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შრომა მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება. სოციალიზმის დროს საზოგადოების სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო წარმოებაში შექმნილი დოვლათით, არამედ მათი შემქმნელების, საზოგადოების წევრების ფიზიკური და სულიერი განვითარების დონით. სოციალისტურ საზოგადოებაში განვითარების ძირითადი ტენდენცია იქითაა მიმართული, რომ გაიზარდოს თავისუფალი დრო.

სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო თავისუფალი დროის გადიდებასათან ერთად ზრუნავას მის უფრო მიზანშეწონილ გამოყენებაზე. მის ზრდასთან ერთად მდიდრდება მისი გამოყენების შინაარსი. იგი მიმართულია სოციალისტური საზოგადოების უზენაესი მიზნის — ადამიანის თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისაკენ. კომუნიზმი საბოლოოდ მოსპობს სამუშაო და თავისუფალი დროის დაპირისპირებას. სამუშაო დროის მინიმუმამდე შემცირებით გაქრება თავისუფალ დროსა და თავისუფალ მოღვაწეობას შორის არსებითი განსხვავება. ისინი პერსპექტივაში ერთმანეთს შეერწყმიან. კომუნისტურ საზოგადოებაში სიმდიდრის საზომი იქნება არა სამუშაო, არამედ თავისუფალი დრო.

2. მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციაში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირში დაიწყო სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული ეტაპი. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში განხორციელდა კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნა და შეიქმნა თვისებრივად ახალი სოციალური სისტემა. წარმოების საშუალებების მთელი საზოგადოების ხელში გადასვლის შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები. ეკონომიკური ბაზისის თვისებრივად გარდაქმნამ მთლიანად შეცვალა საზოგადოების სოციალ-კლასობრივი სტრუქტურა. ქვეყანაში განხორციელებულმა კულტურულმა რევოლუციამ სახე უცვალა ადამიანის სულიერ სამყაროს. სოციალიზმმა გაიმარჯვა საბოლოოდ ჩვენს ქვეყანაში და შეიქმნა აუცილებელი ეკონომიკური, მატერიალურ-ტექნიკური, სოციალ-პოლიტიკური და სულიერი წანამძღვრები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობისათვის. „სსრ კავშირში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამ ეტაპზე, როცა სოციალიზმი უკვე საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წესწყობილების აღმშენებლობითი ძალები, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი, მშრომელები სულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით.

ეს არის საზოგადოება, რომელშიც შექმნილია მძლავრი საწარმოო ძალები, მოწინავე მეცნიერება და კულტურა, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, სულ უფრო ხელშემწყობი პირობები ექმნება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას“[1].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ამზადებს საბოლოოდ პირობებს კომუნიზმში გადასასვლელად. კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის ამ უმაღლესი ეტაპის

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 4.

განვითარების ძირითადი შინაარსია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარება და მისი თვისებრივი გარდაქმნა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა საფუძველზე. მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორები ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად არის წარმოებისა და მართვის ავტომატიზაციის დანერგვა და კვალიფიციური შრომის უპირატესობის მიღწევა. განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში ხორციელდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაუმჯობესებასრულყოფა, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის თანდათანობითი შერწყმა, ქალაქსა და სოფელს, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევა, სოციალური კლასების, ჯგუფების, ერების დაახლოება და ა. შ.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში ხდება დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების განვითარებასრულყოფა, საზოგადოების მართვაში ფართო მასების მონაწილეობა, რითაც მზადდება საფუძველი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმართველობაში გადაზრდისათვის. საზოგადოებრივი პროცესების მართვა მეცნიერულ საფუძველზე ხორციელდება. სოციალისტური შეგნებულობა მშრომელი ადამიანების ქცევის შინაგან ნორმად იქცევა. კომუნიზმთან მიახლოების კვალობაზე სულ უფრო სრულად ვლინდება სოციალისტური კანონი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, როგორც პიროვნების თავისუფლების, კეთილდღეობისა და ხელშეუხებლობის მტკიცე გარანტია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საზოგადოების განვითარება, მისი პროგრესი მეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ადამიანები სულ უფრო მეტად ბატონდებიან ბუნებისა და საზოგადოების ძალებზე, რითაც აფართოებენ და სრულყოფენ თავიანთ პირად თავისუფლებას. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი თავის საკუთარ საფუძველზე ვითარდება, რომელშიც სულ უფრო მეტად ვლინდება სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობები. განვითარების ამ ეტაპზე მთელი შესაძლებლობების სრული გამოყენებით მიმდინარეობს

აღმშენებლობითი შემოქმედებითი მუშაობა, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა და იქმნება პირობები პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებათა სრულყოფის უდიდესი მაჩვენებელია ის, რომ „მომწიფებული სოციალიზმის პირობებში გაფართოვდა სოციალისტური დემოკრატიის ეკონომიკური ბაზა, მოქალაქეთა უფლებებმა უფრო საფუძვლიანი შინაარსი შეიძინა, განმტკიცდა ამ უფლებების გარანტიები. ყველა, ვინც სსრ კავშირის ახალ ძირითად კანონს შეადარებს წინა კონსტიტუციას, დარწმუნდება, რომ იგი ასახავს თვისებრივ ძვრებს საბჭოთა ადამიანის უფლება-თავისუფლებათა მოცულობაში“[1].

საბჭოთა მოქალაქეებს ახალი კონსტიტუციით მეტი უფლებები აქვთ მინიჭებული პირადი ინტერესების დაცვაში. გაძლიერებულია მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებათა გარანტიები. კრიტიკის უფლება უფრო შინაარსიანი გახდა. კრიტიკის მდევნელებს კანონი სჯის. მთავარი აქ მაინც სოციალურ-ეკონომიკური უფლებებია, რომლებიც ადამიანთა ცხოვრების საფუძვლებს ეხება. შრომის უფლება ჩვენში ჩვეულ ნორმად გახდა. იგი შეიცავს დღეს პროფესიის საქმიანობისა და მოღვაწეობის დარგის არჩევის უფლებას. ახალმა კონსტიტუციამ დაამკვიდრა ბინის უფლება. მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის უფლება ადრეც იყო, მაგრამ გაფართოვდა მისი მოქმედების სფერო. სოციალისტური დემოკრატია არა მხოლოდ აცხადებს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს, არამედ მათ საიმედოდ უზრუნველყოფს. ეს არის მისი ერთ-ერთი პრინციპული განსხვავება ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან. მომწიფებული სოციალიზმის ეკონომიკური ძლიერება აღნიშნულ უფლება-თავისუფლებათა მტკიცე გარანტიას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი,

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი. კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, 1977, გვ. 16—17.

რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წინამავალ პერიოდში, განმტკიცებულია და დაკანონებულია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით. 39-ე მუხლში აღნიშნულია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებულია და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით. სოციალისტური წესწყობილება უზრუნველყოფს უფლებათა და თავისუფლებათა გაფართოებას, მოქალაქეთა ცხოვრების პირობების განუწყვეტელ გაუმჯობესებას სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამებ-ს შესრულების კვალობაზე.

მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს და სხვა მოქალაქეთა უფლებებს“[1].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციაში გამოცხადებული უფლებები და თავისუფლებები მთელი ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს და კომუნისტური საზოგადოების აშენების მიზნებს ემსახურება. საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი არა მარტო აცხადებს მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ მათ გარანტიებსაც იძლევა. სწორედ ეს განასხვავებს მას კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციებისაგან, რომლებშიც გამოცხადებული თავისუფლებანი ფორმალურ, დეკლარაციულ ხასიათს ატარებენ. ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ძირითად ეკონომიკურ გარანტიას წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რომელიც ემყარება წარმოების საშუალებებზე სოციალისტურ საკუთრებას. მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებათა ეკონომიკური გარანტიებია საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობები მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

მხოლოდ აღნიშნული ეკონომიკური პირობები თავისთავად არ წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლე-

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 15.

ბების რეალიზაციის საკმარის პირობას. ამასთან ერთად აუცილებელია პოლიტიკური გარანტიების არსებობა. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უფლებებისა და თავისუფლებების პოლიტიკური გარანტიაა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის არსებული დონე, კანონიერების მდგომარეობა და სახელმწიფო აპარატის მოღვაწეობის მეთოდები და ფორმები. პოლიტიკური გარანტია გულისხმობს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების სრულ გამოყენებას. მისი არსებითი ნიშანია ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების გადამწყვეტი ძალა ხალხია. სახელმწიფო წარმომადგენლობითი ორგანოები იქმნება ხალხის მიერ, რომელიც განსაზღვრავს მათი მოღვაწეობის შინაარსს, პოლიტიკურ მიმართულებას და კონტროლს უწევს მის მუშაობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ხალხი ადგენს უფლებებსა და თავისუფლებებს და ამასთანავე მის გარანტიებსაც იძლევა. კონსტიტუციაში გამოცხადებული უფლება-თავისუფლებათა მნიშვნელოვან პოლიტიკურ გარანტიას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. იგი თავისი მოღვაწეობით ქმნის პირობებს საბჭოთა მოქალაქეების უფლება-თავისუფლებების შემდგომი გაფართოება-განვითარებისათვის.

ეკონომიკური და პოლიტიკური გარანტიები ერთმანეთთან დიალექტიკურ კავშირში არიან. სოციალ-ეკონომიკურ უფლებათა მოცულობა და შინაარსი განისაზღვრება ეკონომიკური პირობებით, მაგრამ მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის ესა თუ ის საფეხური ბევრად არის დამოკიდებული პოლიტიკურ ფაქტორებზე. თავის მხრივ, თვით პოლიტიკურ უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციაზე გავლენას ახდენს არა მარტო პოლიტიკური ფაქტორები, არამედ, საბოლოო ჯამში საზოგადოების ცხოვრებისა და სახელმწიფოს განმსაზღვრელი მატერიალური პირობები.

შინაარსი და მოცულობა იმ პოლიტიკური თავისუფლებებისა, როგორიცაა, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა და სხვ. პირველ რიგში განისაზღ-

ვრება სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის მიღწეული დონით, ქვეყანაში კანონიერების მდგომარეობით და თანამდებობის ცალკეულ პირთა საერთო კულტურით. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განპირობებულია მატერიალურ-ეკონომიკური ფაქტორებით.

მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია აგრეთვე იურიდიულად. უამისოდ შეუძლებელია მათი ქმედითობა. „იურიდიულად აღიარებული თავისუფლება არსებობს სახელმწიფოში კანონის სახით"[1]. საზოგადოების ყველა მოპოვებული უფლება-თავისუფლებათა განხორციელება კანონის მოქმედების საშუალებით არის შესაძლებელი, სადაც კანონზე სრულად ან ნაწილობრივ ვინმე ბატონობს, იქ ადამიანთა თავისუფლება შეზღუდულია. ამის მაგალითია ჩვენს ქვეყანაში პიროვნების კულტის ბატონობის პერიოდი, როდესაც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ზოგიერთ სფეროში პიროვნების ხელშეუხებლობისა და დემოკრატიული უფლებების გარანტიები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დაგმო პიროვნების კულტი, რომელსაც მოჰყვა ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და სოციალისტური დემოკრატიისა და რევოლუციური კანონიერების დარღვევები. პიროვნების კულტი ზღუდავდა კონსტიტუციით გამოცხადებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. იგი ხელს უწყობდა ბიუროკრატიზმისა და შიშველი ადმინისტრაციულობის განვითარებას, პარტიული მშენებლობისა და სამეურნეო მუშაობის მანკიერი მეთოდების დანერგვას. პიროვნების კულტის შედეგად წარმოქმნილი სუბიექტივიზმი უგულებელყოფდა საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, კოლექტიური ორგანოების აზრს და მეცნიერულ ხელმძღვანელობას ცვლიდა ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებებით.

პიროვნების კულტი ხელს უშლიდა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ზრდას და წარმოქმნიდა ადამიანებში ეხლისადმი შიშსა და უნდობლობას. წყდებოდა კავშირი სიტყვასა და საქმეს შორის, რაც არღვევდა პიროვნების მთლიანო-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 1, стр. 62.

ბას. პიროვნების კულტმა ჩვენს ქვეყანაში დიდი ზიანი მიაყენა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების გაფართოება-განვითარების საქმეს. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციაში გამოცხადებული და გარანტირებული უფლება-თავისუფლებები განაპირობებს სოციალიზმისათვის უცხო ტენდენციებისა და მათ შორის პიროვნების კულტის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში გამოცხადებულ მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკურ უფლებებს სახელმწიფო იცავს, თავისი მოქმედებებით იგი ქმნის წანამძღვრებს მათი სრული და ყოველმხრივი რეალიზაციისათვის. ამის გარანტიას სოციალ-პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს. მეორე მხრივ, ძირითადი კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს არ ჩაერიოს მოქალაქეთა ისეთ პირად უფლებებში, როგორიცაა: პიროვნების, ბინის ხელშეუხებლობა, მიმოწერის საიდუმლოება და სინდისის თავისუფლება. ზემოჩამოთვლილი უფლებები სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეთა ვალდებულებების გარეთაა, თვით მათი პირადი ცხოვრების სფეროშია, რომელთა დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა. სახელმწიფო მოვალეა აუცილებელ შემთხვევაში დაიცვას მოქალაქეთა პირადი თავისუფლებები ცალკეული სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მხრივ ხელყოფისაგან. თავის მხრივ კონსტიტუციაში გათვალისწინებული მოვალეობები გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას მოითხოვოს მოქალაქეთაგან მათი შესრულება.

კონსტიტუციით განმტკიცებული პიროვნების თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში როგორც საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის გამოვლენა ხასიათდება: ყველა მოქალაქის კანონის წინაშე სრული და ყოველმხრივი თანასწორობით; მათი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირებით: უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიების მუდმივი განმტკიცება-განვითარებით; მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა უფლება-თავისუფლებათა განუხრელი გაფართოებით და ბოლოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმით.

სოციალიზმის უდიდეს მონაპოვარს, კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულ ყველა უფლებათა უფლებას წარმოადგენს

შრომის უფლება, ანუ მოქალაქეთა უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურებით. თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს პროფესია, სამუშაოს სახეობა მოწოდების უნარისა და განათლების შესაბამისად. შრომის უფლებას ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია, საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდა, სამეურნეო კრიზისებისა და უმუშევრობის შესაძლებლობათა მოსპობა. შრომის რეალური ანაზღაურება გარანტირებულია სამუშაო ხელფასის ფონდების განუხრელი ზრდით და მთელი საბჭოთა ეკონომიკური სტრუქტურით.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების მოთხოვნების შესაბამისად სოციალისტური წარმოება განუწყვეტლივ იზრდება. საბჭოთა კავშირში ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მოეწყოს სამუშაოზე მუშად ან მოსამსახურედ, შევიდეს კოლმეურნეობაში ან სხვა კოოპერატიულ არტელში. ადმინისტრაციას უფლება არა აქვს კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დაითხოვოს სამუშაოდან მუშა ან მოსამსახურე. ასევე დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო ან სხვა კოოპერატიული არტელიდან მისი წევრის გარიცხვა თუ ეს არ არის გათვალისწინებული წესდებით. განსაკუთრებული გარანტიებია დაწესებული ორსული ქალებისა და ერთ წლამდე ბავშვების დედებისათვის. იგი საშუალებას აძლევს ქალებს შრომა შეუხამონ დედობას.

ჩვენს ქვეყანაში არსებულ პროფესიული სასწავლებლების ქსელში უფასოდ სწავლობენ, კვალიფიკაციას იმაღლებენ და ახალ სპეციალობებს ეუფლებიან მილიონობით ჭაბუკები და ქალიშვილები. სასწავლებლის დამთავრებისთანავე ყველა მათგანს გარანტირებული აქვს სამუშაო მიღებული პროფესიის მიხედვით.

ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა კონსტიტუციით განმტკიცებული დასვენების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს: მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41 საათიანი კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისთვის შემცირებული სამუშაო დღე;

ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა, მუშა-მოსამსახურეთა ყოველწლიური ფასიანი შვებულებები, სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში დასვენება. დასვენების უფლება ქმნის აუცილებელ პირობას საბჭოთა მოქალაქეების ნაყოფიერი შრომისათვის, მათი კულტურის ზრდისა და ფიზიკური განვითარებისთვის და ასევე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ჩვენ ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება გამაჯანსაღებელი, სამკურნალო და კულტურული დაწესებულებების რიცხვი მშრომელთა სრულფასოვანი დასვენების უზრუნველსაყოფად.

კონსტიტუციით განმტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის უფლება სოციალიზმის დიდი მონაპოვარია. მას უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებათა ფიერ გაწეული უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება; მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკაჟებელ დაწესებულებათა ფართო ქსელი. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ახორციელებენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას, ჰიგიენისა და სანიტარიის ყველა სფეროში სანიტარულ ზედამხედველობას. სისტემატურად ტარდება ღონისძიებები გადამდებ სნეულებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად. არსებობს დედათა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის ფართოდ ორგანიზებული სისტემა. ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ტარდება სისტემატურად საექიმო კონტროლი და ა. შ. ჯანმრთელობის დაცვის მეცნიერული საფუძვლების განვითარებას ემსახურება მრავალი სამედიცინო-კვლევითი დაწესებულება.

კონსტიტუციით განმტკიცებული და გარანტირებულია სიბერეში, ავადმყოფობასა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. ამ უფლების გარანტიებია მუშებისა და მოსამსახურეების სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფართო ქსელი. მშრომელთა უფასო სამედიცინო მომსახურება და მათ სარგებლობაში გადაცემული კურორტები. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებით ტარდება პროფილაქტიკური ხასიათის ფართო ღონისძიებები სხვადასხვა დაავადებათა თავიდან ასაცილებლად, მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევ-

რების დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, პიონერულ ბანაკებში და სხვა გამაჯანსაღებელ კერებში მომსახურება.

გარდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფორმებისა, არსებობს მატერიალური უზრუნველყოფის სხვა საშუალებები. მას განეკუთვნება სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც ვრცელდება ასევე სამხედრო მოსამსახურეებზე, მეცნიერ-მუშაკებზე და განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირებზე. არტელის წევრებისათვის არსებობს კოოპერაციული დაზღვევა, შრომისუუნარო კოლმეურნეებისათვის დახმარება საკოლმეურნეო ფონდებიდან და ა. შ. მუშა-მოსამსახურეებს შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში ეძლევა პენსია ინვალიდობის მიზეზების დამოუკიდებლად.

კონსტიტუციით განმტკიცებული ერთ-ერთი ძირითადი უფლება, რომელიც არსებობს სოციალიზმის ქვეყნებში, არის განათლების უფლება. ჩვენს ქვეყანაში იგი უზრუნველყოფილია სახალხო შემოსავლისა და მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური დონის განუხრელი ზრდით, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ფართოდ განვითარებით ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე. უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სტუდენტებს ეძლევათ სახელმწიფო სტიპენდიები და სხვადასხვა სახის შეღავათები. შექმნილია პირობები წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაუსწრებელი და საღამოს ფაკულტეტებზე სწავლებისთვის. არსებობს მუშა ახალგაზრდობის საღამოს შვიდწლიანი და საშუალო სკოლები, საწარმოო სწავლების სასწავლებელთა სისტემა და ა. შ. მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის პირობებში მშრომელები იღებენ განათლების რეალურ უფლებას და სარგებლობენ მეცნიერებისა და კულტურის მთელი მიღწევებით.

კონსტიტუციით განმტკიცებული ბინის უფლება არის უფლებათა ერთობლიობა, რომლის ძალით სახელმწიფო ბინაში მცხოვრები მოქალაქე მისი მუდმივი მოსარგებლე ხდება. საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება ადგილობრივი საბჭოების სისტემებში რეგულირდება საცხოვრებლის დაქირავების ხელშეკრულებით, რომელიც ხუთი წლის ვადით იდება. ხელშეკრულების კეთილსინდისიერად დაცვის დროს

დამქირავებელს აქვს უპირატესი უფლება მისი შემდეგი ვადით გაგრძელებისა. ოჯახის დროებით საცხოვრებლად წასვლის შემთხვევაში მის წევრებს საცხოვრებელი ფართობი ენახებათ 6 თვის განმავლობაში.

ბინის უფლებას უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის საბინაო ფონდის განვითარება და დაცვა, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობა; გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლით და ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახადის სიმცირე. ამასთან ერთად მოქალაქეებს ევალებათ გაუფრთხილდნენ მათთვის მიცემულ ბინას.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. ჩვენს ქვეყანაში ამას უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის, საგამომცემლო საქმიანობის ფართოდ გაშლა და ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება. ამას ხელს უწყობს სახელმწიფო. იგი ქმნის საამისოდ საჭირო მატერიალურ პირობებს და ყოველივე ახალს ფართო გზას აძლევს სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში. ავტორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებს სახელმწიფო იცავს.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში განხორციელებულია მოქალაქეთა თანასწორი პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები. საზოგადოების თითოეულ წევრს განურჩევლად ქონებრივი მდგომარეობისა, ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა, სქესისა, განათლებისა და ენისა უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ-სახელმწიფო მმართველობაში, აირჩიოს და არჩეულ იქნეს მის ნებისმიერ ორგანოში. მოქალაქეებს და საბჭოთა ორგანიზაციებს უფლება აქვთ თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ სახელმწიფო ორგანოებში ასარჩევ პირთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, კრებებზე, პრესაში, ტელევიზიაში, რადიოთი გამოთქვან მოსაზრებანი მათ შესახებ. საჭიროების შემთხვევაში უღირსი ადამიანები გაიწვიონ უკან სახელმწიფო ორგანოებიდან.

„მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში ქვეყნის ცხოვრების მართვაში მშრომელთა მასების სულ უფრო ფართო და აქტიური მონაწილეობა მტკიცედ დამკვიდრდა, როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური განვითარების ცენტრალური მიმართულება"[1]. გაიზარდა ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატთა ავტორიტეტი და უფლებამოსილება, უფრო მკაცრი გახდა მშრომელთა მოთხოვნა მათ მიმართ. დეპუტატები უფრო რეგულარულად აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს. ჩვენს ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა საყოველთაო-სახალხო განხილვა, როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებისა, ასევე სახელმწიფოს ძირითადი და ცალკეული კანონებისა. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის განხილვაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის ოთხ მეხუთედზე მეტმა და შეტანილ იქნა ოთხასი ათასი წინადადება. დღეს ჩვენში შრომითი კოლექტივები წყვეტენ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ვიწრო საწარმოო ინტერესების ფარგლებს სცილდება. ასეთი საკითხებია მატერიალური წახალისების ფონდების განაწილება, პროფესიული კვალიფიკაციის კადრების განაწილება, მშრომელთა დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის ზრუნვა და სხვ. ახალმა კონსტიტუციამ მშრომელთა წინადადებების საფუძველზე შრომით კოლექტივებს მეტად ფართო უფლებები მიანიჭა საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეების განხილვასა და გადაწყვეტაში, წარმოების მართვაში და ა. შ. სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად გადაიქცა.

ჩვენი ქვეყნის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებები მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ,

---

1 ლ. ი. ბრეჟნევი. კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, 19??, გვ. 12.

გააკრიტიკოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა სახელმწიფოს ახლად მიღებული კონსტიტუციით კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია. ის პირები, რომლებიც მხილებული იქნებიან კრიტიკის დევნაში, პასუხისგებაში მიეცემიან.

ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით ჩვენი ქვეყნის მშრომელებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება. ამ პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური საშუალებებით.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ საჯაროდ გამოთქვან ზეპირ ან წერილობით ფორმაში თავიანთი აზრები და შეხედულებები. სიტყვის თავისუფლება უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური პირობების არსებობით. კონსტიტუცია უფლებას ანიჭებს მოქალაქეებს და მათ ორგანიზაციებს თავისუფლად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების საშუალებით. ბეჭდვის თავისუფლება ნიშნავს ნამდვილ საჯაროობას, საზოგადოებრივი აზრისა და მოქალაქეთა პირადი მრწამსის ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში გამოთქმას. ამისათვის საჭიროა სტამბები, ქაღალდი, შენობები და ა. შ., რომელსაც მოქალაქეთათვის უზრუნველყოფს სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა პრესა თავისი მრავალრიცხოვანი გაზეთებით, ჟურნალებითა და სხვადასხვა გამოცემებით, რომლებიც მშრომელებისა და მათი ორგანიზაციის ხელშია, აქტიურად ეხმარება საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებით გადაწყვიტოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანები.

კომუნისტური საზოგადოების აშენების მიზნების შესაბამისად საბჭოთა მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ეს უფლება განმტკიცებული და რეალურად უზრუნველყოფილია საბჭოთა ქვეყნის კონსტიტუციით. მშრომელთა ინტერესების შესაბამისად, მათი თვითმოქმედებისა და პოლიტიკური აქტივობის განვითარებისა და მრავალმხრივი მოთხოვნილებების დაკმა-

ყოფილების მიზნით საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს შეუძლიათ გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში: პროფესიულ კავშირებში, სპორტულ და თავდაცვით ორგანიზაციებში და კულტურის, ტექნიკის და მეცნიერების საზოგადოებებში, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და ინტელიგენციის ყველაზე უფრო მოწინავე და შეგნებული წარმომადგენლები ერთიანდებიან კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მშრომელთა საქმიანობის ხელმძღვანელი ბირთვია, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მშრომელთა მრავალრიცხოვანი გაერთიანებები და ორგანიზაციები ჩვენს ქვეყანაში უდიდეს როლს თამაშობს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. მშრომელთა ორგანიზაციებს ყოველმხრივ გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო დებულებებისა და მოთხოვნებების შესრულებისათვის.

კონსტიტუციით მოქალაქეებისათვის მინიჭებული სინდისის თავისუფლება მდგომარეობს მათ უფლებაში არ სწამდეთ არც ერთი რელიგია ან აღიარონ ნებისმიერი რელიგია. სინდისის თავისუფლება ასევე ნიშნავს ყოველი მოქალაქის უფლებას ეწეოდეს ანტირელიგიურ პროპაგანდას მორწმუნეთა რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფის გარეშე. საბჭოთა მოქალაქეს შეუძლია დაუბრკოლებლივ შეასრულოს რელიგიური კულტები, თუ ისინი არ არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და არ ხელყოფენ მოქალაქეთა პირად უფლებებს, ღირსებასა და პატიოსნებას. კონსტიტუცია აცხადებს მოქალაქეთა თანასწორობას რელიგიური კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად. რელიგიურ სარწმუნოებასთან დაკავშირებით შეღლისა და სიძულვილის გაღვივება აკრძალულია.

სინდისის თავისუფლების უმნიშვნელოვანეს და ყველაზე რეალურ გარანტიას წარმოადგენს ის, რომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა — ეკლესიისაგან. ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ატარებენ ფართო მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას რელიგიური გადმონაშთებისა და ცრურწმენების აღმოსაფხვრელად.

საბჭოთა კავშირში მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა. არავის არა აქვს უფლება სასამართლოს გადაწყვეტილების ან პროკურორის სანქციის გარეშე მოქალაქის დაპატიმრებისა, გაჩხრეკისა და სხვა ქმედებისა, რომელიც ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას. ჩვენს ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო აპარატის მოღვაწეობის საფუძველია სოციალისტური კანონიერების პრინციპი, პიროვნების ხელშეუხებლობა მკაცრადაა დაცული. საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციაში ეს უფლება შეტანილია მოქალაქეთა ძირითადი უფლებების რიცხვში. ის პირი, ვინც ხელყოფს მოქალაქის უფლებას, მკაცრად ისჯება მისი თანამდებობისა და წოდების მიუხედავად. სოციალისტური კანონიერების მკაცრი დაცვა უზრუნველყოფს საბჭოთა მოქალაქეებს სრულად და რეალურად განახორციელონ თავიანთი უფლებები და თავისუფლებები.

არავის არა აქვს უფლება კანონიერი საფუძვლის გარეშე შევიდეს ბინაში, თუ ამის ნებას არ იძლევიან იქ მცხოვრები პირები. ბინის გაჩხრეკა დაშვებულია საგამომძიებლო ორგანოთა სპეციალური ნებართვით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს საკმაო საფუძველი იმისა, რომ ვინმეს ბინაში არის საგნები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ დანაშაულის გასახსნელად ან დამნაშავის გამოსააშკარავებლად. ბინის უკანონო გაჩხრეკისთვის მოქალაქეს კანონი სჯის.

საბჭოთა კონსტიტუცია იცავს მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოებას. მოქალაქეთა პიროვნების ლატივისცემა, მის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მოვალეობაა. ყოველ მოქალაქეს პირადი თავისუფლების, ქონებისა და სიცოცხლის ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება აქვს.

კონსტიტუციით საბჭოთა მოქალაქეებს მინიჭებული აქვთ უფლება გაასაჩივრონ თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება. სახელმწიფო ორგანოებს ევალებათ განიხილონ საჩივრები კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადაში. თანამდებობის პირთა

მიერ თავიანთი უფლებამოსილების გადამეტებით მოქალაქეებს ასევე აქვთ უფლება აინაზღაურონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალი.

ზემოჩამოთვლილი მრავალი უფლება-თავისუფლებებთან ერთად საბჭოთა მოქალაქეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი მოქმედებისათვის, რომელიც ვნებს საზოგადოების და ხალხის ინტერესებს. აღნიშნული უფლება-თავისუფლებანი მოითხოვენ მაღალ პასუხისმგებლობას, დისციპლინას და შეგნებას. ადამიანს თავისუფლება ენიჭება არა იმისათვის, რომ დაუპირისპირდეს საზოგადოებას, არამედ — გამოიყენოს იგი საზოგადოების ინტერესებისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პიროვნების კეთილდღეობისა და თავისუფლების გარანტიას წარმოადგენს.

„სსრ კავშირის მოქალაქე ვალდებულია იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს სსრ კავშირის მოქალაქის მაღალ წოდებას"[1].

ჩვენი ქვეყნის თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობაა და ღირსების საქმეა მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში და იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება ეწინააღმდეგება სოციალიზმის პრინციპებს. საბჭოთა მოქალაქე მოვალეა უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას, როგორც ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სოციალისტური სისტემის ეკონომიკურ საფუძველს და მთელი საზოგადოების კეთილდღეობის წყაროს. მისი უპირველესი მოვალეობაა ებრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, უფრთხილდებოდეს სახალხო დოვლათს. სოციალისტური საკუთრების ხელმყოფ პირებს კანონი მთელი სიმკაცრით სჯის.

საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვა და მისი ძლი-

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 27.

ერებისა და ავტორიტეტის განმტკიცება თითოეული მოქალაქის ვალია. ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიგებში სამხედრო სამსახური მოქალაქეთა საპატიო მოვალეობაა. მოქალაქეთა მოვალეობაა სხვა მოქალაქეთა ეროვნული ღირსების პატივისცემა, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობის განმტკიცება. თითოეული მოქალაქე პატივს უნდა სცემდეს სხვა პირთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ებრძოდეს ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ საქციელს და ხელს უწყობდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ სოციალისტური სამშობლოს ღირსეული შვილების აღზრდისათვის და თავიანთ მშობლებზე. მოქალაქეები უნდა უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეებს, ზრუნავდნენ ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურული ღირებულებების შენარჩუნებისთვის. თითოეული მოქალაქის მოვალეობაა სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელშეწყობა და საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ზრუნვა.

როგორც ზემოთ ითქვა, განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედი კონსტიტუცია მოქალაქეებს უდიდეს უფლებებსა და თავისუფლებებს ანიჭებს, რომლებიც მიმართული არიან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტისაკენ. იგი ჩვენი ქვეყნის მშრომელების უდიდეს მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენს, რათა სრული ძალით აამოქმედონ თავიანთი შემოქმედებითი ძალები და დააჩქარონ კომუნიზმის მაღალ ფაზაში გადასვლა, სადაც ადგილი არ ექნება ადამიანთა შორის ეკონომიკურ უთანასწორობას და ყოველგვარი პირობა იქნება მათი თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარებისათვის.

როგორც აღინიშნა, კომუნიზმის პირველ ფაზაში საზოგადოების წევრებს არა აქვთ ერთნაირი ეკონომიკური შესაძლებლობანი იბატონონ თავიანთი ცხოვრების გარემო პირობებზე, სრულად განახორციელონ თავიანთი მიზნები. საწარმოო ძალთა განვითარების არასაკმარისი დონე ჯერჯერობით საშუალებას არ იძლევა რომ ადამიანებმა სრულად დაიკმაყოფილონ

თავიანთი მოთხოვნილებანი. ამიტომ, რაც უფრო მაღალი იქნება მოსახლეობის შრომითი შემართება, მით უფრო მეტი პროდუქცია შეიქმნება და უფრო მეტი განაწილდება საზოგადოების წევრთა შორის. განაწილების ფორმების ერთ წერტილზე გაყინვა სოციალისტური წარმოების წესის ბუნებას ეწინააღმდეგება. გასანაწილებელი პროდუქციის ზრდა პირდაპირ პროპორციულია საწარმოო ძალთა განვითარების საფუძველზე წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციისა. საწარმოო ძალთა განვითარების დონის მუდმივი ამაღლება და წარმოებული პროდუქციის საზოგადოების წევრთა შორის არსებული წესის მიხედვით სამართლიანი განაწილება, რაც კონსტიტუციაშია გამოცხადებული, მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებათა განმტკიცება-გაფართოების ძირითად გარანტიას წარმოადგენს. ამიტომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წინაშე დგას პირველი რიგის უმნიშვნელოვანესი ამოცანა — საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდისა და მთელი ეკონომიკის აღმავლობისა.

ასეთივე მნიშვნელობის ამოცანას განაწილების მოწესრიგება და მისი ფორმების სრულყოფა შეადგენს. ცნობილია, რომ მარქსიზმის ფუძემდებლები კომუნისტური საზოგადოების პირველი და უმაღლესი ფაზების განსხვავებას გამოხატავდნენ ამ ფაზებში განხორციელებული განაწილების პრინციპებით. საზოგადოების 'წევრთა შორის პროდუქტების განაწილება წარმოების ერთი მხარეა, რომელიც ექვემდებარება წარმოების წესს, მაგრამ გასანაწილებელი პროდუქციის ოდენობა განსაზღვრულია საწარმოო ძალთა განვითარების დონით. მეორე მხრივ, როგორც ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების მოწესრიგება და უნაკლოდ გატარება დიდადაა დამოკიდებული საზოგადოების მართვის ორგანოთა სწორ და მოქნილ მუშაობაზე.

როგორც ზემოთ ითქვა, კომუნისტური საზოგადოების ორივე ფაზა წარმოების წესის მიხედვით ერთტიპიურნი არიან, მაგრამ ერთმანეთისგან წარმოებული პროდუქციის განაწილების წესით განსხვავდებიან. განაწილების პრინციპში, როგორც წესი, გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი წყობის მთელ რიგ კომპონენტთა ერთობლიობა, რომელიც

მთლიანობაში გვიჩვენებს კომუნისტური საზოგადოების ფაზების განსხვავებასა და თვით ამ ფაზების სიმწიფეს. ამ სიმწიფის კრიტერიუმია ის, თუ რა ზომით და ოდენობით ხდება ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ეს უკანასკნელი გვაძლევს კომუნისტური საზოგადოების ორ ფაზას. იგი განსაზღვრავს ასევე პირველი ფაზის ეტაპებს შორის განსხვავებას და ა. შ. თუმცა წარმოების წესი და საზოგადოების მართვის პრინციპები იდენტურნი არიან. „სწორედ იმიტომ, რომ განაწილების არსება, ფორმა და ზომები დამოკიდებულია საზოგადოებრივ წყობაზე, საწარმოო ძალთა, მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების საფეხურზე, ადამიანთა შეგნებისა და საზოგადოებრივი მმართველობის განვითარებაზე, მასში აისახება კომუნისტური საზოგადოების არსი, ყველა მისი მხარე და ელემენტი"[1].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება არის კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირველი ფაზის უმაღლესი ეტაპი, რომელშიც განხორციელებულია განაწილების სოციალისტური წესის საფუძველზე ყველა მშრომელის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ყველაზე მაღალ დონეზე დაკმაყოფილება. განვითარების ამ ეტაპზე იქმნება პირობები განაწილების კომუნისტურ პრინციპზე გადასვლისათვის. მისი დამახასიათებელი ნიშანი იქნება საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება.

შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით პროდუქტთა განაწილება მოქმედებას იწყებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისშივე და პირველ ფაზას ახასიათებს მის დასრულებამდე. განვითარებული სოციალიზმის დროს მთელი ეკონომიკის სოციალისტურ საწყისებზე სრული გარდაქმნის შემდეგ იგი ყოვლისმომცველი ხდება. თვით პირველი ფაზის ეტაპებიც განაწილების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს ვლინდება ამ წესის განხორციელების სისრულესა და ერთნაირი შრომის დახარჯვი-

[1] В. Добриянов. Проблемы теории развитого социализма, М., 1976, стр. 131.

სან სხვადასხვა ოდენობით ანაზღაურებაში. ეს დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე, წარმოების ორგანიზაციის მართვის სრულყოფილებისა, ადამიანთა შეგნებისა და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მეცნიერების, წარმოების ორგანიზაციის, ადამიანთა შეგნებისა და დემოკრატიის განვითარება-სრულყოფა უზრუნველყოფს განაწილების სოციალისტური პრინციპის ცხოვრებაში სრულად და ზუსტად გატარებას და საზოგადოებრივ შემოსავალში მშრომელთა წილის განუხრელ გადიდებას საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად. განაწილების კომუნისტურ პრინციპზე გადასვლა შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც განაწილების სოციალისტური წესი თავის თავს ამოსწურავს, მანამ კი მისი სრულყოფა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდ მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენს. იგი მშრომელთა დაინტერესების, აქტიურობისა და ინიციატივის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების დამახასიათებელი თავისებურებაა საზოგადოების წევრთა რეალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა. ამას თვალნათლივ მოწმობს წინამავალი ხუთწლედის გრანდიოზული შედეგები. წინა ხუთწლედში ეროვნული შემოსავალი 77 მილიარდი მანეთით გაიზარდა და 362 მილიარდი მანეთი შეადგინა, რომლის მეოთხედი მოხმარების ფონდს განეკუთვნა. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 24 პროცენტით გადიდდა, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 20 პროცენტით გაიზარდა და თვეში 146 მანეთს მიაღწია, საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებისა და შეღავათების გაწევით —198 მანეთს. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 25 პროცენტით გადიდდა; საზოგადოებრივი ფონდიდან მოსახლეობისთვის მიცემული დახმარება და შეღავათები 1,4-ჯერ გაიზარდა, რომელიც ავსებს მშრომელთა შემოსავალს. 1971—1975 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა 544 მილიონი კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართობი. ყოველივე ეს ხაზს უსვამს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალიზმის მი-

მართ, სადაც მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, მასობრივი უმუშევრობა, იზრდება ფასები ფართო მოხმარების საგნებზე და ღრმავდება ინფლაცია.

კიდევ უფრო ფართო ამოცანებია დასახული მეათე ხუთწლედში. ეროვნული შემოსავალი მის ბოლოს შეადგენს 462 მილიარდ მანეთს. მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავალი 20—22 პროცენტით გაიზრდება, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი გადიდდება 16—18 პროცენტით და შეადგენს 170 მანეთს. კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობიდან გაიზრდება 24—27 პროცენტით. მშრომელთა აუცილებელი პროდუქტის საზღვრები დიდად გაფართოვდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე, რომელიც მეათე ხუთწლედში 115 მილიარდ მანეთს მიაღწევს. საქონელბრუნვის მოცულობა გაიზრდება 27—29 პროცენტით, რაც უფრო სრულად დააკმაყოფილებს მოსახლეობას. გაგრძელდება მასობრივი საბინაო მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 550 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რითაც 11 მილიონზე მეტი ადამიანი მიიღებს ან გაიუმჯობესებს საბინაო პირობებს. 25-ე ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებში პროდუქციის ხარისხის ამაღლებას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და წამყვანი ადგილი უჭირავს. ამას მოწმობს მეათე ხუთწლედის როგორც ხარისხის ხუთწლედის სახელწოდება. თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილება ჩვენს ქვეყანაში ხარისხიან საქონელზე მეტად დიდ ამოცანებს უყენებს წარმოებას და მის ყოველ მუშაკს.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმის დროს დაინერგა და არსებობს კომუნისტური განაწილების ელემენტები, მას თვით განვითარებული სოციალიზმის პირობებში მაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ისინი წამყვან და გადამწყვეტ როლს კომუნიზმში გადასვლის შემდეგ შეასრულებენ. პირველ ფაზაში კი მის დასასრულამდე იარსებებს და წამყვანი პრინციპი იქნება განაწილება შრომის რაოდენობის მიხედვით. სოციალიზმი მოწოდებულია გადაწყვიტოს საზოგადოების წევრთა საარსებო მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანა, აწარმოოს რაც შეიძლება მეტი პროდუქცია და მიაღწიოს პროდუქტების სიუხვეს.

კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლის შემდეგ, — წერდა მარქსი, — მატერიალური და სულიერი სიმდიდრე ფართო ნაკადად გადმოსდინდება. იგი დააკმაყოფილებს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის მაღალ მოთხოვნილებებს. თუმცა აქაც ადამიანის პირველ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებების: საკვები პროდუქტების, ბინების, ტანსაცმლისა და სხვათა წარმოება დიდმნიშვნელოვან ამოცანად რჩება. მაგრამ მის გვერდით დიდი ყურადღება ეთმობა სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებათა წარმოებას. კომუნიზმის დროს მთავარი იქნება უმაღლესი ტიპის მოთხოვნილებების — სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, როგორიცაა ადამიანთა ყოველმხრივი, სულიერი და ფიზიკური უნარის ჰარმონიული განვითარების მოთხოვნილებები. მათი სრული დაკმაყოფილება პიროვნების სრულყოფილ თავისუფლებას განაპირობებს. კომუნიზმის დროს უკვე ადგილი აღარ ექნება უთანასწორობას საზოგადოებრივი შემოსავლის წილში და ადამიანები შეძლებენ სრულად დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ განავითარონ თავიანთი ნიჭი და უნარი.

მატერიალური წარმოების იქით არსებული სულიერი წარმოების სფეროს, მეცნიერული, კულტურული, ესთეტიკური და სხვ. ღირებულებების წარმოების სფეროს, მარქსმა უწოდა თავისუფლების ჭეშმარიტი სამეფო. იგი ეფუძნება როგორც მის ბაზას — წარმოებას, ისე აუცილებლობის სამეფოს. აუცილებლობის სამეფოს ბაზაზე და მის მიღმა იწყება ადამიანურ ძალთა ნამდვილი განვითარება, რაც თვითმიზანს წარმოადგენს. მატერიალურ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების პირობები განვითარებულმა სოციალისტურმა საზოგადოებამ უნდა შექმნას; იგი გამოდის როგორც ფუნდამენტი, ბაზა კომუნიზმის მთავარი მიზნის ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, როცა ადამიანს შეეძლება ყოველმხრივი სახით მიითვისოს თავისი არსება, როგორც მთლიანმა ადამიანმა.

ამრიგად, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ისტორიული ამოცანაა კომუნიზმში გადასვლის ყველა აუცილებელ პირობათა მომზადების დასრულება. მთავარია მათ შე-

რის საწარმოო ძალთა განვითარება და კერძოდ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე კომპლექსური მექანიზაციის, წარმოების მართვის ავტომატიზაციისა და კიბერნეტიზაციის გზით. ამ პერიოდში წარმოების განსაზოგადოებამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს უნდა მიაღწიოს. ყოველმხრივ და ფართოდ უნდა განვითარდეს სოციალისტური დემოკრატია, უზრუნველყოფილ იქნას მასების უფართოესი მონაწილეობა საზოგადოების მართვის საქმეში. უნდა ამაღლდეს და სრულყოფას მიაღწიოს ადამიანთა სოციალისტურმა შეგნებამ და გაბატონდეს ცხოვრების სოციალისტური წესი. განაწილების სოციალისტური წესის უნაკლოდ გატარებით მიღწეულ უნდა იქნას ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

სოციალისტურ საზოგადოებაში მთელი მატერიალური და სულიერი ღირებულებები ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება. სოციალიზმს სხვა უმაღლესი მიზანი არ გააჩნია გარდა ადამიანის ცხოვრების სრულყოფისა, მისი ბედნიერი მომავლის შექმნისა. ამაშია ამ წყობილების ღრმად ჰუმანური ხასიათი. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონია საზოგადოების თითოეული წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით. სოციალიზმის არსება ყველაზე უფრო სრულად ვლინდება განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში. განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში ყველაზე უფრო ნათლად აშკარავდება სოციალიზმის კაპიტალიზმის წინაშე უპირატესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. განვითარებული სოციალიზმის დროს წარმოქმნილი წინააღმდეგობათა დროული და სწორი გადაწყვეტა კიდევ უფრო აძლიერებს და ამტკიცებს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ, იდეურ და მორალურ ერთიანობას.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ქმნის პირობებს პიროვნების თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარებისათვის. კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის

უმაღლეს ეტაპზე ძირითადი და მთავარი ყურადღება მიმართულია პიროვნების კეთილდღეობისა და თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარების ამოცანის გადაწყვეტისაკენ. აღნიშნული მიზნის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია: წარმოების განუხრელი ზრდის საფუძველზე მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხვის შექმნა, წარმოებაში შექმნილი პროდუქციის საზოგადოების წევრთა შორის შრომის რაოდენობის მიხედვით განაწილების წესის ზუსტი გატარება; განათლებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა და კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება. მეათე ხუთწლედში დასახული სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული გეგმების შესრულება უდიდეს წვლილს შეიტანს ზემოჩამოთვლილ ფაქტორთა მომზადებაში. იგი კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას და უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობის ახალ აღმავლობას.

კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის უპირატესობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების თითოეული წევრი შრომობს თავისი უნარის მიხედვით და საზოგადოებრივი შემოსავლიდან წილს იღებს დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. თუ განაწილების ეს პრინციპი დაირღვევა, მაშინ ეს უპირატესობა ხელიდან გვეცლება. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა ქმნის პირობებს ეკონომიკური პროცესების შეგნებული მართვისა და განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელებისათვის. „მხოლოდ სოციალიზმი, — წერდა ლენინი, — მოგვცემს შესაძლებლობას ფართოდ გავავრცელოთ და ნამდვილად დავიმორჩილოთ პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოება და განაწილება მეცნიერულ მოსაზრებათა შესაბამისად“[1].

სოციალიზმის დროს განუზომლად იზრდება სუბიექტური ფაქტორის როლი. ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების შეცნობა ადამიანებს ფართო ასპარეზს გადაუშლის თავისუფალი მოქმედებისთვის. საზოგადოებრივი პროცესების შეგნებული მართვა გამორიცხავს კონ-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 2, გვ. 118.

ფლიქტებს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. ადამიანები შეიცნობენ და ითვალისწინებენ მათი გარემომცველი ძალების მოქმედებას და თავიდან იცილებენ ყოველგვარ მოსალოდნელ შემთხვევითობას. სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა მრწამსსა და ინტერესებს საზოგადოებრივი საკუთრება და მისგან გამომდინარე ურთიერთობები განსაზღვრავს, მაგრამ იგი სუბიექტის როლს კი არ აუქმებს, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს. განაწილების მოქმედი პრინციპი აუცილებლობით მოითხოვს სუბიექტური ფაქტორების როლის გაძლიერებას საზოგადოების განვითარების ინტერესების შესაბამისად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გადამწყვეტ როლს ინარჩუნებს სახელმწიფოს მიერ გატარებული ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც მთელი საზოგადოების ფართო მხარდაჭერით ხორციელდება.

სოციალური თანასწორობა და თავისუფლება ძირითადად განისაზღვრება ადამიანთა ეკონომიკური მდგომარეობით. მისი საფუძველია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები და მისგან გამომდინარე მატერიალური დოვლათის განაწილების წესი. სოციალიზმის დროს მოქმედ შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილების წესის ზუსტად გატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პიროვნების კეთილდღეობისა და თავისუფლების ზრდის საქმეში, არამედ იგი დიდ როლს ასრულებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში. ამ პრინციპის ცხოვრებაში უნაკლოდ გატარებით საზოგადოების წევრები სრულყოფენ ობიექტებთან ერთიანობას წარმოებისა და მოხმარების სფეროში, აფართოებენ თავიანთ ბატონობის სფეროს ბუნებაზე და ხელს უწყობენ საზოგადოების პროგრესს.

წარმოების საშუალებების ნამდვილ განსაზოგადოებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ეს წესი ზუსტად ხორციელდება და წარმოებაში შექმნილი პროდუქცია მწარმოებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და წარმოების შემდგომ სრულყოფა-განვითარებას ხმარდება. ისე, როგორც კომუნიზმთან მიახლოების კვალობაზე სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება ამზადებს პირობებს მისი საბოლოო კვდომისათვის, ასევე განაწილების სოციალისტური წესის

შემდგომი განვითარება-სრულყოფა ქმნის წინაპირობებს თავის თავის მოხსნისათვის, განაწილების აქამდე არსებული წესის თვისებრივი შეცვლისათვის. კომუნიზმის დროს განხორციელებული პრინციპი უკვე არ იქნება განაწილება აქამდე არსებული გაგებით. მოთხოვნილების მიხედვით საარსებო საშუალებათა მითვისება-განაწილება მას ადრინდელ მნიშვნელობას დაუკარგავს.

სოციალიზმის პირობებში დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით პროდუქტთა განაწილება განსაზღვრავს წარმოების მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას. იგი გამოხატავს წარმოებით ურთიერთობათა უმნიშვნელოვანეს მხარეს და უშუალოდ ეხება ადამიანთა სასიცოცხლო ინტერესებს. სკკპ პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შრომის ანაზღაურებისა და ნორმირების განუწყვეტელ გაუმჯობესებას, რათა გაძლიერდეს მშრომელთა მატერიალური სტიმულირება. კომუნიზმი, — გვასწავლიდა ლენინი, — შეიძლება ავაშენოთ არა უშუალო ენთუზიაზმზე, არამედ ენთუზიაზმის დახმარებით, წარმოქმნილი დიადი რევოლუციით პირად დაინტერესებაზე.

სოციალისტურ საზოგადოებაში განაწილება აწესრიგებს წინააღმდეგობას წარმოებასა და მოთხოვნილებას შორის. საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ყველა დანარჩენი ფორმა ამა თუ იმ ხერხით დაკავშირებულია მასთან. საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობების შესაბამისობის დროს, რაც განსაკუთრებით სტაბილური ხდება განვითარებული სოციალიზმის პირობებში, საზოგადოების წევრთა შორის პროდუქტთა განაწილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მეორე მხრივ, კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის ძირითადი წინააღმდეგობა დაკავშირებულია განაწილების სოციალისტურ პრინციპთან. იგი იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების საშუალებებთან დამოკიდებულებაში არსებობს ადამიანთა თანასწორობა, ხოლო პროდუქტების განაწილების სფეროში, ქონებრივ ურთიერთობებში ადგილი აქვს უთანასწორობას. საკუთრების მხრივ ადამიანთა თანასწორობასა და განაწილების სფეროში მათ უთანასწორობას შორის შეუსაბამობა სოციალიზმის ერთ-ერთი არსებითი წინააღმდეგობაა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით მატერიალური დოვლათის განაწილება საწარმოო ძალთა ზრდის დიდი მასტიმულირებელი ძალაა. იგი წინ სწევს წარმოების განვითარებას. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო განაწილების სოციალისტურ პრინციპს სრულყოფს. განაწილების სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს მივყავართ ქონებრივი უთანასწორობის შემცირებისაკენ დაბალ და საშუალო ხელფასის მქონე და საშუალო და მაღალი ხელფასის მქონე მუშაკებს შორის. აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება იწვევს პიროვნების ეკონომიკური თავისუფლების სრულყოფას, მისი თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობების სფეროს გაფართოებას.

მატერიალური დოვლათის განაწილების სოციალისტურ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. იგი უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების ყველაზე უფრო ეფექტურ როლს სოციალისტური წარმოების განსაზოგადოების შემდგომ სრულყოფაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ განაწილების სოციალისტური პრინციპის სრულყოფა-განვითარებას, რადგანაც იგი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალისტური საკუთრების შემდგომ განმტკიცებაში და საფუძველს ამზადებს განაწილების კომუნისტურ პრინციპებზე გადასასვლელად.

განაწილების სოციალისტური პრინციპის სრულყოფისა და ცხოვრებაში ზუსტად გატარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განმტკიცება-განვითარებას. მისი უმნიშვნელოვანესი ნიშანია საზოგადოების წევრთა უფლებათა და თავისუფლებათა რეალური ეკონომიკური და პოლიტიკური გარანტირების არსებობა. თავის მხრივ, თვით პიროვნებაც პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე. პიროვნების მოქმედებას აკონტროლებენ არჩეული პირები, ხოლო ამ უკანასკნელთა საქმიანობას — ხალხი. დემოკრატიზმი პოლიტიკურ ცხოვრებაში განმტკიცებულია მატერიალური დოვლათის განაწილების დემოკრატიული სისტემით. ეს სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია და მისი ხელ-

ყოფა ფაქტიურად ჩვენი წყობილების ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების ხელყოფაა. განაწილების სოციალისტური პრინციპის დაცვა ჩვენი წყობილების დაცვაა.

საბჭოთა დემოკრატია სოციალიზმის წიაღში მოქმედ აუცილებლობას იცავს და ავლენს. იგი მას ფართო გაჩაქანს აძლევს და წინსვლის ხელისშემშლელ შემთხვევითობათა აღკვეთას ახდენს. საბჭოთა დემოკრატია მწარმოებელთა შემოქმედებითი თავისუფლების გამოვლინებაა. უიმისოდ შეუძლებელია დავიცვათ და სრულვყოთ განაწილების სოციალისტური ურთიერთობები. საზოგადოებრივი საკუთრება ავტომატურად არ განსაზღვრავს მის შესაბამის განაწილების ურთიერთობებს. ეს უკანასკნელნი ყალიბდებიან და ვითარდებიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში თვით მწარმოებელთა მონაწილეობით. ისინი კონტროლს უწევენ და წარმართავენ იმ ორგანოთა მუშაობას, რომლებიც მატერიალური დოვლათის განაწილების ურთიერთობებს არეგულირებენ. „დემოკრატია წარმოადგენს, რასაკვირველია, მხოლოდ გარდამავალ საფეხურს, მაგრამ არა ახალ, გაუმჯობესებულ არისტოკრატიაზე, არამედ ჭეშმარიტ, ადამიანურ თავისუფლებაზე"[1].

„განსხვავებით ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან საბჭოთა დემოკრატია ნამდვილად ჭეშმარიტი დემოკრატიაა. იგი ემყარება ადამიანთა რეალურ თანასწორობას ეკონომიკის, წარმოების საშუალებების, შრომისა და მისი პროდუქციის მფლობელობა-მოხმარებაში"[2]. სოციალისტურ საზოგადოებაში ყველაფერი ეკუთვნის იმათ, ვინც შრომობს. ეს არის სამართლიანი განაწილების ყველაზე უფრო სრულყოფილი პრინციპი სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

საზოგადოებრივი საკუთრება არის მატერიალური დოვლათის დემოკრატიული გამგებლობის ეკონომიკური საფუძველი. დემოკრატიული გამგებლობის გარეშე საზოგადოებრივი საკუთრება არის ფიქცია და იგი შეიცავს თავისში მრავალი მანკიერებისა და ბოროტების წარმოქმნის შესაძლებლობას.

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд второе, т. I, М., 1954, стр. 595.

[2] იხ. ბიძინა ლუტიძე. ნამდვილი და მოჩვენებითი დემოკრატია, თბ., 1969, გვ. 26.

სოციალისტური საკუთრება თავისი ბუნებიდან გამომდინარე აუცილებლობით მოითხოვს გამგებლობის დემოკრატიულ ფორმას. სოციალიზმის დროს მისი უგულებელყოფა იწვევს კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოცოცხლებას და მასთან დაკავშირებულ მრავალი ნეგატიური მოვლენის წარმოქმნას.

სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანი წარმოებისა და მოხმარების სფეროში ობიექტებთან ერთიანობას აღწევს და თავის თავისუფლებას სრულყოფს მმართველობის დემოკრატიული ფორმების განვითარების გზით. მხოლოდ მის ორგანოებში მონაწილეობით შეუძლია მას იყოს მის მიერ შექმნილი დოვლათის განმკარგულებელი. თუ ამის საშუალება არ არსებობს, მაშინ პიროვნება გაუფასურებულია, რამდენადაც იგი ფაქტიურად არაფრისმფლობელად იქცევა; ასეთ ვითარებაში წარმოების მუშაკები არა თუ ვერ იქვემდებარებენ მათ მიერვე შექმნილ ობიექტებს, არამედ თვით აღმოჩნდებიან დაქვემდებარებული ამ ობიექტთა გზით თანამდებობის პირთა ნებისყოფისადმი. რადგანაც სოციალისტურ საზოგადოებაში დემოკრატიის შესუსტების დროს თანამდებობის ზოგიერთი პირი ახერხებს შექმნას მისადმი დაქვემდებარებული იერარქია, რომელიც კოლექტივის ინტერესებს უპირისპირდება. ამ ადამიანთა ეგოისტური მისწრაფებები მათი ცხოვრებისა და მოქმედებების წარმმართველი ხდება. საზოგადოების მოთხოვნებს ისინი ფორმალურად იცავენ და ცუდ მაგალითს აძლევენ მომავალ თაობას. თანამდებობის პირთა მიერ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოპოვებული პრივილეგიური მდგომარეობით განსაზღვრული ქმედებანი ხელყოფენ მშრომელი ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს. მათ მიერ სოციალისტური კანონიერების დარღვევა ქმნის ნიადაგს კაპიტალიზმის გადმონაშთებისა და გაუცხოების რეციდივების გამოცოცხლებისათვის. სუსტდება კრიტიკა, ფორმალური ხდება თვითკრიტიკა და ფეხს იკიდებს სოციალიზმისათვის ისეთი უცხო მოვლენები, როგორიცაა: პროტექციონიზმი, მექრთამეობა, სპეკულაცია, მაამებლობა, ბიუროკრატიზმი და ა. შ.

სოციალისტური დემოკრატიის შესუსტებით გამოწვეული ანტისაზოგადოებრივი მოვლენები არყევს სოციალიზმის საფუ-

ძვლებს და ხელიდან გვაცლის რევოლუციის მრავალ მონაპოვარს. თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელი თანამდებობის პირთა სუბიექტივისტურმა მოქმედებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. მან არა მარტო შეასუსტა მისი ეკონომიკა, არამედ გამხრწნელი გავლენა მოახდინა მერყეევი ნებისყოფის ადამიანებზე. ამ წლების განმავლობაში ფეხმოკიდებული ცხოვრების წესი ზოგიერთისათვის სავალდებულო ზნეობრივ ნორმად იქცა. შესუსტდა ზოგიერთი ადამიანის რწმენა კომუნიზმის აშენების აუცილებლობაში და ბიძგი მიეცა სოციალიზმისათვის უცხო ტენდენციების აღორძინებას.

სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოებისა და საზოგადოების მართვის სრულყოფის აუცილებლობამ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში თავისი ასახვა პოვა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში. „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება: მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, საჯაროობის გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება“[1].

კომუნიზმის დამყარებამდე საერთო-სახალხო სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილების დაცვა-მოწესრიგება შეადგენს. მან იდეურ-აღმზრდელობითი და გარეგანი იძულების სხვადასხვა ღონისძიებებით უნდა შეძლოს განაწილების სოციალისტური პრინციპის ცხოვრებაში უნაკლოდ გატარება. აღნიშნული ფუნქციის შესუსტება ხელს უწყობს კერძომესაკუთრული ტენდენციათა გაძლიერებას. სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო მოწოდებულია ძირშივე აღკვეთოს პი-

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 9.

როვნების საზოგადოებისადმი დაპირისპირებულობის ყოველ-
გვარი გამოვლინება. აღნიშნული დაპირისპირებულობის საფუძველია ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავება საზოგადოების წევრებს შორის, ზოგიერთი პირის მიერ თავისი ცხოვრების საზოგადოების ხარჯზე მოწყობა, იმაზე მეტის მითვისება, რაც მას ეკუთვნის.

გაუცხოების რეციდივებისა და კაპიტალიზმის გადმონაშთების ლიკვიდაციის საფუძველი სოციალისტური ეკონომიკის მძლავრ აღმავლობაშია. მისი ძირითადი პირობაა მატერიალური დოვლათის ისეთი სიუხვის შექმნა, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა ექნეს სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. როცა ადამიანებს შეეძლებათ თავიანთი მოთხოვნილებების მიხედვით მიიღონ და მოიხმარონ წარმოებაში დამზადებული პროდუქტები, მაშინ არსებითად შეიცვლება არა მარტო მათი ნივთებისადმი დამოკიდებულება, არამედ, ასევე ადამიანთა შორის და საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ურთიერთობა.

პიროვნების სრულყოფილი თავისუფლება და ყოველმხრივი განვითარება კომუნისტურ საზოგადოებაში გულისხმობს საწარმოო ძალთა განვითარების ისეთ მაღალ დონეს, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ადამიანთა მოთხოვნილებებს და მოსპობს მათ შორის ფაქტიურ უთანასწორობას. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა პიროვნების თავისუფლების ეკონომიკური და პოლიტიკური გარანტიების ყოველმხრივ განმტკიცება. ეკონომიკური გარანტიები აუცილებელია იმიტომ, რომ მხოლოდ საწარმოო-ძალთა დაჩქარებული ზრდა შექმნის პროდუქტების სიუხვეს და მოამზადებს საფუძველს განაწილების კომუნისტურ წესზე გადასასვლელად. პოლიტიკური გარანტიების განმტკიცება საჭიროა იმდენად, რამდენადაც კომუნიზმის დამყარებამდე სახელმწიფო განუხრელად უნდა ახორციელებდეს სასტიკ კონტროლს საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეული დონის შესაბამისად შრომის მიხედვით განაწილებაზე.

მოთხოვნილების მიხედვით მოხმარების განხორციელება განაპირობებს რადიკალურ ცვლილებას, თვისებრივ ნახტომს ადა-

მიანის შეგნებაში. მის შედეგად ნივთები, რომლებიც ადამიანთა მიერ არ მოიხმარება, დაკარგავს მიმზიდველ ძალას. ნივთებისადმი მისწრაფების განმსაზღვრელი იქნება მათი სახმარი ღირებულება, ის, თუ რამდენად სჭირდება ადამიანს ისინი თავის ცხოვრებაში. პიანინოზე ვინც არ უკრავს, მას პირადი მოხმარებისათვის არავითარი ღირებულება არ ექნება, იგი უბრალო ყუთის მნიშვნელობას იღებს და მას სახლში არ მიიტანენ. ნივთი, რომელიც ესთეტიკურ ტკბობას არ მიანიჭებს ადამიანს, მას იგი ზედმეტ ბარგად მიიჩნევს.

ადამიანთა მიერ ნივთთა გონივრული მოთხოვნილების მიხედვით დაკმაყოფილება გამორიცხავს ნივთთა ბატონობას ადამიანებზე. გაქრება გაუცხოების ყოველგვარი ნაშთები და ადამიანები ნამდვილად განთავისუფლდებიან ნივთთა ზეგავლენისაგან. ადამიანებს დიდი თავისუფალი დრო დარჩებათ თავიანთი ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის. მათ აღარ მოუხდებათ უმიზნოდ ხარჯონ თავიანთი არსებრივი ძალები ისეთი საგნების მოსაპოვებლად, რომელთაც მათი ცხოვრებისათვის არავითარი აზრი არ ექნება. ამ მიმართებით ადამიანთა ნივთებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება მოასწავებს ადამიანთა შორის მრავალ, მათთვის სრულიად უცხო და საზიანო დამოკიდებულებათა მოსპობას. საზოგადოების წევრები თავიანთ არსებრივ ძალებს დახარჯავენ მხოლოდ თავიანთი გონებრივი და ფიზიკური განვითარების მიზნების განსახორციელებლად, თავიანთი თავისუფლების შემდგომი სრულყოფა-გაფართოებისათვის. ეს იქნება დასაწყისი კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზისა.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მტკიცედ დამკვიდრებული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები წარმოადგენს იმ გადამწყვეტ ობიექტურ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ადამიანთა ბუნების ძალებსა და თავის თავზე ბატონობას. სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები ადამიანებს ფართო შესაძლებლობებს აძლევს გაფართოვონ და სრულყონ როგორც ბუნების მიმართ, ასევე საზოგადოებაში მათი თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობები. ამ მიმართულებით მოპოვებული უდიდესი წარმატებები, რომლებმაც თავისი გამოხატულება პოვა საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში, პიროვნების თავისუფლების მტკიცე გარანტიას წარმოადგენს.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედი ობიექტური ფაქტორები: მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები და მათთან შესაბამისობაში მყოფი წარმოებითი ურთიერთობანი განსაზღვრავენ არა მარტო პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც დაკანონებულია კონსტიტუციაში, არამედ ასევე განაპირობებენ ჩვენი საზოგადოების სწრაფ მსვლელობას კომუნიზმის უმაღლესი ფაზისაკენ, როდესაც „ყველა ადამიანს ექნება თანასწორი მდგომარეობა საზოგადოებაში, ერთნაირი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი, შრომისა და განაწილების თანაბარი პირობები, და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების საქმეების მართვაში. საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ერთიანობის საფუძველზე დამკვიდრდება ჰარმონიული ურთიერთობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. ადამიანთა მოთხოვნილებანი, მიუხედავად მთელი მათი უდიდესი სხვადასხვაობისა, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჯანსაღ, გონივრულ მოთხოვნილებათა გამომხატველი იქნებიან“[1].

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 71.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . . . . .
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია თავისუფლებისა და მისი წანამძღვრების შესახებ
1. თავისუფლების ცნება და მისი შინაარსი . . . .
2. თავისუფლების ძირითადი წანამძღვრები . . . .
თ ა ვ ი მ ე ო რ ე. თავისუფლება — ადამიანის ცხოვრების საზრისი
1. თავისუფლება — უმაღლესი იდეალი . . . .
2. უმაღლესი იდეალის გაცნობიერების მნიშვნელობა . .
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. სოციალური თავისუფლების კლასობრივი ხასიათი ანტაგონისტურ საზოგადოებაში
1. თავისუფლება და საკუთრება . . . . . .
2. ბურჟუაზიული თავისუფლების არსი . . . . . .
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. თავისუფლება და მოვალეობა
1. თავისუფლება — მთლიანი პიროვნების არსება . .
2. თავისუფლების მოვალეობისაგან განუყოფლობა . .
თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. სოციალიზმი და პიროვნების თავისუფლება
1. პიროვნების თავისუფლება და სოციალისტური საკუთრება
2. მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციაში . . . . . .

ГЕОРГИЙ ИРАКЛИЕВИЧ РУСИА

СВОБОДА И ЛИЧНОСТЬ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1979

რედაქტორი პროფ. ბ. ლუტიძე
გამომცემლობის რედაქტორი ზ. მოლაშხია
მხატვარი შ. ნიორაძე
მხატვრ. რედაქტ. რ. მაჭარაშვილი
ტექრედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი ლ. არეშიძე
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 26/III-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX-79 წ. საბეჭდი ქაღალდი № 2. 84×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,34. სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,01. უე 03708. ტირაჟი 1000. შეკვ. № 335.
ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომი. თბილისი, № 4 სტამბა
380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4 Госкомиздата
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.